# დისტანციური სწავლების მართვა

პრაქტიკული სახელმძღვანელო სკოლის ადმინისტრატორებისთვის

# დისტანციური სწავლების მართვა

**პრაქტიკული სახელმძღვანელო სკოლის ადმინისტრატორებისთვის**

**თბილისი**
**2021**

**დისტანციური სწავლების მართვა**
(პრაქტიკული სახელმძღვანელო სკოლის ადმინისტრატორთათვის)

სახელმძღვანელო მოამზადა
**„საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციამ“**
სახელმძღვანელოს გამოცემის აქტიური მხარდამჭერი და დამფინანსებელია
**„გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი“**
სახელმძღვანელო უფასოდ რიგდება საქართველოს ყველა სკოლაში

**მთავარი რედაქტორი:**
გია მურღულია
სკოლა „ლოგოსის“ დამფუძნებელი და
სამეცნიერო ხელმძღვანელი

**პროექტის ხელმძღვანელი:**
თამარ კაპანაძე
თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი

**კორექტორი:**
ნანა ჭაბაშვილი

**დიზაინერი:**
მარიამ ვარძიელი

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაცია.

**მისამართი:** თბილისი, წულაძის ქუჩა, 32 დ.
ელ. ფოსტა: info@gasa.edu.ge

„საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაცია” 2017 წელს დაფუძნდა. ორგანიზაცია ამჟამად საქართველოს ასზე მეტ საჯარო და კერძო სკოლას აერთიანებს.
ასოციაციის უმთავრესი მიზანია საქართველოში ეფექტური და ეფექტიანი მენეჯმენტის განვითარების ხელშეწყობა ზოგადი განათლების სფეროში. ასოციაცია ამ მისიის შესრულებას, ერთი მხრივ, ამ საქმიანობის პოპულარიზაციითა და ახალი, პერსპექტიული მენეჯერების დაინტერესებით გეგმავს, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი სერვისებისა და საგანმანათლებლო პროდუქტების შეთავაზებით, რომლებიც ხელს შეუწყობს მოქმედ ადმინისტრატორებს მათი საქმიანობის გაუმჯობესებაში.

გპფ

გუდავაძე-
პატარკაციშვილის
ფონდი

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდმა საქმიანობა 2017 წელს დაიწყო. საქველმოქმედო ორგანიზაცია ინა გუდავაძის ინიციატივითა და დაფინანსებით შეიქმნა. მისი მისიაა ხელი შეუწყოს ქვეყანაში განათლების სისტემის განვითარებას. გპფ სამი ძირითადი მიმართულებით ახორციელებს საქმიანობას: სასკოლო განათლება, საშუალო სპეციალური განათლება და უმაღლესი განათლება. www.gpf.ge

© საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაცია, 2021

დაიბეჭდა შპს „საარის“ საგამომცემლო პოლიგრაფიულ ცენტრში
გამომცემლობა „საარი“, 2021
ISBN 978-9941-477-98-0

**გია მურღულია**
მთავარი რედაქტორისგან **4**

**სიმონ ჯანაშია**
დისტანციური განათლების არსი და თეორიული საფუძვლები **7**

**გიორგი ჭანტურია**
დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიური მიდგომები – პრაქტიკული რეკომენდაციები **23**

**ხატია ხატიაშვილი, ნინო მუმლაძე**
დისტანციური სწავლების საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა – საქართველო და მსოფლიო **31**

**მაგდა ბარამიძე**
დისტანციური სწავლების ადმინისტრირების ინსტრუქცია **41**

**მარიამ ჩიქობავა, ნიკოლოზ სილაგაძე**
„ახალი სკოლის მოდელი“ დისტანციური სწავლებისას **55**

**ლიკა გომართელი**
არაფორმალური განათლების როლი დისტანციური სწავლების დროს **87**

**თამარ ისაკაძე**
დისტანციური სწავლების პროცესი სპეციალური საგანმანათლებლო
საჭიროების მქონე მოსწავლეებთან **99**

**ნიკოლოზ კაპანაძე, სოფო ცაგარეიშვილი**
ფსიქოლოგის რჩევები დისტანციური სწავლების პროცესში –
გამოწვევები და ბარიერები **115**

**მეგი კავთუაშვილი**
მშობლის როლი დისტანციური სწავლების პროცესში **127**

**ხათუნა ბარაბაძე, ეკატერინე კვირიკაშვილი**
პროფესიული განვითარების მხარდაჭერა დიტანციური სწავლების პროცესში **139**

**ნანა ნოზაძე**
ონლაინ პლატფორმებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენება ონლაინ სწავლების დროს **155**

# მთავარი რედაქტორისგან

**გია მურღულია**

ამ სახელმძღვანელოს შექმნის იდეა პანდემიის დაწყებისა და დისტანციური სწავლების მნიშვნელობის მკვეთრი გააქტუალურების კვალდაკვალ დაიბადა. რა თქმა უნდა, ახალმა გამოწვევამ სკოლის ხელმძღვანელთა წინაშე ბევრი დღემდე არარსებული ან აქამდე ნაკლებადმნიშვნელოვანი კითხვა დასვა, რომლებზეც საქართველოს სასკოლო განათლების სისტემას ოპერატიულად უნდა გაეცა პასუხები.

დისტანციური სწავლების პრინციპი და პრაქტიკა მსოფლიოსთვის ახალი არ არის, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ეს სფერო განვითარების განსხვავებულ ეტაპებზე იმყოფება. ჩვენი ქვეყნისთვის ეს შედარებით ნაკლებად აპრობირებული თეორია და პრაქტიკაა, თუმცა წარმოქმნილმა გარემოებებმა და შექმნილმა ვითარებამ სწრაფად მოქმედება გვაიძულა.

ძალიან მნიშვნელოვანი გახდა, სკოლებს გაეაზრებინათ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პრობლემები, სირთულეები და გამოწვევები, რათა მოქმედების ადეკვატური გეგმა დაესახათ და ოპერატიულად განეხორციელებინათ კიდეც. თანაც ეს ყველაფერი – გააზრებიდან განხორციელებამდე – ისე უნდა შესრულებულიყო, რომ მაქსიმალურად გამოერიცხათ შესაძლო დაბრკოლებანი თუ შეცდომები.

ცხადია, ეს არ იყო (და არც არის) მარტივი პროცესი – შესაბამისი გამოცდილება საკმაოდ რთულად იქმნება.

სახელმძღვანელოზე მუშაობისას არა ერთ პრობლემას წავაწყდით.

პირველ რიგში, არცთუ ადვილი აღმოჩნდა ავტორთა მოძიება და შერჩევა – არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მიმართულებით საქართველოს არ ჰქონდა შესაბამისად აპრობირებული პრაქტიკა. სირთულე იმანაც შექმნა, რომ მთელი რიგი მიმართულებებით არ არსებობდა საერთო ხედვა, მეტ-ნაკლებად შეთანხმებული ფუნდამენტური თეზისები.

მეორე მხრივ, იგრძნობოდა კვლევათა ნაკლებობა (რიგი მიმართულებით – უბრალოდ, მათი არარსებობა), რაც, არა მხოლოდ კონკრეტული, არამედ ზოგადი შეფასებების თვალსაზრისითაც, პრობლემებს ქმნიდა.

მესამე მხრივ, დაფიქრებამ მოგვიწია იმაზეც, როგორი უნდა ყოფილიყო ამ სახელმძღვანელოს სარჩევი – საკითხთა რომელი წრე იქნებოდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩვენი სკოლის ხელმძღვანელთათვის, უპირველეს ყოვლისა, გასააზრებლად და შესაფასებლად.

საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციამ, რომელმაც, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის დახმარებით, საკუთარ თავ-

ზე აიღო ამ სახელმძღვანელოს მომზადების პასუხისმგებლობა, ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად, შეძლო დასახელებულ პრობლემებთან გამკლავება და საგანმანათლებლო საზოგადოებას მნიშვნელოვანი, საჭირო და სასარგებლო პროდუქტი შესთავაზა.

მთავარი შემფასებლები კი, რა თქმა უნდა, საქართველოს სკოლათა ხელმძღვანელები და დისტანციურ სწავლებაში ჩართული ადამიანები იქნებიან, რომელთაც, იმედი მაქვს, გამოადგებათ ეს სახელმძღვანელო, რათა სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესი ისე წარმართონ, როგორც თანამედროვე გამოწვევებსა და ქართულ საგანმანათლებლო კულტურას ეკადრება.

# დისტანციური განათლების არსი და თეორიული საფუძვლები

**სიმონ ჯანაშია**

განათლების მკვლევარი

## *შესავალი*

ტერმინ „დისტანციურ განათლებას“ მრავალი განმარტება აქვს. მისი შინაარსი არა ერთხელ შეიცვალა დისტანციური განათლების მიზნების, ტექნოლოგიების, პედაგოგიური მიდგომებისა და სწავლების შესახებ თეორიული საფუძვლების მუდმივი ცვლილების გამო. სხვადასხვა დეფინიციას შორის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული იუნესკოს განმარტებაა, რომლის მიხედვითაც „დისტანციური განათლება საგანმანათლებლო პროცესია, რომელშიც სწავლება სრულად ან ძირითადად წარიმართება მის მიერ, ვინც სივრცესა და/ან დროში დაცილებულია მოსწავლისგან და როდესაც მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კომუნიკაცია სრულად ან უმეტესად ხელოვნური გამაშუალებლის, ელექტრონულისა თუ ბეჭდურის, მეშვეობით მიმდინარეობს“ (Moore et al., 2002).

ამ განმარტების მიხედვით, მთავარი და განმსაზღვრელი, რაც დისტანციურ განათლებას განასხვავებს პირისპირ ან – სხვაგვარად როგორც უწოდებენ – ტრადიციული სწავლებისგან, არის დროსა და სივრცეში დაშორებულობა და არა გამოყენებული ტექნოლოგიები. ტექნოლოგიებს ტრადიციული სწავლებაც იყენებს, მაგრამ ამ საგანმანათლებლო პროცესში კომუნიკაციის მთავარი ფორმა პირისპირ ურთიერთობაა. იუნესკოს შემუშავებული დეფინიცია გვთავაზობს კიდევ ერთ პარამეტრს, რითაც შესაძლებელია დისტანციური განთლება პირისპირ სწავლებისგან განვასხვავოთ. თუ სასწავლო შინაარსის, შეფასების, პროცესის მიმდინარეობის შესახებ გადაწყვეტილებები საერთო სივრცეში მიიღება, მაგალითად – საკლასო ოთახში, რომელშიც მასწავლებელი და მოსწავლე ერთად იმყოფებიან, მაშინ ამ პროცესს დისტანციურს ვერ ვუწოდებთ. დისტანციური განათლების პირობებში პედაგოგიური გადაწყვეტილებები ერთ სივრცეში მიიღება, ხოლო მათი დანერგვა ან მოსწავლეებისთვის მიწოდება – მეორეში ხდება.

იუნესკოს ციტირებული დეფინიციის შემუშავებიდან უკვე თითქმის ოცი წლის თავზე დაშორებას, დისტანციას ამ დარგის სპეციალისტები მხოლოდ სივრცისა და დროის პერსპექტივიდან არ განიხილავენ. დისტანციური განათლების დღეისთვის გავრცელებული თეორიები დისტანციას ფსიქოლოგიური პროცესისა და მოქმედებებს შორის არსებული დაშორებების თვალსაზრისითაც აფასებენ[1]. ასევე, თუ იუნესკოს დეფინიციაში დისტანციურ სწავლებაში მოხსენიებული მასწავლებელი ადამიანია, დისტანციური განათლების თანამედროვე თეორიები სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ მოსწავლის ურთიერთობის მნიშვნელობას სხვა მოსწავლეებთან, სასწავლო მასალასთან ან ხელოვნური ინტელექტის მიერ წარმართულ სასწავლო პროცესთან.

დისტანციურ განათლებას დღეისთვის უკვე გარკვეული სპეციფიკური და განვითარებული მეთოდოლოგია დაუგროვდა. ამიტომაც, დისტანციური სწავლების არსის განსაზღვრისას სასწავლო პროცესის დაგეგმვის,

1. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ტრანსაქციული დისტანციის თეორია.

ორგანიზებისა და განხორციელების პრინციპების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება. ზოგიერთი სპეციალისტის მოსაზრებით, COVID-19 პანდემიისას, იმ პროცესს, რომელიც წინასწარ რაიმე დაგეგმვის გარეშე სასკოლო ცხოვრების ელექტრონულ სივრცეში გადატანას დაერქვა, უმჯობესია „დაშორებული სწავლება“ ვუწოდოთ (Hodges et al., 2020). ეს, მათი მოსაზრებით, უკეთეს შესაძლებლობას იძლევა, განვასხვავოთ სისტემატიზებული (დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიის შესატყვისი) სასწავლო პროცესი ჩვეულებრივი სასწავლო პროცესის დისტანციურად განხორციელების მცდელობისგან.

## *დისტანციური განათლების ისტორია*

დისტანციური განათლების ისტორიის შესწავლისას, ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით, სამ სხვადასხვა ეტაპს გამოყოფენ ხოლმე (Bozkurt, 2019). პირველ ეტაპზე წარმმართველი ბეჭდური სახით ინფორმაციის გავრცელება იყო. მეორე ეტაპზე დიდ მნიშვნელობას იძენს დისტანციის დაფარვისთვის შემუშავებული ელექტრონული და მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენება. მესამე ეტაპზე დისტანციურ განათლებაში უკვე ინტერნეტის ტექნოლოგია დომინირებს. ამ თავის შემდეგ ნაწილებში მოკლედ მიმოვიხილავთ ამ სამ ეტაპს.

## *დისტანციური განათლების საწყისები*

დისტანციური განათლების ყველაზე უადრეს მაგალითებად ხშირად სახელდება მე-18 საუკუნის წყაროები. ამგვარად სწავლების ერთ-ერთ პირველ ნიმუშად ხშირად სახელდება 1728 წელს ამერიკაში, ქალაქ ბოსტონის გაზეთში, გამოქვეყნებული განცხადება (Bozkurt, 2019). განმცხადებელი, კალებ ფილიპსი მსურველებს სთავაზობდა, რომ დისტანციურად ასწავლიდა სტენოგრაფიულად ჩაწერის მეთოდს. მასალებსა და დავალებებს ის და მოსწავლეები კვირაში ერთხელ ფოსტის მეშვეობით გაცვლიდნენ.

საფოსტო მიმოწერის მეშვეობით დისტანციური სწავლების ფორმას „კორესპონდენციით სწავლებას“ უწოდებენ. კორესპონდენციით სწავლება პოპულარული გახდა მე-19 საუკუნეში. ამ დროს უკვე მკვიდრდება საუნივერსიტეტო პროგრამები, რომლებიც მასალებისა და ნამუშევრების ფოსტის მეშვეობით რეგულარულ გაცვლას ეფუძნება. ხშირად ეს პროგრამები გათვლილი იყო ისეთ აუდიტორიაზე, რომელსაც სხვაგვარად საუნივერსიტეტო პროგრამების გავლა გაუჭირდებოდა. ასეთი პროგრამები ასევე მასობრივი მონაწილეობის შესაძლებლობას იძლეოდა. მაგალითად, 1900 წლისთვის, კორნელის უნივერსიტეტის (აშშ) კორესპონდენციის ტიპის დისტანციური პროგრამა ქალებისთვის 20 ათას სტუდენტს აერთიანებდა(Bozkurt, 2019).

## *დისტანციური განათლება მეოცე საუკუნეში*

მეოცე საუკუნეში გრძელდება ნაბეჭდი პროდუქციის გამოყენებით – ტრადიციული სახელმძღვანელოებითა და სხვა საკითხავი ლიტერატურით – სწავლება. ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე, ხოლო შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და საქართველოშიც მათ შორის, უნივერსიტეტებში ინერგება დაუსწრებელი პროგრამები. ამ პროგრამების მიზანი იმ ადამიანთა განათლებაა, რომლებიც, ძირითადად სამუშაო პირობების გამო, ვერ ახერხებენ უნივერსიტეტებში სწავლას. დაუსწრებელი სწავლების რეგულირება 1938 წლიდან იწყება და 2004 წლამდე აქტიურად გამოიყენებოდა საქართველოში (გორელაშვილი, 2012).

ამ პროცესის პარალელურად, ტექნოლოგიური ინოვაციები შესაძლებლობას იძლევა, რომ მეოცე საუკუნეში დისტანციურ განათლებაში წარმმართველი სულ უფრო მეტად აუდიო და ვიზუალური ინფორმაციის გადაცემის საშუალებები გახდეს. მეოცე საუკუნის დასაწყისიდანვე დისტანციურად სწავლებისთვის განსაკუთრებით სწრაფად ინერგება ტელეფონის, რადიოსა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი – ტელევიზიის გამოყენება.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით საინტერესოა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი დისტანციურად ორგანიზებული სასკოლო სასწავლო პროცესი, რომელიც ავსტრალიაში დაინერგა და პრაქტიკულად დღემდე მუშაობს. „სკოლა-ჰაერში" (ან სხვაგვარად – ეთერში), ასე ეწოდებოდა მას იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, დავალებების მიცემა და მოსწავლეებთან კონტაქტი რადიო გადამცემის მეშვეობით ხდებოდა, მეორე მხრივ კი, ეს პროცესი ავსტრალიის საჰაერო თავდაცვის საშუალებების მიერ იყო ორგანიზებული (Fitzpatrick, 1982). დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის ამგვარად ორგანიზება მნიშვნელოვანი იყო იმ ბავშვებისთვის, რომლებიც დასახლებული პუნქტებისა და სკოლებისგან დიდ მანძილზე ცხოვრობდნენ.

საქართველოშიც, ისევე როგორც სხვაგან, რადიო და ტელევიზია ჯერ კიდევ სსრკ-ს პერიოდიდან იძენს დისტანციური განათლების ფუნქციას. ასეთი, საგანმანათლებლო გადაცემების მაგალითია თამაზ კვაჭანტირაძის გადაცემა „ქართული ენა და ლიტერატურა" რომელიც 1975-1990 წლებში საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაიცემოდა (ბეროშვილი, 2017).

**ილუსტრაცია 1:** „სკოლა ეთერში" – 1960 წელი. ავსტრალია. ქუინსლენდის რეგიონი. მოსწავლე სწავლობს რადიოგადამცემის მეშვეობით.

დასავლეთში უკვე 1950-იანი წლებიდან იწყება ჩაკეტილი, საკაბელო ტელევიზიების გამოყენება საგანმანათლებლო რესურსების გასავრცელებლად (Bozkurt, 2019). თავდაპირველად ეს ტექნოლოგია ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემების გასაძლიერებლად გამოიყენებოდა. ასეთის მაგალითია ვაშინგტონის ოლქის საგანმანათლებლო ტელევიზია, რომელიც 1956 წლიდან ამზადებდა მასალებს, რომლებიც დაწყებით სკოლებს მიეწოდებოდა. ამ მასალების გამოყენება მასწავლებლებს გაკვეთილებზე შეეძლოთ ტელევიზორისა და სპეციალური საკაბელო მოწყობილობების მეშვეობით.

### *დისტანციური განათლება ინტერნეტის ეპოქაში*

ინტერნეტის განვითარებამ და მასობრივმა გავრცელებამ დისტანციური განათლების არა მხოლოდ მასშტაბი, არამედ მიზნებიც და მეთოდოლოგიაც შეცვალა. ქვემოთ განვიხილავთ ინტერნეტთან დაკავშირებულ ორ ინოვაციას, ვირტუალური სკოლებისა და მასობრივი ონლაინ ღია კურსების განვითარებას.




**ილუსტრაცია 2**: ვაშინგტონის ოლქის საგანმანათლებლო ტელევიზიის პროგრამა

### *ვირტუალური სკოლების განვითარება*

ვირტუალური სკოლები დისტანციური განათლების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ნიმუშია. ვირტუალური სკოლები ამერიკის შეერთებულ შტატებში მეოცე სუკუნის ბოლოს ხდება პოპულარული. ასეთი სკოლის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია ფლორიდის ვირტუალური საჯარო სკოლა, რომელიც 1997 წელს დაარსდა[2]. დღეს ამ სკოლაში სწავლა შესაძლებელია როგორც სრულ სასკოლო პროგრამაზე, ისე სხვა სკოლის მოსწავლეებისთვისაც, რომლებსაც დისტანციურად მხოლოდ ზოგიერთი კურსის გავლა სურთ.

ამერიკის შეერთებული შტატების ვირტუალური სკოლების ერთ-ერთი თავისებურებაა, რომ ერთდროულად შეიძლება რამდენიმე ათასი ბავშვი სწავლობდეს. პანდემიისას ვირტუალური სკოლების პოპულარულობა მკვეთრად გაიზარდა. თუმცა მანამდეც, მაგალითად 2017-2018 სასწავლო წელს აშშ-ში 501 ვირტუალურ სკოლაში 297 712 მოსწავლე სწავლობდა სრულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (Huerta et al., 2020).

სრულად დისტანციური, ვირტუალური სკოლები არსებობს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებშიც. მაგალითად, ლატვიაში, სრულად დისტანციური სკოლები სახელმწიფოს მიერ არის აკრედიტებული. მათი სწავლის საფასურიც სხვა კერძო სკოლების მსგავსად ფინანსდება – სახელმწიფოსა და კერძო დაფინანსების კომბინაციით. ასეთი სკოლაა მაგალითად რიგის №.1 დისტანციური სკოლა[3].

რიგის ამ ვირტუალურ სკოლაში პანდემიამდე ძირითადად ისეთი მოსწავლეები სწავლობდნენ, რომლებიც რაღაც მიზეზით ვერ ახერხებდნენ ჩვეულებრივ სკოლაში სიარულს. როგორც ამ სკოლის დირექტორი და მასწავლებლები მიყვებოდნენ, ასეთები ძირითადად ის ბავშვები იყვნენ, რომლებიც ბევრს მოგზაურობდნენ მშობლებთან ერთად. ზოგიერთი მოსწავლე ლატვიის მოქალაქეა, მაგრამ უცხოეთში ცხოვრობს და ლატვიური განათლების მიღებით არის დაინტერესებული. მოსწავლეების ნაწილი ჩართულია ინტენსიურად სპორტსა და სახელოვნებო მიმართულებით განათლებაში, რაც ხელს უშლის, ჩვეულებრივ სკოლაში გაიარონ განათლება გასტროლებისა და სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის გამო. ამიტომაც მათთვის უფრო მოსახერხებელია ასეთ, დისტანციურ, სკოლაში სწავლა.

2. ფლორიდის ვირტუალური სკოლა: https://www.flvs.net
3. რიგის დისტანციური სკოლა №.1: https://www.r1tv.lv/en

## *მასობრივი ღია ონლაინ კურსების გავრცელება*

2012 წლიდან განსაკუთრებული პერიოდი იწყება დისტანციურ განათლებაში. ამ დროს იწყება მასობრივი ღია უფასო კურსების გავრცელება. ამ კურსების ინგლისური აბრევიატურაა MOOC და ამიტომაც მათ პროფესიულ წრეებში, საქართველოშიც, შემოკლებით „მუკებად“ მოიხსენიებენ ხოლმე. მასობრივი ღია ონლაინ კურსების გასავრცელებლად რამდენიმე ცნობილი ინტერნეტ-პლატფორმა მუშაობს. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია edX, რომელიც ჰარვარდისა და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (MIT) გაერთიანებით შეიქმნა[4].

edX არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც 150-მდე სასწავლო დაწესებულების კურსებს სთავაზობს მომხმარებელს. 2020 წლის ზაფხულისთვის ამ კურსებზე 30 მილიონზე მეტი მომხმარებელი იყო დარეგისტრირებული 3000-ზე მეტ კურსზე (EdX Media Kit, 2020). კურსების გავლა შესაძლებელია უფასოდ, ან გარკვეული თანხის სანაცვლოდ. საფასურის გადახდა უმეტესად იმ ადამიანებს აინტერესებთ, რომლებსაც მათი განათლების რაიმე ფორმალური დადასტურების (სერტიფიკატი) მიღებაც სურთ. edX-ის მსგავსი პლატფორმებია Coursera, Udemy, Udacity. თუმცა ისინი edX-ისგან განსხვავებით მოგებაზე ორიენტირებულნი არიან.

საუნივერსიტეტო სფეროში ამ კურსებმა დიდი ცვლილება მოიტანა. გარდა იმ მიზნის, რაც თავდაპირველად ჰქონდა edX, რომ ცოდნა მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გაეხადა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც საშუალება არ აქვთ საუკეთესო უნივერსიტეტების კურსებში სწავლის მაღალი საფასური გადაიხადონ, სწავლასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებთან ერთად, ამგვარმა კურსებმა ჩვეულებრივი აკადემიური პროგრამების ცვლილებაც გამოიწვია (Yuan & Powell, 2013). MOOC-ებში მიღებულ სერტიფიკატებს სულ უფრო მეტი უნივერსიტეტი აღიარებს თავისი ჩვეულებრივი პროგრამის ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ თუ თქვენ გაქვთ ასეთი აღიარებული კურსი გავლილი დისტანციურად, ჩვეულებრივ პროგრამაზე ჩაბარებისას ეკვივალენტური კურსის გავლა შეიძლება აღარ დაგჭირდეთ.

ბოლო წლებში გაჩნდა უკვე შერეული პროგრამები, რომლებიც მასობრივი ონლაინ კურსებისა და ტრადიციული კურსების ერთობლიობას შეადგენს. ასეთია ე.წ. მიკრო-მაგისტრატურის პროგრამები, რომელსაც სხვადასხვა უნივერსიტეტი სთავაზობს თავის სტუდენტებს[5]. ზოგიერთ ასეთ პროგრამაზე, ორწლიანი მაგისტრატურის პროგრამის პირველი ნახევარი შეგიძლიათ სრულად დისტანციურად გაიაროთ ონლაინ კურსების მეშვეობით. ამის საფუძველზე, თქვენ შეგიძლიათ მიკრო-მაგისტრატურის გავლის დამადასტურებელი დიპლომი მიიღოთ. თუ პროგრამის მეორე ნახევრის გავლას გადაწყვეტთ, სწავლას ტრადიციულ ფორმატში გააგრძელებთ და ჩვეულებრივი მაგისტრატურის დიპლომის მიღების შესაძლებლობაც გექნებათ.

კიდევ ერთი ცვლილება, რაც მასობრივი ონლაინ ღია კურსების განვითარებამ გამოიწვია დისტანციურ განათლებაში ტექნოლოგიურ განვითარებას უკავშირდება. edX-ის კონსორციუმმა თავისი მიზნებისთვის სპეციალური სწავლის მართვისა და კურსების გავრცელების ტექნიკური პლატფორმა შეიმუშავა, რომელიც შემდგომში ღია კოდის პრინციპით, თავისუფლად და უფასოდ გაავრცელა. ეს პლატფორმა, Open edX საქართველოშიც დაინერგა ბოლო წლებში – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ონლაინ

4. edX-ის პლატფორმისა და კურსების გასაცნობად იხ: http://edx.org
5. მაგალითისთვის იხ. https://www.edx.org/micromasters

კურსების გასავრცელებლად. ათასწლეულის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული კურსების ონლაინ ვერსიები „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემია თბილისში“ სკოლის გუნდმა შეიმუშავა და სწორედ მას იყენებს მასწავლებლის სახლი.




**ილუსტრაცია 3.** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ონლაინ კურსების პლატფორმა http://edx.emis.ge

ბოლო დეკადის განმავლობაში, მასობრივი ღია და უფასო ონლაინ კურსების გავრცელება სასკოლო ასაკის მოსწავლეებისთვისაც დაჩქარდა. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ასეთი პროექტია ხანის აკადემია. სალმან (სალ) ხანი, რომელიც 2004 წლიდან თავის ბიძაშვილს ბოსტონიდან ნიუ ორლეანში დისტანციურად ეხმარებოდა მათემატიკის სწავლაში, ვიდეოებს იწერდა რთული საკითხების ასახსნელად. მალე ნადიას სხვა ბიძაშვილებიც შეუერთდნენ. ოთხი წლის თავზე, მას შემდეგ რაც მან რამდენიმე ასეული ვიდეო ჩაწერა, სალ ხანი ამ მეთოდით უკვე რამდენიმე ათას ბავშვს ასწავლიდა(Dreifus, 2014). ათი წლის თავზე მომხმარებლების რაოდენობამ ათ მილიონს გადააჭარბა. სწორედ ასე შეიქმნა khanacademy.org, რომელიც მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულადაც ნათარგმნია[6] ქართული საგანმანათლებლო ორგანიზაციის Educare Georgia-ს მიერ[7].

ხანის აკადემია მოიცავს მრავალ კურსს, რომელიც, ძირითადად, სასკოლო ასაკის მოსწავლეებზეა გათვლილი. ამ კურსების მიწოდება შეიძლება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, როდესაც მასწავლებელს შეუძლია დააკვირდეს მოსწავლეების პროგრესსა და კურსების გამოყენების სტატისტიკას.

6. ხანის აკადემიის ქართული ვერსია https://ka.khanacademy.org
7. ორგანიზაციის შესახებ იხ. http://www.educaregeorgia.org



**ილუსტრაცია 4:** სალ ხანი საუბრობს ხანის აკადემიის შესახებ

მასობრივი ონლაინ კურსების დანერგვის კვლევამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა დისტანციური განათლების ეფექტიანობისა და ელექტრონული დისტანციური კურსების შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ. ამ ცოდნის გამდიდრებას უწყობს ხელს ის, რომ მასობრივი ონლაინ განათლების პოპულარიზაციის შემდეგ უეცრად მონაცემების უზარმაზარი მოცულობა დაგროვდა. ეს მონაცემები, ძირითადად, მომხმარებლების ქცევას, მათი ცოდნის შეფასების შედეგებსა და თავად პლატფორმის შესაძლებლობების კვლევებს ეყრდნობა.

## *დისტანციური განათლების პედაგოგიური თეორია*

დისტანციური განათლების გააზრებას, დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას მრავალი თეორია ემსახურება. ამ თეორიების განხილვა შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფად. ამ ნაშრომის ფარგლებში ყურადღებას გავამახვილებ თეორიების შემდეგ ჯგუფებზე:

ა) განათლების ზოგადი თეორიები – თეორიები, რომლებიც შემუშვებულია ტრადიციული სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე, მაგრამ სასარგებლოა დისტანციური განათლებისთვისაც;

ბ) დისტანციური განათლების თეორიები – თეორიები, რომლებიც სპეციფიკურად განათლების ამ ფორმის გასააზრებლად არის შემუშავებული;

გ) ფსიქოლოგიური და სოციალური თეორიები – თეორიები, რომლებიც განათლების სფეროს გასააზრებლად არ შექმნილა, მაგრამ გამოიყენება დისტანციური განათლების პროცესის შესაცნობად.

## *განათლების ზოგადი თეორიები*

განათლების ზოგადი თეორიები მრავალ თეორიულ სკოლასა და მიმდინარეობას აერთიანებს. ამ ნაწილში ჩვენ მიმოვიხილავთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, დისტანციური განათლებისთვის მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

### *ანდრაგოგიკა – ზრდასრულთა განათლება*

რაკი დისტანციური კურსების მნიშვნელოვანი ნაწილი ზრდასრულთა განათლებას ემსახურება, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ იმ თეორიებს ეთმობა, რომლებიც ამ ასაკობრივი ჯგუფის სწავლებას ეხმიანება. ანდრაგოგიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, თუ რა მოტივაციით სწავლობენ ადამიანები ზრდასრულ ასაკში.

ანდრაგოგიკის თეორიის მიხედვით, ზრდასრულები უფრო მეტად პრაგმატულები არიან თავიანთი სწავლისას. ისინი ეძებენ პრაქტიკულად ღირებულ ცოდნას, რომლის გამოყენებაც ცხოვრებაში შედარებით უფრო მარტივად მოხდება (Merriam, 2001). დისტანციური განათლების, განსაკუთრებით კი ონლაინ კურსების შემუშავებისას ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მაგალითად, მასწავლებელთა ონლაინ კურსების შემუშავებისას კურსების დიზაინერმა უნდა გაითვალისწინოს ეს საკითხი იმისთვის, რომ დაგეგმოს სასწავლო შინაარსი და სასწავლო გამოცდილება მასწავლებლების პრაქტიკული ინტერესების გათვალისწინებით. მაგალითად, პედაგოგს ასეთი კურსის დანერგვის შემდეგ შედარებით უფრო უნდა გაუადვილდეს ახალი მეთოდებისა თუ ახალი შინაარსის გამოყენებით საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის გააზრება და დანერგვა.

რაკი ზრდასრულები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი, საკუთარი სასწავლო პროცესი და შინაარსი დამოუკიდებლად დაგეგმონ, დისტანციური კურსების შემქნელთათვის მნიშვნელოვანია ე.წ. „ადაპტირებადი კურსების“ შექმნა. ამგვარი კურსები შესაძლებლობას იძლევა, რომ მონაწილეს კურსის შინაარსის თუ მისი გავლის გზების მრავალფეროვან ფორმას შორის საკუთარი არჩევანის გაკეთება შეეძლოს.

### *ბიჰევიორიზმი*

ბიჰევიორისტული თეორია გულისხმობს მოსწავლისთვის ისეთი სტიმულების შექმნას, რომლებიც შემეცნებისა თუ ქცევების მოდიფიცირების პროცესზე გავლენას იქონიებს. მოსწავლეების ქცევის რეგულირება და სასურველი მიმართულებით წახალისება დისტანციური სწავლებისას ცენტრალური სამიზნე იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე. მართალია, ბიჰევიორიზმი დღეს უკვე აღარ არის განმსაზღვრელი თეორია დისტანციური განათლებისთვის, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვან ცოდნას გვთავაზობს მოსწავლეების მოტივირების სხვადასხვა მექანიზმისთვის.

დღეს ერთ-ერთი ასეთი პოპულარული მექანიზმია თამაშის ელემენტების ჩართვა სასწავლო პროცესში. ამ მექანიზმის დანერგვას დისტანციურ კურსებში „კურსების გემიფიკაციას“ უწოდებენ. ეს ინგლისური ტერმინია, რომელიც ქართულად შეიძლება ითარგმნოს. როგორც „თამაშიზაცია“. კურსების თამაშიზაციის მიზანია, რომ წაახალისოს მასში მონაწილეთა ქცევა. ამ მიზნით ხშირად გამოიყენება კურსების შიგნით წახალისების ისეთი მექანიზმების ჩაშენება, როგორიც არის ჯილდოების, მედლებისა და სხვადასხვა მიღწევის დონის აღმნიშვნელი სიმბოლოების გამოყენება (Klemke et al., 2018).

### *სოციალური კონსტრუქტივიზმი*

სოციალური კონსტრუქტივიზმი მნიშვნელოვანი საფუძველია დისტანციური სწავლების გამოცდილების დაგეგმვისას. სოციალური კონსტრუქტივიზმის მიმდევრების აზრით, მოსწავლეები ცოდნას იქმნიან სხვებთან ურთიერთობის პროცესში (მელიქიშვილი, 2012). მაგალითად, როდესაც მოსწავლე და მასწავლებელი ერთმანეთთან ურთიერთობენ, პედაგოგს აქვს შესაძლებლობა, რომ მოსწავლეს ე.წ. „ხარაჩოე-

ბის“ მეშვეობით დაეხმაროს მისი ცოდნის აგებაში. სოციალური კონსტრუქტივიზმი გულისხმობს ასევე იმასაც, რომ მოსწავლეთა საგანმანათლებლო გამოცდილების მნიშვნელოვანი ნაწილი დამოკიდებულია მათ შორის მოსაზრებათა გაცვლასა და ურთიერთ-სწავლებაზე.

დისტანციური სწავლების დაგეგმვისას, განსაკუთრებით იმისთვის, რომ მოსწავლეთა მოტივაცია რაც შეიძლება მაღალი იყოს, და, აგრეთვე, რაკი შესასწავლი იდეებისა და ცნებების მნიშვნელობათა გააზრება ურთიერთობით არის შესაძლებელი, მნიშვნელოვანია, რომ მათ რაც შეიძლება ხშირად და ასევე უსაფრთხო გარემოში მიიღონ უკუკავშირი. რაკი დისტანციური ონლაინ კურსები ხშირად მრავალი მოსწავლის ჩართულობას ერთდროულად გულისხმობს, კურსების ფასილიტატორებს უჭირთ ხშირი უკუკავშირის მიცემა. ასეთ შემთხვევებში ხანდახან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ის, თუ რამდენად აქვთ დისტანციურ განათლებაში ჩართულებს შესაძლებლობა, თავიანთი თანაკურსელებისგან მიიღონ გამოხმაურება, რჩევა იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი საკუთარი ცოდნის ან საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესება.

## *დისტანციური განათლების თეორიები*

ამ ნაწილში მიმოვიხილავთ ზოგიერთ თეორიას, რომლებიც დისტანციურ ან ელექტრონულ სწავლებასთან კავშირში შემუშავდა.

### *კონექტივიზმი*

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დანერგვის შემდეგ, საგანმანათლებლო პროცესის ახალი რეალობის ასახსნელად ტრადიციული სწავლების თეორიების მოდიფიცირება გახდა მნიშვნელოვანი. ჯორჯ სიმენსის მიერ შემოთავაზებული ახალი თეორია – კონექტივიზმი აღწერს სწავლა-სწავლების პროცესს, როგორც, ერთი მხრივ, ადამიანებს შორის და, მეორე მხრივ, ადამიანებსა და ინფორმაციის სხვა წყაროებს შორის კავშირების შექმნის პროცესს (Siemens, 2004). სიმენსის აზრით, რაკი ადამიანის შესაძლებლობა, რომ შეიძინოს საგანმანათლებლო გამოცდილება შეზღუდულია, ცოდნის მაფორმირებელი კავშირები მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ პიროვნებამ სხვისი გამოცდილების გამოყენებაც შეძლოს.

კონექტივიზმი ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ სწავლა შეიძლება პიროვნებების მიღმაც მოხდეს (Siemens, 2004, გვ. 5). ასეთი შესაძლებლობა ყალიბდება ტექნოლოგიების მეშვეობით, მაგალითად ორგანიზაციის ფარგლებში, რომელიც აგროვებს ორგანიზაციის წევრების ცოდნასა და გამოცდილებას და მათი კავშირების საფუძველზე ქმნის ცოდნის მარაგს. კონექტივისტური პრინციპის გამოყენება მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების ორგანიზებისას, რადგან ამგვარი პროცესისას მნიშვნელოვანი ხდება დაფიქრება, თუ როგორ ისწავლის მოსწავლე სხვების გამოცდილების გათვალისწინებით და არა სრულიად ავტონომიურად.

### *ტრანსაქციული დისტანციის თეორია*

მაიკლ ჯ. მურის თეორია შეისწავლის იმას, თუ რამდენად მჭიდრო ან დაშორებული შეიძლება იყოს კომუნიკაცია მოსწავლესა და სასწავლო პროცესის სხვა მონაწილეებს შორის, მათ შორის მასწავლებელს შორის (Moore, 1997). ამგვარი დისტანციის პარამეტრებად მური განხილავდა ცვლადების სამ ჯგუფს რომლებიც ორგანიზებულია: ა) დიალოგის, ბ) სტრუქტურისა და გ) მოსწავლის ავტონომიურობის თვალსაზრისით.

დიალოგში მური მასწავლებლისა და მოსწავლის სასწავლო ურთიერთობას გულისხმობს, როდესაც მოსაუბრეები ერთმანეთს პატივისცემით უსმენენ და უზიარებენ მოსაზრებებს. დიალოგის არსზე, მურის

მოსაზრებით, დიდი გავლენა აქვს საკომუნიკაციო საშუალებას. მაგალითად, ტელევიზიის ან რადიოს გამოყენებით მხოლოდ ცალმხრივი კომუნიკაცია მყარდება, რაც ზრდის დაშორებას მოსაუბრეებს შორის. ტელეფონის ან ინტერნეტის მეშვეობით კი ამ დისტანციის შემცირებაა შესაძლებელი.

პროგრამის სტრუქტურაში იგულისხმება ის, თუ როგორ არის ორგანიზებული სწავლება. ის, თუ რამდენად ხისტი ან მოქნილია სასწავლო პროგრამა, ან ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი იმ მასალის არჩევა ან მოდიფიცირება, რომელიც მოსწავლის მიერ გამოიყენება, სტრუქტურის მახასიათებლებია. მურის მიხედვით, ტრანსაქციული დისტანცია მცირდება მაშინ, როდესაც მასწავლებელი შედარებით უფრო ღია მიდგომით ხელმძღვანელობს, როდესაც პროგრამის სტრუქტურა შეიძლება მოსწავლესთან დიალოგის საფუძველზე შეიცვალოს.

რაც უფრო ინტენსიურია დიალოგი და რაც უფრო ნაკლებია სტრუქტურული შეფერხება სწავლების ინდივიდუალიზების თვალსაზრისით, მით უფრო ნაკლებია ტრანსაქციული დისტანცია. მაგალითად, თუ მასწავლებელი ერთი-ერთზე ტელეფონის მეშვეობით ესაუბრება მოსწავლეს, ამ შემთხვევაში მათ შორის ტრანსაქციული დისტანცია უფრო ნაკლებია, ვიდრე იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელი მოსწავლეს სახელმძღვანელოს უგზავნის და შემდეგ მისგან დავალებების შესრულებას ელის.

ტრანსაქციული დისტანციის თეორია მისი შექმნის შემდეგ რამდენჯერმე გადამუშავდა და დაიხვეწა. თუმცა მისი ღირებულება არ შეცვლილა: ის, ერთი მხრივ, ეხმარება დისტანციური კურსების დამგეგმავებს, რომ დაფიქრდნენ იმის შესახებ, თუ რამდენად ინტენსიური იქნება ამ კურსების მომხმარებელთა კავშირი მათთან ან კურსის ინსტრუქტორებთან. მეორე მხრივ, ეს თეორია ამ კურსების დამგეგმავებს იმ ელემენტების კლასიფიკაციაში ეხმარება (კომუნიკაციის ფორმების, მედიუმის, სავარჯიშოებისა და სხვ.), რომლებსაც კურსების წარმატებაზე გავლენა შეიძლება ჰქონდეთ.

### *ფსიქოლოგიური და სოციალური თეორიები*

მრავალ ფსიქოლოგიურ და სოციალურ თეორიას შორის, რომლებსაც გავლენა აქვს დისტანციური განათლების განვითარებაზე, განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ფლოუს თეორიას. რაკი ამ სტატიის მიზანი არ არის თეორიების ამ ჯგუფის სრული მიმოხილვა, აქ მხოლოდ ამ თეორიის აღწერაზე შევჩერდებით.

### *ფლოუს თეორია*

ფლოუს თეორია ეყრდნობა კვლევას, რომელმაც შეისწავლა ის, თუ როდის, რა პირობებში გრძნობენ ადამიანები თავს განსაკუთრებულად ბედნიერად (Csikszentmihalyi, 1995). მიჰაი ჩიკსენმიჰაიმ დაადგინა, რომ ბედნიერების დროს ადამიანები ხშირად აღწერდნენ ხოლმე თავიანთ გამოცდილებას, როგორც ისეთ ვითარებას, როდესაც პიროვნება კარგავს დროისა და სივრცის შეგრძნებას. ის ამ დროს სრულიად ჩაძირულია თავის საქმიანობაში. კვლევის საფუძველზე შეისწავლეს, რომ ადამიანებს არ სჭირდებათ რაიმე განსაკუთრებულ მოვლენასა თუ გარემოებაში მონაწილეობა, იმისთვის, რათა თავი განსაკუთრებულად კარგად იგრძნონ.

ფლოუ ქართულად ითარგმნება, როგორც ნაკადი ან დინება, თუმცა იმ ფენომენის აღსაწერად, რომელსაც ეს თეორია სწავლობს სასაუბრო ტერმინი „მუღამიც“ გამოდგება[8]. ფლოუს თეორიის მიხედვით,

8. ქართულად ეს თეორია შეგიძლიათ წაიკითხოთ შემდეგ პუბლიკაციაში (*კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება – წარმოსახვითი განათლება*, 2012) შემდეგ მისამართზე: https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/kritikuli-da-shemoqmedebithi-azrovneba.pdf

ადამიანები ამ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში მაშინ არიან, როდესაც გარეშე თვალისთვის მოსაწყენ, რუტინულ სამუშაოს ასრულებენ. კვლევამ აჩვენა, რომ ამგვარი სამუშაოს მოდიფიცირება ადამიანის წარმოდგენაში მაშინ თვალსაჩინოვდება, როდესაც ამ ვითარების წარმოდგენა გარკვეული დინამიკური სტრუქტურის ფარგლებში ხდება. ადამიანმა შეიძლება თამაში გამოიგონოს, რომელიც რუტინულ საქმიანობას უკავშირდება. მაგალითად, შესაძლებელია მან წარმოიდგინოს, რომ ის ეჯიბრება საკუთარ თავს, როდესაც მუშაობს კონვეიერზე ქარხანაში, ან როდესაც ვარჯიშობს სირბილში, ან როდესაც ის დიდი მოცულობის პროდუქტების გადამუშავებით არის დაკავებული სამზარეულოში.

განათლებაში ფლოუს თეორიას მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია, რადგან აჩვენებს, რომ გარკვეული რუტინების თამაშად ქცევას შეუძლია არსებითი გავლენა იქონიოს მოსწავლეების მოტივაციაზე. ფლოუს ტიპის გამოცდილების შესაქმნელად მნიშვნელოვანი პირობა გადასაჭრელი ამოცანისა და არსებული კომპეტენციების სირთულის ოპტიმალური შეფარდების ორგანიზებაა (Csikszentmihalyi, 2014).




**ილუსტრაცია 5:** უნარ-ჩვევებისა და სირთულის დონის მიმართებით გამოწვეული სხვადასხვა ფსიქოლოგიური ვითარება ფლოუს თეორიის მიხედვით

დისტანციურ განათლებაში ფლოუს თეორიის გამოყენება მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესი ისე დაიგეგმოს, რომ არ იყოს ზედმეტად მარტივი, ზედმეტად რთული, მოსაწყენი, აპათიის, შფოთვის, ზედმეტად მოშვებულობის ან ზედმეტი დაძაბულობის გამომწვევი. ფლოუს თეორია, ასევე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მკაფიო მიზნებისა და დაყოვნების გარეშე უკუკავშირის უზრუნველყოფას.

## *დისტანციური განათლების ორგანიზების ფორმები*

### *მიწოდების ფორმა*

დისტანციური განათლება, განსაკუთრებულად კი ონლაინ დისტანციური განათლება ორგანიზებულია ხოლმე სინქრონულ, ასინქრონულ და შერეული სწავლების ფორმით (Simonson et al., 2019). სინქრონულია სწავლება, როდესაც მოსწავლე და მასწავლებელი ერთდროულად იყენებენ დისტანციური სწავლების

პლატფორმებს. მაგალითად, ისინი შეიძლება თანადროულად იყვნენ ჩართულნი ტელეკონფერენციის სისტემის მეშვეობით ელექტრონული კურსის ფარგლებში. ორი ათას ოცი წლის პანდემიისას, სკოლების უმეტესობა საქართველოში სწორედ ამ ფორმას იყენებდა, როდესაც მასწავლებლები გაკვეთილებს სინქრონულ რეჟიმში უტარებდნენ თავიანთ მოსწავლეებს სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით.

ასინქრონული ფორმა გულისხმობს მასწავლებლისა და მოსწავლის ერთგვარ აცდენას დროში. ასეთი სწავლებისას მასწავლებელმა შესაძლოა დავალება მისცეს მოსწავლეებს, რომლებიც ამ დავალებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეასრულებენ, რომლის დროსაც არ არის აუცილებელი, რომ პირდაპირი კონტაქტი ჰქონდეთ მასწავლებელთან.

შერეული სწავლება გულისხმობს ერთი და იმავე კურსის ან სასწავლო პროცესის დროს სინქრონული და ასინქრონული ელემენტების არსებობას. მასწავლებელი, ან სასწავლო სისტემა შესაძლოა გარკვეულ დავალებებს აძლევდეს მოსწავლეებს, რომლებიც ასინქრონულად არის შესასრულებელი და ამავე კურსის ფარგლებში იყოს გამოყოფილი დრო, როდესაც სინქრონული სესიები იმართება.

თითოეულ ამ ფორმას აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები. სინქრონული სწავლების ფორმის ძლიერი მხარე ის არის, რომ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა რეალურ დროში მიიღოს უკუკავშირი მასწავლებლისგან. მას არ უწევს დიდი ხანი ლოდინი, სანამ მის კითხვას პასუხი გაეცემა. მას აქვს, ასევე, შესაძლებლობა, რომ სწრაფად გადაამოწმოს მოსმენილი ან ნანახი ინფორმაცია. ვიზუალური, მაგალითად ვიდეო-გამოსახულების მეშვეობით მიღებული ინფორმაცია, ასევე, საშუალებას აძლევს მოსწავლეს, შედარებით უკეთ გაიგოს, თუ რა განწყობით არის მისთვის მიწოდებული გარკვეული გზავნილი.

სინქრონული სწავლების სუსტი მხარეა ის, რომ ის მოითხოვს შედარებით უფრო მეტ რესურსს. თუ ეს სწავლება გამოსახულებისა და ხმის გაცვლას გულისხმობს, მაშინ მნიშვნელოვანია სწრაფი ინტერნეტ კავშირის არსებობა და ასევე სათანადო, შედარებით უფრო თანამედროვე აღჭურვილობის ქონა. ამგვარი სწავლება უფრო მეტ მოთხოვნას აყენებს მოსწავლეთა მიმართ, როგორც მათი სასწავლო სივრცის (მაგ. სამუშაო ოთახის), ისე მათი დროის ორგანიზების თვალსაზრისით.

ასინქრონული სწავლების ძლიერი მხარეა ის, რომ ამ პროცესისას მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, ისწავლონ მაშინ და იმ სივრცეში, რომელიც მათთის უფრო მოსახერხებელია. ასინქრონული სწავლებისას მოსწავლეს შეუძლია რამდენჯერმე გადახედოს სასწავლო მიზნით მოწოდებულ ინფორმაციას, გადაიკითხოს ტექსტი, გადაახვიოს, შეანელოს, დააჩქაროს ვიდეო. ამგვარად, სასწავლო პროცესი უფრო მეტად მორგებული ხდება მოსწავლის საჭიროებებსა და ინტერესებზე.

ასინქრონული სწავლების სუსტი მხარეა, რომ ის შედარებით უფრო ზრდის მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობის ინტერვალს. ასეთ პირობებში მოსწავლე შეიძლება მიიჩნევდეს, რომ მასთან უკუკავშირი იგვიანებს. ასინქრონული სწავლებისას შედარებით უფრო რთულდება სამუშაო მასწავლებლებისთვისაც, რადგან მათ მეტი ძალისხმევა უნდა დახარჯონ იმისთვის, რომ მოსწავლეებს დაუგეგმონ სათანადო სასწავლო პროცესი. ურთიერთობისას ხანდახან რთულდება ემოციების გააზრება, რომლითაც გარკვეული გზავნილები იწერება. გაუგებრობების რისკი იზრდება, ხოლო სასწავლო პროცესის მონაწილეებს შორის შესაძლებელია გაჩნდეს დაძაბულობა.

### *ონლაინ, შერეული, გაძლიერებული და ჰიბრიდული სწავლების ფორმატი*

გარდა სინქრონულობის განზომილებისა, ონლაინ კურსები შეიძლება ორგანიზებული იყოს სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, ზოგიერთი კურსი სრულად ონლაინ ფორმატშია მოცემული, სხვა შერეული,

ონლაინ და პირისპირ ფორმატების კომბინირებით არის დაგეგმილი (Burns, 2011; Simonson et al., 2019). ასეთ შემთხვევაში შესაძლოა კიდევ ორი ტიპის გამოყოფა. ერთი ტიპია, როდესაც ონლაინ ფორმატია წამყვანი მხოლოდ, პირისპირ სწავლება კი – მეორადი. მაგალითად, შეიძლება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსი გულისხმობდეს რამდენიმე კვირას ონლაინ ფორმატში სწავლას და შემდეგ უკვე პირისპირ შეხვედრას. ონლაინ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამები ზოგჯერ ასეთ ფორმატს გულისხმობენ, რომ სემესტრის დასაწყისსა და ბოლოში ტარდება პირისპირ შეხვედრები, ხოლო სემესტრის განმავლობაში სწავლა დისტანციურად მიმდინარეობს.

მეორე ტიპის შერეული სწავლება გულისხმობს ვითარებას, როდესაც პირისპირ სწავლებაა ძირითადი ფორმა და ონლაინ, დისტანციური სწავლება მეორადია. ზოგ შემთხვევაში ამგვარი ტიპის სწავლება შეიძლება მუდმივ მონაცვლეობას გულისხმობდეს (მაგ. 2 კვირა – პირისპირ + 1 კვირა – ონლაინ) ან შეიძლება ორგანიზებული იყოს მიმდევრობითაც (მაგ. 5 კვირა – პირისპირ + 2 კვირა – ონლაინ).

შერეული სწავლებისგან განასხვავებენ ხოლმე ონლაინ კომპონენტით გაძლიერებულ პირისპირ სწავლებას. ამ შემთხვევაში ონლაინ კომპონენტი მხოლოდ დამხმარეა. მაგალითად, როდესაც მასწავლებელი შებრუნებული გაკვეთილის პრინციპს იყენებს, ვთქვათ, ხანის აკადემიის პლატფორმის გამოყენებით, ონლაინ კომპონენტის ფუნქცია პირისპირ სწავლების მხარდაჭერაა.

პანდემიის პირობებში სულ უფრო აქტუალური გახდა ე.წ. „ჰიბრიდული სწავლების“ მოდელის გამოყენება. ეს, ზოგ შემთხვევაში, გულისხმობს იმას, რომ ერთდროულად გაკვეთილი შეიძლება ტარდებოდეს, როგორც საკლასო ოთახსა თუ აუდიტორიაში, ისე – დისტანციურად. ასეთ დროს მოსწავლეები ონლაინ არიან ხოლმე ჩართულები იმავე დროს, სინქრონულ რეჟიმში, პირისპირ მოსწავლეების საკლასო ოთახში (Doering, 2006). ზოგ შემთხვევაში ჰიბრიდულ სწავლებაში გულისხმობენ ხოლმე სასწავლო პროცესს, რომელიც გულისხმობს ერთი და იმავე კურსის ორ სხვადასხვა ფორმატში სწავლებას, ოღონდ არა მაინცდამაინც ერთდროულად. ასეთ დროს მასწავლებელი სხვადასხვა დროს ატარებს მეცადინეობას ერთი კურსის ორი ჯგუფისთვის. ერთი პირისპირ სწავლობს, ხოლო მეორე კი – ონლაინ.

### *სწავლების ტემპის რეგულირების ფორმები*

დისტანციური განათლების ორი ძირითადი სწავლების ფორმაა გავრცელებული: რეგულირებული და თვითრეგულირებული. რეგულირებული სწავლებისას, სწავლების დრო, მასალის გაცნობისა თუ სასწავლო შეხვედრების სიხშირე წინასწარ არის დაგეგმილი, ან კურსის მასწავლებლის, ფასილიტატორის მიერ არის განსაზღვრული (Bozkurt, 2019; Burns, 2011; Simonson et al., 2019). მაგალითად, კურსი შეიძლება დადგენილი იყოს, როგორც ერთთვიანი, სამ-კვირიანი ან ერთ-სემესტრიანი, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია კონკრეტული რაოდენობის შეხვედრა. ასეთ დროს შესაძლოა წინასწარ იყოს განსაზღვრული, თუ რა დროის მონაკვეთში უნდა დაძლიოს მოსწავლემ კონკრეტული მასალა, როდის უნდა შეასრულოს სავარჯიშოები და სხვ.

არსებობს თვითრეგულირებადი კურსებიც. ამგვარი სასწავლო პროცესის შედარებით უფრო ძველი მაგალითია ნაბეჭდი თვითმასწავლებლებიც. საბიბლიოთეკო საქმის ლექსიკონი ასე განმარტავს ამ ტერმინ „თვითმასწავლებელს“: „სახელმძღვანელო წიგნი ენის ან რაიმე საქმის (სახელობის, თამაშის, მუსიკალური ინსტრუმენტის დაკვრის...) დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის“(თვითმასწავლებელი – საბიბლიოთეკო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი). დღეს თვითრეგულირებადი კურსები განსაკუთრებით პოპულარულია მასობრივი ღია ონლაინ კურსების ფარგლებში. სწორედ ამ მიდგომამ

გახადა ეს კურსები მასობრივი, რადგან მინიმალური ფინანსური დანახარჯით შესაძლებელი გახდა ამგვარი კურსების მიწოდება ერთდროულად მრავალი ათასი მომხმარებლისთვის.

რეგულირებული კურსებისგან განსხვავებით, თვითრეგულირებულ კურსებს ფასილიტატორი არ მართავს. ეს ერთი მხრივ საშუალებას აძლევს მის მომხმარებელს რომ ისწავლოს ისეთი ტემპით, რაც მისთვის არის მოსახერხებელი. თუმცა ამ დროს ჩნდება უკუკავშირის ნაკლებობა, რაც შეიძლება იწვევდეს მომხმარებლების მოტივაციის კლებასაც.

## *დასკვნა*

დისტანციური განათლების სისტემების განვითარება განსაკუთრებულად დაჩქარდა 2020 წელს COVID-19-ის პანდემიით შექმნილი საჭიროებებიდან გამომდინარე. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა დისტანციური განათლების ფორმების, შესაძლებლობებისა და შეზღუდვების, პედაგოგიური მიდგომებისა და განათლების სისტემების რეგულირების შესაძლებლობების შესწავლა (ბაქრაძე, 2020). დისტანციური განათლების დეფინიციის, ისტორიის, თეორიებისა და პრაქტიკის ფორმების მოკლე მიმოხილვა, რომელიც აქ შემოგთავაზეთ შესაძლოა ზოგიერთი მკითხველისთვის საინტერესო დასაწყისი იყოს ამ მიმართულებით ცოდნის შესაძენად.

## *ბიბლიოგრაფია*


Bozkurt, A. (2019). From distance education to open and distance learning: A holistic evaluation of history, definitions, and theories. In S. Sisman-Ugur & G. Kurubacak (Eds.), Handbook of Research on Learning in the Age of Transhumanism (pp. 252–273). IGI Global.

Burns, M. (2011). Distance Education for Teacher Training: Modes, Models, and Methods. Education Development Center Inc.

Csikszentmihalyi, M. (Ed.). (1995). Optimal experience: Psychological studies of flow in consciousness. Cambridge University Press.

Csikszentmihalyi, M. (2014). Applications of Flow in Human Development and Education: The Collected Works of Mihaly Csikszentmihalyi (1st ed. 2014). Springer Netherlands : Imprint: Springer. https://doi.org/10.1007/978-94-017-9094-9

Doering, A. (2006). Adventure learning: Transformative hybrid online education. Distance Education, 27(2), 197–215.

Dreifus, C. (2014). It all started with a 12-year-old cousin. The New York Times. https://www.nytimes.com/2014/01/28/science/salman-khan-turned-family-tutoring-into-khan-academy.html

EdX media kit. (2020). edX. https://assets.ctfassets.net/

ii9ehdcj88bc/3MczQtEcVQOvuLyBSgWSFB/57b60cd49623572f52845f7379a82a91/edX_Media_Kit_-_SEPTEMBER_2020.pdf

Fitzpatrick, J. (1982). The Australian schools of the air: The conundrum of who teaches. Distance Education, 3(2), 183–197.

Hodges, C., Moore, S., Lockee, B., Trust, T., & Bond, A. (2020). The difference between emergency remote teaching and online learning. Educause Review, 27.

Huerta, L., Shafer, S. R., Rice, J. K., Barbour, M. K., Elgeberi, N., Molnar, A., & Miron, G. (2020). Virtual Schools in the U.S. 2019.

Klemke, R., Eradze, M., & Antonaci, A. (2018). The Flipped MOOC: Using Gamification and Learning Analytics in MOOC Design—A Conceptual Approach. Education Sciences, 8(1), 25. https://doi.org/10.3390/educsci8010025

Merriam, S. B. (2001). Andragogy and self-directed learning: Pillars of adult learning theory. New Directions for Adult and Continuing Education, 2001(89).

Moore, M. G. (1997). Theory of transactional distance. In D. Keegan (Ed.), Theoretical Principles of Distance Education (pp. 22–38). Routledge.

Moore, M. G., Resta, P., Rumble, G., Tait, A., & Zaparovanny, Y. (2002). Open and distance learning: Trends, policy and strategy considerations. Unesco.

Siemens, G. (2004). Elearnspace. Connectivism: A learning theory for the digital age. Elearnspace. Org.

Simonson, M., Zvacek, S. M., & Smaldino, S. (2019). Teaching and Learning at a Distance: Foundations of Distance Education 7th Edition. IAP.

Yuan, L., & Powell, S. (2013). MOOCs and open education: Implications for Higher Education: A white paper. JISC CETIS Retrieved from Http://Publications. Cetis. Org. Uk/Wp-Content/Uploads/2013/03/MOOCs-and-Open-Education. Pdf.

ბაქრაძე ლალი. (2020). ახალი საგანმანათლებლო რეალობა: ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები. Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი.

ბეროშვილი შურთხია. (2017). თამაზ კვაჭანტირაძე ივანე ჯავახიშვილის მედლით დაჯილდოვდა. თბილისის უნივერსიტეტი. http://newspaper.tsu.ge/ge/news/view/XdXUSlMy

გორელაშვილი ნ. (2012). დაუსწრებელი განათლება. In ენციკლოპედია „საქართველო": ტ.2.

თვითმასწავლებელი – საბიბლიოთეკო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი. (ნ.დ.). Retrieved November 22, 2020, from http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=10&t=1887

კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება–წარმოსახვითი განათლება (გორგოძე ს. & ჯანაშია თ., მთარგმნელები). (2012). სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი.

მელიქიშვილი მანანა. (2012). ლევ ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების სოციო-კულტურული თეორია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

## *ილუსტრაციების წყაროები*

ილუსტრაცია 1: https://commons.wikimedia.org/wiki/File:Queensland_State_Archives_2986_A_School_of_the_Air_primary_student_in_regional_Queensland_takes_class_via_two_way_radio_c_1960.png

ილუსტრაცია 2: https://en.wikipedia.org/wiki/Washington_County_Closed-Circuit_Educational_Television_Project#/media/File:TV_Guide_1961.jpg

ილუსტრაცია 3: ავტორისეული, http://edx.emis.ge

ილუსტრაცია 4: https://en.wikipedia.org/wiki/Sal_Khan#/media/File:Salman_Khan_TED_2011.jpg

ილუსტრაცია 5: ავტორის თარგმანი. წყარო: https://commons.wikimedia.org/wiki/File:Challenge_vs_skill.svg

# დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიური მიდგომები – პრაქტიკული რეკომენდაციები

**გიორგი ჭანტურია**

კოალიცია „განათლება ყველასთვის“ დირექტორი

კორონავირუსით გამოწვეული პრობლემებისა და რისკების გამო თითქმის ერთი წელია, საგანმანათლებლო დაწესებულებები დახურულია და სწავლება დისტანციური ფორმით მიმდინარეობს. კვლევებმა და ანალიზმა აჩვენა, რომ სხვა საკითხებთან ერთად, მასწავლებელთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა დისტანციურ სწავლებაზე „გადასვლა“ იყო. აქედან გამომდინარე, სტატიის მიზანია, შევიმუშავოთ პრაქტიკული, კონკრეტული და მარტივი ენით ჩამოყალიბებული რჩევები, რომლებიც მასწავლებლებს თავიანთი საქმიანობის უკეთ წარმართვაში დაეხმარება.

სტატია ეყრდნობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კვლევებსა და პრაქტიკას.

## *შესავალი*

1997 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო პირველი კანონი განათლების შესახებ. დოკუმენტი მრავალმხრივ საინტერესო იყო, მათ შორის იმით, რომ განათლების მიღება შესაძლებელი გახდა როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო დაწესებულებებში. აღნიშნულით, ფაქტობრივად, სახელმწიფომ საგანმანათლებლო სფეროში კერძო სექტორის გაჩენა კანონმდებლობით აღიარა. თუმცა ჩვენთვის ამაზე საინტერესო ჩანაწერი განათლების მიღების ფორმებს ეხება. დოკუმენტის პირველი ვერსიის მიხედვით, განათლების მიღება შესაძლებელი ხდებოდა როგორც დასწრებული, ასევე საოჯახო სწავლებისა და დისტანციური სწავლების ფორმით.[1] სამწუხაროდ, კანონის შემდეგ ვერსიებში ამ ჩანაწერს ვეღარსად ვნახულობთ და, ალბათ, აქედანაც დაიწყო ის პრობლემა, რომელთანაც დღეს გვაქვს საქმე.

როგორც ჩანს, განათლების მიღების ალტერნატიულ ფორმებზე საქართველოში უკვე 1997 წელს (და, ალბათ, ბევრად ადრეც) ფიქრობდნენ. მიუხედავად ამისა, საკითხი კვლავ აქტუალურია და დიდ გამოწვევად რჩება. შესაბამისად, სტატიაში წარმოდგენილი იქნება ის რეკომენდაციები, რომლებიც მასწავლებლებს დისტანციური სწავლების ხარისხიანად ორგანიზებასა და შედეგების მიღწევაში დაეხმარება.

## *რა არის პრობლემა?*

2020 წელს „სკოლა ლაბის“ პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის – „მოსახლეობის დამოკიდებულებები დისტანციური სწავლების მიმართ“ – მიხედვით, რესპოდენტთა ერთი ნაწილი, რომლებსაც სმენიათ დისტანციური განათლების შესახებ, კმაყოფილი ან სრულიად კმაყოფილია ამ სერვისით, ხოლო მეორე – უკმაყოფილო ან სრულიად უკმაყოფილო. სრულიად უკმაყოფილო რესპოდენტთა რაოდენობა სრულიად კმაყოფილთა რიცხვს თითქმის სამჯერ აღემატება.[2]

გარდა ამისა, დისტანციური სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ პირობად სახელდება

1. საქართველოს კანონი განათლების შესახებ (1997).
2. მოსახლეობის დამოკიდებულებები დისტანციური სწავლების მიმართ: კვლევის შედეგები. კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრი (CTC), სკოლა ლაბის პროგრამა. 2020

ტექნიკური აღჭურვილობისა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე – მასწავლებლების გადამზადება დისტანციური სწავლებისათვის. გამოკითხულთა ნაწილი თვლის, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შეფასების სისტემის მორგება დისტანციურ სწავლებაზე, ციფრული რესურსების გაუმჯობესება და მშობელთა და ოჯახის წევრთათვის კონსულტაციის გაწევა.

პანდემიის შემდეგ არაერთ შეხვედრასა თუ ღონისძიებაში მივიღე მონაწილეობა, რომლებიც COVID19-ის გამო სასკოლო განათლებაში გაჩენილ გამოწვევებს ეხებოდა. განათლების კოალიციის საქმიანობის ფარგლებში თავად განვახორციელეთ არაერთი სამუშაო, მათ შორის ფოკუსჯგუფებში, პრობლემის დეტალური შესწავლის მიზნით. ერთ-ერთმა მონაწილემ, სკოლის დირექტორმა, აღნიშნა: „ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა უინტერესო გაკვეთილებია.“ ჩემი აზრით, ამ ფრაზით პრობლემის მთავარი არსი ზუსტად არის გადმოცემული.

სამწუხაროდ, საქართველოში სასკოლო განათლების სისტემა ისედაც უამრავი გამოწვევის წინაშე იდგა, იქნება ეს მასწავლებელთა შრომითი უფლებები, კომპეტენციები, პროფესიული განვითარების საკითხები, სკოლის ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები, მშობელთა პასიურობა სასკოლო ცხოვრებაში, ძალადობა სკოლებში, ცენტრალიზებული მართვის სისტემა და ა.შ. ბუნებრივია, მოცემულ პერიოდში გარკვეული პრობლემები კიდევ უფრო მეტად გამწვავდა. თუმცა ზემოაღნიშნული პრობლემა, ანუ უინტერესოდ ჩატარებული გაკვეთილებია ის, რაც მოსწავლეებში მოტივაციის ნაკლებობას, პასიურობასა და სწავლისადმი უარყოფით დამოკიდებულებებს იწვევს. თავის მხრივ, უინტერესო გაკვეთილები გამოწვეულია სკოლებისა და მასწავლებლების ინფორმაციისა თუ კომპეტენციის ნაკლებობით, ნაკლები მოტივაციით, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებისა და რესურსების სიმცირით და ა.შ. ეს ჯაჭვი რომ შევკრათ, ჩამოთვლილი პრობლემები მასწავლებლის პროფესიის არაპრესტიჟულობით, დაბალი სოციალური სტატუსით, არამიმზიდველი შრომითი პირობებითა და, ზოგადად რომ ვთქვათ, სასკოლო განათლების არაპრიორიტეტულობითა თუ არასწორი პოლიტიკითაა გამოწვეული.

ახლა კი გადავიდეთ სტატიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე, რომელშიც კითხვა-პასუხის ფორმატში შევეცდები, ძირითადი ინფორმაცია და დისტანციური სწავლების შესახებ რეკომენდაციები მკითხველისთვის საინტერესოდ გადმოვცე.

### *რას ნიშნავს დისტანციური სწავლება და როგორ მუშაობს ის?*

დისტანციური, ონლაინ, ელექტრონული, დაშორებული, ციფრული ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლება, ყველა ეს ტერმინი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს და მათ განმარტებებსა და მათ შორის განსხვავებებზე ამ სტატიაში ნაკლებად გავამახვილებ ყურადღებას. ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, დისტანციური სწავლება გულისხმობს სწავლების იმ ფორმას, როცა მასწავლებელი და მოსწავლე ერთმანეთისგან ფიზიკურად დაშორებული არიან (ვრცელი ვერსიისათვის იხ. საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ[3]);

3. დისტანციური სწავლება – საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ზოგადი განათლების მისაღებად ან/და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის დასაძლევად ორგანიზებული, დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართული, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ

დისტანციური სწავლების ფორმებს რაც შეეხება, შესაძლებელია იყოს როგორც სინქრონული, ასევე ასინქრონული ფორმატის. პირველის შემთხვევაში მოსწავლე და მასწავლებელი ერთსა და იმავე დროს არიან ჩართული კომუნიკაციის პროცესში, ხოლო მეორის შემთხვევაში დროები სხვადასხვაა. მაგალითად, თუ თქვენ teams-ის გამოყენებით ატარებთ გაკვეთილს, რომელსაც მოსწავლეებიც ესწრებიან, ეს სწავლების სინქრონული ფორმაა, თუ ერთი კვირის სასწავლი მასალა მიეცით მოსწავლეებს და ელ. ფოსტის მეშვეობით ან სხვა ფორმით აწვდით უკუკავშირს, ეს ასინქრონულია.

### *რა მსგავსება და რა განსხვავებებია პირისპირ და დისტანციურ სწავლებას შორის (მასწავლებლის პერსპექტივა)?*

ორივე შემთხვევაში, მასწავლებელი მთავარ როლს ასრულებს სასწავლო გარემოს შექმნაში და გაკვეთილი მოსწავლეზეა (უნდა იყოს) ორიენტირებული. გარდა ამისა, ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია, მასწავლებელი წინასწარ იყოს მომზადებული. შესაბამისად, უნდა მოამზადოს სასწავლო მასალები და რესურსები. და ბოლოს, როგორც დისტანციურად, ასევე პირისპირ სწავლებისას აუცილებელია შეფასების შესაბამისი სისტემის არსებობა.

რაც შეეხება განსხვავებებს, დისტანციური სწავლებისას, შესაძლოა, უფრო რთული იყოს პროცესზე დაკვირვება (რამდენჯერ გიკითხავთ – „აქ ხართ?," „მისმენთ?" და ა.შ.), განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურად ვერ ხედავთ მოსწავლეებს. გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ ონლაინსწავლებისას ყველა სხვადასხვა სივრცეშია, შესაძლოა, ხელისშემშლელი ფაქტორების გაზრდილი რაოდენობიდან გამომდინარე, საერთო განწყობის შექმნა გართულდეს.

გაკვეთილების დაგეგმვისა და რესურსების მომზადების პროცესიც განსხვავებულია. პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირისპირ სწავლებისაგან განსხვავებით, არაერთი რეკომენდაციის მიხედვით, გაკვეთილის ხანგრძლივობის ოპტიმალური დრო 20-30 წუთია. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ესაა გამოწვევა – თუ როგორ უნდა მოასწროს მასწავლებელმა ასეთ მოკლე დროში ძველი მასალის გამოკითხვაც, ახალი მასალის ახსნაც და დავალებების შემოწმებაც.

### *როგორ ჩავატაროთ გაკვეთილები ხარისხიანად?*

*„ზოგიერთმა მაუსის ჭერაც კი არ იცოდა და როგორ უნდა შეეთავაზებინათ საინტერესო გაკვეთილები?!"*
*„პლატფორმები არ არის ბავშვზე ორიენტირებული, რაც პროცესში მათ პასიურობას იწვევდა."*

დღესდღეობით არაერთი მოდელი, მეთოდი თუ მიდგომა არსებობს გაკვეთილების უფრო ეფექტიანად ჩატარებისთვის. თუმცა, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია არსებული შესაძლებლობებისა და რესურსების განსაზღვრა: საკუთარი და სხვა მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციების დონე, მოსწავლეთა რაოდენობა, რესურსებზე ხელმისაწვდომა და ა.შ. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მასწავლებელი, რომელსაც 200 მოსწავლე ჰყავს, ვერ შეძლებს ყოველკვირეული გასაუბრებები ჩაატაროს მოსწავლეებთან

---

ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილას მოსწავლისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას. დისტანციური სწავლების განსახორციელებლად აუცილებელია კურიკულუმის სათანადოდ დაგეგმვა, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება.

და შესაძლოა, ეს სემესტრში ერთხელ გააკეთოს. ანალოგიურად, ადამიანს, რომელსაც არაერთ ციფრულ რესურსზე მიუწვდება ხელი ენობრივი კომპეტენციებიდან გამომდინარე, გაცილებით უფრო გაუმარტივდება გაკვეთილების დაგეგმვა (ენობრივი კომპეტენციის შესახებ დეტალები იხ. რეკომენდაციის ნაწილში).

მნიშვნელოვანი საკითხია სასწავლო გეგმის განსაზღვრა, რომელიც წინასაწარ უნდა მიეწოდოთ მოსწავლეებს. ამ შემთხვევაში საჭიროა, ვუპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს:

1. რა არის ცოდნის ის მინიმუმი, რომელიც უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს?
2. რა გზებით შეიძლება ამის მიღწევა?
3. რა რესურსებია საჭირო აღნიშნულის მისაღწევად?

პირისპირ სწავლების მსგავსად, ყველაზე მნიშვნელოვანი დაგეგმვის პროცესია. გაკვეთილი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მასწავლებელია მომზადებული. თუმცა, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ურთიერთობების წახალისებაზე, სოციალიზაციაზე, კომუნიკაციაზე, როგორც მოსწავლე-მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეთა შორის. ამისათვის შესაძლებელია შემდეგი მეთოდების გამოყენება:

**1. ონლაინსადისკუსიო სივრცის შექმნა,** სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ კომენტარების დართვა, პასუხების გაცემა კონკრეტულ ამოცანებსა თუ დავალებებზე, დისკუსიები სხვა თემატური მიმართულებებით.

ამ მხრივ, მასწავლებლის, როგორც მოდერატორის როლი, საკმაოდ მნიშვნელოვანია. აუცილებელია, რომ აღნიშნულ სივრცეს ჰქონდეს კონკრეტული ფუნქცია და გამოიყენებოდეს მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის.

**2. არაფორმალური განათლების წახალისება** სხვადასხვა თემატური კლუბის მეშვეობით, მაგალითად, კინოკლუბის შექმნა და ფუნქციონირება. მოსწავლეებთან ერთად შეარჩიეთ რამდენიმე თემატური ფილმი, რომლებსაც უყურებთ და შემდეგ კონკრეტულ დროს განიხილავთ. სასურველია, აღნიშნულ კლუბებში მონაწილეობა არ იყოს სავალდებულო და მასში მხოლოდ მოხალისეები ჩაერთონ. მოცემულ აქტივობებში მონაწილეობის განმსაზღვრელი ნიშნით შეფასებას, შესაძლოა, უარყოფითი ეფექტი ჰქონდეს და გრძელვადიან პერსპექტივაში დააზიანოს იდეის არსი.

**3.** რაც მთავარია, მნიშვნელოვანია, რომ სწორედ **ჯანსაღ ურთიერთობებზე გამახვილდეს ყურადღება საგაკვეთილო პროცესის დროსაც**. ერთ-ერთი შეცდომა, რომელსაც მასწავლებლები უშვებენ ხოლმე, პირისპირ შეხვედრების მხოლოდ გაკვეთილის ახსნისათვის გამოყენებაა. შესაბამისად, ნაკლები დრო რჩება როგორც სოციალიზაციისთვის, ასევე – მოსწავლეთა შეკითხვებზე საპასუხოდ. სწორედ ამ საკითხს ეხება შერეული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოდელი – შებრუნებული საკლასო ოთახი.

### *შებრუნებული საკლასო ოთახი*

შებრუნებული საკლასო ოთახის შესახებ დღეს განსაკუთრებით ბევრი ადამიანი საუბრობს, თუმცა მე მოდელს გავეცანი სევილიაში, ესპანეთში, ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც თავად ვესწრებოდი. მთავარი მომხსენებელი, აარონ სემსი, რომელმაც თავის კოლეგასთან ერთად შეიმუშავა ეს მოდელი, საუბრობდა იმ გამოცდილებაზე, რომელიც წლების განმავლობაში ამ მეთოდის გამოყენების შედეგად დაუგროვდათ.

ფაქტობრივად, მოდელის განვითარება 2005 წლიდან დაიწყო, როდესაც ავტორებმა იმ მოსწავლეებისთვის დაიწყეს გაკვეთილების ჩაწერა, რომლებსაც სპორტული ღონისძიებების გამო გაკვეთილების გაცდენა უწევდათ. ხანგრძლივი ექსპერიმენტირებისა და ტესტირების (იგულისხმება მოდელის გამოცდა და არა მოსწავლეებისათვის ტესტების ჩატარება) შემდეგ, მოდელი მთელი მსოფლიოს მასშტაბით გახდა ცნობილი და აქტიურად გამოიყენება.

მოდელის მთავარი მიზანია სტუდენტებთან პირისპირ ან სინქრონულ ფორმატში შეხვედრების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება. შებრუნების მთავარი არსია: „ყველაფერი, რაც ტრადიციულად ხდება საკლასო ოთახში, გადადის სახლში; ხოლო ის, რაც საშინაო დავალებაა, კეთდება საგაკვეთილო პროცესისას.“[4] მთავარი შეკითხვა, რასაც ეს მოდელი პასუხობს, არის ის, თუ როგორ გამოვიყენოთ მოსწავლეებთან ერთად გატარებული საგაკვეთილო დრო, იქნება ეს 30 თუ 40 წუთი, საუკეთესოდ.

უფრო პრაქტიკულად რომ აღვწეროთ, მასწავლებელი წინასწარ ადგენს საგაკვეთილო გეგმას. რაც მთავარია, ამზადებს და აწვდის მოსწავლეებს ვიდეოგაკვეთილებს. სასურველია, ვიდეო მის მიერვე იყოს მომზადებული და სწორედ ის ხსნიდეს ახალ სასწავლო თემატიკას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ვიდეოგაკვეთილების ხანგრძლივობა არ აღემატებოდეს 8 წუთს.

პრაქტიკის მიხედვით, ამ შემთხვევაში მასწავლებელს გაცილებით მეტი დრო აქვს მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებისათვის და ზოგადად, საგაკვეთილო დროის გაცილებით უფრო ეფექტიანად გამოსაყენებლად. ახსნაზე დახარჯული დრო მთლიანად შეუძლია ინტერაქტიული გაკვეთილის ჩატარებას დაუთმოს. რაში უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა ეს დრო? ამაზე თავად მასწავლებლებმა უნდა უპასუხონ. მაგალითად, მათ შეუძლიათ, მეტი დრო დაუთმონ იმ მოსწავლეებს, რომლებიც ნაკლებად არიან საგაკვეთილო პროცესში ჩართული ან/და შეუძლიათ უფრო მეტი ინტერაქტიული აქტივობის განხორციელება: დისკუსიების, დებატების, კითხვა-პასუხის თუ სხვა აქტივობების სახით. რაც მთავარია, დროის ეფექტიანი გამოყენებით, სწორედ ამ მოდელის მეშვეობით არის შესაძლებელი, ყურადღება სოციალიზაციასა და ურთიერთობების მხარდაჭერაზე გამახვილდეს.

რაც ასევე მნიშვნელოვანია, მოდელი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და მათზეა მორგებული. კონკრეტულად, მათ შეუძლიათ, როცა უნდათ და რამდენჯერაც უნდათ, იმდენჯერ უყურონ ვიდეოს, გადაახვიონ და უკეთ გაიაზრონ გაუგებარი საკითხები და ა.შ. ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წაახალისოს და, გარკვეულწილად, მოითხოვოს ჩანაწერების წარმოება, რომლებიც უფრო მეტად დაეხმარება მოსწავლეებს საკითხების უკეთ შესწავლაში.

და ბოლოს, მოდელის გამოყენებით მასწავლებლის საქმიანობა გაცილებით უფრო გამჭვირვალე ხდება, რაც მშობლებთან ურთიერთობასაც ხელს უწყობს.

რაც შეეხება თავად ვიდეორესურსებს, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ეს შესაძლოა იყოს ძალიან მარტივად, მობილური ტელეფონით გადაღებული ვიდეოჩანაწერი, ასევე სხვადასხვა აპლიკაციით მომზადებული ვიდეო.

ბუნებრივია, აქ მხოლოდ ძირითადი ინფორმაციაა წარმოდგენილი. შებრუნებული საკლასო ოთახი გაცილებით უფრო კომპლექსური მეთოდია და მისი გამოყენება მეტ ცოდნასა და კომპეტენციას მოითხოვს.

4. Bergmann, J. and Sams, A., Flip Your Classroom: Reach Every Student in Every Class Every Day. 2012

## *შეფასება*

შეფასების კომპონენტი სასკოლო განათლების სისტემისა და მასწავლებლის პროფესიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლიდან არსებობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩანაწერი განმავითარებელი შეფასების შესახებ, ამ დრომდე სკოლებში მასობრივად განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენებოდა. მასწავლებლების დიდ ნაწილს დღემდე უჭირს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობის გაცნობიერება და განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად დაბალანსებულად და სწორად გამოყენება.

თუმცა სწავლა-სწავლების დისტანციურად და შერეულად წარმართვის ერთ-ერთი სასარგებლო „გვერდითი ეფექტი" ისაა, რომ გაცილებით მეტი ადამიანი დაინტერესდა განმავითარებელი შეფასებით და მისი სწორად გამოყენებით სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდი უკუკავშირია. თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ უკუკავშირის სწორად და უწყვეტად მიწოდება მასწავლებლისგან დიდ ძალისხმევასა და ხანგრძლივ პრაქტიკას მოითხოვს. იგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა და მოსწავლეთა რაოდენობასთან ერთად, ინდივიდუალური უკუკავშირი კიდევ უფრო რთულდება. ამ შემთხვევაში რეკომენდაცია შესაძლოა იყოს ხმოვანი უკუკავშირი, შეფასების რუბრიკების გამოყენება, სასწავლო პროექტები, ინდივიდუალური თუ ჯგუფური გასაუბრებები და ა.შ.

## *სწორი უკუკავშირის ძირითადი მახასიათებლები*

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი იყოს დროული. გარკვეული პერიოდის შემდეგ მასწავლებლის შეფასება აზრს კარგავს და მოსწავლისთვის აღარ არის საინტერესო.

მეორე – მკაფიო კრიტერიუმები შესაფასებლად, რომლებიც წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეთათვისაც. სწორედ ამ კრიტერიუმებს უნდა დაეყრდნოს შეფასება. მოერიდეთ ისეთ ზოგად ფრაზებს, როგორებიცაა: „ყოჩაღ!" „დავალება კარგად შეასრულე" და ა.შ. მით უფრო, ნეგატიურ კონტექსტში. ასეთი კომენტარი მხოლოდ ბუნდოვანებას იწვევს, რადგან ნათელი არ არის, თუ რატომ მიიღო მოსწავლემ ესა თუ ის შეფასება.

მესამე – პოზიტიური და განვითარებაზე ორიენტირებული უკუკავშირი. მნიშვნელოვანია, მასწავლებლის უკუკავშირი იყოს პოზიტიური და რეკომენდაციების სახით მიწოდებული, მკაფიოდ აჩვენებდეს განვითარების შესაძლებლობებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის განმავითარებელი შეფასებისა და უკუკავშირის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი რესურსები:

1. შოთა ზურაბიშვილის კვლევა „განმავითარებელი შეფასება საქართველოში, ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით";
2. მიხეილ იაშვილის ბლოგი „განმავითარებელი შეფასება";
3. მერი ქადაგიძის ბლოგი „რა უნდა ვიცოდეთ უკუკავშირის შესახებ".

## *რეკომენდაციები და დამატებითი მასალები*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დისტანციური სწავლების პროცესში ერთ-ერთი ცენტრალური მნიშვნელობა ციფრულ რესურსებს ენიჭება. სამწუხაროდ, ტექნოლოგიური განვითარების მიუხედავად, ზოგადი განათლების სისტემაში სახელმძღვანელოები კვლავ მთავარი სასწავლო რესურსია.[5] ამის ერთ-ერთი მიზეზი მასწავლებელთა დაბალი კომპეტენცია და საგანმანათლებლო რესურსების სიმწირეა. მით უმეტეს, ცენტრალიზებული სისტემის პირობებში, როდესაც მასწავლებლები ნაკლებად მონაწილეობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაში და ძირითადად გაწერილ ინსტრუქციებსა და სილაბუსებს მიჰყვებიან. გრძელვადიან პერსპექტივაში ამ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია მასწავლებლების კომპეტენციების, მათ შორის, ენობრივი კომპეტენციების, განვითარება; მაგალითად – ინგლისური ენის მიმართულებით.

თითქმის ორი თვის წინ ერთ-ერთ სამუშაო კონფერენციას ვესწრებოდი, სადაც „ხანის აკადემიის" წარმომადგენელი, რაზმიკ ბადალიანი საუბრობდა ამ თემის მნიშვნელობაზე. საინტერესოა რომ დღეს-დღეობით, ონლაინინფორმაციის მხოლოდ 0.02%-ია ქართულად, ხოლო ყველაზე მეტი, 60% – ინგლისურადაა.[6] სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის და, მათ შორის, მასწავლებლების დიდ ნაწილს ამ ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდება (მეტი ინფორმაციისათვის იხ. ბლოგი „ინგლისურის სწავლების საჭიროებაზე"[7]).

მეორე მხრივ, აუცილებელია გაცილებით მეტი და მრავალფეროვანი რესურსის შექმნა მშობლიურ ენაზე. ამ მხრივ, ჩემი რეკომენდაცია სკოლებისა და მასწავლებელთათვის იქნება, გაეცნონ World Vision საქართველოს მიერ შემუშავებულ პრაქტიკულ გზამკვლევს „სკოლები პანდემიის დროს." აღნიშნული დოკუმენტი სტატიაშიც არაერთხელ გამოვიყენე. დოკუმენტი განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს პანდემიის პერიოდში ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის (დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე www.bavshsvebistvis.org.ge, სიახლეების გრაფაში).

გარდა ამისა, ზოგადად ამ საკითხის, ანუ დისტანციური სწავლებისა და მის შესახებ არსებული თეორიების შესასწავლად ასევე გირჩევთ, გაეცნოთ მიხეილ იაშვილის სტატიას „დისტანციური სწავლება", რომელიც შექმნილია კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრ „სკოლა ლაბის" ფარგლებში (სტატია შეგიძლიათ ნახოთ ვებგვერდზე https://ctcskolalab.ge/).

და ბოლოს, საინტერესო საგაკვეთილო იდეებისა და გეგმების გასაცნობად, იხილეთ გზამკვლევი „მასწავლებლები კრიტიკული აზროვნებისათვის," რომელშიც სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით არის განხილული რეალური მაგალითები.

---

5. United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO). "Global education monitoring report summary 2016: education for people and planet: creating sustainable futures for all." (2016).

6. წყარო w.3techs.com; ინფორმაციის ამსახველი ინფოგრაფიკი ხელმისაწვდომია ფეისბუქის გვერდზე რატომ ინგლისური.Why English

7. ინგლისურის სწავლების საჭიროებაზე – ღია წერილი USAID-ის დირექტორს, პიტერ ვიბლერს. http://www.educaregeorgia.org/blog-text/on-the-importance-of-teaching-english-geo

# დისტანციური სწავლების საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა – საქართველო და მსოფლიო

**ხატია ხატიაშვილი**
განათლების ადმინისტრირების მაგისტრი

**ნინო მუმლაძე**
ბიოლოგიის წამყვანი პედაგოგი, განათლების ადმინისტრირების მაგისტრი

21-ე საუკუნეში ტექნოლოგიებმა ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში შეაღწია და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. გამონაკლისი არც საგანმანათლებლო სისტემაა. მსოფლიოს ყველა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა ორიენტირებულია, სწავლა – სწავლების პროცესში ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება დანერგოს და გააციფრულოს სასწავლო პროცესი. ამისათვის იქმნება უამრავი სტრატეგია, რომლებიც ძირეულად ცვლის სწავლა-სწავლების ტრადიციულ მეთოდებსა და მიდგომებს, 21-ე საუკუნის საგანმანათლებლო სისტემას კი „სუპერმოდერნიზებულად" აქცევს. სიახლეების დანერგვამ და ახალმა სასწავლო მიდგომებმა მასწავლებლებისთვის სწავლების პროცესი შედარებით მარტივი გახადა, მოსწავლეებისთვის კი – ათვისებადი. საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებულმა არაერთმა რეფორმამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო მეთოდები და მიდგომები შეცვალა – სასწავლო პროცესი შედეგზე უფრო მეტად გახდა ორიენტირებული.

კოვიდ 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ განათლების გაციფრულების აუცილებლობა უფრო პრიორიტეტული გახადა, მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემა კი კიდევ ერთი გამოწვევის წინაშე დადგა – მორგებოდა ახალ რეალობას და სრულად გადასულიყო სწავლის დისტანციურ რეჟიმზე.

საქართველო და მსოფლიო – დისტანციური სწავლების გამოცდილება მსოფლიოს მთავრობების უმეტესობამ გადაწყვიტა, დროებით დაეხურა საგანმანათლებლო დაწესებულებები, რათა შეემცირებინა COVID-19- ის გავრცელება. 2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, დაახლოებით 1 077 მილიარდი მოსწავლე გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე. გაეროს ბავშვთა ფონდის მონიტორინგის თანახმად, ამჟამად დისტანციურად მსოფლიოს მასშტაბით 53 ქვეყანა სწავლობს.

სკოლის დახურვა გავლენას ახდენს არა მხოლოდ მოსწავლეებზე, არამედ მასწავლებლებსა და მათ ოჯახებზეც. პანდემიის პირობებში მსოფლიო გლობალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ამან მნიშვნელოვანი გახადა სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური საკითხი, როგორებიცაა: ბავშვების ჯანმრთელობის დაცვა, განათლების მიღების ციფრული მეთოდისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის, რაც შეწყვეტილი სწავლების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს.

სკოლების დახურვისა და დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის საპასუხოდ იუნესკომ დისტანციური სწავლების პროგრამებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმის შესახებ რეკომენდაციები გამოაქვეყნა. მათი გამოყენება შეუძლიათ სკოლებსა და მასწავლებლებს, რათა განათლების მიღების პროცესი არ შეფერხდეს.

ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ელექტრონული სწავლება დიდი ხანია, აპრობირებულია, შესამაბისად, სისტემაც ბევრად უფრო დახვეწილი და შედეგიანია. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს უნივერსიტეტები, რომლებიც მთლიანად დისტანციურად ფუნქციონირებს. დისტანციური სწავლების გამოცდილება აქვს თურქეთს – სტუდენტების დიდი ნაწილი ამგვარად იღებს განათლებას. აშშ-ს მსოფლიო დონის წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაახლოებით 81%-ს დისტანციური სწავლების გამოცდილება აქვს. მაგალითად, იელის უნივერსიტეტი სტუდენტებს ერთ დისტანციურ კურსს მაინც სთავაზობს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა, დისტანციური სწავლების მიმართულებით გარკვეული გამოცდილება აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსაც, თუმცა, ამ მხრივ, ჩვენი ქვეყანა გამონაკლისია. პანდემიამდე ამ მიმართულებით საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის გამოცდილება შემოიფარგლებოდა საკანონმდებლო დონეზე ერთადერთი ჩანაწერით. კერძოდ: დისტანციური სწავლების შესახებ ჩანაწერი კანონში პირველად 2016 წელს გაჩნდა და დისტანციურ სწავლებად მხოლოდ სინქრონული მეთოდი მოიაზრებოდა. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ წარსულს (საბჭოთა კავშირის სივრციდან იგი 1991 წელს რეფერენდუმის საფუძველზე გამოვიდა), მაშინ გასაკვირიც არ უნდა იყოს საქართველოს მწირი გამოცდილება დისტანციური სწავლების და არა მარტო ამ მიმართულებით.

მას შემდეგ, რაც საქართველომ ორიენტაცია დასავლური სივრცისკენ აიღო, დაიწყო საგანმანათლებლო რეფორმები, შეცვალა მიდგომები და სწავლების მეთოდები. ასეთმა მიდგომებმა დადებითად იმოქმედა სასწავლო პროცესის შინაარსზეც. „ტრადიციული“ სასწავლო პროცესის სქემა: ინფორმაციის შეტყობინება-დამახსოვრება, სიტყვა-სიტყვით აღდგენა და პასიური ცოდნის მიღება ჩაანაცვლა სასწავლო პროცესის მოდერნიზებულმა სქემამ, რომლის შედეგი ქმედითი ცოდნა და 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებია. შეიცვალა სწავლების კონცეფცია, რომლის ძირითადი მახასიათებლებია: მოსწავლის აქტიური და მასწავლებლის ხელშემწყობი როლი (ფასილიტაცია). თუ შევადარებთ ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემას ისეთი ქვეყნების სისტემებთან, როგორებიცაა, მაგალითად, ფინეთი ან ესტონეთი, ვნახავთ, რომ ამ ქვეყნებში მოსწავლეების განათლების დონე და უნარები ბევრად მაღალია, ვიდრე საქართველოში. ამას არაერთი საერთაშორისო კვლევა ადასტურებს (TALIS-ის, PISA-ს). საქართველო აქტიურად თანამშრომლობს წარმატებულ ქვეყნებთან და საგანმანათლებლო კუთხით მათ გამოცდილებას იზიარებს. ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა, უკვე გატარებული და დაგეგმილი რეფორმების კვალდაკვალ, ისეთი ახალი გამოწვევის წინაშე დადგა, როგორიცაა განათლების გაციფრულების აუცილებლობა მსოფლიო პანდემიის პირობებში. უნდა აღინიშნოს ის, რომ ესტონეთიც კი, რომლის საგანმანათლებლო სისტემაც, საერთაშორისო კვლევის შედეგების მიხედვით, ერთ-ერთ წარმატებულ საგანმანათლებლო მოდელად ითვლება, პანდემიის პირობებში დიდი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მას მანამდე ჰქონდა გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით (კვირაში ერთი დღე სწავლობდნენ ელექტრონულად). არსებობდა გარკვეული გამოწვევები, მაგალითად, უნდობლობა დისტანციური სწავლების მიმართ და მასწავლებლების არც თუ ისე მაღალი ციფრული კომპეტენციები. დისტანციური სწავლების პერიოდში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო მოსწავლეთა შეფასება და არაფორმალური აქტივობების განხორციელება.

ესტონურმა სკოლებმა დისტანციური სწავლების ეფექტურობის გაზრდისთვის შეიმუშავეს რამდენიმე ნაბიჯი:

- მასწავლებლებისა და მოსწავლეების საჭიროებების კვლევა, რაშიც მოიაზრებოდა კვლევა იმისა, თუ რამდენად ხელმისაწვდომი იყო მათთვის ელექტრონული რესურსები, ჰქონდათ თუ არა ციფრული კომპეტენციები;
- მასწავლებელთა სკოლის ბაზაზე გადამზადება;
- სასწავლო პლატფორმის შერჩევა, რომელსაც დისტანციური სწავლებისას გამოიყენებდნენ.
- საგაკვეთილო ცხრილის შედგენა/ დღის რეჟიმი;
- მოსწავლეებისთვის დავალებების რაოდენობის განსაზღვრა;
- შეფასების სისტემის მოდიფიცირება;[1]

იმ ფაქტმა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემას დისტანციური სწავლების რეჟიმზე სრულად გადასვლა ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოუწია, ბუნებრივია, სკოლებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს გარკვეული დისკომფორტი შეუქმნა. დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისა და ზოგადად სკოლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია ორგანიზაციული დონეების ყველა საფეხურს შორის თანამშრომლობა, რაშიც იგულისხმება სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ერთობლივი მუშაობა – მათ ერთად უნდა გააანალიზონ და გააუმჯობესონ თავიანთი სასწავლო თუ პროფესიული საქმიანობა.

ევროპის სკოლების უმეტესობა დისტანციური სწავლებისთვის საგანმანათლებლო პლატფორმად Google classroom-ს ირჩევს, თუმცა ასევე იყენებს zoom-სა და skype-საც. არჩევანი ძირითადად კეთდება შემდეგი კრიტერიუმებით: პლატფორმა უნდა უზრუნველყოფდეს ონლაინურთიერთობის უწყვეტობას, კლასის ყველა მოსწავლის ჩართვას, ჰქონდეს ხარისხიანი ვიდეოკონტაქტი, შესაძლებელი იყოს ყველა ფორმატის სასწავლო მასალის ეკრანზე გამოტანა და ატვირთვა. ასევე, უნდა ჰქონდეს გაკვეთილის მონიტორინგის საშუალება, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეხვედრების ორგანიზებისა და სხვა შესაძლებლობები.

დისტანციური სწავლების დროს სირთულეების დასაძლევად სკოლებმა უნდა გაითვალისწინონ სკოლა-მოსწავლე-მშობლის თანამშრომლობის მნიშვნელობა. მშობელთა კონსტრუქციული ჩართულობა საგანმანათლებლო სისტემის პრობლემების გადასაჭრელად აპრობირებული მოდელია, რომლის მეშვეობითა და მოსწავლეების თვითორგანიზაციის მაღალი ხარისხით, შესაძლებელია მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობის ჩართვა დისტანციურ სასწავლო პროცესში. მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლებაც – სამოტივაციო აქტივობებისა და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება დისტანციურ სწავლებაში. სკოლას მუდმივი კავშირი აქვს მშობლებთან, მიმდინარეობს სატელეფონო და ონლაინკონსულტაციები (ხარისხის სამსახური, კლასის კოორდინატორები, დირექცია).

ფორსმაჟორულ მდგომარეობამდე ფინეთის სკოლებში მოსწავლეები დაგეგმარებისა და დროის მენეჯმენტის საფუძვლებს სწავლობდნენ, რაც ნაწილობრივ ეხმარება მათ, ამ ვითარებაში სწავლის პროცესთან დაკავშირებული სირთულეები დაძლიონ. ფინეთის უმაღლესი სკოლის ყველა საგანში მოსწავლეებს, ონლიანგაკვეთილის გარდა, ეგზავნებათ ელექტრონული გაკვეთილები და დავალებები, ტარდება skype კონფერენციები, დაინერგა დისტანციური ტესტირება, მოსწავლეებს ეგზავნებათ კონკრეტული დავა-

1. ესტონელი პარტნიორების შეხვედრა ქართველ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთნ იხილეთ ვებინარის ვიდეო ჩანაწერი https://www.facebook.com/DistanceLearningGeorgia/videos/413545846302992/

ლებები დროის გარკვეულ პერიოდში შესასრულებლად. შესრულებული დავალებები გასასწორებლად და შესაფასებლად პედაგოგებს უბრუნდებათ. ტესტირების პროცესის სქემა ასეთია: პედაგოგი – კლასის კოორდინატორი – მოსწავლე. ტესტირების შესრულების, შეფასებისა და მოსწავლეებისთვის ქულის გამოცხადების სისტემა დროში განსაზღვრულია.

ქართულ განათლების სისტემაში არ იყო დანერგილი დისტანციური სწავლების პრაქტიკა, რადგან პანდემიამდე განათლების მიღების აღიარებულ ფორმად დისტანციური განათლება არ ითვლებოდა. შესაბამისად მსგავს სერვისზე არ იყო მოთხოვნა. საზოგადოებაში არსებობდა წარმოდგენა, რომ დისტანციურად მიღებული განათლება ნაკლებეფექტიანია, ამიტომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ცენტრალიზებულად იყო ჩამოშორებული ონლაინსწავლებას და განათლების ამ გზით მიღების პროცესს. კიდევ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ იყო დანერგილი საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში სწავლების ელექტრონული ფორმა და არ არსებობდა განათლების ამ ფორმით მიღების მოთხოვნა, იყო მოსახლეობის დაბალი მობილობა, რაც დისტანციურ განათლებაზე მოთხოვნის გაჩენის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სკოლები არ არის აღჭურვილი დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნოლოგიებით, ეს ფაქტი ელექტრონული სწავლების დანერგვის კიდევ ერთი ხელშემშლელი ფაქტორი იყო. დამაბრკოლებელი ფაქტორია ისიც, რომ მოსახლეობას ინტერნეტსა და კომპიუტერებზე ხელი ნაკლებად მიუწვდება, განსაკუთრებით –– რეგიონებში. (2019 წლის მონაცემებით, ინტერნეტი ხელმისაწვდომი იყო შინამეურნეობების 86%-ისთვის ქალაქად და 70%-ისთვის – სოფლად, ხოლო კომპიუტერებზე იგივე მაჩვენებლები 75% და 45%-ია (galt&Tagarti 2020)

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, პანდემიის პირობებში დისტანციური განათლების მოდელზე სრულად გადასვლამ მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა, მიზეზი კი ისაა, რომ პანდემიამდე ელექტრონული სწავლება საქართველოს განათლების სისტემაში ადაპტირებული არ იყო. მასთან დაკავშირებულ პრობლემებს ძირითადად მასწავლებლების დაბალი ციფრული კომპეტენცია იწვევდა. ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემები აქვთ რეგიონში მცხოვრებ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. გარკვეულწილად პრობლემა არის კომპიუტერებსა და სხვა გაჯეტებზე წვდომაც.

პანდემიის პროცესებმა მსოფლიოსა და ჩვენს ქვეყანაში დისტანციური სწავლების შესახებ კანონი დახვეწა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესსა და პირობებს ამტკიცებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი. შესაბამისად, ცვლილებები შევიდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში და გაჩნდა შესაბამისი ჩანაწერი დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით.

განისაზღვრა დისტანციური სწავლების პერიოდში თითოეული საფეხურის საგაკვეთილო დრო, შემუშავდა შეფასების რამდენიმე მოდელი, რაც სკოლას აძლევს საშუალებას , საკუთარი საჭიროებიდან გამომდინარე გადაწყვიტოს, შეფასების სისტემის რომელი მოდელია მისთვის მისაღები. მიუხედავად იმისა, რომ ფორსმაჟორულ სიტუაციაში დისტანციური სწავლების წარმართვისთვის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დეტალური რეკომენდაციები შეიქმნა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები მაინც დიდი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ, კერძოდ:

- სკოლები, მდებარეობიდან გამომდინარე, აღმოჩნდნენ არათანაბარ პირობებში. ამ გამოწვევამ რეალურად გაყო ქალაქი, დაბა და სოფელი;

- ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის პრობლემა შეწყვეტილი სწავლების ერთ-ერთი მიზეზი გახდა; გამოწვევას შესაბამისი უწყებები ტელესკოლის საშუალებით უმკლავდებიან.
- ინტერნეტის დაბალი ხარისხი – გაკვეთილები, ძირითადად, განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ Teams-ის პროგრამაში უტარდებათ, თუმცა ხშირად გაკვეთილი წყდება და პედაგოგები იძულებული არიან, სხვა პროგრამებიც გამოიყენონ. ასეთ დამხმარე პროგრამად, უმეტესწილად, messenger-ი გამოიყენება.
- მოსწავლეთა დარეგისტრირება teams-ის პროგრამაზე და მის ფუნქციებში გარკვევა.

დისტანციური სწავლება იძლევა სხვადასხვა შესაძლებლობას: პირველ რიგში, ეს არის აბსოლუტურად გამჭვირვალე პროცესი. მშობელი უკეთ ხედავს საკუთარი შვილების შესაძლებლობებს და აკვირდება სასწავლო პროცესს. დისტანციური სწავლება მოსწავლისთვის უფრო მოსახერხებელია, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ის გარკვეული მიზეზების გამო ვერ ესწრება ამა თუ იმ გაკვეთილს, მას გაკვეთილის დასრულებისთანავე შეუძლია ნახოს მისი ჩანაწერი, მოისმინოს ის და შეასრულოს ატვირთული დავალება. გასაგებია პოზიცია საზოგადოების დიდი ნაწილისა, რომელიც უნდობლობას გამოხატავს დისტანციური განათლების მიმართ, რადგან ყველა სიახლე, რომელიც დროის მცირე მონაკვეთში ინერგება, იწვევს გარკვეულ წინააღმდეგობებს და მარტივად მისაღები არაა.

ყველა სიახლეს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დისტანციური სწავლების დადებითი მხარეებია:

- თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა და გამოყენება;
- ყველა მოსწავლისთვის მრავალფეროვანი აკადემიური ინფორმაციის მიწოდება, საგანმანათლებლო სიახლეებზე სწრაფი ხელმისაწვდომობა;
- დისტანციური კავშირები, რომლებიც არ ცნობს გეოგრაფიულ მდებარეობას;
- მშობლის ჩართულობა და პირდაპირი მონაწილეობა სასწავლო პროცესში;
- ახალი ტექნოლოგიების შესწავლა და გამოყენება სასკოლო საზოგადოების ყველა ასაკობრივი ჯგუფის მიერ.

უარყოფითი მხარეებია:

- სოციალური ურთიერთობების დისტანცირება;
- კიბერბულინგი;
- მოსწავლის ადეკვატური და ობიექტური გამოკითხვის გაძნელება (გამოცდები).

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, გარდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებებისა და რეკომენდაციებისა, სკოლებს მისცა შესაძლებლობა, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, რომელიმე საგანმანათლებლო პლატფორმა აერჩიათ და რამდენიმე შესაძლო ვარიანტი შესთავაზა: Google classroom, Microsoft teams, Zoom, Skype. მნიშვნელოვანია ის, თუ რა რეკომენდაციებსა და ინსტრუქციას გაძლევს სახელმწიფო არსებული გამოწვევების დასაძლევად, თუმცა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დისტანციური სწავლების წარმატებით განხორციელებისთვის სკოლების მიერ გადადგმული ნაბიჯებია. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ სწრაფი და ქმედითი ნაბიჯის გადადგმა მოუწიათ. სკოლების მიერ დისტანციური სწავლების მიმართუ-

ლებით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები რამდენად შედეგიანია, ამაზე ჯერჯერობით ვერ ვიმსჯელებთ. თუმცა, არსებული გამოცდილების საფუძველზე, შესაძლებელია დისტანციური სწავლების დადებით და უარყოფით მხარეებზე ვისაუბროთ.

სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა TALIS 2018-ის მონაცემებით, საქართველო 2018 წლის კვლევაში მასწავლებელთა თვითშეფასების მაჩვენებლით ინგლისს უტოლდება და მასთან ერთად TALIS-ში მონაწილე ქვეყნებს შორის მე-14 პოზიციაზეა. ჩვენს ქვეყანაში თვითშეფასების ისედაც მაღალი მაჩვენებელი (2013 წელი – 84.8%) გაზრდილია 90.2%-მდე, რაც მასწავლებელთა თვითშეფასების ზრდის არც თუ დაბალი მაჩვენებელია. იგი უტოლდება ისეთი წარმატებული ქვეყნების მასწავლებელთა თვითშეფასებას, როგორებიც ფინეთი, სინგაპური, კორეა და სხვა ქვეყნები არიან. მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყნის მასწავლებლები პანდემიის რეჟიმში რთული გამოწვევის წინაშე დადგნენ, ამ გამოწვევების საპასუხოდ კი, პირველ რიგში, მათ ციფრული კომპეტენციები ესაჭიროებათ.

### *საქართველოს მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციები*

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, საქართველოში მასწავლებელთა საშუალო ასაკი 48 წელია, თუმცა ეს მაჩვენებელი რამდენად შეესაბამება მასწავლებლის მიერ ციფრული კომპეტენციების ფლობას? ან რა კრიტერიუმებით შეიძლება შევაფასოთ მასწავლებელი ამ მიმართულებით? ესაა კითხვები, რომელთაც პასუხები პანდემიის პერიოდში წარმართულმა საგაკვეთილო პროცესმა გასცა. თუმცა ჯერ არ ჩატარებულა შესაბამისი კვლევები, ამიტომ შედეგებზე გადაჭრით საუბარი რთულია.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა დღესაც დისტანციური სწავლების პროცესშია. კვლავ ინერგება სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმა, რაც მოსწავლეთა ჩართულობასა და საგაკვეთილო პროცესს აუმჯობესებს. თუმცა საინტერესოა, რა ხდებოდა პანდემიამდე, რა უნარ-ჩვევები ჰქონდათ მასწავლებლებს ისტ-ის მიმართულებით. 2018 წლის TALIS-ის საერთაშორისო კვლევის ანგარიშში ნაჩვენებია, რომ საქართველოში დასაქმებულ მასწავლებლებს საკმაოდ მაღალი თვითშეფასება აქვთ, მათ შორის ციფრული კომპეტენციების მიმართულებითაც. მათ წლების განმავლობაში ამ თემატიკის სხვადასხვა ტრენინგი არაერთხელ აქვთ გავლილი, თუმცა რამდენად ნიშნავს გავლილი ტრენინგი ჩვევად ქცეულ უნარებს, ამაზე კამათი შეგვიძლია.

პროფესიული განვითარების ერთ-ერთი პოპულარული და ნაცადი გზა არის ტრენინგები, ვებინარები და სხვადასხვა სასწავლო კურსი. თითქმის ყველა მასწავლებელს, რომლებიც 2020 წელს აღმოჩნდნენ ციფრული გამოწვევების წინაშე, გავლილი აქვს ინტელის მრავალმოდულიანი ტრენინგი, მინიმალური კომპეტენციებიდან საკმაოდ მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების შესწავლით დამთავრებული. მასწავლებლებმა ზემოთ ნახსენებ ტრენინგებზე შეისწავლეს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ესა თუ ის პროგრამა, რა უნარები სჭირდებათ კონკრეტული აქტივობების დასაგეგმად. როგორ გამოიყენონ ციფრული ინსტრუმენტები საგაკვეთილო პროცესში და ა.შ. თუმცა ტრენინგებზე შეძენილი ცოდნის დანერგვას, გადატანას პრაქტიკაში, კონტექსტზე მორგებას კიდევ უფრო მეტი დრო და უნარი სჭირდება. საქართველოს სკოლებში მასწავლებლები სწორედ ამ გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ დასჭირდათ მეტი მოქნილობა და შემოქმედებითობა, რათა ეპასუხათ ისეთი გამოწვევისთვის, როგორიცაა დისტანციური სწავლება.

პროფესიული განვითარების გზაზე არაერთი აქტივობა ემსახურებოდა იმას, რომ მასწავლებლებს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში ტექნოლოგიური უნარ-ჩვევები გამოეყენებინათ. ასეთია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში შეტანილი აქტივობა „სემესტრის განმავლობაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“. პედაგოგები ქმნიდნენ ელექტრონულ რესურსს, რომელიც სულ მცირე სამ აქტივობას მოიცავდა. აღნიშნული პროდუქტი ფასდებოდა სხვადასხვა კრიტერიუმით, ერთ-ერთი იყო ისტ-ის ინოვაციური და შემოქმედებითი გამოყენება სასწავლო პროცესში. ასევე მასწავლებელს მოეთხოვებოდა, გაეთვალისწინებინა კიბერუსაფრთხოება და ისტ-ის გამოყენების ეთიკა.

გარდა ამისა, სქემა ასევე ითვალისწინებდა საგანმანათლებლო ბლოგის შექმნასა და ფუნქციონირებას. წლების განმავლობაში მასწავლებლები ამ და სხვა უამრავ აქტივობას ახორციელებდნენ, რაც მათგან ციფრული ტექნოლოგიების ფლობას მოითხოვდა, თუმცა უშუალოდ საგაკვეთილო პროცესის წარმართვა კიდევ სხვა გამოწვევა აღმოჩნდა.

### *ფაქტორები, რომელთა გათვალისწინება ხელს უწყობს დისტანციური სწავლების დანერგვას*

**დისტანციური სწავლება**, როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის უმთავრესი გამოწვევაა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქამდე ამ მიმართულებით აქტიური პრაქტიკული გამოცდილება არცერთ მათგანს არ ჰქონია. რეალურად, ციფრული კომპეტენციების გარდა, არის სხვა ფაქტორებიც, რომელთა გაუთვალისწინებლობა პროცესს შეაფერხებს.

**სასწავლო გარემოს შექმნა**. აქტიური სასწავლო პროცესიდან დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა, პირველ რიგში, ემოციური თვალსაზრისითაა რთული – განცდა იმისა, რომ სამუშაო სივრცე ახლა ვირტუალურია, „ცოცხალი“ კომუნიკაცია შეცვალა ონლაინურთიერთობამ. ტექნიკურად რაც არ უნდა გამართული საგანმანათლებლო პლატფორმა აირჩიოს სკოლამ, უშუალოდ მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულებას ახალ სივრცეში, ბუნებრივია, ადაპტაცია სჭირდება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ საგაკვეთილო ცხრილი, დღის რეჟიმი, საგნების საათობრივი დატვირთვა რაც შეიძლება მეტად ჰგავდეს რეალურ სივრცეს. ყველა ვთანხმდებით, რომ განწყობას წარმატებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ სასკოლო განწყობის შესაქმნელად სასწავლო გარემოს ვირტუალურ სივრცეში გადანაცვლება, ნამდვილად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

**ტექნიკური უზრუნველყოფა**. მიუხედავად იმისა, რომ წლებია, საჯარო სკოლებში სახელმწიფო ახორციელებს პროგრამას „ჩემი პირველი კომპიუტერი“, დისტანციური სწავლების პირველმა ეტაპმა აჩვენა, რომ საგანმანთლებლო სივრცეში არიან მოსწავლეები, რომელთაც შესაბამის ტექნიკაზე ან ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებათ. ეს არის პრობლემა, რომელიც სახელმწიფო დონეზე უნდა მოგვარდეს. თუმცა ეს პრობლემა მხოლოდ მოსწავლეებთან არ დგას , პედაგოგებიც აღმოჩნდნენ ამ რეალობის წინაშე. როგორ იქცევა ამ დროს სკოლა? პრაქტიკამ ცხადყო, რომ სკოლას მეტ-ნაკლებად შესწევს უნარი, დაეხმაროს მასწავლებელს შესაბამისი ტექნიკით, უზრუნველყოს სამუშაო სივრცით, რომელიც როგორც ინტერნეტით, ასევე – შესაბამისი ტექნიკით იქნება აღჭურვილი. ესაა დისტანციური სწავლების გამართვის წინაპირობა.

**ადამიანური რესურსი**. საქართველოს სხვა ქვეყნებისგან, მაგალითად, ესტონეთისგან განსხვავებით, არ ჰქონია საჯარო სკოლებში დისტანციურად მასობრივად სწავლების გამოცდილება, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები გადიოდნენ სხვადასხვა ტრენინგს ტექნოლოგიური კომპეტენციების გაუმჯობესებისთვის. მოსამზადებელი პერიოდი არ ყოფილა, არსებული რეალობა მოითხოვდა უკვე გამართულ დისტანციურ სასწავლო პროცესს. სწორედ ამ დროს დადგა საჭიროება, სკოლას მაქსიმალურად გამოეყენებინა თავისი ადამიანური რესურსი, ეს იქნებოდა ტექნოლოგიების სპეციალისტი, თუ დირექციის წევრი, ან მასწავლებელი, რომელსაც ჰქონდა კერძო გამოცდილება.

მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილების გაზიარება ახალი და უცხო ქართველი პედაგოგებისთვის არ არის, დისტანციურმა სწავლებამ კიდევ უფრო მეტად ცხადყო მისი საჭიროება. მოსამზადებელი პერიოდი და უშუალოდ სიახლეების დანერგვა ერთდროულად მიმდინარეობდა საგაკვეთილო ოთახში. რა თქმა უნდა, იყო და დღესაც არის სირთულეები, მთავარი სირთულე კვლავ ტექნიკური უნარ-ჩვევებია, თუმცა ამ მცირე დრომ ცხადყო, რომ საჭიროების გაჩენამ მასწავლებლები „აიძულა“ გაცნობოდნენ თანამედროვე გამოწვევებს, მიეღოთ ისინი და ექციათ სამუშაო ინსტრუმენტებად. ეს პროცესი არ დამთავრებულა, მცირე ჯგუფები, სხვადასხვა საგნობრივი კათედრა, ან საერთო საჭიროების პედაგოგები დღესაც აქტიურად უცვლიან ერთმანეთს გამოცდილებას და საკუთარ პრაქტიკაზე დაკვირვებით იუმჯობესებენ უნარ-ჩვევებს.

**თანმიმდევრულობა**. სასწავლო პროცესის გამართულობაზე როცა ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი ფუნდამენტური პრინციპები. მათ შორისაა თანმიმდევრული და ორგანიზაციული ხედვა. არსებულმა რეალობამ რადიკალურად შეცვალა თითოეული ადამიანის ცხოვრების სტილი, გარკვეულწილად დაბნეულობა და სტრესი შემოიტანა მასში, ამიტომ საფრთხე იმისა, რომ სასწავლო პროცესი გახდეს ქაოსური და არაორგანიზებული, ძალიან დიდია. სწორედ აქ ჩნდება საჭიროება, რომ სკოლამ რეალურ გამოწვევებს აუწყოს ფეხი: შეიქმნას შესაბამისი საგაკვეთილო დატვირთვა, დაინერგოს შეფასების შესაბამისი სისტემა, აღირიცხოს დასწრება, სისტემა რესურსებით უზრუნველყოფილი იყოს; ასევე, მნიშვნელოვანია პროცესის მუდმივი მონიტორინგი და რეფლექსია. წინა ნაბიჯი მომდევნო ნაბიჯის ეფექტურობას განაპირობებს. ყველა სკოლას, თავისი პედაგოგიური საზოგადოებისა და მოსწავლეების გათვალისწინებით, ინდივიდუალური საჭიროება აქვს, ამიტომ, პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია, დადგინდეს საჭიროებები და შემდეგ თანმიმდევრულად გაიწეროს თითოეული ნაბიჯი.

**ადაპტირება**. შემდეგი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება, არის ახალ რეალობასთან ადაპტირება, იმის გააზრება, რომ ეს არ არის ერთჯერადი პროცესი. რაც უნდა გადაჭრილი იყოს ზემოთ ხსენებული პრობლემები, რეალობასთან შეგუების გარეშე რთულია, ვისაუბროთ სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

ადაპტაციის პრობლემა მხოლოდ მასწავლებლებს როდი შეექმნათ, მოსწავლეებისთვისაც რთული აღმოჩნდა არსებულ რეალობასთან შეგუება და საკლასო სივრცის ასეთი რადიკალური ცვლილება. ამას მშობლებიც აღნიშნავენ.

თუმცა ერთ სასწავლო სემესტრზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მოსწავლეებმა შედარებით მალე შეძლეს ახალ სასწავლო გარემოსთან შეგუება. ეს, შეიძლება, განაპირობა მათმა ინტერესმა თანამედროვე ტე-

ქნოლოგიებისადმი. პედაგოგებთან შედარებით მეტი სამუშაო დარჩა. მათ შემცირებულ საგაკვეთილო დროსთან, შეცვლილ საათობრივ დატვირთვასთან, მოსწავლეებთან პირისპირ არქონასთან შეგუება გაუჭირდათ, რამაც გაართულა პროცესი. ჩვეული ფიზიკური გარემო, რომელშიც საგაკვეთილო პროცესს მრავალი წლის განმავლობაში წარმართავდნენ, შეიცვალა და აბსოლუტურად განსხვავებული რეალობა დახვდათ. ეს კი ნამდვილად რთული გამოწვევა იყო, განსაკუთრებით კი – საშუალო ასაკს გადაცილებული მასწავლებლებისთვის.

**პროფესიული განვითარება**. ერთი შეხედვით, სრულიად ალოგიკურია ვიფიქროთ პროფესიულ განვითარებაზე ასეთი გამოწვევების დროს, თუმცა არსებულმა რეალობამ ცხადყო, რომ მასწავლებლებმა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება წინასწარი მოსამზადებელი პერიოდის გარეშე დაიწყეს. აქ არ იგულისხმება, მხოლოდ ციფრული კომპეტენცია.

პედაგოგები მოსწავლეებთან პირისპირ აქამდე მრავალი წლის განმავლობაში გამოცდილი ბერკეტების გარეშე აღმოჩნდნენ. მათ სხვა, აქამდე უცხო შესაძლებლობები დასჭირდათ, რომლებითაც მოსწავლეებს საგაკვეთილო სივრცეში ჩართავდნენ და მათზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს შექმნიდნენ. თუ პიაჟეს დავესესხებით, მასწავლებლებმა პროფესიულად ასიმილაციიდან აკომოდაციამდე გზა გაიარეს. უკვე არსებული სქემები ვეღარ პასუხობდა დღევანდელ რეალობას, ამიტომ დაიწყეს მოძრაობა და ახალი სასწავლო გარემოს შესწავლა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს პროცესი არ დასრულებულა და იგი დისტანციურ სწავლებასთან ერთად ჯერ კიდევ მიმდინარეობს. სწორედ ამ გზაზე მდგომმა მასწავლებლებმა, შესაძლოა, გაუცნობიერებლადაც კი, დაიწყეს პროფესიული წინსვლა, პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესება, გადახალისება. სახელმძღვანელო აღარ წარმოადგენს მთავარ რესურსს საგაკვეთილო პროცესში, აღარც მხოლოდ – დაფა და ცარცი...

ამიტომ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ დისტანციური სწავლების ეფექტიანობაზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არ არის მარტივი პროცესი. რადგან ბევრი შრისგან შედგება, ყველასთვის ახალი და უცხოა. ჯერ იმის დროც კი არ აქვთ მასწავლებლებს, საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას დააკვირდნენ, იკვლიონ საჭიროებები, დაგეგმონ და განახორციელონ ინტერვენციები. ესაა პროცესი, რომლის დროსაც ვსწავლობთ და პარალელურად ვასწავლით, ვხვდებით სირთულეებს, ვპოულობთ მოგვარების გზებს, რომლებიც შეიძლება მომავალში გავაკრიტიკოთ, გავაუმჯობესოთ. თუმცა, რაც მთავარია, – შევძლოთ, რეალობას გავუსწოროთ თვალი, მივიღოთ ეს გამოწვევა და პროფესიულად განვვითარდეთ.

ზემოთ თქმული ვერ იქნება რაიმეს გარანტია, ესაა არსებულ რეალობაზე დაკვირვება: რა მიმართულებით მუშაობამ გაამართლა, რა არ გამოგვივიდა რა იქნებოდა უკეთესი. საწყის ეტაპზე კი შეიძლება ითქვას, რომ სწორად დაგეგმილმა სასწავლო პროცესმა, საკმარისმა ადამიანურმა რესურსმა, თანმიმდევრულობამ, ახალ გარემოსთან ადაპტაციამ, მუდმივმა პროფესიულმა ძიებამ და განვითარებამ უნდა მიგვაღებინოს საბოლოოდ შედეგი, რომელსაც აუცილებლად დავინახავთ, როცა გვექნება შედარების საშუალება და როცა სასწავლო პროცესი კვლავ სკოლის კედლებში დაბრუნდება.

# დისტანციური სწავლების ადმინისტრირების ინსტრუქცია

**მაგდა ბარამიძე**

თბილისის 23-ე საჯარო სკოლის დირექტორი

## *შესავალი*

გლობალური პანდემია და მასთან გამკლავება 21-ე საუკუნის მთავარი გამოწვევაა. შეიცვალა მსოფლიოს დღის წესრიგი. ყველა ქვეყანა ერთად და ცალ-ცალკე ცდილობს, გაუმკლავდეს რეალობას. ეკონომიკური და ჯანდაცვის პრობლემების გარდა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა მსოფლიოსთვის იყო და არის საგანმანათლებლო სისტემის ეფექტურობა პანდემიის პირობებში. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეს სექტორი მძიმე პირობებში აღმოჩნდა. დისტანციური სწავლების მიმართულებით სხვადასხვა ქვეყანაში არსებობდა ფრაგმენტული გამოცდილება, თუმცა არ არსებობდა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, განვითარებული ქვეყნების წარმატებული გამოცდილება დისტანციური სწავლების ამ მასშტაბით განხორციელების შესახებ. ქვეყნებმა თავიანთი გამოცდილების ფარგლებში განახორციელეს გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები, დაისახა კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი გეგმები, გაჩნდა დისტანციური სწავლების სხვადასხვა ფორმის პრეცედენტები.

**საქართველოს საგანმანათლებლო სისტემამ ამ გამოწვევას უპასუხა. განხორციელდა სისტემური საკანონმდებლო ცვლილებები.** პრიორიტეტი ტექნოლოგიების, კომპიუტერული უნარების, ელექტრონული რესურსების განვითარებას მიენიჭა. **შეიქმნა სხვადასხვა პლატფორმა, რესურსი, ტელესკოლა. გაჩნდა ახალი შესაძლებლობები.**

**ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცე, დიდი ცვლილებების პარალელურად, დადგა დიდი გამოწვევის წინაშეც, რაც პანდემიის პირობებში ყველა მოსწავლისთვის განათლების მიღების შესაძლებლობის მიცემას ითვალისწინებს. სკოლების სანიტარულ-ჰიგიენური და მოვლა-პატრონობის საკითხი, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სხვა საზრუნავი შეცვალა მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვამ, პანდემიის პირობებში სწავლა-სწავლების ალტერნატიული ფორმების შემუშავებისა და საგანმანათლებლო პლატფორმების შერჩევის პროცესმა. კრიზისმა დაბალი საფეხურის მენეჯერების, სკოლის ადმინისტრატორების პასუხისმგებლობის გაზრდა გამოიწვია, სკოლაში მომუშავე ყველა რგოლისთვის აუცილებელი და საჭირო გახდა ტექნოლოგიების ფლობა და ამ მიმართულებით უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. აუცილებელი გახდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სწრაფი ზრდა ისტ ტექნოლოგიების მიმართულებით, ასევე – სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმის გაცნობა და შესწავლა მათი ეფექტურად გამოყენების მიზნით. მიუხედავად შემჭიდროებული ვადებისა, ქვეყანამ შეძლო მოსწავლეებისთვის სწავლების ალტერნატიული, დისტანციური ფორმის შეთავაზება. პროცესი მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ სისტემამ და უშუალოდ სკოლებმა წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს.**

ადმინისტრირების წინამდებარე ინსტრუქციის მიზანია, ხელი შეუწყოს დისტანციური სწავლების ადმინისტრირების პროცესს. კერძოდ, – საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველმა რგოლმა (დირექციამ/ადმინისტრაციამ) შეძლოს დისტანციური სწავლების პროცესის სწორად ორგანიზება: დაგეგმვა, პროცესის მართვა, მონიტორინგი და შეფასება, ცვლილებების ინიცირება პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ვფიქრობთ, დისტანციური სწავლების დაგეგმვის პროცესის შესახებ ინფორმირებულობის დონე გაიზრდება, განვიხილავთ პროცესში ჩართული სასწავლო და სასკოლო თემის წარმომადგენლების ჩართულობის აუცილებლობასა და მათ ფუნქციებს. წარმოგიდგენთ პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების ინსტრუქციას.

თითოეულმა დირექტორმა/ადმინისტრატორმა თავად უნდა განსაზღვროს, თუ რამდენად გამოსადეგია ეს ინფორმაცია თავის ორგანიზაციულ კონტექსტთან მიმართებით. იმედს ვიტოვებთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია სკოლებს დაგეგმვის საკუთარი, ინდივიდუალური რუტინის შემუშავების მიმართულებას მისცემს.

**საბოლოო ჯამში, სავარაუდოდ, ორი ფაქტორი განაპირობებს დისტანციური სწავლების წარმატებას – კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლს შორის და მართვის სტილი – ლიდერობა.**

## მიზანი – დისტანციური სწავლების წარმატება

**ნებისმიერი პროცესის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს მიზანი. დისტანციური სწავლების დაგეგმვა-დანერგვის პროცესმა რაღაც კონკრეტულ მიზნამდე უნდა მიგვიყვანოს. ამასთანავე საჭიროა, რომ ის ძალიან მარტივად იყოს ფორმულირებული, რაც გასაგები იქნება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მნიშვნელოვანია** SMART **მიზნების შემუშავება, რათა არ ავცდეთ მოცემულ რეალობას.** ამისათვის რამდენიმე კრიტერიუმი არსებობს:

რაც უფრო ზუსტად და პოზიტიურად არის ფორმულირებული ის, თუ რა გვინდა, მით უფრო მეტი შანსია, მივიღოთ სასურველი შედეგი. კარგი შესაძლებლობები არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ ამ კარგი შესაძლებლობების დანახვა და ამოცნობა შეგიძლიათ.

საგანმანმანათლებლო სისტემის მიზანი პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლების პროცესის წარმატებაა, რასაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს.

რა არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც გასათვალისწინებელია და რომელთა მოგვარებისკენაც მიმართული უნდა იყოს ვექტორი?! ქვემოთ მოცემულ სქემაზე სწორედ ეს სამი ძირითადი ფაქტორია მოყვანილი.

სამივე მათგანი უმნიშვნელოვანესი და აუცილებლად გასათვალისწინებელია. განვიხილოთ, თუ რას მოვიაზრებთ:

პროცესის შეუფერხებლად წარმართვა – სწორი დაგეგმვა, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე საგაკვეთილო ბადის, მასწავლებელთა დატვირთვის, შეზღუდვებისა და რეგულაციების გათვალისწინებით საგაკვეთილო ცხრილის შედგენა. რისკფაქტორების გათვალისწინება დაგეგმვისა და მიმდინარეობის პროცესში. მოსალოდნელი საფრთხეების წინასწარ განსაზღვრა და აღმოფხვრა. მაგალითად, გაცდენილი გაკვეთილების აღდგენის, პრობლემაზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება და ა.შ.

დახმარება – პროცესის მმართველი გუნდის მიერ ჩართული და მონაწილე პირებისთვის მხარდაჭერის მექანიზმის შემუშავება-დანერგვა. დახმარება შესაძლოა დასჭირდეს როგორც მოსწავლეს, მასწავლებელს, ისე მშობელს.

დანაკლისის ამოვსება – განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. დისტანციური სწავლების პროცესში შესაძლოა მოსწავლე ვერ/არ ჩაერთოს სხვადასხვა პრობლემის გამო და შეიქმნას დანაკლისი, რომლის ამოვსებაც დროთა განმავლობაში აუცილებელია. ადმინისტრირების პროცესში ამ გაცდენილი/გამოტოვებული მასალის ანაზღაურების მექანიზმების შემუშავება-დანერგვა უნდა უზრუნველვყოთ. სკოლის ადმინისტრაციამ დისტანციური სწავლების პროცესში ყველას თანაბარ ჩართვას უნდა შეუწყოს ხელი: მოწყვლადი ჯგუფის ბავშვების, სსსმ მოსწავლეების, რისკჯგუფის მოსწავლეების და ა.შ.

### *რა უნდა გავითვალისწინოთ პირველ ეტაპზე?*

რა არის დისტანციური სწავლება?

**დისტანციური სწავლება არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული კომუნიკაციის ფორმით. სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც კომუნიკაცია სასწავლო პროცესის მონაწილეებს შორის ერთსა და იმავე დროს ხორციელდება. (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ).**

დისტანციური სწავლება არის ტერმინი, რომელსაც კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ არ იცნობდა. დისტანციური სწავლების ჩანასახი გაჩნდა რამდენიმე წლის წინ, როდესაც მაღალთიან რეგიონებში, მცირეკონტინგენტიან სკოლებში, მასწავლებლების დეფიციტი გაჩნდა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დისტანციური სწავლების პირველი ნაბიჯები გადადგა. ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, შექმნილიყო განათლების მოდელი, რომელიც ყველა მოსწავლის განათლების უფლებას დაიცავდა. სწავლების ერთი უნივერსალური ფორმა ვერ უპასუხებდა არსებულ გამოწვევას; შესაბამისად, ალტერნატიული გზების მოძიება და მათი დანერგვა გახდა საჭირო.

პანდემიის პირობებში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავდა სხვადასხვა რეკომენდაცია, რომლებიც დაეგზავნათ სკოლებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა დისტანციური სწავლების პროცესი ამ რეგულაციების შესაბამისად უნდა დაარეგულირონ და მართონ. მაგალითისთვის: ექიმების რეკომენდაციების საფუძველზე, მოსწავლეებისთვის დღეში არაუმეტეს 3 ონლაინგაკვეთილის ჩატარება განისაზღვრა. ასევე, მოსწავლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, დადგინდა ონლაინგაკვეთილების ჩატარების ხანგრძლივობა: I-IV კლასებში – 20 წუთი; V-IX კლასებში – 30 წუთი; X-XII კლასებში – 40 წუთამდე. გაჩნდა ტერმინები სინქრონული და ასინქრონული გაკვეთილები, შერეული, ჰიბრიდული, კომბინირებული სწავლება და ა.შ.

ამრიგად, ზედა რგოლის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები შიდასასკოლო დაგეგმვის ფუნდამენტია.

მოგეხსენებათ, ნებისმიერი ცვლილება გარკვეული საადაპტაციო პერიოდის გავლას მოითხოვს. არ უნდა ველოდოთ, რომ ონლაინსწავლებაზე გადასვლის პირველივე დღეებში დიდ წარმატებას მივაღწევთ, მაგრამ მნიშვნელოვანია, პროცესების მართვის სადავეები დირექტორებმა/ადმინისტრატორებმა ხელიდან არ გაუშვან. ამისთვის უმნიშვნელოვანესია, დისტანციური სწავლების დაგეგმვის პროცესი სწორად, დროულად და რეალობის გათვალისწინებით წარიმართოს.

## *დაგეგმვა*

დავიწყოთ ძალიან მარტივი და საბაზისო შეკითხვით: რა არის გეგმა და რატომ არის ის საჭირო?




გეგმა არის ორგანიზაციის მცდელობა, მის მიერ გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ ინფორმაციას თავი მოუყაროს. იგი ორგანიზაციის ყურადღებას სასურველ ჭრილში აქცევს და შედეგების მისაღწევად რესურსების მობილიზებას ახდენს. დაგეგმვა ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობის ამოსავალი კომპონენტია, წარმატებული საქმიანობის ერთგვარი ფუნდამენტი. სამომავლო გეგმის გარეშე ორგანიზაცია ვერ ჩამოაყალიბებს ეფექტიან და ქმედით სტრუქტურას, ვერ განახორციელებს საჭირო ცოდნისა და უნარების თანამშრომლების, ადამიანური რესურსების მობილიზებას. ვერ შეაფასებს თანამშრომლების, ორგანიზაციის საქმიანობასა და შესაძლებლობებს. ჩვენი საქმიანობა ვერ იქნება ეფექტური, თუკი არ ვიცით, რისკენ ვისწრაფვით. გეგმის გარეშე შეუძლებელია იმის დადგენა, ჩვენ მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯი სწორია თუ არა.

კიდევ ერთი კითხვა, რომელსაც ხშირად სვამენ გეგმაზე საუბრისას:

რატომ არის საჭირო გეგმის ფორმალურად გაწერა?

მისი ფორმალურად გაწერა საჭიროა, პირველ რიგში, იმიტომ, რომ სრულად, ყველა მისი კომპონენტით დავინახოთ სასურველ შედეგამდე მისასვლელი გზა. გეგმის მიზანი, ყველა კომპონენტის დასახული მიმართულებით ჰარმონიული საქმიანობის უზრუნველყოფა, მათი საათის მექანიზმივით აწყობაა. ამის გაკეთება კი შეუძლებელია გეგმის ვიზუალიზაციის, მისი დეტალური გაწერის გარეშე. დეტალურად გაწერილი გეგმა უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის, დაინტერესებული პირის, მაგალითად, მშობლის ინფორმირებულობას მისი მიზნებისა და მათზე გადანაწილებული პასუხისმგებლობების შესახებ.

პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ, რისკენ ვისწრაფვით, რისი მიღწევა გვინდა და დავგეგმოთ,

როგორ მივიდეთ სასურველ შედეგამდე. წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა დაგეგმვა, გეგმის შესრულება, შედეგების შეფასება და გეგმის ცვლილება/ადაპტაცია/ხელახალი დაგეგმვა ჩვენს ჩვეულ საქმიანობად იქცევა.

**დაგეგმვის ციკლი**




დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა დაგეგმვისა და თითოეული ნაბიჯის გააზრების გარეშე წარმოუდგენელია. გაზაფხულზე სკოლების უმეტესობა მხოლოდ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო ჩარჩოსა და რეკომენდაციებზე იყო დამოკიდებული. შიდამარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავებაზე, სავარაუდოდ, შესაბამისი დრო და რესურსი ვერ დაიხარჯებოდა. ამის გამომწვევი მიზეზი რამდენიმე იყო:

- ფორსმაჟორული და კრიზისული ვითარება;
- შესაბამისი გამოცდილების არქონა;
- მასშტაბური დისტანციური სწავლების პრეცედენტის არარსებობა.

ამიტომ სკოლების უმეტესობა სპონტანურად, დაუგეგმავად ასრულებდა ზემდგომის რეკომენდაციებს და ინდივიდუალობა, ფაქტობრივად, დაიკარგა.

ახლა, როდესაც უკვე დაგროვდა გამოცდილება 2020 წლის გაზაფხულის ჩაკეტვის დროს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შეუძლიათ, ახლებურად დაგეგმონ დისტანციური სწავლების პროცესი. დაგეგმვა ციკლური პროცესია და საბოლოო ჯამში აუცილებლად მიგვიყვანს მიზნამდე.

### *როგორ დავიწყოთ?*

პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს მთავარი პრინციპი დისტანციური სწავლებისას, რომელიც, ფაქტობრივად, საერთოა ყველა ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულებისთვის.

### *მთავარი პრინციპი – განათლების ხელმისაწვდომობა*

ეს არის ამოსავალი წერტილი შემდგომი ქმედებების დასაგეგმად და განსახორციელებლად.

დისტანციური სწავლების ადმინისტრირებისთვის მნიშვნელოვანია, ორგანიზაციამ განსაზღვროს საკუთარი შიდარესურსები და ამის გათვალისწინებით, შიდაორგანიზაციული კულტურის საფუძველზე განსაზღვროს საკუთარი ძლიერი/სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ბუნებრივია, ამ ორ უკანასკნელ ფაქტორში იგულისხმება მოქმედი კანონმდებლობა, რეგულაციები და რეკომენდაციები.

№1 დაგეგმვის დაწყების წინ აუცილებელია ვიცოდეთ, რომ, პირველ რიგში, საჭიროა ინფორმაციის ყველა მიმართულებით მოძიება, ანუ დაზუსტება იმისა, თუ რა აუცილებელი ინფორმაცია მჭირდება იმისთვის, რომ დისტანციური სწავლება განვახორციელო:

- მასწავლებელთა პროფესიული უნარების, კერძოდ, ელექტრონული რესურსების ფლობის შესახებ ინფორმაციის მოგროვება;
- ინფორმაცია მოსწავლეების მიერ ელექტრონული რესურსების ფლობის შესახებ;
- ინფორმაციის მოძიება შემოთავაზებული სხვადასხვა ალტერნატიული ელექტრონული პლატფორმის შესახებ;

თუ სკოლის ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ სხვა მიმართულებაც საჭიროებს დეტალურ შესწავლას, შესაძლებელია, კონკრეტული სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაამატოს საკითხი. მაგალითად: სსსმ მოსწავლეების მიერ ელექტრონული რესურსების ფლობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ა.შ.

ინფორმაციის მოპოვების სხვადასხვა საშუალება არსებობს: გამოკითხვები, ინტერვიუები, საინფორმაციო წყაროები, მეორადი მონაცემები და ა.შ.

სკოლამ მონაცემთა შეგროვების მეთოდი მიზნობრივად უნდა შეარჩიოს. შესაძლოა გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება, ეს იქნება ელექტრონული ფორმატით გამოკითხვების ჩატარება, სოციალური ქსელი, სკოლის ვებგვერდი და ა.შ.

№2 ინფორმაციის დახარისხება. უნდა დავახარისხოთ მოპოვებული ინფორმაცია. როგორც თვისობრივად, ასევე რაოდენობრივად დავაჯგუფოთ სხვადასხვა სახის პრობლემა.

№3 მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი საშუალებას მოგვცემს, გამოვკვეთოთ ძირითადი პრობლემები, რათა დავგეგმოთ შესაბამისი ინტერვენციები, რაც საბოლოოდ მათ აღმოფხვრას შეუწყობს ხელს.

შეგროვებული, დახარისხებული, გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე ორგანიზაციამ SWOT ანალიზზე უნდა იმუშაოს.

SWOT მატრიცის შევსებისას ძალიან მნიშვნელოვანია, თითოეული ფაქტორი სწორად ფორმულირდეს. ზოგადი, ბუნდოვანი ჩანაწერები შემდგომი დაგეგმვისთვის არაფრის მომცემი იქნება. შესაძლებელია, საწყის ეტაპზე საკითხები უფრო ზოგადად ჩამოაყალიბოთ.

ადმინისტრატორის ფუნქციაა, განიხილოს თითოეული ფაქტორი ინდივიდუალურად, იგი ინტერაქციით მანამ განავრცოს, სანამ ის ძალიან მკაფიო, რაფინირებული, ზუსტი, ენით არ იქნება ფორმულირებული.

ეს პროცესი ხანდახან უფრო „მტკივნეული“ და შრომატევადია, ვიდრე ფაქტორების პირველადი იდენტიფიცირება. თუმცა ამის გარეშე მატრიცა ძალიან ზერელე და ბუნდოვან ხასიათს მიიღებს და, ფაქტობრივად, დროისა და ენერგიის ფუჭ ხარჯვად იქცევა.

შევსებული SWOT მატრიცა დისტანციური სწავლების გეგმის საფუძვლად უნდა იქცეს. აუცილებელია იმ კომპონენტების შეტანა, რომლებიც სუსტი მხარეებისა და საფრთხეების ნეგატიურ გავლენას მაქსიმალურად შეამცირებენ, ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების რეალიზების ალბათობას კი გაზრდიან.

საბოლოო ჯამში ეს პროცესი სქემატურად დაახლოებით ასე გამოიყურება:



## *გეგმის განხორციელების პროცესი*

უმნიშვნელოვანესია, გეგმის განხორციელების პროცესში თანაბრად ჩაერთოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენელი, როგორც მასწავლებლები, ისე მშობლები. სწორი კომუნიკაცია, საინფორმაციო კამპანია, პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბება – პროცესის წარმატებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია.

რა მიმართულებებით არის საჭირო მუშაობის წარმართვა?!

- სკოლამ უნდა უზრუნველყოს, რომ დისტანციური სწავლება თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისთვის. გაუწიოს მოსწავლეებს ტექნიკური მხარდაჭერა, ჩართოს ისინი შესაბამის პლატფორმაში და ა.შ.
- პროცესის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, რომ თითოეული საგნისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურიკულუმი მოერგოს რეალობას – შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებს. ამისთვის საჭიროა, თითოეულმა ორგანიზაციამ თავისი შესაძლებლობების, არსებული სიტუაციის SWOT ანალიზის შედეგების საფუძველზე განახორციელოს საგნებისა და კლასების მიხედვით კურიკულუმის მოდიფიცირება. ბუნებრივია, არ შეიცვლება საგნის სწავლების მიზნები, თუმცა მოდიფიცირება დასჭირდება დროს, სასწავლო რესურსებს, მასალის მიწოდების სტრატეგიებს, მეთოდებს, კომუნიკაციის საშუალებებს. ბუნებრივია, ამავდროულად გათვალისწინებული უნდა იყოს საგნის სპეციფიკა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მოდიფიცირებული სასწავლო პროგრამა ვიწრო დარგობრივი სპეციალისტების მიერ შემუშავდეს.
- მთელი პროცესის მიმდინარეობისას უნდა განხორციელდეს მუდმივი მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. ეს მოგვცემს საშუალებას, თვალი ვადევნოთ, რამდენად სწორად მივდივართ მიზნამდე.

## *საკომუნიკაციო არხი*

პროცესის დაწყებამდე სკოლამ უნდა აირჩიოს საკომუნიკაციო არხი – პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც სწავლების პროცესს განახორციელებს. შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე კრიტერიუმი: ხელმისაწვდომობა, სანდოობა და შესაძლებლობები. ერთ-ერთი ასეთი საკომუნიკაციო არხია Microsoft Office 365 TEAMS, რომელიც ონლაინსწავლების პროცესის წარმართვისა და ვირტუალურ კლასში გაკვეთილის/გაკვეთილების მთელ კლასთან ჩატარების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შეუძლიათ Office 365-ის შემდეგ პროგრამებში ავტორიზება (შესვლა): Email, Microsoft Teams, Class Notebook, PowerPoint, Forms, OneDrive.

საქართველოს საჯარო სკოლებისთვის ხანმოკლე პერიოდში (ადმინისტრაციისთვის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის) Microsoft Office 365-ის მომხმარებლის 600 000-მდე პროფილი შეიქმნა. ასევე, ყველა სკოლის, კლასისა და საგნისთვის – ვირტუალური საკლასო ოთახი.

სკოლის ადმინისტრაციამ სასკოლო საზოგადოებას არჩეული პლატფორმის შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, განუმარტოს საკომუნიკაციო არხის შესაძლებლობები, ხელი შეუწყოს პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. შესაძლოა სკოლამ სასკოლო თემს შესთავაზოს გზამკვლევი, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი მის მიერ შერჩეული ელექტრონული სივრცის შესაძლებლობები. გზამკვლევი, რომელიც არის სკოლის შიდამარეგულირებელი დოკუმენტი, უნდა განიხილოს სკოლის პედაგოგიურმა

საბჭომ, სკოლის სამეურვეო საბჭომ, რომლებიც, თავის მხრივ, საკუთარ თავზე სასკოლო საზოგადოების ინფორმირების პასუხისმგებლობას აიღებენ. დოკუმენტის განხილვა, სასურველია, ამ ორი ორგანოს შეესაბამისი ოქმით დადასტურდეს. ფაქტობრივად, სკოლის დირექცია ახორციელებს პასუხისმგებლობების დელეგირებას.

### *ფორმალური სტრუქტურები – მხარდამჭერთა გუნდები*

პროცესის დაწყებამდე, მოსამზადებელი პერიოდისას, უნდა განხორციელდეს ადამიანური რესურსების სრული მობილიზება და ისინი ფუნქციებით აღიჭურვონ.

მნიშვნელოვანია მინიმუმ სამი გუნდის ფორმირება, რომლებიც გადაინაწილებენ ფუნქციებს და პასუხისმგებლობას აიღებენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე. საორიენტაციო ჯგუფები:

- ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი;
- ონლაინსწავლებისთვის სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის მხარდამჭერთა ჯგუფი;
- ონლაინსწავლების მონიტორინგის ჯგუფი.




განვიხილოთ თითოეული მათგანის შესაძლო ფუნქცია-მოვალეობები და ის, თუ ვინ შეიძლება ჩართოს სკოლის დირექციამ შესაბამის ჯგუფებში.

1. ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის მოვალეობები შესაძლებელია განისაზღვროს შემდეგნაირად: თითოეული მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მოძიება, ინტერნეტთან წვდომის აღრიცხვა, ონლაინსერვისებზე მოსწავლეების დარეგისტრირების ხელშეწყობა. კომუნიკაცია მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან.

   ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ სკოლის ის თანამშრომლები, რომლებსაც შეუძლიათ მშობლებისა და მოსწავლეებითვის შესაბამისი დახმარებისა და კონსულტაციის გაწევა. მაგ: სკოლის ისტ-ის მასწავლებელი, ინფორმაციული მენეჯერი, მასწავლებლები, რომლებსაც ელექტრონულ რესურსებთან მუშაობის კომპეტენცია და გამოცდილება აქვთ.

ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებლებსაც უნდა დაეხმაროს. მაგალითად, მოამზადოს ვიდეოინსტრუქციები, რათა პედაგოგს გაუადვილდეს ელექტრონულ პლატფორმაში მანევრირება და გაკვეთილის ხარისხიანად დაგეგმვა/ჩატარება. ამგვარი მხარდაჭერა, შესაძლებელია, მოსწავლეებსაც დასჭირდეთ. მაგალითად, უკუკავშირისა და დავალებების შესრულების ინსტრუქციები და ა.შ.

ამ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ ასევე მშობლებიც, რომლებიც დაუკავშირდებიან თავიანთი შვილების კლასელებს/მშობლებს და ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას მოახერხებენ. შესაბამისად, პრობლემაც მყისიერად აღმოიფხვრება.

2. სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის მხარდამჭერთა ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები: დისტანციური სწავლებისთვის სასწავლო პროგრამების შემუშავება, მოდიფიცირება; თემების, საგნებისა და კლასების მიხედვით სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსის მობილიზება.

ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ პედაგოგები, რომლებსაც სასწავლო კურიკულუმების დანერგვაზე მუშაობის გამოცდილება აქვთ: კათედრის ხელმძღვანელები, შეფასების ჯგუფის წევრები, დირექტორის მოადგილეები. ჯგუფი მასწავლებლებს უნდა დაეხმაროს, მხარი დაუჭიროს, შექმნას და გააზიაროს საგნობრივი რესურსების ბანკი, პროფესიული დიალოგი წარმართოს კათედრების მიხედვით შექმნილ საგნობრივ ჯგუფებში; პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის შეიმუშაოს რეკომენდაციები.

3. დისტანციური სწავლების მონიტორინგის ჯგუფის ფუნქციებია: პროცესის მონიტორინგი, ანგარიშის ფორმების მომზადება, უკუკავშირი თითოეულ მასწავლებელთან, სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა.

მონიტორინგის ჯგუფმა ასევე კითხვარი უნდა შეიმუშავოს მშობლებისთვის. პერიოდულად მშობლები ელექტრონული ფორმატით გამოიკითხოს, რაც სკოლის ადმინისტრირების ჯგუფს მისცემს საშუალებას, თვალ-ყური ადევნოს მათ დამოკიდებულებას პროცესისადმი. ეს დაეხმარება სკოლას, წარმოქმნილ პრობლემებზე დროულად ჰქონდეს რეაქცია.

მონიტორინგის ჯგუფში შესაძლებელია გაერთიანდნენ ფასილიტატორი მასწავლებლები, სკოლის დირექტორი და შესაბამისი გამოცდილების/კვალიფიკაციის მშობლები, რომელთა ჩართულობა კონკრეტულად ამ ჯგუფში უმნიშვნელოვანესია. მშობლებს მიეცემათ შესაძლებლობა, თვალი ადევნონ სწავლების მონიტორინგს და უშუალოდ ჩაერთონ პრობლემების იდენტიფიცირების პროცესში.

სავალდებულოდ მიგვაჩნია, რომ დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით გაიწეროს ამ ან/და სხვა სკოლის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი მხარდამჭერთა ჯგუფების ფუნქცია-მოვალეობები. ერთია საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ინიცირებულია ზემდგომი ინსტანციიდან, მაგრამ აუცილებელია, სკოლას ჰქონდეს შიდა რეგულაციების სავალდებულო სამოქმედო ფორმატით დოკუმენტები, რომლებსაც სასკოლო საზოგადოებასაც გაუზიარებს .

### *არაფორმალური სტრუქტურა – მშობლები ონლაინსწავლების ფასილიტაციისთვის.*

მშობლების ჩართულობა ადმინისტრირების პროცესს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. მშობელი უნდა გავხადოთ მოსწავლის სწავლის პროცესის თანამონაწილე. გარდა ამისა, მშობლის ფაქტორი დისტანციური სწავლებისას პოზიტიური გარემოს შექმნაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

როგორც აღვნიშნეთ, მშობელთა გარკვეული ნაწილი, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის გათვალისწინებით, უნდა ჩავრთოთ ფორმალურ სტრუქტურებში. თუმცა შესაძლებელია, უშუალოდ სკოლის დირექტორმა, მშობლებთან პირისპირ კომუნიკაციის მიზნით, შექმნას ჯგუფი ან პლატფორმა, სადაც განახორციელებს გარკვეულ აქტივობებს. მაგალითად: პერმანენტულად გააცნობს სიახლეებს დისტანციური სწავლების მიმდინარეობის შესახებ. მიაწვდის გამოკითხვის შედეგებს, იმსჯელებენ კონკრეტული შემთხვევების შესახებ, მოისმენს უკუკავშირს, რეკომენდაციებს, რჩევებს. მშობლებს მიეცემათ შესაძლებლობა, უშუალო ურთიერთობა ჰქონდეთ გადაწყვეტილების მიმღებთან. ეს სკოლასა და მშობლებს შორის კავშირს გააუმჯობესებს. მშობელთა მხარდაჭერით შესაძლებელია იმ პრობლემების მოგვარება, რომლებსაც სკოლის ადმინისტრაცია დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება. მაგალითად, სკოლის იმ მოსწავლეების დახმარება, რომლებსაც ეს ესაჭიროებათ; კომპიუტერებისა თუ სხვა ტექნიკური საშუალებების მოძიება და მათთვის დროებით გადაცემა; დონორის მოძიება კონკრეტული მოსწავლეების დახმარების მიზნით და ა.შ.

### *სსსმ მოსწავლეების, რისკჯგუფის მოსწავლეების ჩართულობის უზრუნველყოფა*

სკოლის მულტიდისციპლინურ გუნდს დისტანციური სწავლებისას სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში სრულ ჩართვაში მნიშვნელოვანი მისია აკისრია. გუნდმა დისტანციური სწავლებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მოდიფიცირება უნდა უზრუნველყოს. პროცესში საგნის მასწავლებლები, დამრიგებლები და მოსწავლეების მშობლები უნდა ჩაერთონ. გეგმის ადაპტაცია მნიშვნელოვანი პროცესია. სსსმ მოსწავლეებთან სპეციალურმა მასწავლებლებმა, თანაშემწეებმა, ფსიქოლოგებმა უნდა იმუშაონ ინდივიდუალურ რეჟიმშიც, როგორც ეს გათვალისწინებული იყო პირისპირ სწავლებისას.

მულტიგუნდმა უნდა მოიძიოს და შექმნას ელექტრონული რესურსების, ვარჯიშებისა და თამაშების ბანკი, რომლებსაც საჭიროებისამებრ, თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისას გამოიყენებენ. საჭიროა მუდმივი ურთიერთობა მშობელთან, რათა დისტანციური სწავლების პროცესში მოსწავლის საჭიროებები და დამოკიდებულებები ზუსტად განისაზღვროს.

ანუ სსსმ მოსწავლეების სწავლების პროცესს მონიტორინგს გაუწევენ მშობელი, მასწავლებელი და მულტიგუნდი. შესაბამისად, წარმოქმნილ სირთულეებზე სწრაფი რეაგირება შესაძლებელი ხდება.

### *არაფორმალური აქტივობები*

ისევე, როგორც პირისპირ სწავლების პროცესში, დისტანციურად სწავლებისასაც საჭიროა, განხორციელდეს არაფორმალური აქტივობები. რა შეიძლება მოვიაზროთ ასეთ აქტივობებში:

- ონლაინკლასის საათი – დაგეგმავს და ჩაატარებს კლასის დამრიგებელი კვირაში ერთხელ. დამრიგებელი შეძლებს ინფორმაციის მოპოვებას დისტანციური სწავლების მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს ვირტუალურ სადამრიგებლო კლასებში;
- გასვლითი პროექტი – შესაძლებელია, კლასი ან მოსწავლეების მცირე გუნდი შეიკრიბოს პირისპირ და დაიგეგმოს ერთობლივი გასეირნება ფეხით, კონკრეტული მიზნობრიობით. გასვლითი პროექტი აუცილებლად უნდა იყოს თემატური და არ უნდა გასცდეს ქალაქის/უბნის ფარგლებს;
- ვირტუალური კლუბები საგნობრივი ან სახელოვნებო მიმართულებებით. მოსწავლეებს ექნებათ საშუალება, დაჯგუფდნენ თავიანთი ინტერესების მიხედვით;
- სკოლის მიერ ინიცირებული ონლაინკონკურსები;

## *მონიტორინგის სისტემა დისტანციური სწავლებისას*

პროცესის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს პერმანენტულად და შედარებით ხშირად, ვიდრე პირისპირ სწავლებისას. სკოლის დირექციამ უნდა განსაზღვროს მონიტორინგის ფორმები და ასევე – შეიმუშაოს შესაბამისი ინსტრუმენტები.

მონიტორინგი შემდეგი მიმართულებებით უნდა განხორციელდეს:

- სასწავლო პროცესის მიმდინარეობა;
- გაცდენილი გაკვეთილების აღდგენა;
- ელექტრონული ჟურნალების წარმოება;
- გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებლები;
- კლასის საათების ჩატარება;
- გაკვეთილის ხარისხი;
- საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ელექტრონული რესურსები;

რეკომენდებულია, ეს პროცესი სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს:

- მშობლების გამოკითხვა ელექტრონული კითხვარის მეშვეობით;
- მოსწავლეების გამოკითხვა ელექტრონული კითხვარით;
- დამრიგებლის მიერ მომზადებული ყოველთვიური ანგარიში;
- საგნის მასწავლებლის ყოველკვირეული ანგარიში;
- მასწავლებლის თვითშეფასება;
- სკოლის დირექციის წევრების დასწრება გაკვეთილებზე და ა.შ.

ადმინისტრაციამ სასკოლო საზოგადოებას მონაცემები და შედეგები დამუშავებისთანავე უნდა წარუდგინოს. მიგნებების საფუძველზე გეგმის არგუმენტირებული ცვლილება გახდება შესაძლებელი.

## *შეჯამება*

დისტანციური სწავლება არის დიდი დინამიკური პროცესი რამდენიმე მმართველი რგოლისა და მრავალი ადამიანის მონაწილეობით.

ის საგანმანათლებლო სისტემისთვის გამოწვევაა.

ამ სფეროში მომუშავე თითოეული ადამიანი ვალდებულია, მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები, კომპეტენცია და ცოდნა სწორად მიიტანოს მოსწავლემდე. არ ველოდებით, რომ დისტანციურ სწავლებას მყისიერად ექნება შედეგი, თუმცა სწორედ ეს არის გზა, რომელიც ახლა, ამ ვითარებაში, გვაძლევს საშუალებას, უზრუნველვყოთ მოსწავლეთა უწყვეტი განათლება.

ყოველივე ზემოთ თქმული სარეკომენდაციო ხასიათისაა. მასში წარმოდგენილია კონკრეტული ხედვა/მიდგომა, რომელიც, თავის მხრივ, ძირითადად ემპირიულ გამოცდილებას ეფუძნება.

ამ ვითარებაში, როდესაც პროცესი, ფაქტობრივად, ახლა იკრებს ძალებს, ძალიან მნიშვნელოვანია ერთმანეთისთვის პრაქტიკული გამოცდილებების გაზიარება.

დისტანციური სწავლების პროცესში, დიდ საერთო სურათზე, თითოეული ადამიანი თავის როლსა და პასუხისმგებლობას უნდა ხედავდეს. ერთ გუნდად ქცეული სასკოლო თემი, კომუნიკაციის სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება, დელეგირებული ფუნქციები და ანგარიშვალდებულების გამართული სისტემა მნიშვნელოვანი ფაქტორებია დისტანციური სწავლების წარმატებისთვის. რაც საბოლოოდ მოსწავლის წარმატებას განაპირობებს. ეს კი სისტემაში მომუშავე თითოეული სუბიექტისთვის სასარგებლოა.

LOVE

# „ახალი სკოლის მოდელი“ დისტანციური სწავლებისას

**მარიამ ჩიქობავა**

საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

**ნიკოლოზ სილაგაძე**

საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების კოორდინატორი

ეპიდსიტუაციის გამწვავებამ სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. მათ შორის ყველაზე არსებითია ის, რომ სასწავლო პროცესმა, ძირითადად, ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა, რამაც განაპირობა მთელი რიგი საორგანიზაციო და შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებები; შესაბამისად, გააჩინა შეკითხვები:

- როგორ დავძლიოთ პროგრამა შემცირებულ ვადებში?
- როგორ დავგეგმოთ სწავლა-სწავლების პროცესი განახევრებული საათობრივი ბადის პირობებში?
- როგორ ჩავატაროთ ეფექტური გაკვეთილი, როცა გაკვეთილის ხანგრძლივობა 20-25 წუთია?
- როგორ დავაინტერესოთ მოსწავლეები? როგორ შევაფასოთ მათი მიღწევები?

თანდათანობით სულ უფრო მეტი სკოლა გადადის ონლაინსწავლების ფორმატზე, შესაბამისად, იზრდება ყურადღება და ინტერესი დისტანციური სწავლების კონცეფციასთან დაკავშირებით.

დისტანციურ სწავლებას ხშირად შეცდომით მხოლოდ ონლაინკომუნიკაციასთან აიგივებენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის უბრალოდ კომუნიკაციის ალტერნატიულ არხს წარმოადგენს; მაშინ, როცა დისტანციურ სწავლებას ღრმა თეორიულ-ფილოსოფიური საფუძვლები ეძებნება, რომლებსაც საპატიო ადგილი უჭირავს თანამედროვე განათლების მეცნიერებებში.

სტატიაში განხილულია დისტანციური სწავლების რაობა იმ პარადიგმულ პრინციპებთან, რომლებსაც „ახალი სკოლის მოდელი“ და მთლიანად განათლების რეფორმა ეფუძნება; კერძოდ, განხილულია, თუ როგორ აისახება დისტანციური სწავლება:

1. სწავლა-სწავლების კონცეფციაზე;
2. სასწავლო პროგრამებზე;
3. სასკოლო კულტურაზე.

შემოთავაზებულია ხედვა – დისტანციური სწავლება დავინახოთ არა მხოლოდ კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლად, არამედ კატალიზატორადაც, რომელსაც სისტემაში დაწყებული რეფორმების დაჩქარება შეუძლია. აქვე შემოთავაზებულია პრაქტიკული რჩევები, რომლებიც მასწავლებლებს დისტანციურ რეჟიმში სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაში დაეხმარება.

ვიდრე ამ საკითხების განხილვას დავიწყებთ, მოკლედ განვმარტოთ, რას მოიაზრებს ტერმინი „დისტანციური სწავლება“, რა ადგილი უჭირავს ტექნოლოგიებს მასთან მიმართებით და რომელ თეორიულ საფუძვლებს ემყარება სწავლების ეს ფორმა.

## *დისტანციური სწავლების დეფინიცია*

დისტანციური სწავლების არსის განმარტებისას, როგორ წესი, სამ მახასიათებელს გამოყოფენ, ესენია:

1. განათლების ინსტიტუციური ფორმა;
2. ფორმალური განათლება, როცა მოსწავლეები ერთმანეთისგან ფიზიკურად იზოლირებული არიან;
3. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაცია თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით.

## *დისტანციური სწავლება და ტექნოლოგიები*

დისტანციურ სწავლებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტექნოლოგიებს. მას ფესვები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ეძებნება, კერძოდ, 1830-40-იანი წლების შვედეთსა და ინგლისში. ამ პერიოდში დისტანციური სწავლებისთვის XIX საუკუნის ტექნოლოგიური მიღწევები – ტელეგრაფი და ფოსტა გამოიყენებოდა. ტექნოლოგიების თანდათანობით განვითარებასთან ერთად დისტანციური სწავლების ფორმებიც იხვეწებოდა. მაგალითად, რადიოსა და ტელევიზიის ფართოდ გავრცელებამ, ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. 90-იან წლებში კი ინტერნეტის გამოგონებამ დისტანციური სწავლების იდეა უფრო პოპულარული გახადა.

## *თეორიული საფუძვლები*

განათლების სპეციალისტებისთვის დისტანციური სწავლება საინტერესოა არა იმდენად ტექნოლოგიების ინტეგრირების, რამდენადაც იმ პოტენციალის გამო, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს განათლების სისტემის გარდაქმნის პროცესში[1].

ეს გარდაქმნები, რომლებიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარეობს, სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს:

1. **გარდაქმნები სწავლა-სწავლების კონცეფციასთან დაკავშირებით** – ეს არის მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლის მეთოდებიდან სვლა კონსტრუქტივისტული პრინციპებისკენ;
2. **გარდაქმნები სასწავლო პროგრამების დონეზე** – ეს არის შინაარსსა და მოკლევადიან შედეგებზე ორიენტირებიდან სვლა პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმებისკენ;
3. **გარდაქმნები სკოლის, როგორც ორგანიზაციის დონეზე** – ფორდისტული და ნეოფორდისტული პარადიგმიდან სვლა პოსტფორდისტული მიდგომებისკენ.

საქართველოში განათლების რეფორმა ორ ათეულ წელზე მეტს ითვლის და ყველა ზემოაღნიშნული მიმართულებით, სისტემის გარდაქმნას ისახავს მიზნად. გამომდინარე აქედან, ფრიად აქტუალურია განათლების სისტემაში დისტანციური სწავლების ადგილის განხილვა და მისი მოსალოდნელი ეფექტის შეფასება.

---

1. სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც წესი, 3 განსხვავებულ აქცენტს გამოკვეთენ: დისტანციური სწავლა-სწავლება, როგორც ინდივიდუალური მიდგომების გამოკვეთის საშუალება;

- დისტანციური სწავლა-სწავლება, როგორც სკოლაში ადმინისტრირების პროცესის გამარტივების საშუალება (ინდუსტრიული მოდელი);
- დისტანციური სწავლა-სწავლება, როგორც კომუნიკაციის საშუალება – ამ შემთხვევაში, ავტორები, დისტანციურ სწავლებას კომუნიკაციის თეორიის ნაწილად განიხილავენ.

რეალურ პრაქტიკაში, ეს 3 თეორიული მოდელი არ განიხილება ერთმანეთისგან იზოლირებულად. როგორც წესი, დისტანციური სწავლების ეფექტი სამივე მიმართულებით აისახება.

მიმდინარე ეტაპზე განათლების რეფორმა ასოცირდება პროექტ „ახალი სკოლის მოდელთან“. პროექტი 315 სკოლაში მიმდინარეობს და 2024 წლის ბოლომდე ყველა სკოლას მოიცავს. შექმნილ ვითარებაში დისტანციური სწავლება „ახალი სკოლის მოდელის“ ნაწილია, თუმცა დისტანციური სწავლება განიხილება არა მხოლოდ როგორც კრიზისულ ვითარებაში იძულებით გამოსაყენებელი ინსტრუმენტი, არამედ როგორც დასახული მიზნების მიღწევის საშუალებაც.

ქვემოთ განხილულია, საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის არსი (ზემოთ ხსენებული სამი მიმართულებიდან გამომდინარე) და ამ კუთხით არის გაანალიზებული დისტანციური სწავლების როლი და პოტენციალი.

## 1. სწავლა-სწავლების მეთოდები – მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლის მეთოდებიდან სვლა კონსტრუქტივისტული პრინციპებისკენ

60-იანი წლებიდან კონსტრუქტივისტული მიდგომები კოგნიტური ფსიქოლოგიის განვითარებასთან ერთად უალტერნატივო გახდა. მისი არსი და განსხვავებულობა, წინამორბედ საგანმანათლებლო პარადიგმასთან მიმართებით, ადვილად შეიძლება აღიწეროს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული 5 საგანმანათლებლო პრინციპის საშუალებით (აქტიური სწავლა; ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით; ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება; სწავლის სწავლა; ცოდნის სამი კატეგორია).

მაშასადამე, რეფორმის მიზანია:

- მოსწავლე ჩართული იყოს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში და არ იყოს პასიური მსმენელი (**აქტიური სწავლა**);
- მოსწავლეს ახალი ცოდნა მიეწოდებოდეს არა ერთბაშად, მომზადების გარეშე, არამედ თანდათანობით მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით (**ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით**);
- მოსწავლე იღებდეს არა დაქსაქსულ და დანაწევრებულ ინფორმაციას, არამედ ამ ინფორმაციას იაზრებდეს და უკავშირებდეს ადრე ნასწავლს (**ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**);
- ყურადღება გამახვილდეს სწავლის სტრატეგიებზე (**სწავლის სწავლა**);
- ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე, არამედ ნასწავლის ცხოვრებასთან დაკავშირებაზე (**ცოდნის სამი კატეგორია**).

ამ პრინციპების პრაქტიკული რეალიზებისთვის „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში შექმნილია მთელი რიგი ინსტრუმენტები, რომელთა ერთ-ერთი მიზანი, მასწავლებლისთვის კომპლექსური დავალების პირობის შექმნისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების სწავლებაა.

კომპლექსური დავალება არის შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც ქმნის მოსწავლე და შედეგად ადასტურებს საკუთარ ცოდნას. სწორედ ამ ტიპის დავალებებით არის შესაძლებელი, ზემოაღნიშნული პრინციპების პრაქტიკული რეალიზება.

როგორ შეუძლია შეცვალოს კომპლექსურ დავალებას სწავლა-სწავლების პროცესი? ამ შეკითხვაზე საპასუხოდ განვიხილოთ სასწავლო პროცესისთვის ერთი ტიპური საკითხი – თამარ მეფის საშინაო პოლიტიკა და მისი სწავლა-სწავლების შესაძლო მეთოდები.

ამ საკითხის სწავლების ალტერნატივის საჩვენებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩინური გამონათქვამი:

„მითხარი და დამავიწყდება,
მაჩვენე და დავიმახსოვრებ,
გამაკეთებინე და გავიგებ“.

**ა) „მითხარი და დამავიწყდებას“ რეჟიმში** ამ საკითხის სწავლება შეგვიძლია ასე დავახასიათოთ: მასწავლებელი ლექციის ფორმატში უყვება მოსწავლეებს თამარის მეფობისა და მოღვაწეობის შესახებ, ფრონტალური შეკითხვების რეჟიმში ახსენებს მათ წინარე საკითხებს; შემდეგ კი სახელმძღვანელოდან სასწავლად აძლევს პარაგრაფს თამარ მეფესთან დაკავშირებით. მომდევნო გაკვეთილზე რამდენიმე მოსწავლე ჰყვება გაკვეთილს, რასაც მოსდევს მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები პარაგრაფში გამოკვეთილი ცალკეული საკითხების შესახებ.

ასეთ დროს:

| **საგანმანათლებლო პრინციპები** | **„მითხარი და დამავიწყდებას“ რეჟიმში** |
|---|---|
| **აქტიური სწავლა** | მასწავლებელი აქტიურია, მოსწავლე პასიური მსმენელის როლშია. მოსწავლეთა უმრავლესობა პრაქტიკულად არ არის ჩართული სასწავლო პროცესში;<br>სასწავლო პროცესი არ ასოცირდება შემოქმედებითობასთან. |
| **ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით** | ახალი მასალის ახსნის პროცესი ორიენტირებულია მასწავლებელზე:<br>• მასწავლებელი ყველა მოსწავლეს აცნობს ერთსა და იმავე რესურსს,<br>• ერთნაირად უხსნის ახალ მასალას,<br>• გამოკვეთს შესასწავლი საკითხისთვის და არა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამის შეკითხვებს. |
| **ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება** | გაკვეთილებზე დამუშავებული სასწავლო მასალა სუსტად უკავშირდება სხვა, მათ შორის, მანამდე ნასწავლ საკითხებს და ცხოვრებისეულ გამოცდილებას; არ ხდება მასალის სიღრმისეული გააზრება;<br>არ არის მკაფიო გრძელვადიანი მიზანი, რისთვისაც ისწავლება ეს საკითხი. |
| **სწავლის სწავლა** | აქცენტი არის მხოლოდ იმაზე, თუ რას სწავლობს მოსწავლე და არა – როგორ სწავლობს, რა სტრატეგიებს იყენებს იგი საამისოდ. |
| **ცოდნის სამი კატეგორია** | აქცენტი კეთდება დასამახსოვრებელ მასალაზე (ფაქტობრივი ინფორმაცია თამარ მეფის შესახებ), გარკვეულწილად – პროცედურებზე (მსჯელობა მიზეზშედეგობრივი კავშირების შესახებ), მაგრამ ნაკლები ყურადღება ეთმობა მასალის რეალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირებას. |

„მაჩვენე და დავიმახსოვრებ“ რეჟიმში – ამ საკითხის სწავლება შეგვიძლია ასე დავახასიათოთ: მასწავლებელი მოსწავლეებს მრავალფეროვან რესურსებზე დაყრდნობით უხსნის ახალ მასალას; კერძოდ, უჩ-

ვენებს ილუსტრაციებს, ფრაგმენტებს ვიდეორესურსიდან, აწვდის დამატებით ინფორმაციას (ნაწყვეტებს სხვადასხვა წყაროდან) და სხვადასხვა ისტორიკოსის შეფასებას თამარის შესახებ და ა.შ.; სვამს მაღალ სააზროვნო უნარებზე ორიენტირებულ შეკითხვებს; მოსწავლეებს სთხოვს, მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია თამარზე და ციფრულ ფორმატში, პრეზენტაციის რეჟიმში „პროექტის" სახით წარმოადგინონ. მომდევნო გაკვეთილზე რამდენიმე მოსწავლე წარადგენს პრეზენტაციას თამარის შესახებ, მასწავლებელი ცდილობს, დამატებითი შეკითხვებით ამოწუროს მასალა.

ასეთ დროს, მიუხედავად სასწავლო პროცესის განსხვავებული დეკორისა, პარადიგმული თვალსაზრისით, ბევრი არაფერი იცვლება. აქ კვლავაც:

| **საგანმანათლებლო პრინციპები** | **„მაჩვენე და დავიმახსოვრებ" რეჟიმში** |
|---|---|
| **აქტიური სწავლა** | მასწავლებელი აქტიურია (შესაძლოა, უფრო მეტად აქტიური, ვიდრე პირველ შემთხვევაში), მოსწავლე პასიური მსმენელის როლშია;<br>მოსწავლეები უფრო მეტი ინტერესით ადევნებენ თვალს მიმდინარე პროცესს, თუმცა მათი უმრავლესობა ქმედებების დონეზე არ არის ჩართული სასწავლო პროცესში;<br>სასწავლო პროცესში მასწავლებელი შემოქმედებითია, თუმცა იგივე არ ითქმის მოსწავლეებზე. მათ მიერ მომზადებული პრეზენტაციები წარმოადგენს სახელმძღვანელოსა და სხვა დამატებით სასწავლო მასალაში მოცემული ინფორმაციის გადმოტანას ციფრულ ფორმატში. |
| **ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით** | ახალი მასალის ახსნის პროცესი ორიენტირებულია მასწავლებელზე:<br>მასწავლებელი ყველა მოსწავლეს გააცნობს ერთსა და იმავე რესურსს, ერთნაირად უხსნის ახალ მასალას,<br>გამოკვეთს შესასწავლი საკითხისთვის და არა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამის შეკითხვებს. |
| **ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება** | გაკვეთილებზე დამუშავებული სასწავლო მასალა მხოლოდ ნაწილობრივ უკავშირდება სხვა, მათ შორის, მანამდე ნასწავლ საკითხებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას;<br>არ ხდება მასალის სიღრმისეული გააზრება;<br>არ არის მკაფიო გრძელვადიანი მიზანი, რისთვისაც ისწავლება ეს საკითხი. |
| **სწავლის სწავლა** | აქცენტი არის მხოლოდ იმაზე, თუ რას სწავლობს მოსწავლე და არა – როგორ სწავლობს, რა სტრატეგიებს იყენებს იგი საამისოდ. |
| **ცოდნის სამი კატეგორია** | აქცენტი კეთდება დასამახსოვრებელ მასალაზე (ფაქტობრივი ინფორმაცია თამარ მეფის შესახებ), გარკვეულწილად – პროცედურებზე (მსჯელობა მიზეზშედეგობრივი კავშირების შესახებ); მაგრამ ნაკლები ყურადღება ეთმობა მასალის რეალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირებას. |

**„გამაკეთებინე და გავიგებ რეჟიმში“** ამ საკითხის სწავლება შესაძლებელია სხვადასხვაგვარად. „ახალი სკოლის მოდელისთვის“ ტიპურია ასეთი სურათი: შესასწავლი საკითხის დაანონსებისთანავე, მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს კომპლექსური დავალების პირობას. მაგალითად:

| |
|---|
| ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ გაეცანით უცნობი ავტორის ცნობებს, რომელშიც მოვლენები თამარ მეფის სასარგებლოდაა აღწერილი. წარმოიდგინეთ, რომ ხართ თამარის ეპოქაში მცხოვრები მემატიანე, რომელიც კეთილგანწყობილია მეფის მოწინააღმდეგე ყუთლუ არსლანის მიმართ და მხარს უჭერს „ისნის კარვის“ დაარსებას. შექმენით მოკლე „მატიანე“, ყურთულუ-არსლანის დასის გამოსვლა, თამარ მეფის უცნობი მემატიანისგან განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოაჩინეთ.<br>ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:<br>1. საიდან გვაქვს ინფორმაცია თამარ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ? (**მკვიდრი წარმოდგენა 1**)<br>2. რა ტიპის ინფორმაციას გვაძლევს თამარ მეფის შესახებ სხვადასხვა ტიპის წყარო (მაგ.: „ქართლის ცხოვრება“, ლიტერატურული თხზულებები, ნუმიზმატიკური მონაცემები, ფრესკები)? (**მკვიდრი წარმოდგენა 2**)<br>3. რამდენად სანდოა „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ინფორმაცია ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლასთან დაკავშირებით? (**მკვიდრი წარმოდგენა 3**)<br>4. თამარის საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებულ რომელ საკითხებზე შეიძლება გაჩნდეს თამარის კარის ისტორიკოსისგან განსხვავებული მოსაზრება/შეფასება? (**მკვიდრი წარმოდგენა 4**) |

საკითხზე მუშაობა გრძელდება 5-6 გაკვეთილის განმავლობაში. მოსწავლეებმა ზუსტად იციან, თუ რა შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელად სჭირდებათ გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობები, რა პროდუქტის საშუალებით უნდა დაამტკიცონ საკუთარი ცოდნა. სამუშაო პროცესში მოსწავლეები ეცნობიან მიცემულ/მოძიებულ მასალას, სვამენ დამაზუსტებელ შეკითხვებს – კომპლექსური დავალების ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით. მასწავლებელი ამ შეკითხვებზე დაყრდნობით აკეთებს განზოგადებებს, რომლებიც ერთი მხრივ, აჯამებს ფაქტობრივ ცოდნას, მეორე მხრივ კი, სასწავლო პროცესს მიმართავს გრძელვადიანი სასწავლო მიზნისკენ. 5-6 გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეები წარადგენენ საკუთარ ნაშრომს, მასწავლებლებისგან და თანაკლასელებისგან იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს.

ასეთ დროს,

| **საგანმანათლებლო პრინციპები** | „გამაკეთებინე და გავიგებ“ რეჟიმში |
|---|---|
| **აქტიური სწავლა** | მოსწავლე აქტიურ შემოქმედებით პროცესშია ჩართული. მან წინდაწინვე იცის, რა პროდუქტი უნდა შექმნას შესასწავლ საკითხთან მიმართებით;<br>ამ პროდუქტზე მუშაობა მოსწავლისგან შემოქმედებითი ძალების მობილიზებას მოითხოვს. ყოველივე ეს ზრდის მის მოტივაციას. |

| | |
|---|---|
| **ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით** | კომპლექსური დავალების პირობა ფორმულირებულია იმგვარად, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს; კერძოდ, მოსწავლისთვის ცნობილია, რომ ერთსა და იმავე საკითხზე ადამიანებს შეიძლება სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდეთ. ოპოზიციური „მატიანეები“ ტელე თუ სოციალური მედიასიუჟეტების სახით მას არაერთხელ უნახავს;<br>სწავლა-სწავლების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ახალი ცოდნის დაშენება ამ ნაცნობ კონტექსტზე ხდება; კერძოდ, მოსწავლე თამარ მეფის შესახებ კრებს ინფორმაციას, რათა კომპლექსური დავალების პირობა დააკმაყოფილოს. ანუ ახალ ცოდნას აკავშირებს მიზნობრივად იმ კონტექსტთან, რომელიც მისთვის ნაცნობი ყოველდღიურობაა. |
| **ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება** | სასწავლო პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული რაკურსი, რომელზე ორიენტირებითაც შეისწავლიან თამარ მეფის მოღვაწეობას; გაიღრმავებენ ცოდნას იმ ფაქტორებთან დაკავშირებით, თუ<br>• რა შეიძლება განაპირობებდეს ამა თუ იმ წყაროს ტენდენციურობას;<br>• როგორ შეიძლება ყალიბდებოდეს სხვადასხვა მოსაზრება ერთსა და იმავე საკითხზე.<br>გამომდინარე აქედან, ზემოთ აღწერილი სასწავლო პროცესი მოსწავლის გონებაში დააჯგუფებს ყველა იმ ცოდნას, რომელიც წყაროების ავთენტურობასა და სანდოობას შეეხება. ამ კონტექსტში თამარ მეფისა და მისი ეპოქის შესახებ ცოდნაც უფრო სისტემური გახდება. |
| **სწავლის სწავლა** | კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი გრძელდება 5-6 გაკვეთილის განმავლობაში. ამ პერიოდში თითოეული მოსწავლე მასწავლებლისგან რეგულარულად იღებს განმავითარებელ უკუკავშირს. ყურადღებას ამახვილებს არამარტო შესასწავლ მასალასთან დაკავშირებულ ნიუანსებზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ უნდა შეისწავლონ ეს მასალა (მაგ. რა სტრატეგიებით უნდა წავიკითხოთ წყარო? – გამოვყოთ პერსონალიები და ტოპონიმები, განვსაზღვროთ ავტორის ვინაობა და მოტივაცია, ყურადღება მივაქციოთ, რა წყაროებიდან აქვს მას ინფორმაცია შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით და ა.შ.) |
| **ცოდნის სამი კატეგორია** | სასწავლო პროცესში აქტიურად მუშავდება ცოდნის სამივე კატეგორია (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული): |

| | |
|---|---|
| | • <u>დეკლარატიული ცოდნა</u> – განიხილება ძალიან კონკრეტული ფაქტობრივი მასალა თამარ მეფის მოღვაწეობის შესახებ. მასწავლებელი არ იფარგლება მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემული მასალით და სთავაზობს ადაპტირებულ ტექსტს „ქართლის ცხოვრებიდან“, რომლის ოპოზიციურ „მატიანესაც“ ქმნის მოსწავლე.<br>• <u>პროცედურული ცოდნა</u> – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას იკვეთება მრავალი სადისკუსიო საკითხი. გამომდინარე აქედან, მოსწავლეები გამუდმებით მსჯელობენ, სვამენ შეკითხვებს, აზოგადებენ გაკვეთილზე დამუშავებულ ინფორმაციას.<br>• <u>პირობისეული ცოდნა</u> – კომპლექსური დავალების პირობა ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ მოსწავლეს დღეს არსებულ პოლიტიკურ ცხოვრებასთან უჩნდება ასოციაცია. ის ძალაუნებურად უკავშირებს თამარის ეპოქას დღეს მიმდინარე, მისთვის ცნობილ მოვლენებს (მაგ. დაპირისპირება მთავრობასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის). |

განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიზანი სწორედ მესამე ტიპის („გამაკეთებინე და გავიგებ“), კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე ორიენტირებული პედაგოგიკის დანერგვაა საკლასო ოთახში. თუმცა, იკვეთება მთელი რიგი გამოწვევები, რომლებიც სასურველი ცვლილებების განხორციელებას უშლის ხელს. დისტანციური სწავლება კი გამოკვეთს ფაქტორებს, რომლებიც ბუნებრივად განაპირობებს რეფორმის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევას:

### *ფაქტორი 1 – დრო და სივრცე*

კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვის თვალსაზრისით არსებული გამოწვევების ფორმირებაში არცთუ უმნიშვნელო როლი უჭირავს ტრადიციულ საკლასო გარემოს, სადაც მასწავლებელზე ორიენტირებული პრაქტიკაა დომინანტი, სადაც ზარი ირეკება 45 წუთში, ყოველდღე ტარდება 6 გაკვეთილი, მასწავლებლისთვის ორგანიზებულია კათედრის ტიპის სივრცე, მოსწავლეები სხედან მიჯრით მიწყობილ მერხებთან და ა.შ..

დისტანციურ რეჟიმში ეს ფაქტორები ბუნებრივად უქმდება; მოსწავლეც და მასწავლებელიც აღმოჩნდებიან რეჟიმში, სადაც განსხვავებული ვითარებაა: იცვლება დროისა და სივრცის ჩვეული აღქმა, მოსწავლეს შეუძლია საგაკვეთილო პროცესში სხვადასხვა ლოკაციიდან ჩაერთოს, გაკვეთილის დრო და ხანგრძლივობაც ცვალებადია.

ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციების საფუძველზე განათლების სამინისტრომ შეიმუშავა რეკომენდაციები სკოლებისთვის, რომლითაც განისაზღვრა გაკვეთილზე გატარებული ასტრონომიული საათების მაქსიმალური რაოდენობა მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით:

I-IV კლასები – 1 საათი
V-IX კლასები – 1.5 საათი
X-XIIკლასები – 2 საათი
ონლაინგაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა კი არის შემდეგი:
I-IV კლასები – 15-20 წუთი
V-IX კლასები – 25-20 წუთი
X-XII კლასები – 35-40

უმეტეს საგანში ეს განახევრებულ საათობრივ დატვირთვას ნიშნავს. თუმცა, არ არის აუცილებელი, მოსწავლეებთან საკონტაქტოდ მხოლოდ ის დრო მოვიაზროთ, რომელიც ონლაინ-შეხვედრებისთვისაა გამოყოფილი.

იმ შემთხვევაში, თუკი სასწავლო პროცესი კომპლექსურ დავალებებს დაეფუძნება, ისინი შეესაძლოა მასწავლებლისა და მოსწავლისთვის ინდივიდუალური დიალოგის პლატფორმად იქცეს: ახალ საკითხზე გადასვლისთანავე, მოსწავლეებს ეცოდინებათ, რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით შეიძლებენ საკუთარი ცოდნის დაადასტურებას; რომელი რესურსების გამოყენება შეუძლიათ მათ ამ საკითხზე მუშაობისას; საგაკვეთილო პროცესი, ძირითადად, შეიძლება დაეთმოს მოსწავლეეთა დაკვალიანებას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაგეგმვისთვის. შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის პროცესი კი შეიძლება მიმდინარეობდეს დამოუკიდებლადაც. გარდა საგაკვეთილო დროისა, მასწავლებელს შეუძლია დანიშნოს საკონსულტაციო საათი, ან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით (მაგ. ტელეფონით, იმეილით) დაეკონტაქტოს მოსწავლეს – გაესაუბროს, თუ როგორ მიმდინარეობს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი. მოსწავლეებმა კი დამატებითი საკომუნიკაციო საათი გამოიყენონ მასწავლებლებისთვის შეკითხვების დასასმელად.

### *ფაქტორი 2 – მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა*

განათლების რეფორმისთვის მეორე პრობლემაა ის, რომ რთულია მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ტრადიციული ურთიერთობის რეჟიმის შეცვლა. მათთვის ძნელია, მასწავლებლის, როგორც მენტორის, სტატუსის შეცვლა და მოსწავლეზე ინიციატივის გადატანა.

დისტანციურ რეჟიმში ურთიერთობათა ძველი მოდელი ბუნებრივად კრიზისულ ვითარებაში აღმოჩნდება. მასწავლებლისთვის პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება საკლასო სივრცის ძველებურ რეჟიმში მართვა. მიუხედავად დისტანციურობისა, პედაგოგი უფრო მეტად რჩება პირისპირ ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებთან, მოსწავლე კი – საკუთარ პასუხისმგებლობებთან.

მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრიდან ამ გამოწვევების მიღების შემთხვევაში მათ შორის ყალიბდება თანამშრომლობითი გარემო, მეგობრული ტონი, პოზიტიური ემოციები.

სწავლა-სწავლების პროცესში ყველაზე რთული მოსწავლეთა ჩართულობის მიღწევაა. მასწავლებელს დიდი ძალისხმევა სჭირდება იმისთვის, რომ მოსწავლემ არსებითი შეკითხვები დასვას, რომლის მიმართაც გულწრფელი ინტერესი ექნება.

როგორ შეიძლება სასწავლო პროცესში კომპლექსურ დავალებაზე დაყრდნობით მოსწავლის ჩართულობის მიღწევა? საამისოდ საკმარისია მხოლოდ ის, რომ მოსწავლეებს სათანადოდ (საკითხთან დაკავშირებული და მოსწავლის ინტერესების შესაბამისი) შერჩეული კომპლექსური დავალება მივაწოდოთ და განვუმარტოთ, რომ მას აუცილებლად მოუწევს საკუთარი ნაშრომის პრეზენტაცია.

საქმე ისაა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს შემოქმედებითი ძალების მობილიზაციას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ნაშრომი სათანადოდ არ არის შესრულებული, ის კარგი საშუალებაა მოსწავლეზე ინიციატივის გადასაბარებლად. მოსწავლე ავტომატურად აღმოჩნდება შემდეგი შეკითხვების წინაშე:

- რას გულისხმობს ეს პროდუქტი?
- რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი?
- როგორ შემიძლია ამ დავალების შესრულება?
- სად მოვიპოვო დავალების შესრულებისთვის საჭირო რესურსები?
- მივდივარ თუ არა მართებული გზით?
- რა კრიტერიუმებით შევფასდები? და სხვა.

ამ ტიპის კითხვების დღის წესრიგში შემოტანა იწვევს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობათა რეჟიმის შეცვლასაც, ირღვევა ის ბარიერები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, მათ შორის არსებობს. კომუნიკაცია უფრო უშუალო და ინტენსიურია, სცდება საგაკვეთილო რეჟიმის ფარგლებს.

ამ პროცესის სათანადოდ უზრუნველსაყოფად, მასწავლებელს დასჭირდება ორადორი რამ:

ა) უზრუნველყოს შესაბამისი დროისა და სივრცის გამოძებნა (იქნება ეს ონლაინ გაკვეთილზე, საკონსულტაციო საათის დროს, დამატებით სატელეფონო საუბრისას, იმეილით თუ სხვა საშუალებით);

ბ) უზრუნველყოს პოზიტიური ატმოსფეროს შექმნა; მოსწავლეებს ესაუბროს მეგობრულად, რათა მათ იგრძნონ მხარდაჭერა და შემდგომი შეკითხვების დასასმელად გაუჩნდეთ მოტივაცია.

### *ფაქტორი 3 – მეთოდოლოგიური გამოწვევები*

განათლების რეფორმირებისას არცთუ იშვიათად ვხვდებით მოტივირებულ მასწავლებლებს, რომლებიც მეთოდოლოგიურ სიახლეებს მიესალმებიან და სადემონსტრაციოდ მათ პრაქტიკულ გამოყენებასაც ახერხებენ. თუმცა, როგორც წესი, ძალიან ძნელია ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში ამ ნოვაციების დანერგვა. ამის მიზეზია ის, რომ ყოველდღიური სასკოლო რუტინა არ გამოკვეთს ამ მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობას.

დისტანციურ რეჟიმში სწავლა-სწავლების ტრადიციული ფორმები (ფრონტალური კითხვები, გაკვეთილის ახსნა, მოყოლა და სხვა) აშკარად გამოუსადეგარია, ამიტომ პრიორიტეტულია, სხვაგვარი ხერხებით ჩანაცვლება.

ზემოთ აღინიშნა, რომ დისტანციური სწავლებისას მთავარი რეკომენდაციაა სასწავლო პროცესის კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნება. ქვემოთ ჩამოთვლილია ის ნიუანსები, რომლებიც კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში უნდა იყოს გათვალისწინებული.

**ა) კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში მიმდინარეობს** – „ახალი სკოლის მოდელში“ კომპლექსური დავალება შუალედური მიზნის როლს ასრულებს, რომელზე მუშაობასაც რამდენიმე გაკვეთილი ეძღვნება. სწავლა-სწავლების პროცესი სხვა არაფერია, თუ არა სვლა ერთი კომპლექსური დავალებიდან მეორისკენ, მეორედან – მესამისკენ, მესამიდან – მეოთხისკენ და ა.შ.

ეს მასწავლებლისთვის უპირატესობაა გამომდინარე იქედან, რომ კონცენტრირდება ერთ კონკრეტულ საკითხზე. ამავე დროს, მოსწავლისთვისაც და მასწავლებლისთვისაც უფრო გასაგებია, რაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს სწავლება და შეფასება.

**ბ) კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლეთათვის ცნობილი უნდა იყოს საგნობრივი საკითხის დაანონსებისთანავე** – მასწავლებელი წინდაწინვე უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა მოსწავლემ იცის, თუ რისთვის / რა კომპლექსური დავალების შესასრულებლად სჭირდება მას საგნობრივი საკითხის / საკითხების შესწავლა;

მოსწავლეები, რომლებმაც ზუსტად იციან რა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა ევალებათ (ანუ მათთვის ცნობილია, რა მიზნით სწავლობენ და ახორციელებენ ამა თუ იმ აქტივობას), უფრო მეტად იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე, მეტად ამჟღავნებენ მოტივაციასაც.

**გ) სწავლა-სწავლების პროცესში ყველა აქტივობა მიმართულია იმისკენ, რომ მოსწავლეებს კომპლექსური დავალების შესრულებაში დაეხმაროს** – განხორციელებული აქტივობები უნდა წარმოადგენდეს მასწავლებლის პასუხს შეკითხვაზე – რას ვაკეთებ სწავლა-სწავლების პროცესში იმისათვის, რომ ჩემმა მოსწავლეებმა კომპლექსური დავალება შეასრულონ;

დ) **კომპლექსური დავალება უნდა შეასრულოს კლასში ყველა მოსწავლემ** – ყველა ბავშვი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მასწავლებელი მას შესრულებული კომპლექსური დავალების შესახებ ჰკითხავს და მიაწვდის სათანადო უკუკავშირს;

**ე) კომპლექსურ დავალებას მოსწავლე წარადგენს ინდივიდუალურად** – კომპლექსური დავალების შესრულება შესაძლებელია გაკვეთილზე ან დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; თუმცა, დასრულებული ნაშრომი ყველა მოსწავლემ ინდივიდუალურად უნდა წარადგინოს;

**ვ) სასურველია კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად** – კლასში მოსწავლეებმა შეიძლება იმუშავონ სხვადასხვა კომპლექსურ დავალებაზე, ან ერთი და იმავე დავალების სხვადასხვაგვარად ადაპტირებულ ვარიანტზე, თუმცა, ყველა მათგანი ერთსა და იმავე საკითხს უნდა ეხებოდეს.

### *ფაქტორი 4 – შეფასება*

განათლების რეფორმის პროცესში შეფასების კომპონენტთან დაკავშირებული ცვლილებები, როგორც წესი, ძნელად ხორციელდება. მასწავლებლებსა და მშობლებს უჭირთ განმსაზღვრელთან შედარებით განმავითარებელი შეფასების უპირატესობის დანახვა. სწავლა-სწავლების პროცესში განხილვის მთავარი საგანია ნიშანი, რომლის დაწერის პრინციპებიც, უმეტეს შემთხვევაში, ბუნდოვანია.

დისტანციურ რეჟიმში ყველასთვის მკაფიო და ერთმნიშვნელოვანია ნიშნიანი შეფასების კრიზისი. მშობლებისთვის სასწავლო პროცესი გახდა უფრო გამჭვირვალე, რაც გამორიცხავს იმ ფორმალიზმებს, რომელთანაც განმსაზღვრელი შეფასებაა დაკავშირებული.

გამომდინარე აქედან, მასწავლებლები ავტომატურად გადადიან ძიების პროცესში, თუ რომელი კრიტერიუმების მიხედვით უნდა შეაფასონ მოსწავლის მიღწევები.

| |
|---|
| კომპლექსური დავალება შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის.<br>**განმავითარებელი შეფასება** გულისხმობს თითოეულ მოსწავლესთან დიალოგს კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებით – იმის აღნიშვნას, თუ რა შეძლო მოსწავლემ, რა აქვს გასაუმჯობესებელი. ცხადია, ამ შემთხვევაში პრიორიტეტულია საკითხი, თუ როგორ უნდა მივაწოდოთ უკუკავშირი მრავალ მოსწავლეს.<br>ყველა მოსწავლისგან დავალების მისაღებად და შემდგომ უკუკავშირისთვის შეიძლება გამოიყენონ შემდეგი პრაქტიკაც: მოსწავლეებს ეგზავნებათ ქვემოთ მოცემული ბარათი. ბარათი მოსწავლემ შეიძლება შეავსოს ელექტრონულად, ან პასუხები გამოგზავნოს აუდიოჩანაწერის სახით. ეს ბარათი შესაძლოა, მასწავლებლისთვის დამატებითი შეკითხვების დასმისა და განმავითარებელი კომენტარის გაკეთების საფუძველი გახდეს. |

| |
|---|
| **მოსწავლის სახელი და გვარი** |
| **აღწერე, რა პროდუქტი შექმენი (შეეცადე აღწერილობა იყოს მაქსიმალურად დეტალური)**<br>პირველ შეკითხვაზე მოსწავლის მსჯელობა მასწავლებელს მისცემს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ:<br>• რამდენად სწორად გაიგო დავალების პირობა;<br>• რის შექმნისკენ იყო მიმართული მოსწავლის ყურადღება ბოლო რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში;<br>• რამდენად აქვს დავალებას დასრულებული სახე<br>• რამდენად სერიოზულად მოეკიდა მოსწავლე მასწავლებლის მიერ შესრულებულ დავალებას. |
| **ახსენი, რომელი საკითხების ცოდნა გამოგადგა დავალების შესრულებისას.**<br>მეორე შეკითხვაზე მოსწავლის მსჯელობა მასწავლებელს მისცემს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ:<br>• რამდენად გაეცნო მოსწავლე შესასწავლ მასალას (ანუ საგნობრივ საკითხს, რომლის შესახებ ცოდნის დემონსტრირებაც კომპლექსური დავალების საშუალებით ევალებოდა);<br>• რამდენად დაუკავშირა ეს საკითხები ერთმანეთს და კომპლექსური დავალების პირობას.<br>**რა გაიგე ახალ დავალებაზე მუშაობის პროცესში?**<br>**დამატებით კიდევ რის გაგებას ისურვებდი ამ საკითხთან დაკავშირებით?**<br>მესამე შეკითხვაზე მოსწავლის მსჯელობა მასწავლებელს მისცემს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ:<br>• რამდენად დააინტერესა შესასწავლმა საკითხმა მოსწავლე;<br>• რამდენად ღრმად გაიაზრა შესასწავლი მასალა; |

**შეაფასე საკუთარი თავი.**

**რამდენად კარგად გაართვი თავი მოცემულ დავალებას – მეტი დრო რომ გქონდეს დავალებაზე მუშაობისთვის, რას გააუმჯობესებდი?**

მეოთხე შეკითხვაზე მოსწავლის მსჯელობა მასწავლებელს მისცემს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ:

- რას ნიშნავს მოსწავლისთვის კარგად შესრულებული დავალება?
- რა კრიტერიუმებს წამოსწევს წინ სწავლა-სწავლების პროცესის შეფასებისას და რამდენად უკავშირებს შესასწავლ მასალას საკუთარ წინარე ცოდნასა და გამოცდილებას?

**განმსაზღვრელი შეფასება**

სწავლა-სწავლების პროცესის კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნების შემთხვევაში იოლად გვარდება განმსაზღვრელ შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემებიც. მით უფრო, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია სემესტრული ქულის გამოთვლა მხოლოდ შემაჯამებელი/კომპლექსური ხასიათის დავალებების საფუძველზე.

კომპლექსური დავალების პირობა შესასწავლ საგნობრივ საკითხთან მიმართებით ყალიბდება. თუკი მოსწავლე სემესტრის განმავლობაში 3-4 კომპლექსურ დავალებას ასრულებს, ნებისმიერ მათგანს შეიძლება მიენიჭოს შემაჯამებლის სტატუსი.

.....

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ: განათლების რეფორმისას მთავარი პრობლემა ყოველთვის არის ის, რომ „მიწოდება“ აჭარბებს „მოთხოვნას“. განათლების სისტემა არის ერთადერთი სფერო, სადაც თეორეტიკოსები იშვიათად არიან პრაქტიკოსები, პრაქტიკოსები კი ერიდებიან თეორიულ განზოგადებებს. შესაბამისად, რეფორმის იდეები ჩნდება ექსპერტთა შორის და იშვიათად არის ნაკარნახევი სკოლის მასწავლებლების საჭიროებებიდან. სკოლა კონსერვატორული ორგანიზაციაა, რომელიც საკუთარი საჭიროებების კვლევისას უფრო პრაქტიკულ და მოკლევადიან მიზნებზე ორიენტირდება მაშინ, როცა არსებითი ცვლილებები გრძელვადიან მიზნებზე ფოკუსირებას მოითხოვს.

დისტანციური რეჟიმი ქმნის ერთგვარ ველს, სივრცეს, სადაც ნაკლებად მუშაობს ძველად აპრობირებული მიდგომები და ცვლილებებს გარდაუვალ პრაქტიკულ საჭიროებად აქცევს, ისეთ ვითარებაშიც კი, როცა დაბალია მასწავლებლების ციფრული კომპეტენცია; მთავარია, რომ მასწავლებლებმა დისტანციური სწავლება მიიღონ გამოწვევად და არა ალტერნატიულ დროებით რეჟიმად.

## 2. სასწავლო პროგრამები – შინაარსსა და მოკლევადიან შედეგებზე ორიენტირებიდან სვლა პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმებისკენ

საჯარო საყოველთაო განათლების სისტემა XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. ამ დროიდან სისტემის განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა და ვითარდებოდა სასწავლო პროგრამებიც. თანამედროვე მკვლევრები მათი განვითარების 3 ეტაპს გამოყოფენ:

**ა) შინაარსზე ორიენტირებული პროგრამები** – გულისხმობს პროგრამის სახით დამტკიცებულ საგნობრივ საკითხებს;

**ბ) მოკლევადიან მიზნებზე ორიენტირებული პროგრამები** – გულისხმობს სასწავლო პროგრამებს, სადაც მიზნობრივი ორიენტირების სახით განსაზღვრულია მრავალრიცხოვანი შედეგები და ინდიკატორები, რომლებიც წარმოაჩენენ არა მხოლოდ იმას, თუ რა უნდა ისწავლოს მოსწავლემ (როგორც ეს ხდება შინაარსზე ორიენტირების შემთხვევაში), არამედ იმ უნარებსაც, რომლებიც მოსწავლეს ამ ცოდნის დემონსტრირებისთვის დასჭირდება;

**გ) პროცესზე ორიენტირებული პროგრამები** – გულისხმობს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ პროგრამებს, რომლებშიც მიზნები მცირერიცხოვანია და ბევრ შემოქმედებით თავისუფლებას უტოვებს მასწავლებელს სწავლა-სწავლების პროცესის დასაგეგმად. ამ ტიპის პროგრამებს, როგორც წესი, კურიკულუმების სახელით იხსენიებენ და ხაზს უსვამენ, რომ მათი პრაქტიკული გამოყენებისას სასწავლო შედეგებზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს თავად სასწავლო პროცესს. ამ ტიპის პროგრამების მიზნები მასწავლებლებს მუდმივად თვალწინ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ მისი მიღწევის გზებს (საკუთარი სკოლის მოსწავლეების, სკოლის ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად) თავად უნდა არჩევდნენ.

განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიზანია, სწორედ შინაარსზე და მოკლევადიან შედეგებზე ორიენტირებული პროგრამის ჩანაცვლება, პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმებით. ამის უზრუნველყოფისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები განსაზღვრულია საფეხურის და არა წლების მიხედვით. „ახალი სკოლის მოდელში“ კი სამინისტრო მასწავლებლებს სთავაზობს დიზაინს, რომელიც მათ ორიგინალური სასკოლო კურიკულუმის შექმნაში ეხმარება.

ზემოაღნიშნულ პროგრამებს შორის არსებით განსხვავებას მიზნების რაობა და მათი ფორმულირების სტილი წარმოადგენს. შევადაროთ (ისტორიის მაგალითზე), თუ როგორ ორიენტირდება თითოეული მათგანი მიზანზე.

მაგალითად, ყველა ქვეყანასა და ყველა დროში ისტორიის სწავლა-სწავლება თუკი რაიმე მიზანს ისახავს, ერთ-ერთი ნამდვილად არის წყაროების კრიტიკულად გააზრების უნარის განვითარება.

**ა) შინაარსზე ორიენტირებული პროგრამების შემთხვევაში** წყაროებზე მუშაობა შესაძლებელია ახალი საკითხების დამატების ხარჯზე, მაგ. თუკი პოლიტიკური და სოციალური ისტორიის საკითხებით გაჯერებულ პროგრამას დაემატება წყაროებთან დაკავშირებული საკითხები (მაგ. ისეთები, როგორებიცაა: ბოლნისის სიონის წარწერა, „ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაი ქართლისაი“ ან ნუმიზმატიკური მონაცემები, არქეოლოგიური მონაცემები და სხვა).

ისე გამოდის, რომ თუ მოსწავლეს ცალკე საკითხად ექნება ნასწავლი სხვადასხვა წყაროს/წყაროების ტიპები, ეს იმის საფუძველიცაა, რომ ის ამ წყაროს შესახებ ცოდნას საგნის სხვა საკითხებსაც დაუკავშირებს (ესე იგი წყაროების კრიტიკულად გაანალიზებას შეძლებს). სამწუხაროდ, რეალობაში ასე არ ხდება. ბავშვები იღებენ დანაწევრებულ ცოდნას და არათუ წყაროების კრიტიკულ უნარს ვერ ივითარებენ, არამედ პოლიტიკური და სოციალური ისტორიის ფაქტებს შორისაც ვერ ხედავენ მწყობრ კავშირებს.

**ბ) მოკლევადიან შედეგებსა და ინდიკატორებზე ორიენტირებული პროგრამების შემთხვევაში** ზემოაღწერილი პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, სასწავლო პროგრამაშივე უნარების ენაზე აღიწერება შედეგები. სწორედ მათ განვითარებასთან არის დაკავშრებული წყაროების კრიტიკული ანალიზი. მაგალითად, პირველი თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, X კლასში მიზნობრივი ორიენტირი შემდეგი შედეგების სახით იყო ფორმულირებული:

| ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა | კომუნიკაცია |
|---|---|
| • მოსწავლე აანალიზებს და აფასებს ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის განსხვავებულ ინტერპრეტაციას;<br>• მოსწავლე აანალიზებს პირველად და მეორეულ წყაროებს;<br>• მოსწავლე გეგმავს და ატარებს ისტორიული კვლევას. | • მოსწავლე წერს ისტორიულ თემას |

ამას კი მოსდევდა ინდიკატორების მთელი სერია (41 ინდიკატორი), რომელიც შედეგების მიღწევას ადასტურებდა[2].

ამ შემთხვევაში თითქოს უფრო კონკრეტულად არის წარმოდგენილი, თუ რას გულისხმობს წყაროების კრიტიკული ანალიზი. კერძოდ, შედეგებსა და ინდიკატორებში დასახელებულია მოსწავლის ქცევები, რომლითაც მას წყაროების კრიტიკული ანალიზის კომპეტენციის დემონსტრირება შეუძლია, თუმცა საკითხზე ორიენტირებული პროგრამების ხარვეზებს ეს მხოლოდ ნაწილობრივ ასწორებს.

საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ისტორიის შესწავლისთვის საჭირო კომპეტენციები (შედეგები და ინდიკატორები) აღიწერება დანაწევრებულად, კლასების მიხედვით. თითქოს ისე გამოდის, რომ ჯერ ერთი მათგანი უნდა განვითარდეს, შემდეგ – მეორე, შემდეგ – მესამე. მაგალითად, ზემოთ მოცემულია შედეგები ისტორიულ წყაროებთან მუშაობასთან დაკავშირებით, მომდევნო XI კლასში კი გამოკვეთილია შედეგები, რომლებიც სოციალურ და პოლიტიკურ ისტორიას ეხება.

მაშასადამე, საკითხების დანაწევრებულად სწავლა-სწავლების კონცეფციას აქ ენაცვლება ხედვა კომპეტენციების დანაწევრებულად, თანამიმდევრობით განვითარებასთან დაკავშირებით. მოსწავლე, ამ შემთხვევაში, თითქოს საავტომობილო ქარხნის პერსონალს მოგვაგონებს, რომელმაც მანქანათმშენებლობის პრინციპების დასაუფლებლად ჯერ ერთი დეტალის აწყობა უნდა ისწავლოს, შემდეგ – მეორის და ა.შ.. სამწუხაროდ, ასე მექანიცისტურად, პიროვნული განვითარება შეუძლებელია.

ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ მასწავლებლებისთვის ბუნდოვანია, როგორ უნდა დაიგეგმოს სასწავლო პროცესი ამ ტიპის შედეგებსა და ინდიკატორებზე ორიენტირებით. აქ ერთმანეთისგან იზოლირებულად აღიწერება შედეგები, ინდიკატორები და შინაარსი (რომელზე დაყრდნობითაც უნდა მიაღწიონ შდეგებს), რაც მასწავლებლებს ძალიან აბნევს. პრაქტიკა აჩვენებს, რომ პედაგოგები დოკუმენტურ დონეზე ფორმალურად ადგენენ შესაბამისობებს სასწავლო პროცესში მიმდინარე აქტივობებსა და შედეგებს/ინდიკატორებს შორის. რეალური სწავლა-სწავლების პროცესი კვლავ სახელმძღვანელოს სარჩევზე დაყრდნობით იგეგმება. ამიტომაცაა, რომ ზემოთ ხსენებული ტიპის ე.წ. რალფ ტაილერისეულ სტანდარტებს ხშირად მექანიკურ და ბიუროკრატიულ საჭიროებებზე ორიენტირებულ პროგრამებად მოიხსენიებენ.

**გ) პროცესზე ორიენტირებულ პროგრამებში** მიზნობრივი ორიენტირების/შედეგების რაოდენობა უფრო მცირერიცხოვანია და ამ შედეგებზე მუშაობა გრძელდება მთელი საფეხურის განმავლობაში სხვადასხვა შინაარსობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მაგ. თუკი ისტორიაში შედეგია – მოსწავლემ უნდა შეძლოს წყაროს კრიტიკული გააზრება, საკუთარი მოსაზრებების წყაროების საფუძველზე დასაბუთება – იგი ძალაშია ყველა სავალდებულო თემასთან მიმართებით საბაზო საფეხურზე.

2. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2007, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. გვ. 126-130

გამოდის, რომ ყველა სასწავლო თემა, ერთსა და იმავე მიზნებზეა ორიენტირებული. ამ ტიპის შედეგები პედაგოგს დიდ შემოქმედებით თავისუფლებას აძლევს. ზემოაღწერილი შედეგების მისაღწევად, მასწავლებელს შეუძლია ისტორიიდან ნებისმიერი საკითხის გამოყენება. მაშინ, როცა პირველი და მეორე ტიპის პროგრამებში ის ამ თავისუფლებას მოკლებული იყო, შინაარსზე ორიენტირების შემთხვევაში გვაქვს საკითხების ზუსტი ჩამონათვალი, მოკლევადიანი შედეგების შემთხვევაში კი შინაარსის შემოსაზღვრული არეალი, რაც შედეგის მიღწევის წინაპირობაა.

პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმებს ზოგჯერ სამგანზომილებიან კურიკულუმებს უწოდებენ, როცა მას ორგანზომილებიანი კურიკულუმისგან განასხვავებენ. ამ უკანასკნელში (ორგანზომილებიან კურიკულუმებში) ცალ-ცალკეა ჩამოთვლილი შესასწავლი ფაქტები და უნარები, სამგანზომილებიან კურიკულუმებში კი შემოტანილია სამიზნე ცნებების ელემენტი, რომელიც სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმას განაპირობებს. მაგალითად, მესამე თაობის კურიკულუმში, შედეგებთან ერთად, განსაზღვრულია სამიზნე ცნებებიც, რომელთა გააზრებაც შედეგების მიღწევის წინაპირობაა. მაგ., ისტორიაში სულ 6 სამიზნე ცნებაა: წყარო, დრო, სივრცე, საზოგადოება, ძალაუფლება, ისტორიული მოვლენა, პროცესი. შედეგებთან ერთად, ამ სამიზნე ცნებების ყველა თემაში დამუშავება სავალდებულოა. ეს მასწავლებლისთვის უფრო მკაფიოს ხდის, თუ რის გააზრებასთან არის დაკავშირებული შედეგების მიღწევა.

| შინაარსზე ორიენტირებული | მოკლევადიან შედეგებსა და ინდიკატორებზე ორიენტირებული | პროცესზე ორიენტირებული |
|---|---|---|
| ორიენტირება შინაარსზე; შინაარსი მოცემულია საკითხების ჩამონათვალის სახით. | ორიენტირება ხდება მოკლევადიან მიზნებზე; მოკლევადიანი მიზნები მოცემულია უნარების ენაზე აღწერილი შედეგებისა და ინდიკატორების სახით (რიგ შემთხვევებში, სარეკომენდაციო შინაარსთან ერთადაც). | ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე.<br>შუალედური მიზნები, შესაბამის შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად. |

| | | |
|---|---|---|
| საბოლოო მიზნის მიღწევის გზად მიჩნეულია, მიზნობრივ ორიენტირებთან გაიგივებული საგნობრივი საკითხების ერთი მეორის მიყოლებით ამოწურვა. | საბოლოო მიღწევის გზად მიჩნეულია მისაღწევ შედეგებსა და ინდიკატორებზე იზოლირებულად მუშაობა კლასების/ სემესტრების/ ტრიმესტრების მიხედვით. | მიზნები მუშავდება ე.წ. სამგანზომილებიანი კურიკულუმით, ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. საბოლოოდ, მიზნის მიღწევის გზად მიჩნეულია, ცვალებადი შინაარსის მიხედვით, გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა. |
| პროგრამები ცენტრალიზებულია | მოჩვენებითი თავისუფლების მიუხედავად, პროგრამები ცენტრალიზებულია. მასწავლებელს შემოქმედებითი თავისუფლება რჩება მხოლოდ მოკლევადიან მიზნებთან შინაარსის მისადაგების საკითხში. | პროგრამებს ავითარებს სკოლა და მასწავლებელი; ისინი გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად აყალიბებენ შუალედურ მიზნებსაც და მასზე მუშაობისთვის საჭირო შინაარსებსაც. |

პროექტ „ახალი სკოლის მოდელში“ სამიზნე ცნებები საფეხურის დონეზე შემოსაზღვრულია მკვიდრი წარმოდგენებით. მასწავლებლებისთვის შეთავაზებულია კურიკულუმის სპეციფიკური დიზაინი, რომელშიც გრძელვადიანი მიზნები უკვე ჩამოყალიბებულია. ქვემოთ ახსნილია, თუ როგორ ეხმარება ეს დიზაინი მასწავლებელს პროცესზე ორიენტირებაში და ორიგინალური პროგრამების განვითარებაში.

**თემა – საქართველო შუა საუკუნეებში**[3] საათების სავარაუდო რაოდენობა –

**საკითხები და ქვეცნებები**[4]:

1.

2.

3. თამარ მეფის საშინაო პოლიტიკა (სამიზნე ცნება – „წყარო“, ქვეცნება – „მატიანე“)

4.

და სხვა.

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები**[5]

- შუა საუკუნეებში მემატიანეები სამეფო კარის პოზიციას გამოხატავდნენ;
- შუა საუკუნეების დამახასიათებელი იყო კონფლიქტი სამეფო ხელისუფლებასა და წარჩინებულებს

3. ეს თემა ხანგრძლივად მუშავდება. მისი გამოყოფა სავალდებულოა, რათა გაჩნდეს ველი, სადაც ყველა სამიზნე ცნება დამუშავდება.

4. ამ საკითხებზე დაყრდნობით, მუშავდება სამიზნე ცნება. მაგ. როდესაც საკითხად გამოტანილია – თამარ მეფის საშინაო პოლიტიკა (სამიზნე ცნება – „წყარო“, ქვეცნება – „მატიანე“) – ეს ნიშნავს, რომ თამარ მეფის საშინაო პოლიტიკა ერთ-ერთია იმ მრავალ საკითხთა შორის, რომელიც შუა საუკუნეების ფარგლებში მუშავდება და ის გამოყენებულია სამიზნე ცნება „წყაროს“ გასააზრებლად. ქვეცნება „მატიანე“ კი წარმოაჩენს, თუ რას გულისხმობს ეს სამიზნე ცნება თემის ფარგლებში.

5. განზოგადებები, რომლებამდეც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა მივიდეს. ის წარმოადგენს თემატური კონტექსტისა და სამიზნე ცნების ერთგვარ სინთეზს.

შორის

- და სხვა.

**თემატური საკვანძო შეკითხვები**[6]

- საიდან გვაქვს ინფორმაცია შუა საუკუნეების შესახებ? რამდენად სანდოა ეს წყაროები?
- და სხვა

| **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** (გრძელვადიანი სასწავლო მიზანი)[7] | **ქვეცნებები საკითხი/საკითხები და ქვეკითხები**[8] | **საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები**[9] | **კომპლექსური დავალება** (შუალედური სასწავლო მიზანი) |
|---|---|---|---|
| | საკითხი – თამარ მეფის საშინაო პოლიტიკა.<br>ქვესაკითხები:<br>ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა;<br>უგვაროთა აღზევება;<br>დემნა ბატონიშვილის აჯანყება;<br>გიორგი მესამის მმართველობა. | რამდენად სანდოა „ქართლის ცხოვრების“ ცნობები თამარ მეფის შესახებ? | |

6. მათზე მოსწავლე უნდა დაფიქრდეს თემატური ერთეულის სწავლა-სწავლების პროცესში. ამ შეკითხვების საშუალებით, თემატური კონტექსტი სამიზნე ცნებას უკავშირდება.

7. **პირველ ვერტიკალურ სვეტში მოცემულია სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები,** რომლებსაც გრძელვადიანი მიზნის სტატუსი აქვს მინიჭებული. გრძელვადიან მიზანს ასევე წარმოადგენს საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგები. სწორედ ამიტომ სამიზნე ცნებას ახლავს წითელი ფერით გამოყოფილი შედეგების ინდექსი. მაგ. სამიზნე ცნება „წყაროს“ ქვეშ მითითებული ნომრები – 1,2,5,6 – მიანიშნებს, თუ ეროვნული სასწავლო გეგმის რომელი შედეგების დამუშავებას გულისხმობს ცნება „წყაროზე“ მუშაობა.

8. კომპლექსური დავალება, რომელიც წარმოადგენს შუალედურ სასწავლო მიზანს. დავალების პირობაში მკაფიოდ ჩანს რა პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ *(თამარ მეფისადმი ოპოზიციურად განწყობილი მატიანე)* იმის დასადასტურებლად, რომ *საკითხი (თამარ მეფის საშინაო პოლიტიკა)* და მასთან ერთად, სამიზნე ცნების *(წყარო)* მკვიდრი წარმოდგენები გაითავისა. თითოეულ სამიზნე ცნებას ახლავს შეფასების კრიტერიუმები ქუდის ქვეშ: **ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ**. თითოეული კრიტერიუმს ფრჩხილებში მიწერილი აქვს, თუ რომელ მკვიდრ წარმოდგენას მიემართება.

9. ქვეცნება წარმოადგენს სამიზნე ცნების დაკონკრეტებას თემასთან/საკითხთან მიმართებით.

| | | |
|---|---|---|
| წყარო<br>შედეგები: საბაზო საფეხური: 1, 2, 5, 6<br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:<br>1) ინფორმაციას წარსულის შესახებ, ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;<br>2) წარსულის შესწავლისას, ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან;<br>3) ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის.<br>4)წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია. | **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br>**ეტაპი I[10] — კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**<br>• რა არის და რატომ იქმნება მატიანე?<br>• გაიხსენეთ შემთხვევა (საკუთარი ცხოვრებიდან, დღეს მიმდინარე პროცესებიდან, ისტორიიდან), როდესაც ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა მხარის მიერ განსხვავებულად აღიწერება და ფასდება.<br>• რა ფაქტორები განაპირობებს, ზოგადად, ადამიანების ტენდენციურობას?<br>**ეტაპი II — კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**<br>**რესურსი 1** – პარაგრაფი სახელმძღვანელოდან გიორგი მესამისა და თამარ მეფის შესახებ;<br>• ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ თამარის მოწინააღმდეგეები?<br>• რა შეიძლებოდა ყოფილიყო მათი უკმაყოფილების მიზეზი?<br>• თქვენი აზრით, როგორ დაასაბუთებდნენ თავიანთ უკმაყოფილებას?<br>**რესურსი 2** – „ქართლის ცხოვრების“ ადაპტირებული ტექსტი ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლასთან დაკავშირებით.<br>• როგორ ფიქრობთ, ვინ არის „ქართლის ცხოვრებიდან“ თამარის მეფობის შესახებ მონაკვეთის ავტორი? არის თუ არა ის ტენდენციური? რა ფაქტორები განაპირობებს მის ტენდენციურობას?<br>• თქვენ რომ იყოთ ისტორიკოსი, რომელიც თამარის მოწინააღმდეგეების პოზიციას გამოხატავს, რა ნიუანსებში არ დაეთანხმებოდით მას?<br>ეს სვეტი წარმოადგენს პასუხს შეკითხვაზე – რას ვაკეთებ მე, როგორც მასწავლებელი. იმისათვის, რომ ჩემმა მოსწავლეებმა კომპლექსური დავალება შეასრულონ. აქ გამოიყოფა ორი ეტაპი: | გაეცანით <u>ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის</u> შესახებ ***უცნობი ავტორის*** ცნობებს, რომელშიც მოვლენები თამარ მეფის სასარგებლოდაა აღწერილი. წარმოიდგინეთ, რომ ხართ თამარის ეპოქაში მცხოვრები მემატიანე, კეთილგანწყობილი, მეფის მოწინააღმდეგე ყუთლუ არსლანის მიმართ და მხარს უჭერთ „ისნის კარვის“ დაარსებას. შექმენით მოკლე „მატიანე“, სადაც <u>ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას</u> თამარ მეფის უცნობი მემატიანისგან განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოაჩენთ.<br>ნაშრომში ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:<br>1. საიდან გვაქვს ინფორმაცია თამარ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ? **(მკვ.1)**<br>2. რა ტიპის ინფორმაციას გვაძლევს თამარ მეფის შესახებ სხვადასხვა ტიპის წყარო (მაგ.: „ქართლის ცხოვრება“, ლიტერატურული თხზულებები, ნუმიზმატიკური მონაცემები, ფრესკები)? **(მკვ.2)**<br>3. რამდენად სანდოა „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ინფორმაცია ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლასთან დაკავშირებით? **(მკვ.3)**<br>4. თამარის საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებულ რომელ საკითხებზე შეიძლება გაჩნდეს თამარის კარის ისტორიკოსისგან განსხვავებული მოსაზრება/შეფასება? **(მკვ.4)** |

მაშასადამე, ზემოთ შემოთავაზებული ცხრილი მასწავლებელს სთავაზობს ჩარჩოს, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა-გააზრებაში დაეხმარება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, განათლების რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, შინაარსზე და მოკლევადიან მიზნებზე ორიენტირებული პროგრამები ჩანაცვლდეს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული კურიკულუმებით, რომლებიც სასწავლო პროცესს მოსწავლის პიროვნული განვითარებისკენ მიმართავს და არ დაამძიმებს მას ბიუროკრატიული ელემენტებით (ვგულისხმობთ მაგ. თემატურ-კალენდარულ გეგმებს, რომლებსაც უმეტესად საჩვენებელი ფუნქცია აქვს).

ტრადიციულ სასწავლო ვითარებაში ამ ცვლილების განხორციელება არ არის იოლი. მასწავლებლის გონებაში მყარად არის გამჯდარი ორი დებულება:

ა) სასწავლო პროგრამა გაიგივებულია სახელმძღვანელოს სარჩევთან; მათი ამოცანაა, სარჩევის სრულად გავლა. მასწავლებლები სასწავლო პროცესის მთავარ მაორგანიზებლად სახელმძღვანელოს მიიჩნევენ და არა – სწავლა-სწავლების მიზნებს;

ბ) ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სასწავლო პროცესის აღწერა, არის ადმინისტრაციული და არა პედაგოგიკური ბუნების ამოცანა. პედაგოგები ავსებენ სხვადასხვა დოკუმენტს და ამით ადასტურებენ საკუთარი პრაქტიკის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. თუმცა, ამ დოკუმენტებს ისინი განიხილავენ, როგორც ერთგვარ „ხარკს“ სკოლის ადმინისტრაციისა და განათლების სამინისტროს წინაშე და არა როგორც პედაგოგიკური პრაქტიკის სრულყოფის საშუალებას.

დისტანციურ რეჟიმში სწავლა-სწავლებას შემოაქვს ცვლადები, რომლებიც მასწავლებელს ბუნებრივად უბიძგებს კურიკულუმზე მუშაობისკენ:

1. ინიციატივის აღება სწავლა-სწავლების დაგეგმვის პროცესში – პანდემიის ვითარებაში, აშკარაა, რომ ვერაფრით მოხერხდება სახელმძღვანელოს სრულად გავლა. შესაბამისად, აქტუალურია თემა, თუ რომელ საკითხებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. მათი სელექციის კრიტერიუმებზე მსჯელობისას აქტიურდება დისკუსია სწავლა-სწავლების მიზნებთან დაკავშირებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მასწავლებელი იძულებულია, იზრუნოს საკუთარი ორიგინალური კურიკულუმის შექმნაზე, რომელიც მისი მოსწავლეების ინტერესებსა და შესაძლებლობებზე იქნება მორგებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწავლა-სწავლების პროცესი ჩაშლის საფრთხის წინაშე დადგება.

---

10. **I ეტაპზე** – <u>მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა</u> – იწერება აქტივობები, რომლებიც მასწავლებელმა განახორციელა იმისათვის, რათა მოსწავლეებს გაეგოთ, რა ევალებათ კომპლექსური დავალების ფარგლებში (თუკი ეს მოსწავლეს მკაფიოდ არ აქვს გაგებული, მისი ჩართულობა სასწავლო პროცესში ვერ იქნება სათანადო);

**II ეტაპზე** – <u>კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა</u> – იწერება შეკითხვები რომლებსაც მასწავლებელი სასწავლო პროცესში იყენებს კომპლექსური დავალების შესრულებაში მოსწავლეების დასახმარებლად.

- როგორ შევარჩიო საკითხები ჩემი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი წლიური პროგრამისთვის?
- როგორ განვსაზღვრო, სახელმძღვანელოს რომელი ნაწილი გავატარო მოსწავლეებს და რომელი – არა?
- როგორ მივხვდე, ჩემს მოსწავლეებზე ადაპტირებული პროგრამა შესაბამისობაშია თუ არა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან?

ამ კითხვებზე მარტივად შეიძლება პასუხის გაცემა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში თითოეული საგნისთვის განსაზღვრულია სამიზნე ცნებები (სხვადასხვა საგანში მათი რაოდენობა 4-დან 10-მდე მერყეობს. ამ ცნებებზე მუშაობა უდრის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებზე მუშაობას). თითოეულ სამიზნე ცნებაზე გასვლა კონკრეტული საგნობრივი საკითხების საშუალებით შეიძლება. საკითხების სამიზნე ცნებებთან მისადაგებაში მასწავლებლებს დაეხმარება პროექტ „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში შედგენილი გზამკვლევები.

---

წლის განმავლობაში საკუთარი კლასისთვის საკითხები მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს იმგვარად, რომ სემესტრში მოსწავლეებმა ყველა ცნება დაფარონ. მაგალითად, თუკი ისტორიის სამიზნე ცნებებია – წყარო, დრო, სივრცე, საზოგადოება, ძალაუფლება, ისტორიული მოვლენა, პროცესი – და VII კლასი თემატურად ეხება ძველი მსოფლიოს ისტორიას, მასწავლებელმა ამ ეპოქიდან უნდა შეარჩიოს საკითხები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი ცნებების დაფარვას შეუწყობს ხელს:

**I სემესტრი** –

- შუამდინარული ცივილიზაციის ჩამოყალიბება (სამიზნე ცნებები: „დრო“, „სივრცე“)
- ხამურაბის კანონები (სამიზნე ცნებები: „წყარო“, „საზოგადოება“)
- დიაოხი და კოლხა (სამიზნე ცნება: „ისტორიული მოვლენა და პროცესი“)
- დარიოს I და მისი რეფორმები (სამიზნე ცნება: „ძალაუფლება“)

**II სემესტრი** –

- ფარნავაზი და იბერია – ქართლის სამეფოს დაარსება (სამიზნე ცნება: „წყარო“, „ძალაუფლება“)
- რომის მიერ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ქართლის სამეფოს დაპყრობა (სამიზნე ცნებები: „დრო, „სივრცე“, „ისტორიული მოვლენა, პროცესი“)
- წმინდა ნინო და ქართლის გაქრისტიანება (სამიზნე ცნება „საზოგადოება“).

რა თქმა უნდა, უმჯობესია მეტი საკითხის გამოყენება ცნებების მრავალჯერადი დამუშავებისთვის, თუმცა, უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელია ამგვარი მინიმალისტური პროგრამაც საკმარისი იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

<u>კურიკულუმის განვითარება</u> – რეალურ ვითარებაში მასწავლებლებს ძალიან უჭირთ კურიკულუმის განვითარების მნიშვნელობის გააზრება. მართლაც, ძნელია იფიქრო იმ დოკუმენტის განვითარებაზე, რომელიც მხოლოდ საკითხების ჩამონათვალს განსაზღვრავს. პანდემიურ ვითარებაში კი კარგად ჩანს წინასწარ დაწერილი პროგრამების ფორმალური კავშირი რეალურად მიმდინარე პროცესებთან.

იკვეთება ასევე რეალურად მიმდინარე პროცესების აღნუსხვის საჭიროებაც, წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებელი ვერ შეძლებს, დაასაბუთოს მშობლებისა და სკოლის დირექციის წინაშე ონლაინ სივრცეში მიმდინარე პროცესების შესაბამისობა დაწესებულ სტანდარტებთან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმ გამოცდილების შენახვაც, რომელმაც კარგად იმუშავა მოსწავლეებთან. ეს მასწავლებელს დაეხმარება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის განვითარებაში.

**2. შემოქმედებითი თავისუფლების ხარისხი** – მიუხედავად იმისა, რომ სწავლა-სწავლება უაღრესად შემოქმედებითი პროცესია, მასწავლებლების უმრავლესობა, მას, როგორც ხელობას, ისე უყურებს – მიჰყვება, როგორც ყოველდღიურ რუტინას, ერიდება მკვეთრ ნაბიჯებს.

პანდემიურ ვითარებაში იქმნება სიტუაცია, როდესაც მასწავლებელს, მოცემული პროგრამის საფუძველზე, თვითონ უწევს ძიება და კლასის შესაძლებლობებთან ადაპტირება. ჩნდება „სავალდებულო“ შემოქმედებითი თავისუფლების ელემენტი, რომელიც მოითხოვს მასწავლებლის მეტ პასუხისმგებლობას და პროფესიული უნარ-ჩვევების ამოქმედებას.

ზემოთ, ისტორიის მაგალითზე, წარმოდგენილი იყო კურიკულუმის ერთ-ერთი სანიმუშო ჩარჩო. ამ ჩარჩოზე თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, თუ რამხელა სითამამე და შემოქმედებითი თავისუფლება ეძლევა მასწავლებელს, რათა სუბიექტურად ჩამოაყალიბოს ორიგინალური კურიკულუმი საკუთარი მოსწავლეებისთვის.

რა თქმა უნდა, ამ ტიპის კურიკულუმის შინაარსი ყველა მასწავლებელს განსხვავებულად შეუძლია შეადგინოს; განსხვავება და ინდივიდუალიზმი შეიძლება იყოს როგორც საკითხთა ჩამონათვალში, ისე საკითხების ცნებებთან დაკავშირებაშიც.

იდეალურ შემთხვევაში, ყველა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხედვა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- რომელ საკითხებს შეარჩევს სამიზნე ცნებების/შედეგების გასააქტიურებლად;
- რა კომპლექსურ დავალებებს შესთავაზებს მოსწავლეებს საკითხის შესასწავლად;
- რა რესურსებსა და აქტივობებს შესთავაზებს მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში.

3. **თანასწორუფლებიანობის რეალიზება** – განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობაზე საუბრისას, როგორც წესი, სოციალურ პრობლემებს და სსსმ მოსწავლეებს წამოწევენ წინ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხარისხიან განათლებას ვერც ის ბავშვები იღებენ, ვისაც არც ეკონომიკური პრობლემები აქვს და არც სსსმ სტატუსი აქვთ მინიჭებული. კლასში იკვეთება აქტიურ მოსწავლეთა ჯგუფი, რომელიც სასწავლო

პროცესში ფლაგმანის როლს ასრულებს. დანარჩენი მოსწავლეები კი ან პასიურობენ, ან სრულიად სწყდებიან სასწავლო პროცესს. რეალურ ვითარებაში, როცა ყოველდღიურად კითხულობენ სიას, ტარდება 6 გაკვეთილი, იწერება ნიშნები, ტარდება მშობელთა კრებები – ეს ხარვეზი ნაკლებად თვალში საცემია. ონლაინ ვითარებაში კი ეს სიტუაცია ერთმნიშვნელოვნად გამჭვირვალე ხდება. პასიური ბავშვები საერთოდ არ შემოდიან გაკვეთილზე, და პედაგოგებთან დიალოგისთვის სივრცეს ვერ ნახულობენ. თანაც ყოველივე ეს ხდება მშობლების თვალწინ, რომლეთაც ისედაც შეკითხვები აქვთ სწავლა-სწავლების ხარისხთან დაკავშირებით.

ონლაინ საგაკვეთილო პროცესში, მასწავლებელი იძულებულია, იმგვარად გაიაზროს სასწავლო პროცესი, რომ თითოეულ მოსწავლესთან ჰქონდეს ინდივიდუალური დიალოგის პლატფორმა, თუნდაც ნიშნის დაწერისთვის.

სწავლა-სწავლების პროცესის კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნება და ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების გათვალისწინება ავტომატურად ნიშნავს ყველა მოსწავლისთვის თანაბარი შესაძლებლობების გაჩენას, ვინაიდან:

- მასწავლებელი უკლებლივ ყველა მოსწავლეს აძლევს კომპლექსურ დავალებას;
- ზრუნავს დავალების პირობის ადაპტირებაზე მოსწავლის ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე;
- ინდივიდუალურ რეჟიმში ესაუბრება მათ დავალების შესრულებასთან დაკავშირებულ ნიუანსებზე;
- აწვდის სათანადო უკუკავშირს.

ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დაცულია დიფერენცირებისა და ინკლუზიური განათლების ყველა პრინციპი.

მაშასადამე, პანდემიური ვითარება სწავლა-სწავლების პარადიგმის ახლებურად გააზრებასთან ერთად, პრიორიტეტულს ხდის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გააზრების თვალსაზრისით აქტუალურ საკითხებს. შესაძლოა, საყოველთაო რეჟიმში დისტანციური მუშაობა დროებით მოვლენად არის აღქმული, მაგრამ ამ პერიოდში დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება უდავოდ შეასრულებს კატალიზატორის როლს საკლასო ვითარებაში ცვლილების განსახორციელებლად. არ არის გამორიცხული, რომ პანდემიის შემდგომ პერიოდში, ბევრმა სკოლამ განაგრძოს ზოგიერთ საგანში მოსწავლეებისთვის დისტანციური კურსების შეთავაზება.

**3. სკოლა, როგორც ორგანიზაცია – ფორდისტული და ნეოფორდისტული პარადიგმიდან სვლა პოსტ-ფორდისტული მიდგომებისკენ.**

სწავლა-სწავლების პარადიგმისა და პროგრამების დახვეწასთან ერთად, თანდათან ვითარდებოდა სკოლის, როგორც ორგანიზაციის იდეა. ექსპერტთა შორის ერთი პოპულარული გამონათქვამის მიხედვით, სკოლები შეიქმნა XIX საუკუნეში, მასწავლებლები მოდიან XX საუკუნიდან, მოსწავლეებს კი შეძენილი ცოდნა სჭირდებათ XXI საუკუნისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ უკლებლივ ყველა ექსპერტი აღიარებს სკოლის, როგორც კონსერვატორული სისტემის დრომოჭმულობას და მის ნეგატიურ გავლენას ფარულ კურიკულუმზე11, იგი ნელი ტემპით გარდაიქმნება.

ორგანიზაციული თვალსაზრისით, როგორი უნდა იყოს თანამედროვე სკოლა? როგორ უნდა განხორციელდეს განათლების რეფორმა, რომელიც ამ ტიპის სკოლის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს?

ამ შეკითხვებზე მეცნიერებს ცალსახა პასუხი არ აქვთ, თუმცა არსებობს მთელი რიგი დებულებები, რომლებზეც ყველა თანხმდება, კერძოდ, ყველა აღიარებს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები და სარეფორმო პროცესები ორიენტირებული უნდა იყოს:

- სასკოლო საზოგადოების წევრების შინაგან და არა გარეგან მოტივაციაზე;
- ფორმალისტური ადმინისტრაციული ვალდებულებების შემცირებაზე;
- ჰორიზონტალურ ურთიერთობებზე და არა მკაცრ, ავტორიტარულ, ცენტრალიზებულ მიდგომებზე;
- მხარდაჭერაზე და არა დასჯა-წახალისებაზე;
- ურთიერთდახმარებაზე და არა მასწავლებლებს შორის კონკურენციაზე;
- დეცენტრალიზაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას და არა ცენტრალიზაციაზე.

ამ თვალსაზრისით, აქტუალური დილემების გამოსაკვეთად თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად იყენებენ ტერმინებს; „ფორდიზმი“, „ნეოფორდიზმი“ და „პოსტფორდიზმი“. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მეცნიერი არ ეთანხმება ამ ტერმინების ფართო გამოყენებას, მთლიანობაში ისინი კარგად წარმოაჩენენ განვითარების იმ ვექტორებს, რომლებიც კარგ შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, როგორც ორგანიზაციებს.

**ა) ფორდიზმთან** იგივდება სკოლის ტრადიციული მოდელი, სადაც უაღრესად დაბალ დონეზეა ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ინოვაციურობა, მრავალფეროვნება პროცესებში და პერსონალის პასუხისმგებლობა. მასობრივი განათლება მიღწეულია, თუმცა არ არის წახალისებული ინოვაციები (მაგ., პროგრამების განვითარება), ვხვდებით ერთფეროვან უნიფიცირებულ პროცესებს (მაგ., რუტინული გაკვეთილები დღეში ექვსჯერ), უშუალო აღმასრულებლები (მასწავლებლები) კი მცირედ პასუხისმგებლობას იღებენ საერთო საქმესთან მიმართებით. ამ ყველაფრის თანმდევია ადმინისტრაციის როლის ზრდა, სამუშაოს მკვეთრი დანაწილება და ყოველდღიური ადმინისტრაციული და შინაარსობრივი ამოცანების დანაწევრებულობა.

| | |
|---|---|
| ორიენტირება სასკოლო საზოგადოების წევრების შინაგან და არა გარეგან მოტივაციაზე | სასკოლო საზოგადოების წევრების შინაგანი მოტივაცია დაბალია. მათ არ ეძლევათ შემოქმედებითი თავისუფლება. |
| ორიენტირება ფორმალისტური ადმინისტრაციული ვალდებულებების შემცირებაზე | სასწავლო პროცესი დამძიმებულია ადმინისტრაციული ვალდებულებებით. |

11. ფარული კურიკულუმი – ამ ტერმინით მოიხსენიებენ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც კონკრეტულ სკოლაშია ჩამოყალიბებული და რომელიც ძლიერ გავლენას ახდენს მოსწავლეზე.

| | |
|---|---|
| ორიენტირება ჰორიზონტალურ ურთიერთობებზე და არა მკაცრ, ავტორიტარულ, ცენტრალიზებულ მიდგომებზე | სკოლის „ფარული კურიკულუმი“ ეფუძნება ტოტალიტარულ იმპულსებს. მასწავლებლებს ფორმალურად აქვთ კუთვნილების განცდა საგანმანთლებლო პროცესის მიმართ. აქედან გამომდინარე, არ იჩენენ ინიციატივას. |
| ორიენტირება მხარდაჭერაზე და არა დასჯა-წახალისებაზე | პროცესების ადმინისტრირება ასოცირდება დასჯასა და წახალისებაზე. მასწავლებლებს მკაცრად აქვთ გაწერილი ვალდებულებები, რომელთა დარღვევაც სასჯელებთანაა ასოცირებული. |
| ორიენტირება ურთიერთდახმარებაზე და არა მასწავლებლებს შორის კონკურენციაზე | მასწავლებლებს არ აქვთ ერთმანეთთან თანამშრომლობის საჭიროება. სიტუაცია არ მოითხოვს მათგან პროგრამების განვითარებას. დასჯა-წახალისების ბერკეტები კი განაპირობებს მათ შორის კონკურენციას. |
| ორიენტირება დეცენტრალიზაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას და არა ცენტრალიზაციაზე. | მასწავლებლები არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში; გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი კი დანაწევრებულია, ამოცანები – ფრაგმენტიზირებული, რაც განაპირობებს აღმასრულებლების დაბალ პასუხისმგებლობას. |

ბ) ნეოფორდისტული მიდგომები, ფორდიზმისგან განსხვავებით, აქცენტირდება ინოვაციურობასა და პროცესების მრავალფეროვნებაზე. თუმცა, საკმარისი ყურადღება არ ექცევა უშუალოდ აღმასრულებლებს. დევიდ პერკინსისეული ტერმინებით რომ აღვწეროთ, არავინ ზრუნავს „პერსონა“ სოლოს გადაქცევაზე „პერსონა პლუსად“. სწავლა-სწავლების ხარისხის მიმართ მოთხოვნები იზრდება, მაგრამ ამას არ მოსდევს მასწავლებლების შესაბამისი მხარდაჭერა. ამის გამო მიიჩნევა, რომ ნეოფორდისტული მიდგომები დამანგრეველად მოქმედებს სასკოლო საზოგადოებაზე. სწორედ ამ მიზეზით, პოსტფორდისტებისთვის ნეოფორდიზმი არანაკლებ მიუღებელია, ვიდრე ფორდიზმი[12].

12. Michael Simonson, Sharon Smaldino, Susasn Zvcek, “Teaching and learning at a distance (foundations of distance education)”, sixth edition, 2015. gv. 52-53

| | |
|---|---|
| **ორიენტირება სასკოლო საზოგადოების წევრების შინაგან და არა გარეგან მოტივაციაზე** | სასკოლო საზოგადოების წევრების შინაგანი მოტივაცია დაბალია. დიდი დრო იხარჯება მათთვის შემოქმედებითი თავისუფლებისა და ინოვაციურობის მნიშვნელობის ახსნაზე, თუმცა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით არ ხდება მათი შესაბამისი მხარდაჭერა.<br>მოტივაციის შემქმნელი ორი ფაქტორიდან (ეს მნიშვნელოვანია და მე ეს გამომდის), აქცენტი კეთდება მხოლოდ პირველ ფაქტორზე. |
| **ორიენტირება ფორმალისტური ადმინისტრაციული ვალდებულებების შემცირებაზე** | აქცენტი ინოვაციურობასა და მრავალფეროვნებაზე კიდევ უფრო მრავალრიცხოვან ფორმალურ ვალდებულებებს წარმოშობს. ამის გამო, სასწავლო პროცესი კვლავაც დამძიმებულია ფორმალისტური ვალდებულებებით. |
| **ორიენტირება ჰორიზონტალურ ურთიერთობებზე და არა მკაცრ, ავტორიტარულ, ცენტრალიზებულ მიდგომებზე** | ინოვაციურობისა და პროცესების მრავალფეროვნების გამო სკოლას აქვს მეზობელი სკოლისგან განსხვავებული ჰაბიტუსი. ეს, ბუნებრივია, აძლიერებს მიკუთვნებულობის განცდას და ახალისებს განხილვების პროცესში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას. თუმცა, საკვანძო საკითხებთან მიმართებით (პოლიტიკის განსაზღვრა, სტრატეგიული დაგეგმვა) გადაწყვეტილებები კვლავ ვიწრო წრეში მიიღება. |
| **ორიენტირება მხარდაჭერაზე და არა დასჯა-წახალისებაზე** | მიუხედავად იმისა, რომ აქცენტი ინოვაციურობასა და მრავალფეროვნებას მოითხოვს, დღის წესრიგიდან არ ქრება არც დასჯა-წახალისების ელემენტი, გამომდინარე იქიდან, რომ სხვაგვარად ძალიან ძნელია დაბალკვალიფიციური კადრების ორიენტირება მაღალ სტანდარტებზე. |
| **ორიენტირება ურთიერთდახმარებაზე და არა მასწავლებლებს შორის კონკურენციაზე** | სასკოლო ცხოვრების დღის წესრიგში დგას სასკოლო პროგრამების განვითარება, ინოვაციური მეთოდების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. მაგრამ შენარჩუნებული დასჯა-წახალისების ბერკეტების გამო კონკურენციის ელემენტი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. |

| | |
|---|---|
| **ორიენტირება დეცენტრალიზაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას და არა ცენტრალიზაციაზე.** | გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი დანაწევრებულია, ამოცანები – ფრაგმენტიზირებული, რაც განაპირობებს აღმასრულებლების დაბალ პასუხისმგებლობას. ინოვაციურობა ხშირად ასოცირდება ახალი ტიპის სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბებასთან, რაც იმაზე მეტად აღრმავებს ფრაგმენტიზირების პროცესს, ვიდრე ეს ფორდისტული მიდგომების პირობებში ხდებოდა. |

გ) პოსტფორდისტული მიდგომები ინოვაციურობასა და მრავალფეროვან პროცესებთან ერთად ყურადღება მახვილდება ჰუმანური კაპიტალის განვითარებაზე. ამ შემთხვევაში ცვლილებების ტემპი მაღალი არ არის, მაგრამ სკოლის განვითარება უფრო მდგრადია და უფრო მეტად არის კონცენტრირებული განათლების რეფორმის მიზნებზე.

საქართველოს განათლების რეფორმირებისას ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა სასკოლო კლიმატის გარდაქმნა, სკოლის გადაქცევა ერთიან გუნდად, ანუ ისეთ ორგანიზაციად, რომელიც საკუთარ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს იკვლევს დასახულ მიზნებთან მიმართებით; ლოკალურ დონეზე ახორციელებს რეფორმას.

საამისოდ სკოლები ჩართული არიან ისეთ პროცესებში, როგორებიცაა: თვითშეფასების სისტემის განვითარება, ხარისხის მართვის სისტემის ჩამოყალიბება, ავტორიზაციის პროცესისთვის მზადება. თუმცა, ამ პროცესებზე მუშაობა, უპირველეს ყოვლისა, ასოცირდება არა ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან, არამედ ისეთ ამოცანებთან, რომლებიც სასკოლო საზოგადოებას გააერთიანებს და მთელი სისრულით დაანახვებს მის წინაშე არსებულ პასუხისმგებლობებს. ასეთი ამოცანებია: მუშაობა სასკოლო პროექტებზე და სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე.

პირველი მათგანი ორიენტირებულია სკოლის, როგორც ორგანიზაციის განვითარებაზე. სკოლა გამოკვეთს პროექტის იდეას, რომელზე მუშაობაც ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს. სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ გამოიყენონ პროექტი ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანების გასააქტიურებლად:

1. კავშირი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციასთან/კომპეტენციებთან;
2. კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან;
3. კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემასთან/თემებთან;
4. ინტერდისციპლინური კავშირების გათვალისწინება;
5. მოსწავლეთა აკადემიურ პროგრესზე ორიენტირება;
6. პროექტის შედეგების ასახვა კომპლექსურ დავალებებში;
7. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან (კათედრები, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვა) თანამშრომლობა;

8. სასკოლო თემის (მშობლები, მასწავლებლები, მოსწავლეები, ტექნიკური პერსონალი და სხვა) ჩართულობა;
9. თემთან/გარე სასკოლო საზოგადოებასთან (ადგილობრივი თვითმმართველობა, არასამთავრობო, სახელმწიფო ორგანიზაციები, ბიზნეს და სათემო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საგანმანათლებლო ორგანიზაციები, პროფესიული და კულტურული გაერთიანებები და სხვა) თანამშრომლობა;
10. კლასებს/საფეხურებს შორის კავშირების გათვალისწინება;
11. როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების კომპონენტის გათვალისწინება;
12. მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობის გათვალისწინება;
13. პროექტის იდეისა და შედეგების კავშირი სკოლის განვითარებასთან.

ამ ტიპის პროექტებზე მუშაობა ცვალებადი წარმატებით შეიძლება წარიმართოს. თუმცა, ყოველ ჯერზე მიღწეული მინიმალური შედეგი ის მაინც იქნება, რომ გამოიკვეთება სიტყვა „ჩვენ“, რომელიც სასკოლო საზოგადოებას ამთლიანებს, შეიქმნება ზემოთ ჩამოთვლილ საკვანძო საკითხებზე მსჯელობის კულტურა. მუშაობის ეს პროცესი თანდათან უნდა გადაიზარდოს ისეთ საკითხებზე მუშაობაში, როგორებიცაა:

- სკოლის თვითშეფასების სისტემის შექმნა,
- სკოლაში ხარისხის მართვის სისტემის შექმნა,
- ავტორიზაციის პროცესისთვის მომზადება.

ბუნებრივი განვითარების შენარჩუნებისთვის, სკოლებს არ მიეწოდებათ გამზადებული სქემები, ისინი თავად ცდილობენ მათთვის მოსახერხებელი და ეფექტიანი ფორმების მოძიებას/განვითარებას.

**ორიგინალური სასკოლო პროგრამის შექმნა** – „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში თითოეული სკოლა ქმნის საკუთარ კურიკულუმს. ზემოთ აღწერილი იყო მისი შინაარსობრივი მახასიათებლები, აქ კი ყურადღებას გავამახვილებთ, თუ როგორ მიმდინარეობს მათზე მუშაობის პროცესი.

სამინისტრო სკოლებს უგზავნის სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოს, რომელიც ახალი სასწავლო წლისთვის კომპლექსურ დავალებებს სთავაზობს. აღნიშნულ რესურსს ყველა მასწავლებელი თავისი საგნის ფარგლებში განიხილავს; საკუთარი სკოლის მოცემულობასთან მიმართებით მსჯელობენ შეთავაზებული რესურსის მოდიფიცირებაზე. ადაპტაციის პროცესი, სასწავლო პროცესის პარალელურად, მუდმივად გრძელდება; იქიდან გამომდინარე, რომ ვითარდება სასკოლო და არა რომელიმე ერთი მასწავლებლის კურიკულუმი, პედაგოგები იკრიბებიან, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას – რამდენად გაიგეს და მიიღეს მოსწავლეებმა კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების რომელი კრიტერიუმი საჭიროებს მოდიფიცირებას, რომელი რესურსი გამოდგა უფრო რელევანტური კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში, რა კუთხით მოითხოვს დაზუსტებას საკვანძო შეკითხვები და ა.შ..

რა თქმა უნდა, არ არსებობს მოლოდინი, რომ ყველა სკოლა ერთნაირი ტემპით ერთნაირად მაღალი ხარისხის სასკოლო კურიკულუმს განავითარებს, თუმცა, მასზე მუშაობის პროცესი ნამდვილად სასიკეთოდ შეცვლის სასკოლო კლიმატს, პრიორიტეტული ისეთი საკითხების განხილვა, რომლებიც განუხრელად შეუწყობს ხელს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებამდე მიგვიყვანს.

| | |
|---|---|
| ორიენტირება სასკოლო საზოგადოების წევრების შინაგან და არა გარეგან მოტივაციაზე | „ახალი სკოლის მოდელში“ მთავარი აქცენტი შინაგან მოტივაციაზე კეთდება, აქ პრაქტიკულად იზოლირებულია გარედან ზეწოლის ისეთი ბერკეტებიც კი, როგორებიცაა: ვადები, მოკლევადიანი შედეგები და სხვა, და მთელი აქცენტი გადატანილია დანერგვის ინსტრუმენტებზე. ეს ინსტრუმენტები მასწავლებლებს დაანახვებს, რომ მათ შეუძლიათ დასახული ამოცანების შესრულება და აჩვენებს ამ ამოცანების მნიშვნელობას მთლიანობითი საქმისთვის. შინაგან მოტივაციას სწორედ ამ ორი ფაქტორის თანხვედრა იწვევს. |
| ორიენტირება ფორმალისტური ადმინისტრაციული ვალდებულებების შემცირებაზე | „ახალი სკოლის მოდელი“ არის პროცესებზე და არა მოკლევადიან შედეგებზე ორიენტირებული პროექტი. მისი მიზანია, სასკოლო საზოგადოების ცხოვრების დღის წესრიგში შეიტანოს ისეთი საკითხები, რომლებიც მოსწავლის სწავლასა და განვითარებას უკავშირდება. შეთავაზებული ინსტრუმენტებიც (კომპლექსური დავალების შექმნასთან, თემატური მატრიცის შექმნასთან, განმავითარებელ შეფასებასთან და ა.შ. დაკავშირებით) ორიენტირებულია მხოლოდ იმაზე, რომ შექმნას დიალოგის პლატფორმა ამ საჭირბოროტო საკითხებზე სასაუბროდ. პროდუქტების შექმნა და განვითარება (მაგ. სასკოლო კურიკულუმის განვითარება) კი მხოლოდ სკოლის ინდივიდუალურ მოცემულობაზეა დამოკიდებული. |
| ორიენტირება ჰორიზონტალურ ურთიერთობებზე და არა მკაცრ, ავტორიტარულ, ცენტრალიზებულ მიდგომებზე | „ახალი სკოლის მოდელის“ მიზანია, საგანმანათლებლო რეფორმის პასუხისმგებლობის მაქსიმალურად გადანაწილება სასკოლო თემის წევრებზე (და არა კონცენტრირება რამდენიმე მასწავლებლის ხელში). არ მოხდება ფუნქცია-მოვალეობების ხელოვნური ფრაგმენტაცია და ინსტიტუციონალიზაცია. გარდა ამისა, მოწესრიგდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მასწავლებლთა აქტიური ჩართულობის საკითხი. რეალურად, ამ ორი ფაქტორის იზოლაცია (გადაწყვეტილების მიღება და თავის თავზე პასუხისმგებლობის აღება) იქნება დემოკრატიული სკოლის ჩამოყალიბების წინაპირობა. |
| ორიენტირება მხარდაჭერაზე და არა დასჯა-წახალისებაზე | „ახალი სკოლის მოდელში“ არ მოქმედებს დასჯა-წახალისების ბერკეტები. მასწავლებლები არც სასჯელს მოელიან შეუსრულებელი აქტივობების გამო, და, არც რაიმე ჯილდოს – კარგად განხორციელებული ამოცანებისთვის. პროცესებში ჩართულობისთვის მთავარი ფაქტორია ის, რომ ამოცანები მიცემულია მთლიანად სკოლაზე და ამ ამოცანებისგან თავის არიდება, სასკოლო თემის საერთო საქმისგან თავის არიდებას ნიშნავს. |

| | |
|---|---|
| ორიენტირება ურთიერთდახმარება-ზე და არა მასწავლებლებს შორის კონკურენციაზე | „ახალი სკოლის მოდელში“ სამინისტრო ელაპარაკება სკოლას, როგორც ერთიან გუნდს, და არა ცალკეულ მასწავლებლებს სკოლაში; იქმნება პროდუქტები, რომლებიც ერთობლივი მუშაობის შედეგს წარმოდგენს. მაგ. სასკოლო კურიკულუმი არის ერთიანი პროდუქტი, რომელზეც შესაბამისი საგნის ყველა მასწავლებელი მუშაობს, სასკოლო პროექტი კი სასკოლო თემის მაქსიმალური ჩართულობით ხორციელდება. |
| ორიენტირება დეცენტრალიზაციაზე გადაწყვეტილების მიღებისას და არა ცენტრალიზაციაზე. | „ახალი სკოლის მოდელი“ დეცენტრალიზაციის იდეას ეფუძნება. სიტყვათშეხამებაში „ახალი სკოლის მოდელი“ სიტყვები „ახალი“ და „მოდელი“ მიემართება სკოლას და არა სამინისტროს ინტერვენციებს. მთავარი იდეა ისაა, რომ სკოლა შეიკრას ერთიან გუნდად და დამოუკიდებლად იზრუნოს ლოკალურ დონეზე განათლების რეფორმის განხორციელებაზე – ორიგინალური სასკოლო კურიკულუმის შესაქმნელად და საკუთარი სკოლის პლატფორმაზე მორგებული თვითშეფასების და ხარისხის მართვის სისტემების ჩამოსაყალიბებლად.<br>გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ახალი სკოლის მოდელი“ არ ცნობს ფორმალურ-ფუნქციურ დანაწილებას. მაგალითად, ზოგიერთს ევალება კვლევის ჩატარება, ზოგიერთს – საერთაშორისო ლიტერატურის გაცნობა და სხვა. ყველა მასწავლებელი ერთნაირად მონაწილეობს ერთიან პროცესებში. |
| | ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მიმდინარე პროცესებში მოწინავე არ გამოიკვეთება. სკოლაში ჩნდებიან სიტუაციური ლიდერები, რომლებიც უძღვებიან იმ პროცესებს, რომელთა ჩარჩოსაც ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი ქმნის. თუმცა, მათი ლიდერობა დაკავშირებულია არა სტატუსთან, გარეგან სტიმულებთან, არამედ კოლეგების დახმარებასა და მხარდაჭერასთან. სწორედ ეს ორი ფაქტორია ის, რაც მათ ლიდერობას განაპირობებს. |

სკოლის ტრანსფორმაცია განათლების რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. თუმცა, რეალურ ვითარებაში სკოლის საორგანიზაციო კულტურასა და მის ფარულ კურიკულუმში ცვლილებები ძნელი განსახორციელებელია. სკოლაში უკვე არსებობს ჩამოყალიბებული ურთიერთობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რაც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების გარკვეულ პრაქტიკასთან. ყოველივე ეს კი ძნელად ექვემდებარება გადასინჯვას.

პანდემიის პირობებში იქმნება ვითარება, როცა ფორმალური საფუძველი ეცლება ზემოაღწერილ ურთიერთობათა სისტემას. პროცესები ძველებურად აღარ ადმინისტრირდება, მაგ. უფრო ფლექსიურია

ცხრილი, ეფემერულია საკლასო გარემო, ყოველდღიური ნიშნების საჭიროება და სხვა) და ყველა ის ბერკეტი, რაც აქამდე ინსტრუმენტს წარმოადგენდა პროცესების მართვისთვის, დღეს განხილვა-გადასინჯვას ექვემდებარება.

სკოლის ადმინისტრაციას უწევს უფრო ხშირად მოისმინოს და გაიზიაროს პედაგოგების აზრი ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: მოსწავლეთა შეფასება, სასწავლო პროგრამა, გაკვეთილების ჩატარების დრო და ხანგრძლივობა. ზემდგომ ორგანოებთან დიალოგისას კი დირექციას უწევს უფრო გამჭვირვალედ ისაუბროს სკოლის წინაშე დამდგარ გამოწვევებზე (ადმინისტრირების პრობლემები, მასწავლებლების შესაძლებლობები, მოსწავლეთა დამოკიდებულება განსხვავებული სასწავლო პროცესის მიმართ და ა.შ.). პანდემიის ფაქტორის გარეშე სკოლები რჩებოდა ე.წ. შავ ყუთად, რომელიც ფარული რეზისტენტობის რეჟიმში იოლად ისხლეტდა სიახლეებს და ფორმალისტურად აჩვენებდა სასურველ „შედეგებს“.

***

სტატიაში განხილული სამი მიმართულება – სწავლა-სწავლების პარადიგმა, სასწავლო პროგრამები და სასკოლო კულტურა – ნებისმიერ ქვეყანაში განათლების რეფორმისთვის მთავარ სამიზნეა. პანდემიის პირობებში შექმნილმა სიტუაციამ გააააქტიურა ახალი ცვლადი, ახალი ბერკეტი დისტანციური სწავლების სახით, რომელიც მანამდე სერიოზულ ფაქტორად ვერ განიხილებოდა. დისტანციურ სწავლებას ახლავს მთელი რიგი მახასიათებლები და ეფექტები, რომლებიც სამივე მიმართულებით პოზიტიური ცვლილებების განხორციელების საშუალებას იძლევა. მთავარია, რომ ამ ვითარებას შევხედოთ არა როგორც საფრთხეს, არამედ როგორც შესაძლებლობას; დისტანციურ სწავლებას კი, არა როგორც ელექტრონული კომუნიკაციის ფორმას, არამედ როგორც საგანმანათლებლო კონცეფციას, რომელსაც განათლების რეფორმის პლატფორმის გაძლიერება შეუძლია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Catalano Amy J., MEASUREMENTS IN DISTANCE EDUCATION, A Compendium of Instruments, Scales, and Measures for Evaluating Online Learning, New York and London 2018;
2. Encyclopedia of Distance Learning Second Edition, Director of Editorial Content: Kristin Klinger, Published in the United States of America by Information Science Reference 2009;
3. Thorne k., Blended Learning. How to Integrate Online and Traditional Learning, Great Britain and the United States, Kogan Page 2003;
4. The Next Generation of Distance Education, Unconstrained Learning, Leslie Moller, Jason B. Huett Editors, Springer Science+-Business Media 2012;
5. Simonson M., Sharon Smaldino Sh., Susan Zvacek S., Teaching and Learning at a Distance, Foundations of Distance Education, SIXTH EDITION, Library of Congress Cataloging-in-Publication Data 2015.

# არაფორმალური განათლების როლი დისტანციური სწავლების დროს

**ლიკა გომართელი**

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის დირექტორი;
2020 წლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის გრან-პრის მფლობელი

არაფორმალური განათლება სკოლის მოსწავლეებში დღითიდღე პოპულარული და მოთხოვნადი ხდება. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ის ყველა მოსწავლეს საკუთარი ძალების, უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზების საშუალებას აძლევს. არაფორმალურ განათლებას მოსწავლე ბუნებრივ გარემოში იღებს და ეს ზრდის მის მოტივაციას, იმოქმედოს და ისწავლოს საკუთარი ინტერესების მიხედვით. არაფორმალურად შექმნილ გარემოში (წრე, კლუბი...) მოსწავლეები კმაყოფილები არიან თავიანთი შედეგებით, რაც მათ თავდაჯერებულობას და თვითეფექტურობის განცდას ჰმატებს.

კვლევები აჩვენებს, რომ განათლების 1%-ზე მეტი სწორედ არაფორმალური გზით მიღებულ განათლებაზე მოდის. ამიტომაცაა, რომ განათლების სისტემების მიმდინარე რეფორმები სწორედ არაფორმალური განათლების ელემენტების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების ხარჯზე ხდება. საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების პარალელურად, მეტი უპირატესობა ინდივიდუალურ გამოცდილებას ენიჭება. თუკი ფორმალური განათლების ფორმა და შინაარსი წინასწარაა სტრუქტურიზებული, არაფორმალური განათლება მთლიანად ინდივიდის სურვილებზეა აგებული, ის თვითონ წყვეტს – რა, სად, როდის და როგორ შეისწავლოს. სწორედ ამიტომაა ის მომხიბვლელი და მიმზიდველი ახალგაზრდებში.

ასევე კვლევებით დასტურდება, რომ არაფორმალური განათლება ხელს უწყობს ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორებიცაა

- მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარება
- სკოლაში ბულინგის, ძალადობისა და კონფლიქტური სიტუაციების შემცირება
- მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდა
- ადამიანური რესურსების განვითარება
- პროფესიული ორიენტაციის სწორად დაგეგმვა
- მშობელთა ჩართულობის გაზრდა
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

დისტანციური სწავლების დროს კი არაფორმალური განათლება, ზემოხსენებულ დადებით მხარეებთან ერთად, მოსწავლეთა და მათი ოჯახებისთვის განტვირთვისა და თერაპიის კარგი საშუალებაცაა.

***ჩამოთვლილი არგუმენტების საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არაფორმალური განათლება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი ეფექტური სტრატეგიაა. მასში დანერგილი მრავალფეროვანი აქტივობები მორგებულია, ასევე, სსსმ მოსწავლეების საჭიროებებსაც, რაც სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნას უწყობს ხელს.***

## *რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ დისტანციურ სასწავლო გარემოში არაფორმალური განათლების კერების ჩამოსაყალიბებლად?*

არაფორმალური განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების პროცესს და ამით გაიზარდოს ფორმალური განათლების შედეგები. ამიტომ მნიშვნელოვანია, კლუბისა თუ წრის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა გონივრულად დაშენდეს ფორმალურ განათლებაზე. არაფორმალური განათლების მიზნები კი სკოლის ხედვისა და მისიის შესრულებისკენ უნდა იყოს მიმართული.

სასურველია, პირველ რიგში, შევქმნათ პროექტების მართვის ჯგუფი, რომელსაც დავაკომპლექტებთ მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისაგან. სკოლის ადამიანური და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე, ისინი გადაწყვეტენ, თუ რომელი კლუბებისა და წრეების შექმნა და წარმართვა შეუძლიათ. ამის შემდეგ პარალელურად ჯგუფის წევრები გამოიკვლევენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. სასურველია, სკოლამ არაფორმალური განათლების დანერგვის პროცესში ითანამშრომლოს უნივერსიტეტებთან, პროფესიულ კოლეჯებთან, სამეცნიერო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამით შესაძლებელია სკოლამ მოიპოვოს როგორც ფინანსური მხარდაჭერა, ასევე გამოიყენოს მათი ადამიანური და მატერიალური რესურსი.

საჭიროებების კვლევის შემდეგ ცხადდება კლუბებში რეგისტრაციის ვადები და პირობები. კლუბები შეიძლება დაკომპლექტდეს როგორც კლასების, ასევე საფეხურებისა და მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით. სასურველია კლუბურ მუშაობაში ჩავრთოთ უფროსკლასელები, მშობლები, წარმატებული კურსდამთავრებულები და თემის წევრები.

კლუბის პირველივე შეხვედრაზე მოსწავლეები და მასწავლებლები თანხმდებიან სასწავლო გრაფიკზე, ფორმატზე; ქმნიან კლუბის წესდებას, ლოგოს; ინაწილებენ ფუნქციებს. კლუბების მუშაობის პერიოდული ანგარიშები და ამსახველი ფოტოები კი სასურველია გამოქვეყნდეს სკოლის ვებ და ფეისბუქგვერდებზე (ასეთთა არსებობის შემთხვევაში). შესაძლებელია დისტანციურ რეჟიმში ადაპტირებული სახით იმუშაოს იმ კლუბებმა და წრეებმა, რომლებიც ჩვეულებრივი სასწავლო პროცესის დროს ფუნქციონირებს სკოლაში. ასევე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ახალი კლუბებიც, რომლებიც მხოლოდ დისტანციურ სასწავლო პროცესს იქნება მორგებული.

გთავაზობთ კლუბური მუშაობის რამდენიმე იდეას, რომლებიც შესაძლოა ადაპტირებული სახით ადვილად მოარგოთ თქვენი მოსწავლეების საჭიროებებსა და ინტერესებს.

**STEM მიმართულების გასაძლიერებლად გთავაზობთ შემდეგ საკლუბო პროექტებს:**

- მომავლის ქიმიკოსების კლუბი
- Home-Lab
- ოჯახის ექიმის კლუბი

მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარების, კრიტიკული აზროვნების გასანვითარებლად:

- ინგლისურ ენაზე საჯარო მეტყველებისა და შემოქმედებითი აზროვნების კლუბი

- მდგრადი განვითარების მიზნების კლუბი
- მედიაწიგნიერების კლუბი
- კინოკლუბი

მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების ჩამოსაყალიბებლად:

- ციფრული დიზაინის კლუბი
- ხელოვნების კლუბი
- კულინარიის ხელოვნების კლუბი

### *მომავლის ქიმიკოსები*

**კლუბის მიზანი:** მოსწავლეებში კვლევის, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევათა განვითარება; მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება; მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდა; ციფრული კომპეტენციების განვითარება; შესაბამისი ცოდნის შეძენა, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარება;

**მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი**: საბაზო-საშუალო საფეხური;

**კლუბის მოკლე აღწერა**: მოსწავლეები სახლის პირობებში უსაფრთხო და ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით ატარებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებით სახალისო ექსპერიმენტებს მასწავლებლის მიერ მიცემული მკაფიო ინსტრუქციების საფუძველზე.

გთავაზობთ კლუბში ჩატარებულ ერთ-ერთ ექსპერიმენტს:

### *წითელი კომბოსტო და* pH*-ის ინდიკატორი*

ეს ექსპერიმენტი ძალიან კარგი საშუალებაა, დავინახოთ, როგორ იფერება სხვადასხვა ხსნარები და ეს ყველაფერი მაქსიმალურად მისაწვდომი და თანაც უსაფრთხოც იყოს ყველა ადამიანისთვის.

### *საჭირო მასალა:*

წითელი კომბოსტო • გამოხდილი წყალი • ლიმონის წვენი • ძმარი • სასმელი სოდა • თხევადი საპონი

**ცდის მიმდინარეობა**: პირველ რიგში, უნდა მოვამზადოთ ხსნარი: წამოვადუღოთ წითელი კომბოსტო იქამდე, სანამ მუქ იისფერ ფერს არ მიიღებს. პარალელურად, ჩვენი რეაქტივები მოვათავსოთ სხვადასხვა ჭიქაში. იმისთვის რომ არ აგვერიოს, რომელი ხსნარი რომელ ჭიქაშია, სასურველია მოვნიშნოთ ისინი. შემდეგ თითოეულს დავუმატოთ კომბოსტოს იისფერი ხსნარის 15-20 წვეთი და მოვურიოთ. დავაკვირდეთ ფერის ცვლილებას.

**ცდის ანალიზი**: წითელო კომბოსტო გამოიყენება მასში შემავალი ნივთიერება – ანტოციანის გამო, რომელიც კარგად იხსნება წყალში და სხვადასხვა არეში ფერს იცვლის. წითელი კომბოსტოს გარდა, ph ინდიკატორად, შეგვიძლია გამოვიყენოთ ფერადი ხილის წვენი.

**შედეგი**: • ლიმონის წვენი – წითელი შეფერილობა • ძმარი – მოყვითალო შეფერილობა • სასმელი სოდა – მომწვანო-ყვითელი • თხევადი საპონი – მოლურჯო-მწვანე შეფერილობა • გამოხდილი წყალი – იისფერი შეფერილობა

ამ დავალების შესრულებაში დაეხმარებათ. PhET-ის სიმულაციები
https://phet.colorado.edu/sims/html/ph-scale/latest/ph-scale_ka.html https://www.youtube.com/watch?v=tuzOMiayAow&t=4s

### *საოჯახო ლაბორატორია – „HOME-Lab”*

**კლუბის მიზანი**: მოსწავლეებში კვლევის, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება; მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება; მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდა; ციფრული კომპეტენციების განვითარება; STEM მიმართულებით შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარება;

**მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი**: დაწყებითი საფეხური;

**კლუბის მოკლე აღწერა**: მოსწავლეები სახლის პირობებში უსაფრთხო, იაფი და ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით ატარებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებით სახალისო ექსპერიმენტებს მასწავლებლის მიერ მიცემული მკაფიო ინსტრუქციების საფუძველზე. სურვილის შემთხვევაში, კლუბის წევრები ცდრნს ახორციელებენ მშობლებთან, და-ძმებთან ან ოჯახის სხვა წევრებთან ერთად და აფიქსირებენ ვიდეოგადაღებით.

გთავაზობთ ერთ-ერთი ექსპერიმენტის აღწერას: **„ფოტოსინთეზი – გლუკოზა“**

**ექსპერიმენტისთვის ჩასატარებელი რესურსები**: ოთახის მცენარის მწვანე ფოთოლი, ქაღალდი, თეფში, სარჭები (ე.წ. „სკრეპები“), სპირტი, იოდი, შაქარი, წყალი, კოვზი, ქვიშის საათი ან მობილური ტელეფონის წამმზომი.

**მიმდინარეობა:** ვიღებთ რომელიმე ოთახის მცენარის მწვანე ფოთოლს და მის ერთ ნაწილს ვფარავთ ქაღალდით. ქაღალდს ვამაგრებთ სარჭით. ფოთოლს ვათავსებთ თეფშზე. რამდენიმე დღით, მომდევნო გაკვეთილამდე თუნდაც, მცენარეს ვტოვებთ ფანჯარასთან სინათლეზე. მითითებული დროს გასვლის შემდეგ ვამოწმებთ ფოთოლს. ვაცლით ქაღალდს. თეფშში ვასხამთ ცხელ სპირტს და ფოთოლს ვათავსებთ მასში (3 წთ-ის განმავლობაში). დროს ვინიშნავთ ქვიშის საათით ან მობილური ტელეფონის წამმზომით. შემდეგ ფოთოლს ვათავსებთ იოდიან წყალში 2 წთ-ის გამავლობაში – იოდი შაქრის აღმომჩენია და ნაერთში ლურჯ ფერს წარმოქმნის. დროს კვლავ ვინიშნავთ წამმზომით ან ქვიშის საათით. ვაკვირდებით ფოთლის ფერს. ფოთოლს იმ ნაწილში, რომელშიც ფოტოსინთეზი არ მიმდინარეობდა, წესით გაუჩნდება ზოლი. დანარჩენი ნაწილი კი შეიფერება ლურჯად. ლურჯი ფერი ფოთლის ამ ნაწილში გლუკოზის – შაქრის არსებობის მაჩვენებელია. გლუკოზა – მცენარის საკვები ნივთიერება (შაქარი), რომელიც წარმოიქმნება ფოტოსინთეზის დროს. ფოტოსინთეზის პროცესის შედეგად წარმოიქმნება შაქარი (გლუკოზა) და ჟანგბადი. ამდენად, თუ აქტიურად მიმდინარეობს ფოტოსინთეზის პროცესი, მაშინ წარმოიქმნება შედარებით ბევრი შაქარი და ჟანგბადი. ჩვენი ექსპერიმენტისთვის ყურადღება მივაქციოთ სწორედ შაქრის წარმოქმნას.

თითოეული ექსპერიმენტის შესრულების ბოლოს კლუბის წევრს შეუძლია შეავსოს წინასწარ მომზადებული კითხვარი რეფლექსიისთვის,

### *გამოყენებული რესურსები:*

1. ხათუნა გოგალაძე – მარტივი ექსპერიმენტები ქიამაიასთან ერთად, http://kargiskola.ge/, https://biteable.com/, www.shin.ge, https://kodala.ge/, https://ganatlebageo.wordpress.com/, www.unicef.org,www.on.ge, https://netgazeti.ge/

### *ოჯახის ექიმის კლუბი*

**კლუბის მიზანი**: მოსწავლეების და მათი ოჯახების ცნობიერების ამაღლება ჯანმრთელობის და ჰიგიენის საკითხებზე, მოსწავლეებში ტრანსფერისა და პროფორიენტაციის უნარების განვითარება, ექიმის პროფესიის პოპულარიზაცია. კლუბის ხანგრძლივობა: ერთი სემესტრი;

**მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი**: საბაზო საფეხური;

**კლუბის მოკლე აღწერა**: კლუბში ბავშვები სწავლობენ დამოუკიდებლად აზრის გამოხატვას, იღებენ სამედიცინო ინფორმაციას, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სახით. მათთვის საინტერესო და საჭირო თემებზე. სასურველია, კლუბში ჩაერთოს მშობელი, რომელიც მუშაობს რომელიმე კლინიკაში. პერიოდულად შესაძლებელია გაკეთდეს ონლაინ ჩართვები კლინიკის ლაბორატორიიდან. ონლაინ დისკუსიისთვის, კლუბის წევრებთან შეთანხმებით, შეირჩევა განსახილველი საკითხები. კლუბში მიღებული გამოცდილება მოსწავლეებს დაეხმარება ასევე პროფორიენტაციაში: მათ წარმოდგენა შეექმნებათ სამედიცინო მანიპულაციებზე და დაეუფლებიან მარტივ სამედიცინო ტერმინებს. ყოველი აქტივობის ბოლოს მოსწავლეები განვლილ თემაზე შექმნიან საცნობარო მასალას რომელიმე ციფრული რესურსის გამოყენებით და გააზიარებენ სკოლის fb გვერდზე.

### *გამოყენებული ლიტერატურა და ელ.რესურსები:*

ე.ბოცვაძე. ინფექციური დაავადებები.
შ.გუგეშაშვილი. შინაგან დაავადებათა პროპედევტიკა
https://www.facebook.com/ncdcgeorgia/photos/a.846665862088012/3478075595613679/
https://www.youtube.com/watch?v=jhQfTDPWfIw&t=683s
https://www.youtube.com/watch?v=0J4tsMClGdM

### *საჯარო მეტყველების და შემოქმედებითი წერის კლუბი*

**კლუბის მიზანი**: მოსწავლეები გაიუმჯობესებენ სიტყვის საჯაროდ წარმოთქმის (ორატორულ) უნარს, დაეუფლებიან პრეზენტაციის გაკეთების, სხეულის ენის ტექნიკას, შეისწავლიან დებატების ხელოვნებას, უკეთ გამოხატავენ საკუთარ აზრს – თავისუფლად და არგუმენტირებულად. განუვითარდებათ შემოქმედებითი წერის უნარი;

**მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი**: საბაზო-საშუალო საფეხური;

**კლუბის მოკლე აღწერა**: კლუბში მოსწავლეები საჯარო მეტყველებას და შემოქმედებით წერას ეუფლებიან სხვადასხვა სახალისო და შემეცნებითი აქტივობებით, როგორებიცაა: დრამა, ფორმალური და

არაფორმალური დებატები, სახალისო შემეცნებითი სავარჯიშოები, მოდელირება, როლური თამაშები. კლუბის წევრი მოსწავლეები მონაწილეობენ ისეთ საერთაშორისო კონკურსებში, როგორებიცაა ინგლისურად მოსაუბრეთა კავშირის (ESU) საჯარო მეტყველების ფესტივალი, მშვიდობის კორპუსის შემოქმედებითი წერის კონკურსი Write On, ხანის აკადემიის მიერ გამოცხადებული სამეცნიერო თემაზე გადაღებული ვიდეოების კონკურსი.

გთავაზობთ კლუბში გამოყენებულ აქტივობებს:

### *საჯარო მეტყველება:*

1. კლუბში აქტიურად გამოიყენება Ted Talk, რადგან თითოეული მათგანი მოიცავს საინტერესო სადისკუსიო საკითხებს. საუბრები მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა „შიში“, „მეგობრობა“, „ბედნიერება“, „წარმატება“ და სხვა.

2. სიმულაციები და როლური თამაშები:

**გთავაზობთ ერთ-ერთ სიმულაციას**: უკაცრიელ კუნძულზე.

მოსწავლეები ინდივიდუალურად ხატავენ რაიმე ნივთს თაბახის ფურცელზე. ეს შეიძლება იყოს მობილური ტელეფონი, წიგნი, ყვავილი, ჭიქა და სხვა. ნახატები იკრიბება და ისევ გადანაწილდება. მოსწავლეებმა უნდა წარმოიდგინონ, რომ მოხვდნენ უკაცრიელ კუნძულზე. აქვთ ერთადერთი ნივთი (ნახატზე ასახული) რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ კუნძულიდან თავის დასაღწევად ან გადასარჩენად. მათ მოეთხოვებათ თავიანთი ფანტაზიის გამოყენებით დაწერონ შემოქმედებითი თხზულება, რომელშიც აღწერენ, თუ როგორ გამოიყენებენ ამ ნივთს. მიცემული დროის ამოწურვის შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ ზეპირ პრეზენტაციას.

აქტივობა ავითარებს წერისა და საუბრის კომპეტენციებს.

3. Dual poem/Two Voice poetry – ორი ხმის ლექსი;

4. კლუბში გამოყენებულია სხვადასხვა სახის დებატების ტექნიკები, როგორებიცაა კარლ პოპერის დებატები, პოპკორნის დებატი, საჰაერო ბუშტის დებატები, ოთხი კუთხის დებატი და სხვა.

### *გამოყენებული რესურსები:*

„ეთოსი, პათოსი, ლოგოსი – დარწმუნების სტრატეგიები“:

https://docs.google.com/presentation/d/1mfxqhv5s5ZAcIHmz23C-ftAnP359EZBAhYzlzmJEk4M/edit?ts=5e6e-2b1b საჯარო მეტყველების ტექნიკების შესახებ პრეზენტაცია https://mail.google.com/mail/u/0/#search/Public+speakin/KtbxLrjVmjQlwKFWnvDLTZWcttgJSWrJfL?projector=1

### *ახალგაზრდები მდგრადი განვითარებისთვის*

**კლუბის მიზანი**: კლუბის წევრები გაეცნობიან მდგრადი განვითარების მიზნებს, მონაწილეობას მიიღებენ თითოეული მიზნის ქვეშ არსებული მინიმუმ ერთი ამოცანის შესრულების საქმეში;

**ასაკობრივი ჯგუფი**: 12 – 15 წელი;

**კლუბის მოკლე აღწერა**: მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან გამომდინარე, ყოველი გაკვეთილის ბოლოს ერთ მიზანზე მაინც მომზადდება ელექტრონული პოსტერები. წლის განმავლობაში აღინიშნება საერთაშორისო დღეები გაეროს კალენდრის მიხედვით, მაგალითად, ენერგიის დაზოგვის, ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის, მასწავლებლის, მშვიდობის, ტოლერანტობის, სიღარიბესთან ბრძოლის საერთაშორისო დღეები. თითოეულთან დაკავშირებით მოსწავლეები მოამზადებენ საინფორმაციო ბროშურებს, პოსტერებს, ბუკლეტებს, რომლებიც გავრცელდება სკოლის fb გვერდის საშუალებით.

გთავაზობთ ერთი აქტივობის ნიმუშს:

**თემა: მდგრადი განვითარების მიზანი №13 – კლიმატის ცვლილებების საწინააღმდეგო ქმედებები:** მოსწავლეები ნახავენ ანიმაციურ ფილმს „კაცი, რომელიც ხეებს რგავდა“. ის მოგვითხრობს მარტოხელა მწყემსის თავდაუზოგავი და წარმატებული მცდელობის ისტორიას, გააშენოს ტყე უდაბურ ადგილზე. ჩვენების შემდეგ მოეწყობა ფილმის განხილვა, დისკუსია. მოსწავლეები იმსჯელებენ თავიანთ როლზე მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების საქმეში და დარწმუნდებიან, რომ ერთი კაცსაც შეუძლია სიკეთისკენ შეცვალოს სამყარო.

### *გამოყენებული რესურსები:*

https://www.unicef.org/georgia/ka
http://www.cso.ge/publication.php?id=29
https://www.youtube.com/watch?v=7OCGVWaxUH8
https://www.youtube.com/watch?v=o_ROhvNw5OU

### *მედიაწიგნიერების ელჩები*

**კლუბის მიზანი**: მოსწავლეები შეძლებენ მედია სამყაროში ორიენტირებას, მართებული არჩევანის გაკეთებას (ინფორმაციის „გაფილტვრას“), განივითარებენ კრიტიკულ და შემოქმედებით უნარებს.

მოსწავლეები გახდებიან თავდაჯერებულნი, პრაქტიკაში გამოიყენებენ ცოდნას და ექნებათ თვითრეალიზების განსხვავებული მცდელობები; დაეუფლებიან პრეზენტაციის უნარს, შეძლებენ საკუთარი აზრის თავისუფლად და არგუმენტირებულად გამოხატვას, განუვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა. კლუბში მუშაობა მოსწავლეებს დაეხმარება, გაიზარდონ პიროვნულად, გაიაზრონ და გაითავისონ სათანადო ღირებულებები;

**მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი:** საბაზო საფეხური;

**კლუბის მოკლე აღწერა:** კლუბში მოსწავლეები მუშაობენ ონლაინ რეჟიმში. ეუფლებიან მედიაწიგნიერების კომპეტენციებს. შეისწავლიან ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას და გაფილტვრას სხვადასხვა მედიასაშუალებებით (გაზეთი, რადიო, ტელევიზია, სოციალური მედია), გაეცნობიან მედიასაშუალებების გამოყენების ხერხებს ძველად და ახლა. მოახდენენ მედიასაშუალებების გამოყენების ტექნიკური უნარების დემონსტრირებას.

მოსწავლეები ეუფლებიან სასკოლო გაზეთის შექმნის ტექნიკას, გეგმავენ გაზეთის შექმნის ეტაპებს. ამისათვის იძიებენ, ამუშავებენ, ახარისხებენ და ჯგუფში განიხილავენ სხვადასხვა ინფორმაციას; იწერენ

ინტერვიუებს, იღებენ და აგროვებენ ფოტომასალას სასკოლო ცხოვრებიდან, ყურადღებას ამახვილებენ სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებზე.

**გთავაზობთ ერთ-ერთ აქტივობას:** სასკოლო გაზეთის შექმნა

ეტაპი I – დავალების განსაზღვრა და ორგანიზება

მოსწავლეებს შევთავაზებთ მშობლიურ ენაზე სასკოლო გაზეთის გამოშვებას. შეირჩევა სამიზნე ჯგუფი და მათი ინტერესების გათვალისწინებით ერთობლივი განხილვის შედეგად განსაზღვრავენ გაზეთის თემას, ფორმატს, სახელწოდებას, რუბრიკებსა და ჟანრებს.

ეტაპი II – სამუშაო ჯგუფის შექმნა

მოსწავლეები ინტერესების მიხედვით იყოფიან 2-3 კაციან ჟურნალისტურ ჯგუფებად: სასკოლო ცხოვრების, სპორტის, ხელოვნების და ა.შ. რუბრიკებისა და თემებისთვის; იქმნება „გრამატიკული დახმარების“ გუნდი ,რომელიც დაეხმარება სხვებს წერის პროცესში; ირჩევენ კორექტორებს, რომლებიც გადაიკითხავენ ტექსტებს; ასევე გაზეთის გაფორმებაზე და ინტერნეტით მის გავრცელებაზე პასუხისმგებელ მოსწავლეებს; ფოტოგრაფებს;

ეტაპი III – გაზეთის გამოშვება

მოსწავლეები ჯგუფებად იკრიბებიან ონლაინ, განსაზღვრავენ გაზეთის გამოსვლის თარიღს, გაზეთის გამოცემის პერიოდულობას (2-3 ნომერი სასწავლო წლის განმავლობაში).

ონლაინ რეჟიმშივე მოსწავლეები ჯგუფებში გადაინაწილებენ ფუნქციებს და იწყებენ მუშაობას სტატიებზე. მომზადებულ სტატიებს ჯგუფები წარადგენენ ონლაინში პრეზენტაციის სახით. მასწავლებელი რეგულარულად ადევნებს თვალს მუშაობის პროცესს და აჯამებს შესრულებულ სამუშაოს.

ეტაპი IV – გაზეთის განთავსება სკოლის ვებ გვერდზე.

აქტივობა V – ბლოგის შექმნა

იმისათვის, რომ კლუბის მუშაობა იყოს უფრო ეფექტური, უსაფრთხო და ერთ სივრცეში იყოს თავმოყრილი მოსწავლეების მიერ შეგროვებული და დამუშავებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია და რესურსი, კლუბის წევრები ქმნიან ბლოგს მითითებული ლინკის საშუალებით – როგორ შევქმნათ ბლოგი და როგორ განვათავსოთ მასში ინფორმაცია.

https://www.youtube.com/watch?v=FqAAN6MzXxs

### *გამოყენებული რესურსები:*


1. „ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში“
2. „ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში“
3. http://mastsavlebeli.ge/?p=2074
4. http://ncp.ge/ge/saskolo-gazetis-3079?resid=2091&fbclid=IwAR24pSNRQSIHONQsQV_m4KOJKGSM6LX-V3FGVY1rTJLNFH

## *კინოკლუბი*

**კლუბის მიზანი:** მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნება; თანამშრომლობითი და არგუმენტირებული მსჯელობის უნარები; ჩამოუყალიბდებათ სოციალური და მოქალაქეობრივი ღირებულებები; სამოქალაქო განათლების საკითხებს შეისწავლიან ფილმების საშუალებით; ჩამოყალიბდებიან დამოუკიდებელ და ტოლერანტ ადამიანებად;

**მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი:** საბაზო საფეხური;

**კლუბის მოკლე აღწერა:** კლუბში მოსწავლეები სამოქალაქო განათლების საკითხებს (ადამიანის უფლებები, თანასწორობა, დისკრიმინაცია, რასიზმი, გენდერული თანასწორობა, პოლიტიკური რეჟიმი, კონფლიქტი, ღირსება და სხვ.) შეისწავლიან მხატვრული ფილმების საშუალებით. ფილმის ჩვენების შემდეგ მოხდება განხილვა, გაანალიზდება ფილმში წარმოდგენილი ფაქტები. მოეწყობა დისკუსია. მოსწავლეები წერენ შთაბეჭდილებების დღიურებს, მოამზადებენ პრეზენტაციებსა და ტრეილერებს ნანახი ფილების მიხედვით.

გთავაზობთ იმ ფილმების ლინკებს, რომელთა ჩვენება, განხილვა და ანალიზი მოხდება კლუბური მუშაობის დროს:

1. **მოსამსახურე** – https://srulad.com/movie/786-the-help-mosamsaxure.html
2. **პიანისტი** – https://www.adjaranet.com/movies/438/The-Pianist?lang=GEO&quality=SD
3. **გენდერული თანასწორობა** – https://www.adjaranet.com/movies/25011/On-the-Basis-of-Sex?lang=GEO&quality=SD
4. **მე მქვია სემი** – https://www.adjaranet.com/movies/6196/I-Am-Sam?lang=GEO&quality=SD
5. **კუდის ქიცინი** – https://www.adjaranet.com/movies/983/Wag-the-Dog?lang=GEO&quality=SD&fbclid=IwAR2QiB8XmJhk6cKLriFpUN7d-EydPwQdNeKe-G-AOe8rhAVTX33WoK3wYYM
6. **მეფის მთელი ამალა** – https://www.adjaranet.com/movies/5669/All-the-King's-Men?lang=GEO&quality=SD
7. **თავისუფლების მწერლები** – https://www.adjaranet.com/movies/919/Freedom-Writers?lang=GEO&quality=SD
8. **სუფრაჟისტები** – https://www.adjaranet.com/movies/11950/Suffragette?lang=GEO&quality=SD&fbclid=IwAR0Il8CJru22ipfy4APJAodm62SkHvwD37s5v44igWJ-F8hqrNzdA2tsfQY
9. **მოსამართლე** – https://www.adjaranet.com/movies/8745/The-Judge?lang=GEO&quality=SD
10. **ერინ ბროკოვიჩი** – https://www.adjaranet.com/movies/2969/Erin-Brockovich?lang=RUS&quality=SD
11. **ნაფიცი მსაჯული I ნაწილი** – https://www.myvideo.ge/v/1080145
12. **ნაფიცი მსაჯული II ნაწილი** – https://www.youtube.com/watch?v=7mxxit4Yyhw
13. **ნაფიცი მსაჯული III ნაწილი** – https://www.youtube.com/watch?v=uxtRo_CX20Q
14. **შინდლერის სია** – https://movie.ge/movie/NDI0

## *ციფრული დიზაინის კლუბი*

**კლუბის მიზანი:** მოსწავლეებმა შეძლონ სასკოლო დისციპლინების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება, ასევე გაკვეთილების დროს მიღებული აკადემიური ცოდნის რეალური მნიშვნელობისა

და სარგებლის დანახვა, თანამშრომლობით გარემოში შეეჭიდონ ახალი, 21-ე საუკუნის გამოწვევებს: საკუთარ თავში აღმოაჩინონ და განავითარონ მათი მომავლისთვის მნიშვნელოვანი უნარები, კერძოდ, საფუძვლიანად დაეუფლონ ციფრული სწავლებისა და სწავლის სტრატეგიებს, რათა შემდგომში დამოუკიდებლად იმუშაონ პერსონალური ციფრული მოწყობილობებით და, სხვადასხვა ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენებით, ნებისმიერ საგანში გაშიფრონ თავიანთი დავალებები.

**მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი:** დაწყებითი და საბაზო საფეხური.

გთავაზობთ რამდენიმე რესურსს, რომელიც მოსწავლეებს გამოადგება დავალებები შეასრულოს ციფრულ ფორმატში: Minecraft, book creator,play posit, The Teachers Corner , kahoot, lino, chatterkid, canva, slideshare, powtoon.

## *ხელოვნების კლუბი*

**კლუბის მიზანი:** მოსწავლეები გაეცნობიან ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს და ხალხურ შემოქმედებას, გამოიკვლევენ მათ დანიშნულებას საზოგადოების ცხოვრებაში. მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა შემოქმედებით პროექტში. შექმნიან განსხვავებული დარგისა და ჟანრის ნამუშევრებს, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, ხერხების, მასალის, ტექნიკის გამოყენებით. მოსწავლეები შეისწავლიან ხელოვნებას, როგორც თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებას. ისინი საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების საფუძველზე შეძლებენ, შექმნან მხატვრული ნამუშევრები, მათი საშუალებით გამოხატონ საკუთარი იდეები, ემოციები და განწყობები.

**კლუბში გამოყენებული აქტივობები:**

1. მოსწავლეები ეცნობიან ხატვის ტექნიკას, ვმუშაობთ სხვადასხვა საღებავებით შესრულების ტექნიკაზე (აკვარელი, გუაში, აკრილი, ზეთის საღებავი, ფანქარი, ფერადი ფანქარი, ფერადი ცარცი და სხვა)
2. ვაცნობთ სახვითი ხელოვნების (ნატურმორტი, პორტრეტი, პეიზაჟი, ყოფითი) ჟანრებს, ასევე, იმას, რომ ხელოვნების ნიმუშების მთავარი თემების მიხედვით დაყოფის სისტემას ჟანრი ეწოდება.
3. ვირჩევთ კონკრეტულ მხატვარს და ვეცნობით მის ბიოგრაფიასა და ნამუშევრებს, ვსაუბრობთ მის შემოქმედებაზე – თუ რა ჟანრში ხატავს და რომელ მიმდინარეობას ეკუთვნის.
4. ვიძიებთ დოკუმენტურ მასალას, ფილმს, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს კიდევ უფრო ღრმად გაეცნონ მის შემოქმედებას და იმოგზაურონ ვირტუალურ სამუზეუმო სივრცეში.
5. დოკუმენტური მასალის ან ფილმის ჩვენების შემდეგ განვიხილავთ ფილმს, რაც ხელს უწყობს საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გამოხატვას.
6. მოსწავლეს ვთხოვთ, შეასრულოს ნამუშევარი (ვუთითებთ კონკრეტულ ჟანრს), რომელშიც აირევს ჟარს და გამოიყენებს ხატვის ნასწავლ ტექნიკას.

## *კულინარიისა და კონდიტერიის ხელოვნება*

**კლუბის მიზანი:** მოსწავლეები გაეცნონ კულინარიის ხელოვნების საფუძვლებს, გაიუმჯობესონ ხელის მოტორიკა და დაეუფლებიან პროფესიულ უნარებს. განუვითარდეთ შემოქმედებით აზროვნება და შეძლონ კრიტიკულ სიტუაციაში სწრაფი გადაწყვეტილების მიღება;

**მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფი:** საბაზო-საშუალო საფეხური;

**კლუბის მოკლე აღწერა:** მოსწავლეებს საშუალება ექნებათ ონლაინ ჩაერთონ პროფესიულ კოლეჯში არსებულ სამზარეულოს სტრუქტურას და გაეცნონ იქაურ წესებს. ონლაინ ესტუმრონ საკონდიტროს, კაფისა და რესტორნის შიდა სამზარეულოს იმ ობიექტებზე, რომლებშიც ჩვენი მოსწავლეების მშობლები არიან დასაქმებულნი. ისინი დაგეგმავენ გაკვეთილს პროფორიენტაციის მასწავლებელთან ერთად. მოსწავლეები კლუბში ეუფლებიან სხვადასხვა კერძისა და ტკბილეულის მომზადების ხელოვნებას. ზედმიწევნით მიჰყვებიან მითითებებს და ინიშნავენ, რათა შემდეგ ჰქონდეთ შესაძლებლობა, სახლში საკუთარი სურვილისამებრ მოამზადონ ნებისმიერი კერძი თუ ტკბილეული. მოსწავლეებს შეუძლიათ გადაიღონ მომზადების პროცესი და გაავრცელონ სოციალური ქსელების საშუალებით. ამით პოპულარიზაციას გაუწევენ კულინარიის პროფესიას. ასევე, შეეძლებათ აღნიშნული საქმიანობით პირველი ნაბიჯები გადადგან მეწარმეობაში.

### *გამოყენებული რესურსები:*


http://kompass.humanrights.ch/cms/front_content.php?idcat=1539
http://liberali.ge/articles/view/34629/araformaluri-ganatlebis-mnishvneloba-bavshvis-ganvitarebistvis
http://liberali.ge/articles/view/25924/araformaluri-ganatlebis--formaluri-shesadzleblobebi
http://education.ge/index.php?do=definition/view&id=2237
https://anamakhniashvili.wordpress.com/
http://mastsavlebeli.ge/?p=16564
http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=587



# დისტანციური სწავლების პროცესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან

**თამარ ისაკაძე**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს,
ინკლუზიური განვითარების სამმართველოს
მულტიდისციპლინური გუნდის კოორდინატორი, ფსიქოლოგი

მსოფლიოში გავრცელებული COVID-19-ის პრევენციისა და დამარცხების მიზნით სოციალური დისტანცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციაა, შესაბამისად, ამოქმედდა დისტანციური სწავლება, რომელიც ეფექტური საშუალებაა მოსწავლე-მასწავლებელს შორის კომუნიკაციის დამყარებისა და შენარჩუნებისთვის, ასევე – მოსწავლის სასწავლო შედეგების მიღწევისთვის.

დისტანციური სწავლების ფორმატში მნიშვნელოვანი გამოწვევაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების (სსსმ) ჩართვის ხელშეწყობა

სტატიაში განხილულია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მიზანშეწონილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის ეფექტურად და უსაფრთხოდ ორგანიზებისთვის ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის პირობებში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

- ფიზიკური შეზღუდვა;
- ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
- სწავლის უნარის დარღვევა;
- სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
- მეტყველების განვითარების დარღვევა;
- ქცევითი და ემოციური დარღვევა;
- გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
- სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
- ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება, რაც გულისხმობს იმის დადგენას, სსსმ მოსწავლემ სწავლა უნდა გააგრძელოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ალტერნატიული სასწავლო მიზნებით, თუ საჭიროა სწავლების პროცესში აკომოდაციის გამოყენება.

მიზანშეწონილია, სკოლის ადმინისტრაციამ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის დისტანციურ სასწავლო მოდელზე გადასვლისთვის შეიმუშავოს გეგმა, ზოგადი

დისტანციური სასწავლო პროცესის რეგულაციების გათვალისწინებით, სადაც განხილული იქნება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. განხილვის პროცესში აუცილებელია მშობლის, ყველა მასწავლებელის, სპეც. მასწავლებელის, ფსიქოლოგის და სკოლაში არსებული იმ მხარდამჭერი სპეციალისტების მონაწილეობა, რომლებიც აღნიშნული მოსწავლის სასწავლო პროცესში არიან ჩართულნი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დისტანციური სწავლების გეგმა რეკომენდებულია მოიცავდეს – მოსწავლის სასწავლო განრიგს, სასწავლო მიზნებს, სწავლის პროცესის საჭირო მხარდაჭერას, ჩართული სპეციალისტების ვალდებულებებს, მშობლის მხრიდან განხორციელებული მხარდაჭერის ფორმას, სასწავლო პროცესისთვის საჭირო და სახლის პირობებში ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობებს (შესაძლებელია შეირჩეს სწავლების ერთი ან რამდენიმე ფორმა, რომელზეც სტატიაში დეტალურად იქნება საუბარი).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დეტალური შეფასებისა და მისი საჭიროებების დადგენის საფუძველზე, მნიშნელოვანია განისაზღვროს დისტანციური სწავლების ყველაზე ეფექტიანი ხერხი. ამისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილი დისტანციური სწავლების მოდელებიდან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მზაობის, ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, სკოლის ისგ ჯგუფის (სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი) მიერ ხდება გადაწყვეტილების მიღება, სწავლების რომელი მოდელის გამოყენება იქნება უფრო ეფექტიანი სსსმ მოსწავლის განვითარებისა და სწავლის პროცესში სრულფასოვანი ჩართვის ხელშეწყობისთვის (ისგ ჯგუფის წევრები არიან მშობელი, საგნის მასწავლებლები, სპეც.მასწავლებელი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი/სპეციალისტები):

ა) **სრული ელექტრონული, სინქრონული სწავლება** – სსსმ მოსწავლის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში სამინისტროს მიერ რეკომენდებული რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას, მათ შორის სსსმ მოსწავლის ჩართვას;

ბ) **სრული ელექტრონული, ასინქრონული სწავლება,** რაც გულისხმობს სსსმ მოსწავლის ტელე/ვიდეოგაკვეთილების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას;

გ) **ჰიბრიდული სწავლება,** რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული საგნების, კლასებისა და განაყოფების მიხედვით, სსსმ მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ საგნის მასწავლებელი, როდესაც ახორციელებს დისტანციურ სწავლებას სხვადასხვა ფორმით, იქნება ეს ონლაინ ჩართვა, დავალებების მიცემა, ახალი მასალის ახსნა თუ სხვა, ამ პროცესში ჩვეულებრივ ჩართოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რა თქმა უნდა აქ საგნის მასწავლებელმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოახდინოს სსსმ მოსწავლის დისკრიმინაცია, დავალებების მიცემის თუ ახსნის პროცესში და სსსმ მოსწავლეს მის საჭიროებებზე მორგებული გაკვეთილი და დავალება უნდა შესთავაზოს გარემო ფაქტორების და მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინების საფუძველზე შესთავაზოს სინქრონული, ასინქრონული ან/და ჰიბრიდული სწავლების ფორმა. ამ პროცესში გადაწყვეტილებას საგნის მასწავლებლები იღებენ სსსმ მოსწავლის მშობელთან, სკოლის სპეც. მასწავლებელთან, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა, სპეციალურმა მასწავლებელმა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულმა სკოლის სხვა სპეციალისტმა, ერთობლივად განახორციელონ თითოეული სსსმ მოსწავლის გადაფასება იმ მიმართულებით, რომ შეიმუშაონ სსსმ მოსწავლეთა ჩართულობის გრაფიკი დისტანციური სწავლების რეჟიმზე, ასევე აქ საჭირო იქნება მიზნების, აქტივობების, ხანგრძლივობის და ა.შ ადაპტაცია, ან აკომოდაცია როგორც ეს საჭირო ხდებოდა უშუალოდ სკოლაში სწავლის პირობებში.

რაც შეეხება სპეციალური მასწავლებლებლების და ინკლუზიური განათლების სხვა სპეციალისტების მუშაობას, მათი მუშაობის ფორმატიც შეიცვალა. რა თქმა უნდა მათი ჩართულობის გაზრდა პრიორიტეტულია, მათ უნდა მოახერხონ დისტანციურად მოსწავლეებთან ემოციური და სოციალური კავშირის შენარჩუნება და სსსმ მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობა.

**სსსმ მოსწავლის დისტანციური სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს 3 მიმართულებით:**




სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დისტანციური სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს 3 მიმართულებით. ქვემოთ წარმოდგენილია თითოეული მოდელის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობისთვის.

**რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები სრული ელექტრონული, სინქრონული სწავლებისას**

ამ დროს მასწავლებელი და მოსწავლე ონლაინ ჩართვის პროცესში ამყარებენ ინტერაქციას, მასწავლებელი უშუალოდ აძლევს მითითებებს მოსწავლეს, ახდენს თვალსაჩინო მასალის დემონსტრირებას, წარმართავს აქტივობას მიზნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ასისტირებას უწევს მშობელი. ამავდროულად, რთავს მოსწავლეს მიმდინარე სასწავლო პროცესში ინსტრუქციების მიწოდების, დავალების წერილობითი და ზეპირი ჩაბარებისთვის, რათა მოსწავლე იყოს არა პასიური მსმენელი, არამედ გაიზარდოს მისი აქტიური და დაბალანსებული მონაწილეობა.

- ელექტრონული სინქრონული სწავლების დროს სსსმ მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია განხორციელდეს დროის აკომოდაცია, რაც გულისხმობს სსსმ მოსწავლისთვის ონლაინ გაკვეთილის დროის შემცირებას ან ერთო კონკრეტული დავალებისთვის დამატებითი დროის მიცემას;
- შესაძლებელია აქტივობის მოდიფიცირება, რაც გულისხმობს სსსმ მოსწავლის შესაძლებლობე-

ბის, საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინების შედეგად ინდივიდუალური სასწავლო მიზნიდან გამომდინარე დავალების გამარტივებას, მაგალითად ტექსტის შემცირება, ტექსტის ადაპტაცია თვალსაჩინო რესურსების გამოყენებით, ახალი სიტყვების ახსნას, უცხო სიტყვების შემცირებას და სინონიმებით ჩანაცვლებას; თუმცა, ზოგჯერ საჭიროა არა მთლიანი აქტივობის, არამედ ინსტრუქციის შეცვლა.

- დამხმარე რესურსების გამოყენება – შესაძლებელია სსსმ მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე აუცილებელი იყოს მისთვის ისეთი რესურსების დამატებით მიცემა, რაც სხვა მოსწავლეებს არ ესაჭიროებოდეთ, მაგალითად მათემატიკის გაკვეთილზე სათვლელი ჩხირები, ქართულის გაკვეთილზე მოძრავი ანბანი და ა.შ, ან მასწავლებლის მიერ ზეპირად ახსნილი მასალის პროცესში სსსმ მოსწავლეს წინ ედოს მისი ამსახველი შესაბამისი თვალსაჩინო სურათი, შესაძლებელია მსგავსი სურათებს მასწავლებელი აჩვენებდეს მოსწავლეს ეკრანის გაზიარების დახმარებით.
- საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლეს ონლაინ ჩართვის პროცესში შესაძლოა დასჭირდეს მშობლის ან სხვა პირის დახმარება, რომელიც მას ასისტირებას გაუწევს, დაეხმარება ინსტრუქციის შესრულებაში, გაუმეორებს ინსტრუქციას, მიანიშნებს ხელით შესაბამის გვერდზე ან დავალებაზე და სხვა.
- მცირემხედველი მოსწავლისთვის ამ დროს რეკომენდებულია კომპიუტერზე გამოსახულების გადიდება; ასევე, ამ დროს მოსწავლე ონალინ ჩართვის პროცესში იყენებს ლუპას ან სხვა დამხმარე მოწყობილობას წიგნში ან რვეულში ნაწერი ან ნახაზი მასალის უკეთ დანახვის მიზნით;
- მხედველობის არმქონე მოსწავლისთვის აუცილებელია მიმდინარე პროცესის და მოვლენების გახმოვანება, ახსნა; ასევე
- სმენის არ მქონე მოსწავლესთან გაკვეთილზე ამ დროს ჩართვას ახორციელებს ჟესტური ენის თარჯიმანი, რომელიც საათობრივი დატვირთვით მუშაობს სკოლაში. ონლაინ ჩართვის პროცესში ის თარჯიმნობას უწევს, როგორც მოსწავლეს, ისე მასწავლებელს, ან სხვა თანაკლასელებს კომუნიკაციის ეფექტურობის მიზნით;
- ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლესთან ხდება შინაარსობრივად მოდიფიცირებული, თვალსაჩინო მასალებით გამდიდრებული აქტივობის შეთავაზება და ინსტრუქციების ეტაპობრივად მიწოდება, გამარტივება.

**რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები სრული ელექტრონული, ასინქრონული სწავლებისას**

ამ შემთხვევაში მასწავლებელი ინტერნეტის ან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით სსსმ მოსწავლის მიერ შესასრულებელ დავალების ინსტრუქციას და პირობას აწვდის მშობელს (ან სხვა დამხმარე პირს, რომელიც პირდაპირ კომუნიკაციაშია მოსწავლესთან). სსსმ მოსწავლეს დავალების შესრულების მიზნით ზედამხედველობას უწევს მშობელი ან სხვა დამხმარე პირი და ნამუშევარს და შედეგებს აცნობს მასწავლებელს.

- ასინქრონული სასწავლო მოდელი სახეზეა, როდესაც მასწავლებელი მონაცვლეობით ახორციელებს ონლაინ სწავლებას, ვიდეოს ჩაწერას და გადაგზავნას, *დავალებების გადაგზავნას (word, pdf, image ან სხვა ფორმატით), ასევე თემის შესაბამისი ვიდეოს, ან ანიმაციის ნახვას და მისი შესაბამისი ნახატის ჩაბარებას, ან თხრობის უნარის განვითარების მიზნით, გამოკითხვას და სხვა;*
- საგნის მასწავლებლები ინდივიდუალურად უგზავნიან დავალებებს სსსმ მოსწავლეს, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე შეირჩევა;
- მნიშვნელოვანია საგნის მასწავლებელმა ამ დროს ლაკონურად და ზუსტად მიაწოდოს მშობელს ინსტრუქცია დავალების შესრულების შესახებ და ასევე გადაუგზავნოს სასწავლო რესურსი, ან მიუთითოს

იმ რესურსის შესახებ, რომელიც მოსწავლეს დასჭირდება და სახლში აქვს;

- ამ დროს საჭიროა დავალების გადმოგზავნის, ჩაბარების ვადის განსაზღვრა;
- შესრულებული დავალების მიცემა ან ჩაბარება შესაძლებელია როგორც ელექტრონულ ფოსტის საშუალებით, ისე ინდივიდუალური ონლაინ ჩართვის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელია;
- ასინქრონული სწავლებისას შესაძლებელია ტელესკოლის რესურსის გამოყენებაც, გაკვეთილების მოსწავლე უყურებს დამოუკიდებლად ან მშობელთან ერთად. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია სსსმ მოსწავლეს დაევალოს იმ გაკვეთილების ყურება, რომლებიც მისი ინდივიდუალური სასწავლო მიზნებიდან და თემებიდან გამომდინარე შეირჩევა და არ იყოს ფორმალურად შერჩეული კლასის და საფეხურის მიხედვით. შესაძლებელია, მასწავლებელმა წინასწარ უყურებს ტელეგაკვეთილს და მოცემული რგოლიდან მხოლოდ ნაწილის შესრულებას სთხოვს მოსწავლეს;
- მასწავლებელმა შესაძლოა მოსწავლის საჭიროებიდან და მისი ჭეშმარიტი ინტერესიდან გამომდინარე მოახდინოს ტელეგაკვეთილის აქტივობის მოდიფიცირება, რომელიც მორგებულია მის საჭიროებებზე და ასრულებს დამოუკიდებლად, ან მშობლის დახმარებით;
- გარდა ამისა, ასინქრონული სწავლებისას რეკომენდებულია სხვა ტიპის რესურსების გამოყენებაც, მაგალითად მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი ისგ-ს შესაბამისი ვიდეო რგოლის, ანიმაციის ნახვა და მისი შესაბამისი ნახატის შექმნა, ან პერსონაჟების სახელების ჩამოწერა, ან მოკლე შინაარსის დაწერა და სხვა;
- ეფექტურია, ასინქრონულ რეჟიმში სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ წინასწარ მოხდეს ვიდეო გაკვეთილის ჩაწერა, სადაც ის პირდაპირ აძლევს ინსტრუქციას და აჩვენებს, დემონსტრირებას დავალების შესრულების მაგალითს, შემდეგ კი უგზავნის მოსწავლეს და სთხოვს, დააკვირდეს და გააკეთოს იგივე, მაგალითად ეს შეიძლება იყოს თუნდაც მოძრავი ანბანით სიტყვების აწყობა ნიმუშის მიხედვით. ამ ფორმატის, დემონსტრირების მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ ამ დროს მოსწავლეს აქვს საშუალება რამდენჯერმე უყუროს ვიდეოს, დააკვირდეს მუშაობის პროცესს, გადაახვიოს სასურველი მონაკვეთი. ამ შემთხვევაში წამყვანია მოდელირების მეთოდი, რაც განსაკუთრებით ეფექტურია აუტიზმის სპექტრის აშლილობის, ინტელექტუალური დარღვევის, ყურადღების და მეხსიერების სირთულის მქონე მოსწავლეებთან;
- ასინქრონული სწავლებისას განსაკუთრებით მნიშნელოვანია სსსმ მოსწავლისთვის ისეთი დავალებების მიცემა, რომელთა შესრულების პროცესში გამოსაყენებელი რესურსები ოჯახში მოიპოვება, მაგალითად ეფექტურად შეიძლება ბუნებრივი რესურსების გამოყენება, მეორადი ნივთების გამოყენება, ერთჯერადი თეფშის, როგორც რესურსის, საათის ცნობის სწავლების მიზნით გამოყენება და სხვა;
- მნიშნელოვანია დავალებები თანხვედრაში იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან, კვირაში ერთხელ ან ორჯერ რეკომენდებულია არაფორმალური დავალების მიცემა, მაგალითად მოამზადოს ბუტერბროდი და დაწეროს ინგრედიენტები, დაითვალოს მისი ღირებულება (ეს კავშირშია წერის და მათემატიკის უნარების განვითარებასთან, ფუნქციური უნარების განვითარებასთან).

**ასინქრონული სწავლებისას დავალებების გადაგზავნისა და ნამუშევრის დაბრუნების პროცესში გასათვალისწინებელი რეკომენდაციები**

- დავალებების გადაგზავნა, ონლაინ ჩართვა და უკუკავშირის დაბრუნება **წინასწარ შედგენილი ცხრილის** მიხედვით განახორციელეთ;
- მშობელს და მოსწავლეს **წინასწარ აცნობეთ, თუ რა ტიპის რესურსების** მომზადება სჭირდება გაკვეთილისთვის (კალამი, სახაზავი, რომელიმე წიგნი, ბუნებრივი მასალა, სურათი თუ სხვა);

- შეეცადეთ დავალებები იმ რესურსების გამოყენებით დაგეგმოთ, რაც **ოჯახის პირობებში მოიპოვება;**
- მნიშვნელოვანი ყურადღება გაამახვილეთ **წერის, კითხვის, თხრობის და მათემატიკური** უნარების განვითარებაზე;
- მნიშვნელოვანია დაგეგმოთ აქტივობები **შემეცნებითი უნარების (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება)** განვითარების ხელშეწყობისთვის.

### რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები ჰიბრიდული სწავლებისთვის

ჰიბრიდული სწავლება გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული საგნების, კლასებისა და განაყოფების მიხედვით, სსსმ მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინების საფუძველზე.

- ამ მიზნით შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის მიერ განისაზღვროს ის საგნები, რომელსაც ესწრება სსსმ მოსწავლე სინქრონულ რეჟიმში და ასევე ის საგნები, რომლებსაც ასინქრონულად ასრულებს, მშობლის გაშუალებით მიღებული დავალებების ფარგლებში ან სკოლის რესურს ოთახში;
- ასევე, შესაძლებელია კონკრეტულ საგანში გაკვეთილების ნაწილი სსსმ მოსწავლეს უტარდებოდეს ინდივიდუალურად და ნაწილი სინქრონულად;
- ამ პროცესში წარმატებისა და შედეგების მიღწევისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავიდანვე სწორ დაგეგმვას ან სწავლების პროცესში გამოვლენილი სირთულეების მართვის მიზნით, უკვე არსებულ განრიგში ცვლილებების მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად შეტანას;
- პროცესის ეფექტურობისთვის წინასწარ გააცანით მშობელს დისტანციური სწავლების მოდელები და მასთან ერთად შეარჩიეთ სასურველი მოდელი.

### სწავლების ფორმატი

ჩნდება შეკითხვა, დისტანციური სწავლების ამ სახეებიდან, როგორიცაა ონლაინ გაკვეთილი, დავალების გადაგზავნა, ვიდეო გაკვეთილის ჩაწერა – რომელია უფრო ეფექტური და რომელი მათგანის გამოყენებაა პრიორიტეტული?

როგორც აღმოჩნდა, ეფექტური დისტანციური სწავლება მნიშვნელოვანია მოიცავდეს სამივე ფორმას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია მხოლოდ ერთი ან შერეული ფორმის გამოყენება, აქ გასათვალისწინებელია თავად მოსწავლის ოჯახის სოციალური მდგომარეობას, წვდომა ინტერნეტთან და ტექნიკასთან, ასევე მოსწავლის კოგნიტური და ქცევითი თავისებურებები.

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია, როგორც სამივე ფორმის, ისე მხოლოდ ერთი ან ორი ფორმის გამოყენება.
- სწავლების ფორმატი დამოკიდებულია მოსწავლის კოგნიტური, აკადემიური და ქცევითი უნარების შეფასების შედეგებზე.
- ფორმატიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მოსწავლის გადაფასება, ახალი მოკლევადიანი მიზნებისა და აქტივობების დაგეგმვა, ახალი სასწავლო რესურსების შერჩევა.

## ვინ ახორციელებს დისტანციურ სწავლებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლება შესაძლებელია განახორციელოს საგნის მასწავლებლებმა და სპეციალურმა მასწავლებელმა. ამ შემთხვევაში სწავლა უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში, მნიშვნელოვანია გრძელვადიანი, მოკლევადიანი მიზნების შერჩევა, აქტივობების, რესურსების წინასწარი განსაზღვრა.

დამატებითი აქტივობები კოგნიტური უნარების, აკადემიური უნარების, მეტყველების განვითარების მიმართულებით, ასევე ქცევითი და ემოციური რეგულაციის შესახებ შესაძლებელია განახორციელოს სკოლის ფსიქოლოგმა, მეტყველების თერაპევტმა, ოკუპაციურმა თერაპევტმა და სხვა სპეციალისტმა სკოლაში ასეთის არსებობის შემთხვევაში.

**საგნის მასწავლებლის მიერ** განხორციელებული მუშაობა რეკომენდებულია მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- ონლაინ სწავლების შემთხვევაში სსსმ მოსწავლე თუკი ჩართულია კლასთან ერთად, მასწავლებელი წინასწარ შეიმუშავებს/ჩამოწერს იმ აქტივობებს, რომლის განხორციელებასაც შეძლებს ის სსსმ მოსწავლის ჩართულობის გაზრდისა და სასწავლო მიზნების მიღწევისთვის;
- ონლაინ სწავლების შემთხვეაში, სინქრონულ ფორმატში, შესაძლებელია სსსმ მოსწავლე საჭიროებდეს მშობლის მხრიდან გარკვეული ტიპის ასისტირებას, რაც მშობელთან წინასწარ შეთანხმებული უნდა იყოს;
- ასისტირება შესაძლოა მოიცავდეს ინსტრუქციების განმარტებას, ეტაპობრივ მიწოდებას, ფიზიკურ ან ვერბალურ დახმარებას, დემონსტრირებას.
- შესაძლებელია ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საფუძველზე, საგნის მასწავლებელი გაკვეთილს სსსმ მოსწავლეს უტარებდეს ინდივიდუალურად (ერთი-ერთზე ფორმატით), თუკი მოსწავლე ინდივიდუალური განრიგიდან გამომდინარე ვერ ახერხებს სინქრონულ სწავლებაში ჩართვას
- შესაძლებელია ასინქრონულ რეჟიმში სწავლების პირობების გათვალისწინებით, საგნის მასწავლებელი ინდივიდუალურად, მშობლის გაშუალებით უგზავნიდეს სსსმ მოსწავლეს შესასრულებელ დავალებებს ეტაპობრივად და იბარებდეს დავალებას.
- მნიშნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს, რომ აღნიშნული სწავლების ფორმატი შეთანხმებული უნდა იყოს წინასწარ შესაბამისი გრაფიკისა და დროის გათვალისწინებით.

**სპეც. მასწავლებლის** მიერ განხორციელებული მუშაობა რეკომენდებულია მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- სპეც. მასწავლებელი (სკოლის ფსიქოლოგთან ერთად, თუკი სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი) ახორციელებს სსსმ მოსწავლის კოგნიტური, აკადემიური, მოტორული, სოციალური, ენის, მეტყველების და კომუნიკაციის, ქცევითი და ემოციური სფეროების შეფასებას და ამის საფუძველზე აწვდის რეკომენდაციებს საგნის მასწავლებლებს ისგ-ს შესაბამისი აქტივობების წარმართვისთვის საჭირო სწავლების სტრატეგიების შესახებ სინქრონული და ასინქრონული სწავლების ფორმატისთვის;
- სპეც. მასწავლებელი რეკომენდებულია ინდივიდუალურად (ერთი ერთზე) მეცადინეობებს ატარებდეს სსსმ მოსწავლესთან სინქრონულ რეჟიმში;
- თუ, სინქრონული სწავლება სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით ვერ ხერხდება, შესაძლებელია ასინქრონულ რეჟიმში, წინასწარ შემუშავებული განრიგით ხდებოდეს

მოსწავლესთან მასწავლებლის მიერ განსაზღვრულ მიზნებსა და აქტივობებზე მუშაობის მიზნით დავალებების გადაგზავნა;

- რეკომენდებულია სპეც. მასწავლებლის მუშაობა მოიცავდეს ერთი ერთზე მეცადინეობებს მოსწავლესთან კოგნიტურ და ფუნქციურ მიზნებზე;
- მნიშნელოვანი ფაქტორია სპეც მასწავლებლის და საგნის მასწავლებლის ურთიერთანამშრომლობა, რადგან მასწავლებლის მხარდაჭერა სპეც . მასწავლებლის მიერ განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით – მოსწავლისთვის სასწავლო მიზნების, აქტივობების, ელექტრონული სასწავლო რესურსის შერჩევა და ინსტრუქციების ფორმულირება;
- სპეც. მასწავლებელს შეუძლია მასწავლებელთან ერთად ან დამოუკიდებლად რეკომენდაციების და ინსტრუქციების მიცემა მშობლისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელების საკითხებზე (ასისტირების საკითხები, განრიგის, რუტინის თვალსაჩინო სახით შემუშავება და სხვა);
- თუ, მშობელი ვერ ახერხებს ასისტირების გაწევას სინქრონულ რეჟიმში შვილისთვის, მისი დაკავებულებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვა ტიპის დახმარების გზების მოძიებაზე ახალი შეხვედრის ჩანიშვნა და სწავლების ფორმატის გადახედვა.

**სკოლის ფსიქოლოგის** მიერ განხორციელებული მუშაობა რეკომენდებულია მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- მასწავლებლის კონსულტირება სასწავლო სტრატეგიებზე, ტექნიკებზე, მეთოდური მითითების მიწოდება მასწავლებლებისთვის, სსსმ მოსწავლის კოგნიტური, აკადემიური, მოტორული, ქცევითი, ემოციური და სხვა საჭიროებების გათვალისწინების საფუძველზე
- მშობლის კონსულტირება სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელების საკითხებზე;
- ფსიქოლოგი (ან სპეც. მასწავლებელი, თუკი სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი) შესაძლებელია პერიოდულად ესწრებოდეს სინქრონულად მიმდინარე ონლაინ გაკვეთილს და უშუალო დაკვირვების და დაკვირვების შედეგების ანალიზის საფუძველზე აწვდიდეს რეკომენდაციებს მოსწავლის მშობელსა და მასწავლებლებს.
- სკოლის ფსიქოლოგი აკვირდება სსსმ მოსწავლეს დისტანციური სწავლების ფორმატში და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დისტანციური სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის რეკომენდაციებს მოტივაციის ამაღლების, ქცევითი სირთულეების მართვის და სხვა საკითხების გათვალისწინებით.

## რეკომენდაციები მასწავლებლებს

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ონლაინ თუ დისტანციურს სწავლების უზრუნველყოფისთვის საჭიროა დამატებითი მხარდაჭერა მშობლების, მასწავლებლების თუ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მხრიდან.

მნიშვნელოვანია მათ შორის კოორდინირებული და შეთანხმებული თანამშრომლობა. სსსმ მოსწავლეების დისტანციური სწავლებისას რეკომენდირებულია და გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

- ხელმისაწვდომი და მოსწავლის შესაძლებლობებზე მაქსიმალურად მორგებული პლატფორმის განსაზღვრა – პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს დისტანციური თუ ონლაინ სწავლებისთვის ისეთი პლატფორმა, რომელიც ხელმისაწვდომია ოჯახისთვის. შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობისა თუ ინტერნეტის არსებობის შემთხვევაში, ეს სასურველია იყოს TEAMS-ი. მსგავსი ტექნიკური რესურსების არ არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია კომუნიკაციის ტელეფონის საშუალებით წარმოება. მნიშვნელოვანია, მოიძებნოს ის ოპტიმალური, ადაპტირებული და მოსწავლეზე მორგებული ფორმატი,

რომელიც შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს განათლების მიღების უწყვეტობას. ასევე, რეკომენდებულია, რომ შეთავაზებულ იქნას ინდივიდუალური გაკვეთილები მისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი პლატფორმის გამოყენებით.

შესაძლებელია ტელესკოლის რესურსის გამოყენება (მნიშვნელოვანია, რომ სპეციალური მასწავლებლისა და საგნის მასწავლებლის მიერ რეკომენდაცია გაეწიოს მშობელს, თუ რომელი კლასის გაკვეთილების ყურებაა მიზანშეწონილი მოსწავლისთვის მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე). ასევე, სასურველია მცირე ვიდეო გაკვეთილების შექმნა და შეთავაზება.

- ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან – ინფორმაციის გაზიარების მიზნით, რეკომენდებულია მასწავლებლებმა მინიმუმ თვეში ერთხელ მოაწყონ ონლაინ შეხვედრა მშობელთან, სადაც მიღწეულ შედეგებს, გამოწვევებს, საჭიროებებს, სწავლებასთან, კომუნიკაციასთან, ქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ და სამომავლო გეგმებს წარადგენენ. ეს შეხვედრა ისგ ჯგუფის შეხვედრის ნაწილი იქნება.
- ინდივიდუალური განრიგის შედგენა – მშობლების, საგნის მასწავლებლებისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მსჯელობის საფუძველზე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მოსწავლის ინდივიდუალური განრიგი. ცხრილის შემუშავებისას, მნიშვნელოვანია რომ ის მაქსიმალურად იყოს მორგებული მოსწავლეზე, გათვალისწინებულ იქნეს მისი ინდივიდუალური შესაძლებლობები და ინტერესები, პრიორიტეტული სასწავლო მიზნები, მშობლის მიერ მხარდაჭერისა და ჩართულობის ფაქტორი, ონლაინ გაკვეთილების სიხშირე და ხანგრძლივობა. ყოველდღიური განრიგი, რომელიც წინასწარ შეთანხმებული, პროგნოზირებადი და სტრუქტურირებულია, გარკვეულწილად უზრუნველყოფს მოსწავლის მზაობას, რომ უფრო ეფექტურად ჩაერთოს პროცესში და ჰქონდეს შესაბამისი მოლოდინები და მზაობა.
- ახალი გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნები – დისტანციური სწავლების ფორმატი გარკვეულწილად შეუძლებელს ხდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი მიზნის შესრულებას. ამასთანავე, შესაძლებელია ამ პერიოდში, სიტუაციიდან გამომდინარე, სხვა მიზნები გახდეს პრიორიტეტული. შესაბამისად, მშობლის, საგნის მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლის თანამშრომლობის შედეგად, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს დროებითი, რეალისტური და სიტუაციაზე მორგებული მოკლევადიანი მიზნები. რეკომენდირებულია, რომ ახალი მიზნები მიმართულებათა მიხედვით იყოს დაბალანსებული ანუ მოიცავდეს როგორც აკადემიურ, ასევე კოგნიტურ სფეროს.
- რესურსები, აქტივობები და საშინაო დავალებები – მნიშვნელოვანია, რომ საშინაო დავალებები იყოს მოკლევადიანი მიზნების შესაბამისი და მოითხოვდეს ისეთი რესურსების გამოყენებას, რომლებიც ხელმისაწვდომია მოსწავლისთვის სახლის პირობებში. აუცილებელია, რომ დავალებების ინსტრუქცია იყოს გასაგები მოსწავლისთვის და/ან მშობლისთვის. სასურველია მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება (ვიდეო დავალებები, სურათები, აპლიკაციები და ა.შ.), რათა მოსწავლისთვის უფრო საინტერესო იყოს მათი შესრულება.
- დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგი – აუცილებელია შემუშავდეს სწავლების პროცესის მონიტორინგის გარკვეული სტრუქტურა, რათა მშობლებსა და მასწავლებელს ჰქონდეთ აქტიური კომუნიკაცია იმის შესახებ თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს სწავლება. ასევე, გაუზიარონ ერთმანეთს თუ რა გამოწვევებს აწყდებიან და როგორ სრულდება საშინაო დავალებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შეიტანონ ცვლილებები უფრო მეტი ეფექტურობისთვის. პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ადმინისტრაცია.
- იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის შესაძლებლობები ან ტექნიკური რესურსების არ არსებობა ვერ იძლევა მისი ონლაინ გაკვეთილში ჩართვის შესაძლებლობას, მნიშვნელოვანია, რომ მშობელს მიეწოდოს რესურსები და აქტივობები შესაბამისი ინსტრუქციებითა და რჩევებით თუ როგორ უნდა განახორციელოს ის;

- მშობლების მხარდაჭერა – დისტანციური სწავლების პროცესში სსსმ მოსწავლეების მშობლები აქტიურად არიან მშობლები და ხშირ შემთხვევაში ასისტენტის ფუნქციასაც ითავსებენ. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, მათი ემოციური მხარდაჭერა. აუცილებელია, მიეწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხშირად სწავლების პროცესისთვის ნელი ტემპი დამახასიათებელია, ხოლო პროგრესი ყოველთვის არ არის მალევე თვალსაჩინო.
- ეფექტური იქნება, თუ მასწავლებლები დაიცავენ ბალანსს აკადემიური და კოგნიტური უნარების განმავითარებელი აქტივობების შერჩევისას, მაგალითად დისტანციურად მოწოდებულ დავალებებში გათვალისწინებული იქნება, როგორც მათემატიკის, თხრობის, წერის, კითხვის და კოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობის, ასევე, სახალისო, მოძრავი აქტივობებიც, ასევე აქტივობები, რომლებიც ჭრას, ძერწვას და ა.შ მოიცავს, შესაძლოა დავალება იყოს გაკვეთილის თემის შესაბამისი ანიმაციის ნახვა და იმის მიხედვით ნახატის შექმნა, ასევე ხელნაკეთი ნივთების დამზადება, ძველი გამოუსადეგარი ნივთებით სათამაშოების დამზადება და ა.შ.
- სსსმ მოსწავლეთა დისტანციური სწავლების ფორმატით მუშაობის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობა და მოტივაცია, რათა ერთგვარი ასისტირება გაუწიონ მოსწავლეებს. ასევე დავალების შესრულებისთვის რა ტიპის დახმარება უნდა გაუწიოს მშობელმა, ასისტირება, ინსტრუქციის გამარტივება, დროის აკომოდაცია თუ ა.შ ეს სპეციალისტმა უნდა უთხრას, ამიტომ ფსიქოლოგების და სპეციალური მასწავლებლების როლი დიდია.
- მძიმე და ღრმა ინტელექტუალური განვითარების დარღვევის შემთხვევაში დავალებების ადაპტირება სწორედ სპეციალური მასწავლებლის კონსულტირების შედეგად უნდა მოხდეს, აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში განვითარებას შედეგი აქვს სწორედ უშუალო შეხებას, ფიზიკურ ჩარევას, სენსორულ და ტაქტილურ მასალებს, პირისპირ კომუნიკაცია, მიბაძვით სწავლებას და სხვა, რაც ონლაინ ფორმატში შეუძლებელია, თუმცა ონლაინ რეჟიმში ინფორმაციის ვიზუალური და სმენითი გადაცემის კარგი შესაძლებლობაა, ამიტომ გამოწვევაა სწორი დაგეგმვა, რამდენი ხანი ჩაერთვება მასწავლებელი, რა ტიპის დავალებას შესთავაზებს, როგორ შეძლებს მისი ყურადღების მობილიზაციას და ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობელთა კონსულტირებას, რომ მათ უზრუნველყონ ბავშვებისთვის შესაბამისი აქტივობები და რესურსები, ეფექტურია ვიდეო რგოლების, ე. წ ტუტორიალების ჩაწერა მასწავლებლების მხრიდან და დემონსტრირება.
- დისტანციური სწავლების პირობებში, ხდება დავალებების ელექტრონული ფორმატით გადაგზავნა, თუმცა პრობლემები ეხება უფრო მეტად ტექნიკურ საკითხებს, დავალების ამობეჭდვა, კომპიუტერთან და ინტერნეტთან წვდომა საქართველოში ყველა ოჯახს არ აქვს, ამიტომ ასეთ შემთხვევაში დავალების მიცემა აუცილებლად უნდა განხორციელდეს ოჯახში არსებული პირობების და რესურსების გათვალისწინებით, მაგალითად თუ ოჯახს არ აქვს კომპიუტერი, დავალების გადაგზავნა აზრს მოკლებულია, გამოვკითხოთ ბავშვი და ოჯახი, რა ტიპის რესურსები აქვს და იმის მიხედვით მივცეთ დავალება, ეს შესაძლოა იყოს მაგალითად თემაზე; „მცენარეები“ კოლაჟის თუ ნახატის შექმნა, წერითი დავალების მიცემა. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს დავალების სწორად მიცემას, დავალების მიცემის პროცესში დახმარების სტრატეგიების შესახებ მშობლისთვის კონსულტაციის გაწევას, რათა თავიდან ავირიდოთ მოსწავლის და ოჯახის იმედგაცრუება.

**რეკომენდაციები ონლაინ სწავლების ფორმატთან დაკავშირებით**
**სსსმ მოსწავლეების ჩართულობის გაზრდისთვის**

ონლაინ სწავლების ფორმატზე იმის მიხედვით, თუ რომელ პლატფორმას იყენებთ, გაითვალისწინეთ, რომ სსსმ მოსწავლის ჩართულობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია:

1) თუ, ის პლატფორმა, რომელსაც თქვენ იყენებთ, რთულ ინსტრუქციებს შეიცავს და მოსწავლეს ამა თუ იმ საჭიროებიდან გამომდინარე, უჭირს მისი გამოყენება, გამოყავით დრო მასთან დისტანციურად ინდივიდუალური მეცადინეობისთვის, ამ შემთხვევაში დაგჭირდებათ მშობელთან თანამშრომლობა, რათა მოსწავლემ მშობლის დახმარებით ისარგებლოს შესაბამისი, მისთვის ნაცნობი, პლატფორმით;

2) ამოსავალი წერტილი, დისტანციური სწავლების პირობებში, ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისთვის არის ის, რომ წინასწარ მოხდეს ბავშვის საჭიროებების შეფასება – თუ

როგორია მისი კოგნიტური, აკადემიური, მოტორული და ქცევითი უნარები და იმის მიხედვით ადაპტირდეს პროგრამის გამოყენების ფორმატი, იქნება ეს რაოდენობრივი თუ თვისობრივი აკომოდაცია. ყველა შემთხვევაში გაითვალისწინეთ, რომ ამ დროს რთულია პირდაპირი რეკომენდაციების მიცემა, რადგან მნიშვნელობა აქვს მოსწავლის შესაძლებლობებს და კომპიუტერული ტექნოლოგიების მოთხოვნებს ამა თუ იმ ინსტრუქციის შესრულების პროცესში. ამ დროს ძალიან გამოგადგებათ ის გამოცდილება, რომელიც უკვე გაქვთ პრაქტიკიდან გამომდინარე კონკრეტულ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესში. შესაბამისად, გექნებათ ინფორმაცია, თუ რა ტიპის აკომოდაცია სჭირდებოდა მოსწავლეს გაკვეთილზე ჩართულობის დროს, მაგალითად, თუ თქვენ ინსტრუქციის აკომოდაციას ანიჭებდით უპირატესობას, აქაც იგივე დაგჭირდებათ, კომპიუტერული პროგრამის გამოყენებისთვის მოსწავლეს შესაძლოა მშობლის ასისტირება დასჭირდეს, ინსტრუქციის გამეორება, წაკითხულის სიტყვიერად გახმოვანება და სხვა;

3) კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა ინდივიდუალური მუშაობაც ეფექტიანი იყოს. ამ მიზნით ადრევე შეათანხმეთ ონლაინ ჩართვის დრო მშობელთან, წინასწარ დასახეთ გაკვეთილის თემა, მიზანი, აქტივობა, მოიმარაგეთ რესურსები ჩართვის პროცესისთვის, მაგალითად: თვალსაჩინო მასალები, ფოტოები ან უშუალოდ ნივთები, რომელთა დემონსტრირებასაც კამერის საშუალებით მოახერხებთ;

4) პირველი ორი ან სამი ჩართვა უფრო საპილოტე ხასიათის იქნება, სწავლების პარალელურად აუცილებლად დააკვირდით პროცესს, არ იჩქაროთ, დააკვირდით ბავშვს, თუ გისმენთ, გიყურებთ, გაიმეორეთ საკითხი რამდენჯერმე, ჩართეთ დიალოგში, გამოიყენეთ ალტერნატიული კომუნიკაციის ფორმები, გამოიყენეთ უკუკავშირი;

5) მოამზადეთ მისთვის ადაპტირებული დავალებები, რომლებსაც გადაუგზავნით, დაუთქვით ვადა, როდისთვის უნდა მოამზადოს, დავალება, შეთანხმებისამებრ, ჩაიბარეთ წერილობით გადმოგზავნილი, ან ზეპირად ისევ კამერისა და მიკროფონის გამოყენებით;

6) არ იჩქაროთ, უშუალო კონტაქტის გარეშე კომუნიკაცია, შესაძლოა, იმ მხრივ იყოს რთული, რომ ბავშვს გაეფანტოს ყურადღება, ამიტომ მოკლე და მკაფიო ინსტრუქციები შესთავაზეთ, წაახალისეთ;

7) რეკომენდაციები სსსმ მოსწავლეებთან დისტანციური და ონლაინ მუშაობის მხრივ შესაძლოაა დავყოთ მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. მაგალითად, მცირე მხედველი მოსწავლისთვის, რა თქმა უნდა, შრიფტის გაზრდა იქნება საჭირო, ნატიფი მოტორული და ვიზუალურ-სივრცითი სირთულეების მქონე მოსწავლესთან – დამატებითი დროის მიცემა კლავიატურაზე ორიენტირებისთვის;

8) მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რა ტიპის უნარებს მოითხოვს კომპიუტერთან მუშაობა და ამ მხრივ აღიწეროს სსსმ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეს უნარებია: ნატიფი მოტორიკა, ვიზუალურ-სივრცითი უნარები, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება და სხვა;

9) კოგნიტური უნარების შეფასებაში, რომლებიც უშუალოდ დისტანციურ სწავლებას ეხება, ძალიან მნიშვნელოვანია სპეცმასწავლებლისა და ფსიქოლოგის ჩართულობა. სწორედ მათ უნდა შეაფასონ და ისგ გუნდს მიაწოდონ შეფასების შედეგები და რეკომენდაციები, კონკრეტულ მოსწავლესთან დისტანციური

სწავლების რეჟიმის დროს რა ტიპის მხარდაჭერა დასჭირდებათ. შესაბამისად, სპეცმასწავლებლებს, ფსიქოლოგებსა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს, ასევე, დასჭირდებათ რამდენიმე ონლაინ ჩართვა მოსწავლესთან. ჩართვის პროცესში თქვენი ამოცანაა, დააკვირდეთ კამერასთან მყოფ მოსწავლეს – როგორ შემოდის თქვენთან ონლაინ კომუნიკაციაში, რა ტიპის სირთულეები და ძლიერი მხარეები ვლინდება ამ ახალი გამოწვევის დროს. დაკვირვება ბუნებრივად უნდა წარიმართოს, ამიტომ მიეცით გარკვეული დავალება, წინასწარ მოამზადეთ აქტივობა. შემდეგ კი გააკეთეთ ჩანაწერები, თქვენი დაკვირვების შედეგების შესახებ, დაგეგმეთ შემდეგი ჩართვა, როდესაც დამატებით დააკვირდებით იმ უნარებს, რომლებიც პირველი ჩართვის დროს შესაძლოა გამოგრჩათ, ან არ გამოვლინდა;

10) ონლაინ ჩართვა განახორციელეთ სსსმ მოსწავლესთან არა მხოლოდ ინდივიდუალურად, არამედ მოსწავლეთა წყვილთან, მცირე და შედარებით დიდ ჯგუფთან, თანაკლასელებთან. ზემოთ აქცენტი სსსმ მოსწავლესთან ინდივიდუალურ ჩართვაზე მხოლოდ იმიტომ იყო გაკეთებული, რომ შესაძლებელია ეს, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაში უფრო ეფექტური იყოს თავდაპირველ ან საჭიროებით განსაზღვრულ ეტაპებზე. ამის მიგნებაში დაგეხმარებათ ისევ გამოცდილება, თუ რა სიხშირით სარგებლობდა მოსწავლე სკოლის რესურსოთახით;

11) ითანამშრომლეთ მშობელსა და ერთმანეთთან. დისტანციური სწავლება მხოლოდ მასწავლებლისა და სპეციალისტების ბავშვთან კომუნიკაციას არ გულისხმობს. აქ ეფექტურია მასწავლებლების დისტანციური ურთიერთობა ერთმანეთთან, ჯგუფური შეხვედრის დანიშვნა – ქეისების განხილვის მიზნით, მასწავლებლების და მშობლის მოსაზრებების და იდეების ერთმანეთთან გაზიარება, თუ რა წარიმართა კარგად და რის გაუმჯობესებაა საჭირო ბარიერების შესამცირებლად.

## დახმარების სტრატეგიები დისტანციური სწავლების პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან

### დახმარების სტრატეგიები ფიზიკური შეზღუდვის მქონე მოსწავლეებთან:

ფიზიკური დარღვევა არის მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის მობილობაზე, ძალასა და გამძლეობაზე, სახსრების მოძრაობის სიფართოეზე, მოქნილობაზე, შეგრძნებების აღქმასა და გადამუშავებაზე, ყოველდღიურ აქტივობებში ჩართულობაზე და სხვა. სირთულეები შესაძლოა გამოვლინდეს სიარულის, ხელების მოძრაობის, ჯდომის, დგომის და სხვა მოქმედებების შესრულების დროს.

შესაბამისად, დისტანციური სწავლების პროცესში, იქნება ეს სინქრონული, თუ ასინქრონული სწავლება, ყურადღება უნდა მიექცეს სახლის პირობებში მოსწავლის მაგიდასთან ჯდომის პოზას, ადაპტირებულ სკამზე ან ეტლში ჯდომის პრინციპებს, ნატიფ მოტორულ მოძრაობებს, რომლებიც საჭიროა წერითი და სხვა სასწავლო აქტივობების შესასრულებლად, ზოგჯერ შეუძლებელი ან გართულებულია ასეთი აქტივობების შესრულება და დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოს ადაპტაციის, მორგების საკითხებს, ასევე მშობლის ან სხვა დამხმარე პირის ფიზიკური ან ნახევრად ფიზიკური დახმარების სტრატეგიებს.

აქედან გამომდინარე, ონლაინ გაკვეთილის, ან ასინქრონული სწავლების დროს მეცადინეობის პროცესში გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

1. გარემოს მორგება – ფიზიკური და სოციალური გარემო ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის დამოუკიდებლობას და შემცირებული იყოს არსებული დაბრკოლებები. სამუშაო მაგიდაზე განათავსეთ მხოლოდ საჭირო ნივთები, გამოიყენეთ ის სასწავლო ნივთები, რომლებსაც აქამდე იყენებდა

მოსწავლე, მაგალითად, გამსხვილებული კალმისტარი, ან ადაპტირებული რვეული, რომელსაც მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა, უფრო ფართო უჯრები ჰქონდეს, თუ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია საშლელით წაშლა, ამ შემთხვევაში დაეხმარეთ მხოლოდ ფურცლის დაჭერაში, ან შესთავაზეთ ფურცლის სპეციალური დამჭერი და სხვა; ფეხები უნდა ეყრდნობოდეს იატაკს;

2. დახმარების დონის სწორად განსაზღვრა – მშობელი ან სხვა დამხმარე პირი მოსწავლესთან ერთად განსაზღვრავს დახმარების დონეს, რომელიც შეიძლება იყოს ვერბალური ან/და ფიზიკური დახმარება და დემონსტრირება. მაგალითად, შეიძლება, წიგნის აღება და გადაშლა მოსწავლეს შეეძლოს დამოუკიდებლად, მაგრამ საჭირო იყოს შესაბამის გვერდზე გადაფურცვლაში დახმარება, ან შესაბამის გვერდზე სანიშნის ჩადება, რაც მოსწავლეს რამდენიმე ფურცლის ერთდროულად გადაშლაში დაეხმარება;

3. ფურცლის მდებარეობა – ყურადღება ექცევა ფურცლის მდებარეობას. მემარცხენე ბავშვის შემთხვევაში ფურცელი უნდა იყოს ოდნავ დახრილი მარჯვენა მხარეს, ხოლო მემარჯვენე ბავშვის შემთხვევაში – მარცხენა მხარეს ან ჰორიზონტალურად;

4. მაგიდის ზედაპირის ამაღლება – 20 გრადუსით ამაღლებული მაგიდის ზედაპირი ხშირად კომფორტული პოზიციაა წერისა და კითხვისთვის;

5. ჯდომის პოზა კომპიუტერულ მოწყობილობასთან – მნიშნელოვანია ისე მოთავსდეს მოსწავლე, რომ პირდაპირ უყურებდეს ეკრანს, სტანდარტული სკამი ამ დროს შესაძლოა ამაღლებას საჭიროებდეს, ან კომპიუტერის ეკრანის დადაბლება იყოს საჭირო;

6. ოთახში რეკომენდებულია იყოს შესაბამისი განათება და მყუდრო, ზედმეტი ხმაურისგან თავისუფალი გარემო; გაკვეთილის დაწყებამდე მაგიდაზე მოთავსებული ჰქონდეს ყველა საჭირო რესურსი და მისაწვდომი იყოს მისთვის;

7. მოსწავლეს შესაძლოა სჭირდებოდეს ფიზიკური დახმარება, მაგალითად, ხელის ხელზე ტექნიკის გამოყენებით, ან ნახევრად ფიზიკური დახმარება, მაგალითად, ნივთის მიწოდება, ან კითხვის დროს ფურცლების გადაშლაში დახმარება;

8. შესაძლებელია, ნატიფი მოტორული შეზღუდვის გათვალისწინებით, საჭირო იყოს წერითი დავალებების კომპიუტერით, კლავიატურაზე დაბეჭდვის სახით შესრულება;

9. შესაძლოა შესრულების ტემპი უფრო დაბალი იყოს და საჭიროა დამატებითი დროის მიცემა, ან შესასრულებელი აქტივობის შესრულება;

10. შესაძლებელია, მაგიდაზე წერის ალტერნატივად, მოსწავლე იყენებდეს ხელის დაფას, რომელიც ეტლზე აქვს დამაგრებული და ეს მისთვის უფრო კომფორტული იყოს, ხოლო მაგიდასთან მუშაობის პროცესში, მნიშნელოვანია, მაგიდა ადაპტირებული იყოს მის ფიზიკურ მდგომარეობასთან და მაგიდაზე ორივე ხელის დადება და მუშაობა კომფორტულად იყოს შესაძლებელი.

**დახმარების სტრატეგიები მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეებთან:**

მცირემხედველ და უსინათლო მოსწავლეებთან სწავლების სხვადასხვა ტექნიკა და სტრატეგია გამოიყენება. მცირემხედველობა არის, სათვალის ან კონტაქტური ლინზების გამოყენების, მედიკამენტების მიღების ან ოპერაციის ჩატარების მიუხედავად, არსებული მხედველობის დაქვეითება. ზოგჯერ აღინიშნება მხედველობის სრული დაკარგვა და ტოტალური უსინათლობა.

აქედან გამომდინარე, ონლაინ გაკვეთილის ან ასინქრონული სწავლების დროს მეცადინეობის პროცესში გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

1. კომპიუტერზე შრიფტის გადიდება, ეკრანის მოცულობის გაფართოება;
2. დამატებითი განათება;
3. ლუპის გამოყენება;
4. ელექტრონული რესურსი, რომელიც ნაწერს გარდაქმნის ხმოვან რესურსად;
5. პროგრამა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია გაკვეთილისა და ტექსტების ჩაწერა/მოსმენა;
6. წიგნების აუდიო ჩანაწერები;
7. დამხარე პირის მიერ გაკვეთილზე მიმდინარე პროცესის გახმოვანება;
8. CCTV, რომელიც ადიდებს ტექსტის შრიფტს და ცვლის ფერებს, კონტრასტს;
9. ავეჯი, სასწავლო რესურსები და ტექნიკა უნდა იყოს კონტრასტული ფერების და არა ერთნაირი ფერის, რომ მცირემხედველ მოსწავლეს გაუადვილდეს საგნების ამოცნობა და მათი გამოყენება;
10. რეკომენდებულია, ჭერის განათების წყარო იყოს რამდენიმე, რათა შევამციროთ ჩრდილები; ავეჯი და იატაკის ზედაპირი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ არ ირეკლავდეს მზის შუქს. რეკომენდებულია, მცირემხედველი მოსწავლე იჯდეს ფანჯარასთან ახლოს, მაგრამ არ უნდა ეცემოდეს მზის პირდაპირი სხივები.

**დახმარების სტრატეგიები სმენის სირთულის მქონე მოსწავლეებთან:**

შესაძლებელია, მოსწავლეს აღენიშნებოდეს სმენის დარღვევის სხვადასხვა ხარისხი, იყენებდეს სმენის აპარატს, ან ფიქსირდებოდეს სიყრუე, აქედან გამოდინარე, დახმარების სტრატეგები სხვადასხვა იქნება:

1. ჟესტური ენის თარჯიმნის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში;
2. ხმის დამხმარე გამაძლიერებლის გამოყენება;
3. ვიდეო რესურსებზე ტექსტური წარწერების დართვა;
4. ვიზუალური ბარათების, სიუჟეტური სურათების გამოყენება ვერბალურად მიწოდებული მასალის პარალელურად;
5. მასწავლებლის ან/და იმ პირის მთლიანი სახის ეკრანზე გადიდება, მისი საუბრის პროცესში, რომ მოსწავლემ ტუჩების მოძრაობით ამოკითხვა შეძლოს;
6. ვერბალური ახსნის პარალელურად შესაბამის თვალსაჩინო მასალაზე ან/და ნივთზე მინიშნება;
7. ემოციური მხარდაჭერა და წახალისება, რომ მოსწავლემ ჟესტურ ენაზე შეძლოს პასუხების დაფიქსირება და გაკვეთილზე ჩართვა.

**დახმარების სტრატეგიები ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებთან:**

**დანაწევრებული ინსტრუქციები** – მასწავლებელმა სასურველია გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეს მასალა მიაწოდოს მაქსიმალურად დანაწევრებული და გამოიყენოს ვიზუალურად მრავალფეროვანი რესურსები. მასალის ახსნის დროს მოსწავლეს დასჭირდება ინსტრუქციების ნაბიჯ-ნაბიჯ მიწოდება, გამეორება და ინსტრუქციის მისთვის გასაგები სიტყვებით გადაცემა, ასევე ზეპირი ინსტრუქციის პარალელურად ფიზიკური მინიშნება, მოდელირება, ჩვენება;

**თვალსაჩინოების გამოყენება** – სწავლების არსებითი პრინციპია ცნებების გათვალსაჩინოება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, რომელთა აღქმის ძირითადი წყარო ვიზუალური გარემოა. სასურველია, ცნებები დაკავშირებული იყოს ბავშვის ყოველდღიურობაში არსებულ ნაცნობ საგნებსა და ქმედებებთან;

**კეთებით სწავლა** – მასალის აღქმის კიდევ ერთი ეფექტიანი ფორმაა კეთება: გაფერადება, გამოჭრა მოდელის მიხედვით, პლასტილინით გამოძერწვა და ა.შ. ამგვარი აქტივობების დროს შესწავლილი მასალა უფრო მყარი და დასამახსოვრებელია;

**მულტიმოდალური სწავლება** – სწავლის პროცესი სხვადასხვა შეგრძნების – განსაკუთრებით კი მხედველობის, სმენის და ტაქტილური აღქმის ერთობლიობაა. მულტიმოდალური სწავლება ეს არის სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მრავალფეროვანი სტრატეგიის/მასალის გამოყენებას და მოიცავს მგრძნობელობის ყველა არხს, რომლებიც ადამიანის ყველა შეგრძნების გააქტიურებას უწყობს ხელს.

**დახმარების სტრატეგიები ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის მქონე მოსწავლეებთან:**

- **მანიპულირება და ვიზუალური მასალების ეფექტურობა** – მიეცით შესაძლებლობა, ზეპირი ახსნის პროცესში გააკეთოს ჩანაწერები, ასწავლეთ ჩანაწერის სტრუქტურირებული, სქემატური გაკეთება. რეკომენდებულია დავალებების შესაბამისი ვიზუალური ბარათები ან თვალსაჩინო საგნები ყოველთვის გამოიყენოს ამოცანის ტექსტის წაკითხვის, ან მოსმენის შემდეგ, რათა ტექსტში მოცემული საკითხები უფრო მეტად წარმოიდგინოს თვალსაჩინოდ;
- **ფიზიკური ვარჯიში, ან ფიზიკური აქტივობა** – ჰიპერაქტივობის შემთხვევაში, მოსწავლეს უჭირს დიდხანს ჯდომა და ერთი და იმავე აქტივობის შესრულება. მიეცით საშუალება, ადგეს, გაიაროს. თუ მასწავლებელი წინასწარ ამჩნევს ზედმეტი მოძრაობის ნიშნებს, რეკომენდებულია, ამ დროს მისცეს ისეთი დავალება, რომელიც მოძრაობას მოითხოვს;
- **დახმარების სტრატეგიები იმპულსის კონტროლის გაუმჯობესებისთვის** – თუ უჭირს ლოდინი, ამ პერიოდის განმავლობაში ხშირად მიუთითეთ საათზე და შეახსენეთ, რამდენი დრო დარჩა. წარმატებული მოცდის შემთხვევაში, შეაქეთ და წაახალისეთ;
- **დახმარების სტრატეგიები უყურადღებობის დროს** – ეკრანზე, პრეზენტაციაში, ან გაზიარებულ დოკუმენტში სხვადასხვა ფერის ფონტით მოუნიშნეთ განსხვავებული შინაარსის ამსახველი ადგილები, რათა არ გაეფანტოს ყურადღება, ეს დაეხმარება მობილიზებაში;
- **შეადგინეთ დღის გეგმა** – შეადგინეთ ცხრილი, რომელშიც ასახული იქნება ბავშვის დღიური აქტივობების განრიგი (ან ერთ გაკვეთილზე დაგეგმილი აქტივობების ამსახველი განრიგი). სცადეთ, ყოველდღიურად გააკეთოთ ცხრილი (მაგალითად, წინა დღეს) და შედგენის პროცესში ჩართოთ ბავშვიც: გააცანით მას აქტივობები; გააფერადებინეთ ან თქვენთან ერთად დაახატვინეთ ცხრილში სახალისო სურათები; ამის შემდეგ, მოათავსეთ განრიგი ბავშვისთვის თვალსაჩინო ადგილას, სთხოვეთ მოსწავლეს, მიჰყვეს განრიგს. მიუთითეთ, რომ მონიშნოს ის აქტივობა, რომელიც უკვე შეასრულა, რათა დაიცვას თანმიმდევრობა;
- **შეიმუშავეთ წესები** – უფრო ეფექტური იქნება, თუ წესებს ფერადი ფანქრებით დაწერთ, დაურთავთ მას ნახატებს და ამ პროცესში ბავშვსაც ჩავრთავთ;
- **იყავით თანმიმდევრულები** – მნიშვნელოვანია, რომ ყველა მასწავლებელი იზიარებდეს წესებს და მსგავსად რეაგირებდეს მათ უგულებელყოფაზე. დარწმუნდით, რომ ბავშვმა გაიგო თქვენი მითითება. მიმართეთ სახელით და მშვიდი ტონით გაუმეორეთ, რას მოელით მისგან. მიმართეთ მარტივი და მოკლე წინადადებით;
- **დაეხმარეთ სამუშაო და სასწავლო ნივთების ორგანიზების უნარების ჩამოყალიბებაში** – რეკომენდებულია ჩანთა, პენალი, კონტეინერი, „ორგანაიზერი“ და მსგავსი რესურსები იყოს გამყოფებით, რათა მოსწავლემ იცოდეს, რომელ ჯიბეში რა ნივთს ათავსებს, აღნიშნული რეკომენდაცია ყურადღების მობილიზებაში ეხმარება მოსწავლეს და ხელს უწყობს დროის ეფექტურ მენეჯმენტს.

# ფსიქოლოგის რჩევები დისტანციური სწავლების პროცესში – გამოწვევები და ბარიერები

**ნიკოლოზ კაპანაძე,**
**სოფო ცაგარეიშვილი**

თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის
კლინიკური ნეიროფსიქოლოგები

დისტანციური სწავლების[1] პრაქტიკა თითქმის 180 წელს ითვლის. ის თავდაპირველად ფოსტის მეშვეობით, ასინქრონულად[2], მიმდინარეობდა. XXI საუკუნეში ტექნოლოგიური პროგრესის წყალობით დაიხვეწა და გამრავალფეროვნდა საკომუნიკაციო საშუალებები. მოგვარდა „ინფორმაციის მოგზაურობისთვის" დახარჯული დროის პრობლემა, დისტანციური სწავლება უფრო მოსახერხებელი და ჰოლისტური გახდა. შესაძლებლობების მატების კვალდაკვალ იმატა პრობლემებმაც. გამართული ტექნიკა, ხარისხიანი ინტერნეტი, კომპიუტერული პროგრამები და მათი სწორი გამოყენება ეფექტური დისტანციური სწავლების წინაპირობაა. ამავდროულად, სწავლებისთვის შესაფერის მოწყობილობებზე მასობრივი წვდომა და პროგრამების ეფექტურად გამოყენება დღემდე პრობლემად რჩება. მსგავსი პრობლემების მოგვარება აუცილებელია, მაგრამ არა – საკმარისი.

დისტანციურ სწავლებაში მოსწავლის ჩართულობასა და მოტივაციაზე სხვადასხვა ფაქტორს აქვს გავლენა. მათგან გამოიყოფა სოციალურ-ინტერაქციული, პიროვნული და გარემო ფაქტორები. მოსწავლეთა მიტვაციისათვის წამყვან როლს სკოლისა და ოჯახის ჩართულობა ასრულებს. სწრაფი ტემპით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისას ორივე რგოლს უწევს გადაწყობა, მოქნილად მოქმედება, სწავლების პრინციპისა და დღის წესრიგის გამოცვლა. მოსწავლეების საწუხარიც მრავალფეროვანია – სასწავლო სტრატეგიების ონლაინ სივრცეში პირდაპირი გადმოტანა, ამ სივრცეში დამოუკიდებლად ოპერირების პრობლემა, თვითეფექტურობისა[3] და სოციალიზაციის ნაკლებობა, რაც, საბოლოოდ, სწავლების პროცესს მოსაბეზრებელს ხდის.

ფსიქოლოგიის ერთ-ერთ მიზანი სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურობის გაზრდაა. მოცემული თავში ვეცდებით, განვიხილოთ დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევები და სირთულეები, შემდგომ კი წარმოგიდგინოთ რჩევები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს მოტივაციის გაზრდაში, სოციალური იზოლაციის[4] განცდის დაძლევაში, კომუნიკაციის ალტერნატიული გზების გამოძებნასა და ურთიერთობისათვის აუცილებელი უნარების განვითარებაში.

## *დისტანციური სწავლების ნეგატიური გავლენები*

ტრადიციული განათლების მსგავსად, დისტანციურ სწავლებასაც აქვს დადებითი და უარყოფითი

1. დისტანციური სწავლება – ინსტიტუციონალური ფორმალური განათლება, როცა მოსწავლეთა ჯგუფი განცალკევებულია მასწავლებლისგან და მათ დასაკავშირებლად, რესურსებისა თუ ინსტრუქციების მისაწოდებლად გამოყენებულია ტელეკომუნიკაციის სისტემები.
2. ასინქრონული სწავლება – სწავლების ისეთი ფორმა, როცა პროცესში მონაწილეები არ ურთიერთობენ ერთ დროსა და სივრცეში.
3. თვითეფექტურობა – ინდივიდის სუბიექტური შეხედულება, რამდენად შეუძლია პრობლემის გადაჭრა და დასახული მიზნის მიღწევა.
4. სოციალური იზოლაცია – სასურველი სოციალური ურთიერთობების უქონლობა, ან უქონლობის სუბიექტური განცდა.

მხარეები. კვლევებისა და სხვადასხვა ავტორის მოსაზრებათა მიხედვით, მთავარ პრობლემათა ნუსხა სოციალურ და ინტერაქციულ ასპექტებს აერთიანებს. ამას ემატება ნაკლებად სტრუქტურირებული გარემო, რაც, მთლიანობაში, მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობასა და მოტივაციას აქვეითებს. იკვეთება პიროვნული ფაქტორებიც. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ონლაინ სწავლებისას, სოციალიზაციის ნაკლებობასთან ერთად, აწუხებთ მოტივაციის, თვითდისციპლინისა და თვითრეგულაციის სიმწირე. ხაზგასასმელია, რომ ამ ფაქტორებს მოსწავლის ოჯახზე, სკოლასა და მასწავლებლზეც აქვს გავლენა. შედეგად, იქმნება სისტემური პრობლემა, რომლის თითოეული კომპონენტიც ერთმანეთზეა დამოკიდებული.

### *რა სირთულეებს აწყდებიან მასწავლებლები?*

მასწავლებლების მთავარი საწუხარი კლასიკური სწავლების მეთოდებისგან პრინციპულად განსხვავებული სივრცის ათვისებას უკავშირდება. მათი როლი იცვლება – თუ წინათ მასწავლებელს მხოლოდ პედაგოგური ფუნქცია უნდა მოერგო, დისტანციური სწავლებისას მას დამატებით უწევს მოსწავლისთვის მასალის მიწოდება, ინტერნეტის მეშვეობით მათი კომუნიკაციის უზრუნველყოფა, საგაკვეთილო პროცესის ციფრულ- საკომუნიკაციო საშუალებებთან ადაპტირება და ბავშვებისა თუ მშობლებისთვის სწავლისთვის საჭირო სისტემების გაცნობა (Bonk & Dennen, 2003). მასწავლებლები ორი ტიპის პრობლემას გამოყოფენ: ერთი მხრივ, წარმოიშვა ახალი ტექნიკური საჭიროებები – ინტერნეტის სიხშირე, მოწყობილობათა ხარისხი, პროგრამული უზრუნველყოფა და მათი ეფექტურად გამოყენება. მეორე მხრივ, უშუალოდ გაკვეთილის ჩატარებასთან დაკავშირებული თვისობრივი ცვლილებები. მასწავლებლები გამოკვეთენ, რომ ხშირად მოსწავლეები, ტექნიკური უზრუნველყოფის პირობებშიც, კამერის ჩართვას თავს არიდებენ. ამასთან, მშობლების ჩართულობა იშვიათადაა საკმარისი. დამატებით სირთულეს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა წარმოადგენს. საბოლოოდ, ეს ფაქტორები მასწავლებელთა განწყობაზეც აისახება – გაუკონტროლებელი და ახალი სივრცე მათში არაკომპეტენტურობის განცდას იწვევს.

### *რა სირთულეებს აწყდებიან მშობლები?*

მშობლის ჩართულობასა და მხარდაჭერას როგორც კლასიკურ, ასევე დისტანციურ სწავლებაში, ბავშვის განათლებაზე დადებითი გავლენა აქვს (ჩარბე, ეტ ალ., 2020). განათლების ადმინისტრირების ფორმატის ცვლილება მოსწავლის ოჯახის წევრების გრაფიკსა და მოვალეობებზე პირდაპირ აისახება. მათ ახალი, უცნობი პასუხისმგებლობები ეკისრებათ. დისტანციური განათლებისას მშობელი ხდება მასწავლებლის თანაშემწე, რომელსაც მსგავსი მოვალეობები ეკისრება. ახალ როლს სამსახურეობრივი ვალდებულებები და სახლის სამუშაო ერთვის. მშობლის შესაძლებლობები სასრულია, შესაბამისად, წნეხი და დაძაბულობა იზრდება. მრავალშვიალიან ოჯახებში კი სიტუაციის კონტროლი თითქმის შეუძლებელი ხდება. ამოცანა კიდევ უფრო რთულდება, როდესაც მშობელი დღის ახალ წესრიგს მოუმზადებელი ხვდება. მაგალითად, არ აქვს შესაბამისი ტექნიკური თუ პროგრამული უზრუნველყოფა, ანდა სახლში სამუშაო სივრცე. ტექნიკურ მოუმზადებულობასთან ერთად, მშობლებს ხშირად არ აქვთ შესაბამისი პედაგოგიური განათლება. ამას ერთვის მასწავლებლებისგან არასათანადო უკუკავშირი და ციფრულ სივრცეზე არასაკმარისად მორგებული კურიკულუმი და დავალებები. მშობელთა როლის ცვლილებამ და საგაკვეთილო პროცესში აქტიურმა ჩართულობამ საგანმანათლებლო პროცესის მიმართ მათი დამოკიდებულებაც გადაასხვაფერა. მოსწავლის ოჯახის წევრები გამოყოფენ პრობლემებს, რომლებიც მოსაბეზრებელ საგაკვეთილო რუტინასა და არაფორმალური აქტივობების ნაკლებობას უკავშირდება. ოჯახის წევრების დამატებითი საწუხარია ისიც, რომ მოზარდი შესაძლოა, მეტად მიეჯაჭვოს ეკრანს.

### *რა სირთულეებს აწყდებიან მოსწავლეები?*

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოსწავლეები არაერთი სირთულის წინაშე აღმოჩნდნენ. რაც რამდენიმე სფეროდ შეგვიძლია დავყოთ:

### *ცოცხალი კომუნიკაციის ნაკლებობა*

კომუნიკაცია ენის მეშვეობით აზრების, გრძნობებისა თუ ინფორმაციის გაცემას, მიღებას ან გაცვლას გულისხმობს. იგი მოითხოვს გამგზავნს, გზავნილსა და მიმღებს. კომუნიკაციის ნაკლებობა, თავისთავად, არ მოიაზრებს მხოლოდ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობის ნაკლებობას. ის სხვა ჯგუფებსაც ეხება, კერძოდ: მშობლისა და სკოლის, მშობლისა და მასწავლებლის, მასწავლებლისა და სკოლის, მასწავლებლისა და მოსწავლის, და ბოლოს, მოსწავლისა და მოსწავლის. იგულისხმება, რომ საერთო ფიზიკური სივრცის ნაკლებობა კომუნიკაციის ცოცხალ, ბუნებრივ დინებას არღვევს. ამიტომ ონლაინ სივრცეში საჭირო ხდება პროცესის ხელოვნურად დანერგვა. მოსწავლეები მასწავლებლისგან არასაკმარის უკუკავშირს იღებენ, გაკვეთილის პროცესში ბავშვების ჩართულობა ნაკლებია, მცირდება გუნდური სამუშაო. შედეგად მოსწავლეებს სოციალური მიკუთვნებულობის განცდა არ უჩნდებათ. ეს მათ მოტივაციასა და პასუხისმგებლობის განცდაზე უარყოფითად აისახება.

### *კომუნიკაციური უნარების განვითარება*

სკოლისა და, ზოგადად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქცია მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება არაა. სკოლა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის სოციალური და კომუნიკაციური კომპეტენციის ჩამოყალიბებაში, რაც აუცილებელია ჯანსაღი ფსიქო-სოციალური განვითარებისთვის. აღნიშნული კომპეტენციის შესაძენად აუცილებელია საკუთარი აზრებისა და გრძნობების სწორი ფორმით გამოხატვასა და სხვისი სიგნალების, შეტყობინებების ადეკვატური გაგებისა და ინტერპრეტაციის უნარების განვითარება. კომუნიკაციის ორი ძირითადი სახეა ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია.

ვერბალური კომუნიკაცია მყარდება ენის მეშვეობით. სათქმელის ფონოლოგიურად, მორფოლოგიურად თუ სინტაქსურად გამართულად გადმოცემის გარდა, ენა მოიცავს პრაგმატულ ნაწილსაც. ეს, თავისთავად, მოიაზრებს დიალოგისა თუ მონოლოგის პროცესში სოციალური წესების გათვალისწინებას, მოიცავს ცოდნას, თუ როდის უნდა დაიწყო ან დაამთავრო დიალოგი, დაიცვა რიგი, დასვა ან უპასუხო კითხვას. ასევე, სიტუაციის შესაბამისად, როგორ შეინარჩუნო ან შეცვალო სასაუბრო თემა. სოციალური წესების დაცვა, აგრეთვე, გულისხმობს თავაზანობას, ზოგად მანერებსა და ე.წ. „დაუწერელ კანონებს.“ კომუნიკაციური უნარების განვითარება კულტურული წესების ათვისებასაც ითვალისწინებს. პრაგმატული უნარები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული *სოციალურ ინტელექტზე* – უნარზე, რომელიც სხვათა და საკუთარი ემოციების გაგების, გამოხატვისა და მართვის საშუალებას იძლევა და მოითხოვს თვითცნობიერებას. დამატებით, აღსანიშნია წერითი კომუნიკაციაც, რომელსაც ზოგიერთი ავტორი ცალკე სახედაც კი გამოყოფს. წერით კომუნიკაციას წარმოადგენს ნებისმიერი ინტერაქცია, რომელიც ნაწერი ტექსტით ხორციელდება. მაგალითად: მოკლე ტექსტური შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა, სახელმძღვანელო ან წერილობითი ინსტრუქცია.

არავერბალური კომუნიკაცია ენის მიღმა არსებული ინფორმაციის გადმოცემასა და გაგებას გულისხმობს. მასში ერთიანდება სხეულის ენის განსხვავებული ასპექტები, როგორებიცაა: ჟესტიკულაცია, სახის გამომეტყველება, სხეულის პოზა, შეხება, თვალით კონტაქტი, საუბრის პროცესში დისტანციის დაცვა და სხვა მოქმედებების სწორი გამოყენება და გაგება. ამას ემატება პროსოდია, რაც მოიცავს საუბრის

პროცესში ხმის მახასიათებლებს – სიმაღლეს, ტემბრს, მეტყველების მელოდიურობასა და ინტონაციას. წერითი კომუნიკაციის მსგავსად, ზოგიერთი ავტორი ცალკე სახედ გამოყოფს ვიზუალურ კომუნიკაციას – რაიმე შინაარსის გადმოსაცემად გრაფიკული საშუალებების გამოყენებას. ამის მაგალითია ცხრილებისა და გრაფების გამოყენება, პრეზენტაციის წარდგენისას სწორი ფერებისა თუ ტექსტის ზომის შერჩევა და ა.შ.

დისტანციური სწავლებისას, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეებში მეტად ვითარდება კომუნიკაციის წერითი და ვიზუალური სახეები და ნაკლებად დანარჩენი სხვა. კომუნიკაციური უნარების განვითარება მის ყველა ფორმას უნდა მოიცავდეს. შესაბამისად, დისტანციური სწავლება საფრთხეს უქმნის მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარების ჰარმონიულ განვითარებას.

### *სოციალური იზოლაციის განცდა*

ლევ ვიგოტსკის სოციალური განვითარების თეორიის მიხედვით, ბავშვის განვითარების პროცესში წამყვან როლს სოციალური ინტერაქცია ასრულებს. დისტანციური სწავლებისას მოსწავლეებში სოციალური იზოლაციის განცდას არაერთი ავტორი უსვამს ხაზს. კლასიკურ საგანმანათლებლო სისტემაში სწავლა სოციალური პროცესია – ცოდნა იქმნება გაკვეთილზე მასწავლებლისა და ბავშვების უშუალო ინტერაქციით. აღნიშნული ვრცელდება როგორც აკადემიურ, ასევე სოციალურ ცოდნაზე. საგანმათლებლო პროცესის ციფრულ სივრცეში გადატანა საფთხეს უქმნის ბავშვის არა მარტო შემეცნებით, არამედ ემოციურ განვითარებასაც. მოსწავლეები მასწავლებლისგან ადეკვატურ და სწრაფ უკუკავშირს ელიან. შესაბამისად, დისტანციური სწავლებისას, ყურადღების მოკლების ფონზე, სოციალური იზოლაციისა და მარტოობის განცდა იზრდება. ამას ემატება ემოციური ჩართულობის ნაკლებობა, რაზეც უარყოფითი გავლენა აქვს გაკვეთილებს შორის არაფორმალური საკომუნიკაციო სივრცის არარსებობას. საშუალო სკოლის ასაკში ეს ისედაც აქტუალური პრობლემაა. ამ ასაკის ბავშვები მგრძნობიარენი არიან სოციალური გამოწვევების მიმართ და მათი თვითშეფასება ძალიან მოწყვლადია. სოციალური იზოლაცია ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე, მენტალურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება (Fontaine, et al., 2009; Hall-Lande, et al., 2007; Qualter, et al., 2010; Goodenow, 1993).

### *მოტივაცია*

მოტივაცია არის პიროვნების მზაობა მიზნისა თუ შედეგის მისაღწევად გაიღოს ფიზიკური ან/და გონებრივი ძალისხმევა. ის ხშირად სწავლის პროცესის მამოძრავებელ ძალად განიხილება. ერთმანეთისგან განირჩევა *ინსტრინსიკული, ანუ შინაგანი და ექსტრინსიკული, ანუ გარეგანი* მოტივაცია. ორივე მათგანი დაკავშირებულია აკადემიურ მოსწრებასა და სწავლით კმაყოფილებასთან. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ დისტანციურ განათლებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხზე, რომელთაც გავლენა აქვს მოსწავლის მოტივაციაზე, ესენია:

- სოციალური იზოლაციის განცდა, რაც კომუნიკაცისთან მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული.
- თვითეფექტურობის ნაკლებობა, რასაც ტექნიკური კომპეტენციის უქონლობა, თვითრეგულაციისა და დროის მენეჯმენტის სირთულეები იწვევს. თუ ბავშვისთვის ონლაინ სივრცეში ოპერირება რთულია, მას უჭირს საბოლოო მიზნის – ამ შემთხვევაში მასალის დასწავლის – მიღწევა. შედეგად, მოსწავლეს ექმნება მოლოდინი, რომ მასალას ვერ დაძლევს.
- ციფრული სივრცის არაეფექტურად გამოყენება – იგულისხმება, რომ მასწავლებელმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ციფრული ტექნოლოგია და გაკვეთილის პროცესი თუ მომზადება უფრო საინტერესო და სახალისო გახადოს.

- ასე რომ, ბუნებრივი, ცოცხალი კომუნიკაციის ნაკლებობა ზრდის სოციალური იზოლაციის რისკს და ნეგატიურად აისახება კომუნიკაციური უნარების განვითარებასა და მოტივაციაზე. ეს ყველაფერი, საბოლოოდ, ვნებს დასწავლის ეფექტურობას.

აღნიშნული სირთულეებიდან გამომდინარე, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: როგორ უნდა გაღრმავდეს კომუნიკაცია განსხვავებულ ჯგუფებს შორის? როგორ უნდა მოხერხდეს მოსწავლის კომუნიკაციური უნარების განვითარება დისტანციური სწავლების პირობებში? როგორ უნდა შემცირდეს სოციალური იზოლაციის განცდა, რომელიც მხოლოდ მოსწავლეებს არ აწუხებთ?

### *როგორ ავირიდოთ თავიდან დისტანციური სწავლების ნეგატიური გავლენები*

უკვე აღინიშნა, რომ დისტანციურ განათლებაში ჩართვა ბავშვის ოჯახის წევრებსა და მასწავლებლებს თითქმის თანაბრად ევალებათ. ამასთან, მხოლოდ ჩართულობა არ კმარა – გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეურვეთა და მასწავლებელთა შეთანხმებულ მუშაობას, მოსწავლესთან ურთიერთობის სტრატეგიებისა და პრინციპების გაზიარებას. დამატებით, პროცესში ჩართულია მთლიანად სკოლაც, რომელიც მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა ინფორმირებასა და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უზრუნველყოფს.

სკოლა მასთან აქტიურად დაკავშირებული პირების ერთსულოვნების განცდას ქმნის. ამისთვის სხვადასხვა ავტორი მნიშვნელოვნად თვლის დისტანციური სწავლების პოლიტიკის განსაზღვრასა და შესაბამისი დოკუმენტის გამოცემას. პროტოკოლი უნდა მოიცავდეს დისტანციური სწავლებისას გამოყენებულ კომპიუტერულ პროგრამათა ნუსხას, სკოლაში მომუშავე პერსონალის, ასევე მოსწავლეებისა და მშობლების როლებისა თუ პასუხისმგებლობების ჩამონათვალს, მოსწავლის ცოდნის შეფასების ხერხების ვარიაციებს, დისტანციური სწავლებისას შეუსაბამო ქცევის განსაზღვრებასა და სადამსჯელო პირობების ჩამონათვალს. შედეგად იქმნება გარკვეული კონტექსტი, რომელიც განსხვავებულ ადამიანებს აერთიანებს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ მასწავლებელს ონლაინ სწავლებისას მოსწავლეების ინტერაქციის წახალისება ევალება. სკოლას იგივე ევალება მასწავლებლებთან დაკავშირებით. სოციალური იზოლაციის განცდა მხოლოდ მოსწავლეების პრობლემა როდია. დადასტურებულია, რომ ამ ფაქტორს გავლენა მასწავლებლების კმაყოფილებასა და მომავალში ონლაინ სწავლებაში ჩართვის ალბათობაზეც აქვს (Childers & Berner, 2000). პედაგოგებისთვის უნდა შეიქმნას გარემო, რომელშიც პასუხისმგებლობის, თანასწორობისა და თანადგომის განცდაა. საჭიროების შემთხვევაში მას სკოლისა და დირექტორის მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს. რეკომენდებულია მასწავლებლების, სხვა თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მშობლების კომპიუტერული უნარების და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის შესწავლა. კომპეტენციის გამოკვლევის შემდეგ საჭიროა არსებული პრობლემების გამოკვეთა და მოგვარების გზების დასახვა. ამასთან, მასწავლებლებისთვის ანგარიშის გაცნობა არ უნდა გასხდეს სტრესის მიზეზი.

კომუნიკაციის დასამყარებლად მნიშვნელოვანია მომზადების პერიოდი. ამ დროს იქმნება შეთანხმებები და ჩნდება გარკვეული მოლოდინები. აღნიშნულ ეტაპზე სკოლის გუნდი მასწავლებლებსა და მოსწავლის მშობელს ან მეურვეს აცნობს სკოლის ზოგად ხედვას, დისტანციური სწავლების პროცესს, უხსნის მათ ფუნქცია-მოვალეობებს და საჭიროებისამებრ ატარებს ტრენინგებს. მომზადების ეტაპზე წარმატებული კომუნიკაცია შფოთვის შემცირებას უწყობს ხელს. საბოლოოდ, დირექტორს ევალება იყოს მშვიდი, გაწონასწორებული და ემპათიური მასწავლებლების, მოსწავლეებისა თუ მათი მეურვეების მიმართ.

მასწავლებლისთვის დისტანციურად სწავლების პირველ საფეხურს თავისი მოსწავლეების გაცნობა და მათი ნდობის მოპოვება წარმოადგენს. ეს პროცესი განსაკუთრებით რთულია პირველი კლასის მოსწა-

ვლეებთან, რადგან მათ სტრუქტურირებულ გარემოში მასწავლებლის ფუნქცია არ აქვთ გათავისებული და ის მათთვის ავტორიტეტი არაა. ნდობის ჩამოყალიბებისთვის მოსწავლეებმა უნდა იგრძნონ ზრუნვა, დაფასება და უსაფრთხოება. ამისთვის მასწავლებელს შეუძლია საკუთარი თავის წარდგენისას ისაუბროს პირად ინტერესებზე, ცხოვრებისეულ დეტალებზე და მოსწავლეებსაც მისცეს ამისი საშუალება. მაგალითად, მათ შეუძლიათ აჩვენონ ბავშვებს თავიანთი საყვარელი ფოტოსურათი და მათაც უბიძგონ ამისკენ. ამ დროს ხაზი პოზიტიურ დეტალებს უნდა გაესვას. ეს მათ თვითპრეზენტაციასა და ერთმანეთის უკეთ გაცნობაში დაეხმარება. მსგავსი პრინციპით მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს ჰკითხოს საყვარელი ცხოველის, თამაშისა ან ფერის შესახებ. უფრო მაღალ კლასებში ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვების ინტერესებზე, საყვარელი ფერი ან ცხოველი შესაძლოა ჩანაცვლდეს საყვარელი სპორტსმენით, მსახიობით, პერსონაჟითა თუ მუსიკოსით.

მოსწავლეთა უმრავლესობა ტექნიკას ბუნებრივად და სპონტანურად იყენებს. ბევრი მასწავლებლისთვის კი პროცესი დაბრკოლებასთან ასოცირდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხშირად ეს მათში არაკომპეტენტურობის განცდას იწვევს. ზოგიერთ შემთხვევაში მოსწავლემ შესაძლოა საგაკვეთილო პროცესში უკეთ გაართვას თავი ტექნიკურ პრობლემებს. აღნიშნული სიტუაციით სარგებლობა დასაშვებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწავლა ორმხრივი პროცესია და მოსწავლისგან ინფორმაციისა თუ მითითების მიღება სასარგებლოა. საგაკვეთილო პროცესში ტექნიკური ხარვეზების დროს მასწავლებელს შეუძლია აღიაროს, რომ ეს მისთვის ახალი სიტუაციაა, რაშიც დახელოვნებული არ არის და მოსწავლეებისგან დახმარება ითხოვოს. ამ მოქმედებას რამდენიმე სახის სარგებელის მოტანა შეუძლია: მოსწავლეები უკეთ აღიქვამენ, რომ შეიძლება ცოდნის ნაკლებობის აღიარება და ეს არ არის ტრაგედია, დახმარების თხოვნა არ არის სისუსტე. ამასთან, გაიზრდება ბავშვების ემოციური ჩართულობა, რადგან იგრძნობენ, რომ მათ მოქმედებას გარემოზე რეალური გავლენა აქვს და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია.

ცოცხალი კომუნიკაციის არარსებობის გამო მასწავლებლისთვის რთული შესამჩნევია ბავშვის ემოციური საჭიროებები. შესაბამისად, ძნელდება ბავშვის მხარდაჭერა, რაც ართულებს ემოციური მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას. ყინულის გასალღობად მასწავლებელს შეუძლია ბავშვთან არაფორმალური კომუნიკაცია. რეკომენდებულია მოსწავლესთან სატელეფონო თუ ვიდეო ზარის მეშვეობით პერიოდული და უშუალო კავშირი. ამით შეიძლება ბავშვმა უკეთ იგრძნოს მასწავლებლის მზრუნველობა.

უსაფრთხოების განცდისთვის აუცილებელია ქცევის მართვის პოზიტიური სტრატეგიების გამოყენება. ეს გულისხმობს სასურველი ქცევის წახალისებას, მაგალითის მიცემასა და არასასურველი ქცევის იგნორირებას. შეფასება უნდა მიემართებოდეს ქცევას და არა პიროვნებას. აქვე, აღსანიშნია, რომ ოჯახთან კომუნიკაცია უარყოფთი ინფორმაციით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. ყურადღება უნდა დაეთმოს მოსწავლის ქცევის დადებით მხარეებსაც.

კომუნიკაციის კონტროლისთვის აუცილებელია უკუკავშირი. არაერთი კვლევა მყისიერი უკუკავშირის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ეს უკანასკნელი კონკრეტულ ქცევაზე დაუყოვნებლივ რეაქციას გულისხმობს. ბიჰევიორისტული მიდგომის მიხედვით, სწორედ ეს არის დასწავლის წინაპირობა. მყისიერი უკუკავშირი მხოლოდ სინქრონული სწავლებისას[5], საგაკვეთლო პროცესშია შესაძლებელი. ამისათვის მასწავლებელი მასალის მიწოდებისას უნდა დააკვირდეს ბავშვების ჩართულობასა და ემოციებს. აუცილებელია კონკრეტიკაც – მოსწავლემ უნდა გაიგოს ქცევაში კონკრეტულად რა არის მისაღები და რა – მიუღებელი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აუ-

5. სინქრონული სწავლება – სწავლების ფორმა, როდესაც პროცესში მონაწილეები ურთიერთობენ ერთსა და იმავე ადგილსა და სივრცეში.

ცილებელია ქცევის ალტერნატიული სტრატეგიის მიწოდებაც (მაგალითად, შეკითხვაზე წამოყვირებული პასუხი არ ჩაგეთვალა, შემდეგში ხელი აიწიე და ჩაგეთვლება). მოსწავლეების ქცევა ციფრულ სივრცეში ძალიან რთული აღსაქმელია, მით უმეტეს, თუ კამერები გამორთულია. კამერის ჩართვის ალბათობა შესაძლოა, გაზარდოს სხვადასხვა ფონის გამოყენებამ, რომლებიც გარკვეულ კომპიუტერულ პროგრამებს მოჰყვება. შესაძლებელია ამ ფონების თემატურად გამოყენება, მაგალითად, თუ გაკვეთილი ეხება რომს, მოსწავლეებმა და მასწავლებელმა ფონად შესაფერისი სურათი დაიყენონ. ეს გაამრავალფეროვნებს საგაკვეთილო პროცესს, ამასთან, გადაწყვეტს კონკრეტულ სიტუაციას, როცა მოსწავლეები კამერას ოჯახური გარემოებების გამო არ რთავენ.

ასინქრონული სწავლება ძირითადად უკუკავშირზეა დაფუძნებული. დაწყებით კლასებში დავალების უკუკავშირი უნდა იყოს ვიზუალური, რაც გულისხმობს გრაფიკული სახის განმამტკიცებლის (მაგალითად, სტიკერების) გამოყენებას. საშუალო და დამამათავრებელი კლასის მოსწავლეებთან მასწავლებლის უკუკავშირი მეტად ინფორმაციული უნდა იყოს. ნამუშევრის ზედაპირული შეფასება – კარგია ან ცუდი – დასწავლის ეფექტურობას არ ზრდის. უკუკავშირი მოსწავლეს როგორც შედეგის, ასევე პროცესის შესახებ დასკვნების გამოტანის საშუალებას უნდა აძლევდეს. მასში უნდა აისახოს სასურველ და აქტუალურ შესრულებას შორის განსვლა და დასახული მიზნების მიღწევის გზები. აუცილებელია დადებითზე ხაზგასმაც. შენიშვნებს არ უნდა ჰქონდეს გაკიცხვის ფორმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფსიქოლოგიური და ემოციური ფონის გაუარესებასთან ერთად, ბავშვის ჩართულობაც დაიკლებს.

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის ჩართულობისთვის, უკუკავშირთან ერთად, მნიშვნელოვანია აქტიური სწავლების სტრატეგიების გამოყენება. აქტიური სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მიდგომაა, რომელიც მოითხოვს მასალის ინტერაქციით სწავლებას. ამის წასახალისებლად მასწავლებელმა ინფორმაციის გადაცემაზე ნაკლებად უნდა იზრუნოს და ყურადღება მოსწავლის უნარების გაუმჯობესებაზე (მაგ. კითხვა, წერა, დისკუსია) გაამახვილოს. მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილის ახსნისას საილუსტრაციო მაგალითები მოსწავლეებს მოაფიქრებინოს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით კლასებში, რადგან თვითრეფლექსიისა და თვითმონიტორინგის განვითარებას უწყობს ხელს.

ამასთან, საგაკვეთილო პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს მხედველობითი თუ სმენითი აღქმის სტიმულირებაზე, რაც შეიძლება იყოს: პრეზენტაციისას განსხვავებული ანიმაციური ეფექტების, ინტერაქციული პროგრამებისა და განსხვავებული ხმოვანი ეფექტების გამოყენება.

ჩართულობის გასაზრდელად ეფექტურია მიზნების დასახვა, მათი კომპონენტებად დაშლა და ამის შესასრულებლად შესაბამისი პლატფორმების დახმარება. მაგალითისთვის, დამხმარე ცხრილებისა და შემახსენებელი პროგრამული ხელსაწყოების გამოყენება. ამით მოსწავლეებს დღის, კვირისა თუ სემესტრის წესრიგი თვალსაჩინოდ ექნებათ წარდგენილი.

საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა და, ზოგადად, დასწავლის ეფექტურობა მოსწავლის კმაყოფილებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. ის შესაძლოა, გაზარდოს მოულოდნელმა დაჯილდოებამ (მაგ. თამაშები), პოზიტიურმა უკუკავშირმა, მოსწავლეთა მოლოდინების გათვალისწინებამ და სასწავლო მასალის პრაქტიკული გამოყენების ახსნამ.

კომუნიკაციის ნაკლებობისა და სოციალური იზოლაციის პრევენციისთვის სასურველია კონკრეტული საგნის ფარგლებში ჯგუფური სამუშაოების, ონლაინ დისკუსიებისა და ჯგუფური „ჩატების“ წახალისება. მრავალრიცხოვან კლასებში რეკომენდებულია მოსწავლეთა პატარა (3-5 ბავშვი) ჯგუფებად დაყოფა და მათი შემადგენლობის დროდადრო ცვლა. შედარებით მაღალ კლასებში სოციალური მიკუთვნებულობის განცდა შესაძლოა, გაზარდოს ე.წ. ჭიკი-ების გამოყენებამ – საერთო ინფორმაციულმა ბაზამ, სადაც შე-

საძლებელია თანამშრომლობით მასალის დისტანციურად შექმნა ან ჩასწორება. ხარისხიან ინფორმაციაზე ბავშვების წვდომის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია სკოლის ბიბლიოთეკის გაციფრულება. მსგავსი პრინციპით შესაძლებელია საზიარო განმარტებითი ლექსიკონის გაკეთებაც, მაგალითად, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლებისას. ამის საშუალებას იძლევა არაერთი პლატფორმა, მაგალითად, Google Docs. ამგვარი ტიპის აქტივობები აძლიერებს სოციალური მიკუთვნებულობის განცდას, რაც გადამწყვეტია მოზარდის ჯანსაღი ემოციური განვითარებისთვის. აღსანიშნია, რომ დისტანციური სწავლებისას სოციალური ქსელების გამოყენება არ არის რეკომენდებული. აღნიშნული პლატფორმები ჭარბ ფამილარობას უწყობს ხელს, რაც ორივე მხარისთვის უხერხულობის წყარო შეიძლება გახდეს. განსაკუთრებით მოზარდებისთვის, საკლასო და სოციალური იდენტობების ერთ სივრცეში მოქცევა დაძაბულობის პოტენციური წყაროა.

კომუნიკაციის სხვადასხვა ასპექტის გასავითარებლად რეკომენდებულია დისტანციური სწავლების შერეული მეთოდების გამოყენება, ასეთ შემთხვევაში სინქრონული დრო დაეთმობა ორმხრივ ურთიერთობას, დისკუსიებსა და ჯგუფურ სამუშაოს. საპირისპიროდ მიდგომისა, როდესაც მასწავლებელი ხსნის გაკვეთილს და მოსწავლეები მას პასიურად უსმენენ. მეორე მხრივ, ასინქრონული კომუნიკაცია უმჯობესია მიმართული იყოს დავალებების წერითი თუ ვიზუალური სახით გაგზავნასა და მათზე უკუკავშირის მიღებაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკლასო გარემოს ახალ, ციფრულ სივრცეში გადანაცვლებისას მოსწავლის თვითეფექტურობის განცდას საფრთხე ექმნება. აკადემიური თვითეფექტურობა მჭიდროდაა დაკავშირებული მოსწავლის წარმატებასთან (Yokoyama, 2019). აღნიშნული განცდის გაძლიერების ოთხი ძირითადი წყაროა: წარმატებული გამოცდილება, სოციალური მოდელირება, დარწმუნება და ემოციური აგზნების მონიტორინგი. პრაქტიკული თვალსაზრისით, დისტანციური სწავლების დასაწყისში, მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ უშეცდომო დასწავლის ტექნიკა[6], შემდგომ კი ნელ-ნელა შესაძლებელია კითხვებისა თუ მასალის გართულება. სხვა ადამიანის წარმატების ყურებისას ადამიანი მეტად იჯერებს საკუთარი წარმატების შესაძლებლობასაც. ამ მხრივ, რეკომენდებულია წახალისდეს მოსწავლეთა მხრიდან სირთულეებთან გამკლავების გამოცდილების გაზიარება. განსაკუთრებით მაშინ, თუ რომელიმე მოსწავლე გარკვეული პრობლემის წინაშეა. როდესაც ადამიანს სჯერა, რომ აქვს გამოწვევის გადალახვის უნარი, იგი მეტ ძალისხმევასაც იჩენს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა და მშობლება გაამხნევონ ბავშვები და დაარწმუნონ თავიანთ კომპეტენტურობაში. დისტანციური სწავლების პირობებში ემოციური აგზნების მონიტორინგი მეტწილად ოჯახის პასუხისმგებლობაა. მეურვეები უნდა დააკვირდნენ საგაკვეთილო პროცესთან დაკავშირებით რამდენად ნერვიულობს და შფოთავს ბავშვი და აღნიშნულის დაბალანსებაზე იზრუნონ.

მოსწავლის ოჯახის წევრებს მასწავლებლებსა თუ სხვა სასკოლო პერსონალთან აქტიური კომუნიკაცია უნდა ჰქონდეთ. ამისთვის მოსწავლის მშობელი თუ მეურვე უნდა დაუკავშირდეს მათ რაიმე რჩევისთვის, მოსაკითხად თუ ბავშვის ჩართულობის გამოსარკვევად. უკუკავშირს შესაძლოა, 1 ან 2 დღე დასჭირდეს, თუმცა მათ მხედველობიდან არ უნდა გამორჩეთ გაზრდილი წნეხი, რომლის ქვეშაც მასწავლებელი იმყოფება.

სოციალიზაციის ხელშესაწყობად მშობლისთვის რეკომენდებულია ბავშვის სხვადასხვა წრეზე ტარება, სათამაშო მოედნებისა და რეკრეაციული სივრცეების გამოყენება. თუ მშობელი ბავშვს ფიზიკურ სივრცეში თამაშის საშუალებას ვერ აძლევს, მან შვილს თანაკლასელებსა თუ მეგობრებთან ერთად ონლაინ თამაშის უფლებაც უნდა მისცეს. ხშირად კომპიუტერული თამაშების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებაა, თუმცა ზოგიერთი თამაში არათუ ვნებს, არამედ ხელსაც კი უწყობს ბავშვის განვითარებასა

6. უშეცდომო დასწავლის ტექნიკის ძირითადი პრინციპია მოსწავლისთვის შეცდომის ალბათობის მინიმუმამდე შემცირება. მაგალითად, ბავშვისთვის მიცემა ისეთი დავალებისა, რომელსაც, მაღალი ალბათობით, სწორად შეასრულებს.

და სოციალიზაციას. თამაშებზე საუბრისას მთავარი კითხვებია: „რომელი?" „რამდენ ხანს?" და არა ის, შეიძლება თუ არა მათი გამოყენება. თითქმის ყველა თამაშს აქვს განსაზღვრული ასაკობრივი შეზღუდვა, რომელსაც მშობელი უნდა გაეცნოს. აგრეთვე, რეკომენდებულია დაწყებით კლასებში ბავშვს ეკრანთან გასატარებლად 1 საათი ჰქონდეს გამოყოფილი, თუმცა ეს დრო არ უნდა გამოიყენებოდეს გადაბმულად. რეკომენდებულია აღნიშნული დროის 30-30 წუთიან სესიებად დაყოფა. შედარებით მაღალ კლასებში კომპიუტერული თამაშები დაშვებულია არაუმეტეს 2 საათისა. სასურველია, თამაში იყოს ჯგუფური, რისთვისაც ბავშვებს სინქრონულად კომუნიკაცია დასჭირდებათ.

სასკოლო ასაკი ჰეტეროგენულია, გამოწვევები კი მრავალფეროვანი. დაწყებით კლასებში მეტად სპეციფიურ გამოწვევას ვხვდებით. კერძოდ, სენსორული და მოტორული განვითარება. ამის ხელშესაწყობად რეკომენდებულია სხვადასხვა საგანში ინკორპორირება დავალებებისა, რომელთა შესრულებისთვისაც ბავშვებს მოეთხოვებათ გაფერადება, დახატვა, გამოჭრა და ა.შ. დამატებით შეიძლება პოპულარული ხელსაქმეების წასახლისება (მაგალითად, ორიგამი). დისტანციური სწავლების პროცესში მეტი მოძრაობის ხელშეწყობაც შესაძლებელია. მაგალითად, გეომეტრიული ფიგურების სწავლისას ბავშვებს შეიძლება მოუწოდოთ, მოძებნონ სახლში ან ეზოში ნივთები, რომლებსაც აქვთ წრის, მართკუთხედის, კვადრატის, სამკუთხედის და ა.შ. ფორმა. ანდაც, საგაკვეთილო მასალისგან დამოუკიდებლად მასწავლებელმა მიმართოს შემდეგ თამაშს: ყველა ბავშვმა სახლში კონკრეტული ნივთი უნდა მოძებნოს (მაგალითად, სავარცხელი). გამარჯვებულია ის, ვინც მას პირველი იპოვის.

### *როგორ შევქმნათ არაფორმალური გარემო და დადებითი ფსიქო-ემოციური ფონი?*

- მოსწავლეებისთვის დადებითი განწყობის შესაქმნელად მნიშვნელოვანია არაფორმალური აქტივობები. ეს განსაკუთრებით სწავლის დასაწყისს ეხება. ქვემოთ ჩამოთვლილია დისტანციური სწავლებისას რეკომენდებული რამდენიმე არაფორმალური აქტივობა:
- მასწავლებელი ერთ-ერთ მოსწავლეს პირად ჩატში რომელიმე ობიექტის ან პერსონაჟის სახელს უგზავნის, ბავშვმა კი ის უნდა განასახიეროს. დანარჩენი კლასის მიზანია, მიხვდეს, რას ან ვის ასახიერებს აღნიშნული მოსწავლე.
- მასწავლებელი ერთ-ერთ მოსწავლეს პირად ჩატში სწერს ობიექტის სახელეს. ბავშვმა ინტერაქციულ დაფაზე ამ ობიექტის ხატვა უნდა დაიწყოს. დანარჩენი კლასელების მიზანია ობიექტის გამოცნობა. გამარჯვებულია, ვინც ამას ყველაზე სწრაფად შეძლებს. ინტერაქციული დაფის არქონის შემთხვევაში შესაძლებელია ეკრანის გაზიარების ფუნქციისა და Microsoft Paint-ის ან Microsoft PowerPoint-ის კომბინაციის გამოყენება.
- მასწავლებელი თიშავს საკუთარ მიკროფონს და ძალიან ნელა ამბობს მოკლე, გავრცელებულ სიტყვას (მაგალითად, პური). მოსწავლეების მიზანია პირის მოძრაობით გამოიცნონ ეს სიტყვა. გამარჯვებულია, ვინც პირველი მოახერებს ამას.
- ყველა ბავშვის მიკროფონი გამორთულია. შემდეგ ერთ-ერთი მათგანი თვალზე ხელს იფარებს. ამ დროს მასწავლებელი მიკროფონს ჩაურთავს ერთ ბავშვს, რომელმაც კონკრეტული სიტყვა უნდა თქვას (მაგალითად, გამარჯობა). მთელი ამ პროცესის განმავლობაში თვალდახუჭული მოსწავლის მიზანია გამოიცნოს, ვინ თქვა სიტყვა.
- მასწავლებელი ერთ-ერთ მოსწავლეს მოუწოდებს, აღწეროს ნივთი, რომელიც მისგან მარჯვნივ ყველაზე ახლოს დევს. დანარჩენების მიზანია გამოიცნონ, რა ნივთზე საუბრობს ეს ბავშვი. გა-

მარჯვებულია ის, ვინც პირველი გამოიცნობს. ინტერაქციული დაფის ან ეკრანის გაზიარების გამოყენებით შეიძლება ამ აქტივობას ცნობილი თამაშის – „ჩამოხრჩობანას“ – ფორმა მიეცეს.

- სასიამოვნო პრაქტიკაა ონლაინ ექსკურსიები ანდა ფილმის ჩვენებება. ეს ორი რეკომენდებულია, როდესაც მსგავსი კოლექტიური აქტივობები ფიზიკურ სივრცეში ვერ ხორციელდება.

ონლაინ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები ხშირად მოსწავლეების მიკროფონის გამორთვის ფუნქციას იყენებენ. მიუხედავად კომფორტისა, ამას შესაძლოა, ნეგატიური გავლენა ჰქონდეს მოსწავლის ემოციურ მდგომარეობაზე – ბავშვს დაეუფლოს უგულებელყოფის განცდა. მიკროფონის გამორთვის ნაცვლად, მასწავლებელს შეუძლია ბავშვების ქცევაზე იმუშაოს: წინასწარ შეათანხმოს, როდის შეიძლება საუბარი და როდის არა, როგორ უნდა მოითხოვოს ბავშვმა ყურადღება, გამოკვეთოს, რატომ არის მიკროფონის გამორთვა მნიშვნელოვანი, ახსნას, რომ მასწავლებელს ხმაურების გამო ხელი ეშლება და მოსწავლეებმა მიკროფონი თავად უნდა გამორთონ. მასწავლებელს ამ ფუნქციის გამოყენება შეუძლია მაშინ, როდესაც მოსწავლე დაარღვევს აღნიშნულ წესებს. შემდეგომ, პედაგოგმა თავისი ქმედების მიზეზი ბავშვს აუცილებელად უნდა აუხსნას.

### *როგორ ჩამოვუყალიბოთ ბავშვს ონლაინ სწავლების, როგორც ინსტიტუციის მიმართ ჯანსაღი დამოკიდებულება?*

ონლაინ სწავლებას მოსწავლეები ხშირად ვერ აღიქვამენ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელსაც თავისი წესები გააჩნია. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამის გამოსწასწორებლად სასურველია, ბავშვს სოციალური მიკუთვნებულობის განცდა ჰქონდეს. ონლაინ სივრცეში სკოლას უნდა გააჩნდეს საკუთარი საიტი და სოციალური ინტერაქციისთვის მოსახერხებელი პლატფორმა. მიკუთვნებულობის განცდა შესაძლოა, გაზარდოს სასწავლო პლატფორმებზე სკოლის ლოგოს მოთავსებამ, რაც, გარკვეულწილად, მოსწავლეს შეახსენებს, რომ ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. სკოლის ძალისხმევის მიუხედავად, ამ კუთხით ყველაზე დიდი წნეხი მასწავლებლებსა და მშობლებზე მოდის.

ასინქრონული სწავლების ერთ-ერთ დადებით მხარე გრაფიკის მოქნილობაა. მასწავლებელმა და მშობლებმა თითოეული მოსწავლისთვის დღის განრიგი უნდა შეიმუშაონ. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გარკვეული საათები მოსწავლეების კითხვებზე საპასუხოდ, რათა გაიზარდოს უკუკავშირი. ასევე, მას ევალება საგაკვეთლო პროცესის ჩარჩოს დაცვა. დაუშვებელია არაპუნქტუალობა, გაკვეთილის გაწყვეტა ან ზედმეტად არაფორმალური ჩაცმულობა. მშობლების მხრიდან კი უფრო მეტი ჩართულობაა საჭირო. კერძოდ, მშობელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს ბავშვის რუტინა – ბავშვს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული გრაფიკი და მიჰყვეს მას. გაიღვიძოს დილით, მოწესრიგდეს, მოაწესრიგოს საკუთარი საწოლი, ჰქონდეს მეცადინეობის, ძილისა და გართობის გამოკვეთილი საათები და ა.შ. ბავშვმა უნდა გაანალიზოს, რომ, მიუხედავად ფიზიკური სივრცის არარსებობისა, დისტანციურ სწავლებას თავისი წესები აქვს.
- გამოუყოს ბავშვს სამუშაო მაგიდა ან ოთახი – მოსწავლისთვის სამუშაო გარემოს შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბავშვს უნდა ეგულებოდეს მშვიდი ადგილი, სადაც კონცენტრირება შეეძლება. სასკოლო ასაკში ჯერ კიდევ მწიფდება თვითკონტროლი. აქედან გამომდინარე, სასურველია, სამეცადინო სივრცეში არ იყოს დისტრაქტორები.
- შეამოწმოს ბავშვის საქმიანობა დღის განმავლობაში – გაკვეთლების დაწყებამდე მშობელმა ბავშვს უნდა გამოჰკითხოს, რა საგნები აქვს მიმდინარე დღეს, აქვს თუ არა რაიმე სახის გამოკითხვა ან გამოცდა, როგორ აპირებს დროის განკარგვას, რა მასალები დასჭირდება დღის განმავლობაში

და როგორ შეძლებს მის დახმარებას. ეს კითხვები მოსწავლეს დაეხმარება დღის მოლოდინების ჩამოყალიბასა და მშობლის მხარდაჭერის აღქმაში. დღის ბოლოს უნდა დაისვას შემაჯამებელი კითხვები: რა დავალებები შეასრულა მან, რა აღმოაჩინა ახალი და რა გაუჭირდა ამ პროცესში.

- ხელი შეუწყოს ბავშვის დამოუკიდებლობას – მშობელი ბავშვის სწავლების პროცესში უწყვეტად ვერ ჩაერთვება. მან უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვმა ნელ-ნელა შეძლოს გაკვეთილებზე დამოუკიდებლად დასწრება და მათი მომზადება. ეს პროცესი შესაძლოა, რთული აღმოჩნდეს ბავშვისთვის და დიდი ძალისხმევაც დასჭირდეს. ამ დროს მშობელი ნელ-ნელა, გადამეტებული მზრუნველობის გარეშე უნდა გამოეცალოს სიტუაციას.

## *შეჯამება*

დისტანციური სწავლება, როგორც განათლების მიწოდების ალტერნატიული ფორმა, დღემდე ვითარდება და იხვეწება. ამ პროცესში წარმოქმნილი პრობლემები კომპლექსურია და მათ გადაჭრაში ყველა რგოლს – სკოლას, მასწავლებელს, მშობელსა და ბავშვს – საკუთარი წვლილი შეაქვს. მოსწავლეთა ჯანსაღი განვითარებისთვის ფოკუსი კომუნიკაციის წახალისებაზე, სოციალური იზოლაციის განცდის შემცირებასა და მათი მოტივაციის გაზრდაზე უნდა იყოს. ამის წინაპირობა ზემოხსენებულ რგოლთა თანამშრომლობაა. მოცემულ თავში შემოთავაზებული რჩევები და რეკომენდაციები დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს მთლიანად ვერ გადაწყვეტს. მათი გათვალისწინებისას სკოლას, მასწავლებელსა და მშობელს ევალებათ თვითრეფლექსია – დაკვირვება, კონკრეტულ სიტუაციაში რა უფრო ეფექტურია და რა – ნაკლებად. ამის საფუძველზე კი აუცილებელია, ამ პრინციპების გათვალისწინებით, აქტივობების ინდივიდუალიზება.

## *გამოყენებული ლიტერატურა*


Bonk, C. J., & Dennen, V. (2003). Frameworks for research, design, benchmarks, training, and pedagogy in web-based distance education. Handbook of distance education, 331-348

Childers, J. L., & Berner, R. T. (2000). General education issues, distance education practices: Building community and classroom interaction through the integration of curriculum, instructional design, and technology. The Journal of General Education, 49(1), 53-65

Fontaine, R. G., Yang, C., Burks, V. S., Dodge, K. A., Price, J. M., Pettit, G. S., & Bates, J. E. (2009). Loneliness as a partial mediator of the relation between low social preference in childhood and anxious/depressed symptoms in adolescence. Development and Psychopathology, 21(2), 479.

Garrison, D. R., & Kanuka, H. (2004). Blended learning: Uncovering its transformative potential in higher education. The internet and higher education, 7(2), 95-105.

Goodenow, C. (1993). Classroom belonging among early adolescent students: Relationships to motivation and achievement. The Journal of early adolescence, 13(1), 21-43.

Hall-Lande, J. A., Eisenberg, M. E., Christenson, S. L., & Neumark-Sztainer, D. (2007). Social isolation, psychological health, and protective factors in adolescence. Adolescence, 42(166).

Garbe, A., Ogurlu, U., Logan, N., & Cook, P. (2020). Parents' Experiences with Remote Education during COVID-19 School Closures. American Journal of Qualitative Research, 4(3), 45-65.

Qualter, P., Brown, S. L., Munn, P., & Rotenberg, K. J. (2010). Childhood loneliness as a predictor of adolescent depressive symptoms: an 8-year longitudinal study. European Child & Adolescent Psychiatry, 19(6), 493-501.

Yokoyama, S. (2019). Academic self-efficacy and academic performance in online learning: A mini review. Frontiers in psychology, 9, 2794.

# მშობლის როლი დისტანციური სწავლების პროცესში მოსწავლის მხარდაჭერა

**მეგი კავთუაშვილი**

არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“

აღმასრულებელი დირექტორი

Covid-19 ვირუსის პანდემიამ შეცვალა გარემო, ადამიანების ქცევა და წარმოაჩინა ახალი გამოწვევები, რომელთა მიტიგაცია თუ ადაპტაცია, სახელმწიფოების გარდა, ოჯახისთვისაც არა ერთ, მანამდე უცნობ, პრობლემას წარმოშობს. სახელმწიფოსა და ოჯახის საერთო ინტერესი განსაკუთრებით განათლების სისტემაში წარმოქმნილი პრობლემების დაძლევასა და ერთობლივ ზრუნვაში უნდა გამოიხატებოდეს. მშობლის პასუხისმგებლობა შვილის მიმართ და ამ პასუხისმგებლობის კონტექსტში მისი ჩართულობა, სასკოლო განათლების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთ სტრესულ/კრიზისულ გარემოში, როგორშიც დღეს იმყოფებიან საქართველო და დანარჩენი მსოფლიო.

Covid-19-მა სრულიად ახალი გამოწვევები და საფრთხეები გააჩინა, რაც შოკის ეფექტის მატარებელია როგორც შიდასასკოლო საზოგადოებისთვის, ისე ოჯახისთვისაც. სკოლის მმართველობა და ოჯახის განვითარება ამ ტიპის სტრესულ გარემოზე ადაპტირებული არ აღმოჩნდა.

დისტანციურად სწავლის პერიოდში ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა, რომ სკოლებსა და მშობლებს უჭირთ სწორი კომუნიკაცია. მშობელი დისტანცირებულია სკოლისგან და, უმრავლეს შემთხვევაში, რეალურად არ მონაწილეობს სკოლის მართვასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სკოლამ ამ გამოწვევას გაუმჯობესებული შესაძლებლობებით უნდა უპასუხოს, მშობლებთან თანამშრომლობით დანერგოს თანამშრომლობითი სასკოლო კულტურა და სკოლის მონაწილეობითი მართვის რეალური პრაქტიკა, რის შესაძლებლობასაც „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი იძლევა.

მშობელსა და ოჯახს განათლების ხარისხზე უდიდესი ზემოქმედება აქვთ. ამ გავლენას არა ერთი სამეცნიერო კვლევა ადასტურებს. მაგალითად, იმას თუ რამდენად წარმატებული იქნება მოსწავლე მომავალში, განსაზღვრავს არა მხოლოდ ის, როგორ შენობაში სწავლობს ან რამდენად კვალიფიცირებული მასწავლებლები ასწავლიან ბავშვს, არამედ – რა განათლება აქვთ მის მშობლებს, რამდენი წიგნი აქვთ სახლში ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ადგილას და სხვ. დღეს ეს გავლენა კიდევ უფრო მეტად გაზრდილია. არსებობს განათლების სპეციალისტების არც თუ უსაფუძვლო მოსაზრება, რომ ახლო მომავალში გაიზრდება განსხვავება იმ მოსწავლეებს შორის, რომელთაც ოჯახებისგან მხარდაჭერა აქვთ, ნაკლებად აქვთ, ან საერთოდ არ აქვთ.

ჩვენი მცირეხნიანი გამოცდილება აჩვენებს, რომ არა ერთი მოსწავლე მხოლოდ იმის გამო დარჩა სრულფასოვანი Online განათლების მიღმა, რომ მის ოჯახს არ გააჩნდა სწავლისთვის აუცილებელი კომპიუტერული მოწყობილობა, სწრაფი ინტერნეტი ან არ შეეძლო ბავშვისთვის პირადი სივრცის შექმნა, სადაც მოსწავლე ფსიქოლოგიურად მშვიდ და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში შეძლებდა განათლების მიღებას.

ახლა, ისე, როგორც არასდროს, საჭიროა, სკოლებსა და მშობლებს შორის გაიზარდოს კომუნიკაციისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი, რაც პირდაპირ დადებითად აისახება ბავშვების როგორც აკადემიურ მოსწრებაზე, ისე ქცევასა და სწავლის მოტივაციაზე.

## *თავი I. დისტანციური სწავლება – იძულება თუ გააზრებული არჩევანი?*

დისტანციურ სწავლებაზე უცაბედი გადასვლა Covid-19-ის პანდემიამ განაპირობა. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ეს არ ყოფილა სასკოლო საზოგადოების ან მშობლების არჩევანი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლები ამ პროცესს მოუმზადებლები და დემოტივირებულნი შეხვდნენ. ეს ბუნებრივი რეაქცია იყო, რადგან ახალ გამოწვევებთან გამკლავება მოსწავლეთა ოჯახებს და სკოლის თანამშრომლებს მოულოდნელად, დაუგეგმავად მოუხდათ.

დაჩქარებული ტემპით დისტანციური სწავლების დაწყებამ ერთი-ორად გაზარდა სტრესის დონე. თვალსაჩინო გახდა დისკომუნიკაცია სკოლასა და მშობლებს შორის, გამოვლინდა ყველა ხარვეზი, რაც კი სტანდარტული სწავლების დროს ფარული პროცესის სახით მიმდინარეობდა. სოციალურ ქსელში საჯაროდ გამოფენდნენ ვერ მიღწეულ წარმატებაში ერთმანეთის ბრალეულობის მტკიცებულებებს. მასწავლებლები მშობლებს ადანაშაულებდნენ, მშობლები - მასწავლებლებს. ერთი მიზნის გარშემო გაერთიანებული ადამიანების ორ ბანაკად გაყოფა, ცხადია, კარგ შედეგს არ მოიტანდა. მით უფრო იმ პირობებში, რომ გაკვეთილების კომპიუტერული ტექნიკით ჩატარება არც ერთის არჩევანი არ ყოფილა. ეს იყო იძულება იმისთვის, რომ ბავშვები არ დარჩენილიყვნენ განათლების მიღმა. სასურველი იქნებოდა, ამ პერიოდში მასწავლებლებიც და მშობლებიც მეტი ემპათიით ყოფილიყვნენ განწყობილნი ერთმანეთის მიმართ.

## *თავი II. მშობლების ობიექტური რეალობა*

კორონა ვირუსის პანდემიის გამო მშობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უდიდესი გამოწვევების პირისპირ აღმოჩნდა. იზოლაციის პირობებში, მაღალი სტრესის ფონზე, ბევრი მშობელი განიცდის დისკომფორტს ე.წ. „მულტიტასკინგისგან“. ქართულად რომ ვთქვათ - ერთდროული მრავალსაქმიანობისგან. იმის გათვალისწინებით, რომ ბევრმა მშობელმა პანდემიის გამო დაკარგა სამსახური და შემოსავალი, მათთვის პირველადი მოთხოვნილებების (კვება, უსაფრთხოება) დაკმაყოფილებაც პრობლემად გადაიქცა. ამის გარდა, მშობლები იძულებულნი გახდნენ, მთელი დღეების განმავლობაში უწყვეტად იზრუნონ შვილების განწყობაზე, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე, უზრუნველყონ ისინი აუცილებელი საჭიროებებით, არ დაკარგონ სიმშვიდე. ისინი კი, ვინც ამ დრომდე ინარჩუნებს ანაზღაურებად სამსახურს, ხშირ შემთხვევაში ბავშვების მოვლის პარალელურად სახლიდან გაუსვლელად ითავსებენ თანამშრომლის მოვალეობებს.

მშობლების ძირითად მოვალეობაში შედის შვილების დახმარება დისტანციურად სწავლის პროცესში, თუმცა ეს მოვალეობები მხოლოდ და მხოლოდ მორალურ პრინციპებს ეფუძნება. არც ერთ საკანონმდებლო აქტში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, კონკრეტულად რა მოვალეობა აკისრია მშობელს შვილის დისტანციური სწავლის პროცესში. როცა ქვეყანაში ღარიბი და სიღარიბის ზღვარს მიღმა არსებული მოსახლეობის წილი მაღალია, სახელმწიფოში კი არ არსებობს მოსწავლეთა ოჯახების მხარდაჭერის სისტემური სამთავრობო და არასამთავრობო პროგრამები, შეუძლებელია მშობელი დაავალდებულო ხელი მიუწვდებოდეს და ფლობდეს მაღალ ტექნოლოგიებს.

**განვითარებულ ქვეყნებში არსებობს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა მონაწილეობის საუკეთესო სცენარები, თუმცა, ქართული რეალობის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება, ცალკეული სკოლის ადმინისტრატორებმა და თანამშრომლებმა მშობლებთან შეთანხმებით, მკაფიოდ განსაზღვრონ მათი მოვალეობები ამ პროცესში. რაც უფრო ნათელი და გასაგები იქნება, რას ელის სკოლა მშობლებისგან, მით მეტი მათგანი შეძლებს, აქტიურად და პოზიტიურად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა.**

## *თავი III. 4. მშობელთა ჩართულობა დისტანციური სწავლების პროცესში*

## *№1 აქტივობა – მშობელთა მონაწილეობა დისტანციური სწავლების მეთოდის შერჩევაში*

შედეგზე ორიენტირებული სწავლების გეგმაში მშობლებთან დიალოგს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება. მოსწავლეთა მშობლების აქტიური და რეგულარული მონაწილეობის გარეშე დისტანციური სწავლება შედეგს ვერ გამოიღებს. პირველ რიგში, აუცილებელია, სკოლამ და მასწავლებლებმა გამოკითხონ მოსწავლეთა ოჯახები, თუ რა ტექნოლოგიური უნარები და შესაძლებლობები აქვთ და ამის მიხედვით შეარჩიონ დისტანციური სწავლების მეთოდები. მათთან, ვისაც არ აქვს წვდომა მაღალ ტექნოლოგიებზე, გამოიყენონ კომუნიკაციის ნაცადი ინსტრუმენტები, მაგალითად – ტელეფონი, სატელევიზიო-საგანმანათლებლო გადაცემები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რამდენი მოსწავლე ჰყავს სკოლას ისეთი, რომელთა მშობლებსაც შეუძლიათ, აქტიურად დაეხმაროს შვილებს, რამდენ მშობელს აქვს დრო და შესაძლებლობა, უშუალო მონაწილეობა მიიღოს ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში – საჭიროების შემთხვევაში ბავშვს გვერდით დაუჯდეს, დაეხმაროს საშინაო დავალების მომზადებაში, უზრუნველყოს კავშირის ტექნიკური გამართულობა და ა.შ. ეს ინფორმაცია სკოლისთვის მეტად ღირებული უნდა იყოს, რადგან განათლების პროცესი მშობელთა ობიექტური რეალობის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს. გამომდინარე იქიდან, რომ ოჯახის თანამონაწილეობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს.

რეცეპტი, როგორი უნდა იყოს სკოლასა და მშობელს შორის თანამშრომლობის ფორმატი დისტანციურად სწავლის პირობებში, არ არსებობს. ყველა სკოლას თავისებური რეალობა აქვს. ხშირად სხვადასხვა სკოლის კულტურა, თემი, შიდა სასკოლო საზოგადოება ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. ამიტომ იმდენი სქემა შეიძლება მოვიფიქროთ, რამდენი სკოლაც არსებობს.

**ნებისმიერი სკოლის შემთხვევაში მშობელთა ჩართულობის წარმატებას 3 პრინციპი განსაზღვრავს:**

1. **ნება და სისტემური ხედვა.** სკოლის ადმინისტრატორი მშობლებთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორებთან, თანამშრომლობას უნდა უყურებდეს სისტემურად. ცალკეული მასწავლებლის კეთილ ნებასა და გუნება-განწყობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, როგორი კომუნიკაცია ექნება სკოლას მშობლებთან. ამ მიზნის უზრუნველსაყოფად, სასურველია, სკოლას ჰყავდეს კონკრეტული პასუხისმგებელი პირი, რომლის მოვალეობადაც განისაზღვრება მშობლებთან ურთიერთობით სტრატეგიის შემუშავება-აღსრულება. დიდკონტინგენტიანი სკოლის შემთხვევაში დასაშვებია, სხვადასხვა სასწავლო საფეხურზე, სხვადასხვა ადამიანს ჰქონდეს ეს ვალდებულება დაკისრებული. ასევე, სასურველია, ეს პირი არ იყოს დატვირთული ბევრი საგაკვეთილო საათით ან სხვა ადმინისტრაციული საქმით, რათა ამ შრომატევად პასუხისმგებლობას თავი გაართვას.
2. **თანამშრომლობის წესებზე შეთანხმება.** თანამშრომლობის წესები უნდა შეადგინოს არა მხოლოდ ერთმა პირმა ან ერთმა მხარემ, არამედ სკოლისა და მშობლების წარმომადგენლებმა ერთად. შესაძლოა, თანამშრომლობის წესების შესადგენად დაკომპლექტდეს მშობლებისა და მასწავლებლების გუნდი, რომელიც შეადგენს დოკუმენტის ნიმუშს, განიხილავს კლასებში და დაამტკიცებს. დამტკიცების შემდეგ კი ეს წესები აუცილებლად უნდა აისახოს სკოლის შინაგანაწესში.

თანამშრომლობის წესები უნდა ასახავდეს:

- ◈ რა მოლოდინი აქვს სკოლას მშობლების მიმართ?
- ◈ რა არის მშობლის მოვალეობა?
- ◈ რა არის სკოლის მოვალეობა?

- როგორი, რა ფორმატის კომუნიკაცია ექნებათ მასწავლებლებს და მშობლებს დისტანციური სწავლების პირობებში? (მაგ.: რა სიხშირით, როდის და როგორ დაუკავშირდებიან ერთმანეთს. სასურველია, კონკრეტული თარიღების დასახელება, კონკრეტულ ფორმატზე შეთანხმება; მინიმუმ ერთი თვის და მაქსიმუმ ერთი წლის გეგმის დასახვა; და სხვ.)
- რა შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს და მშობლებს გვერდი აუარონ დადგენილ წესებს? (მაგ.: რა მიიჩნევა გადაუდებელ საჭიროებად, როცა მშობელი და მასწავლებელი ერთმანეთს გაფრთხილების გარეშე უკავშირდებიან; რა სივრცეში და როგორი ფორმით გამოხატავენ ისინი ერთმანეთის მიმართ კრიტიკულ აზრს და ა.შ.)
- როგორ იცავენ ისინი ერთმანეთის, ბავშვების პერსონალურ მონაცემებს, პირად სივრცეს, ვირტუალურ საგაკვეთილო სივრცეს?
- რა აქტივობების დაგეგმვა შეუძლიათ მშობლებს არაფორმალური განათლების ფორმატში? (მაგ. სხვადასხვა პროფესიის მშობლების შეხვედრები მოსწავლეებთან; ტრენერების მოწვევა – მშობლების, მასწავლებლების გადამზადება; მწერლების, სპორტსმენების, ფსიქოლოგების, დიპლომატების, ციფრული უსაფრთხოების თუ სხვა სპეციალისტების ონლაინ შეხვედრების ორგანიზება ბავშვებთან).

3. **თანამშრომლობის წესების პოპულარიზაცია და დაცვა**. თანამშრომლობის წესები უნდა გავაცნოთ უკლებლივ ყველა მასწავლებელს და ყველა მშობელს. ამ მიზნის უზრუნველყოფაში, სასურველია ჩავრთოთ იგივე ადამიანები, ვინც მონაწილეობდა წესების შედგენაში. მათ უნდა იზრუნონ შემოღებული წესების პოპულარიზაციაზე თავიანთ და პარალელურ კლასებში. ამისთვის შეუძლიათ გამოიყენონ სკოლის ღია და დახურული ჯგუფები სოციალურ მედიაში; ელექტრონული ფოსტა; დისკუსიების, კონფერენციის ორგანიზება, ბანერების დამზადება და სხვა საშუალებები.

მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლობის წესები დავიცვათ ყველამ, მათ შორის დირექტორმა და არ დავუშვათ გამონაკლისების არსებობა.

**ზემოჩამოთვლილი სამი მთავარი პრინციპის დაცვა სკოლას და მშობლებს დაეხმარება:**

- ✓ შეიქმნან ადეკვატური მოლოდინები;
- ✓ ერთმანეთისგან მიიღონ ჯანსაღი უკუკავშირი;
- ✓ მაქსიმალურად შეამცირონ სპონტანური ზარების/მიწერ-მოწერის რისკები;
- ✓ შეამცირონ კონფლიქტების რისკები;
- ✓ შეამცირონ სტრესი;
- ✓ დაზოგონ დრო;
- ✓ იცოდნენ დისტანციურად სწავლის მოსალოდნელი შედეგები. ე.წ. სამიზნე მდგომარეობა.

**დასაწყისში ამ წესების შემუშავებას და დანერგვას დიდი დრო დასჭირდება. ცოტა ხნის შემდეგ კი აღმოაჩენთ, რომ ურთიერთობა გამარტივდა.**

### *თავი IV. 5. მშობლებთან დისტანციური კომუნიკაციის თავისებურებები*

დისტანციური ურთიერთობისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. არის მთელი რიგი საკითხები, რაც სასურველია, გათვალისწინებული იყოს პედაგოგებისა და მოსწავლეთა მშობლების ურთიერთობაში. მით უფრო, როცა პირისპირ და საჯარო შეხვედრები ვერბალურმა და წერითმა კუმუნიკაციამ ჩაანაცვლა, ამ უკანასკნელს კი თავიანთი განსაკუთრებული ხასიათი აქვთ.

მოკლედ შევეხები საკითხებს, რისი გათვალისწინებაც მშობლებსა და მასწავლებლებს სავალდებულო დისტანციურ ურთიერთობას გაუადვილებს.

### *როგორი უნდა იყოს მასწავლებლისა და მშობლის სატელეფონო საუბარი?*

- საუბრის დროს არ იჩქაროთ. გაითვალისწინეთ, რომ სატელეფონო საუბარი არ არის სრულყოფილი კომუნიკაცია. მოკლებულია სხეულის ენას: სახის მიმიკებს, ჟესტიკულაციას, მანერებს, ემოციებს, მზერას, შეხებას, გარეგნობას.
- მთელი ყურადღება გაამახვილეთ ხმის ტემბრზე. თანამოსაუბრე უნდა გრძნობდეს, რომ თქვენ ზრუნავთ და არ აკონტროლებთ.
- დირექტიული ტონი მიზნის მიღწევაში ვერ დაგეხმარებათ. მეტიც, არსებობს რისკი, რომ გამოიწვიოთ თანამოსაუბრის გაღიზიანება.
- იზრუნეთ, რომ დისკომფორტს არ გიქმნიდეთ მობილური ტელეფონის ეკრანზე ერთმანეთის ნომრის დანახვა.
- გააოცეთ ერთმანეთი – სულ ერთი წუთით დაურეკეთ მშობელს/ მასწავლებელს, მაშინ, როცა ყველაფერი იდეალურად არის და უთხარით მადლობა გაწეული სამსახურისთვის.

### *წერითი კომუნიკაცია მასწავლებელსა და მშობლებს შორის:*

- სიტყვებს წერითი კომუნიკაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ისინი ინფორმაციის გადაცემის ერთადერთი საშუალებაა.
- იზრდება ზრდილობის ნორმების დაცვის მნიშვნელობა, რადგან კომუნიკაციის ეს ფორმა კიდევ უფრო მეტად არის მოკლებული ურთიერთობის სრულყოფილების ელემენტებს, მათ შორის, სხეულის ენას, ხმის ტემბრს და ინტონაციას.
- სასურველია, წერისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გამოხატვის სიცხადეს; არ უნდა იქნეს გამოყენებული ბუნდოვანი გამოთქმები და ორაზროვანი სიტყვები, რადგან სხვა ადამიანს დრო სჭირდება იმის დასაზუსტებლად, თუ რას გულისხმობთ თქვენ.
- გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი ფორმით გაგზავნილი წერილი არის ფიქსირებული დოკუმენტი.
- მოერიდეთ წერილობით კომუნიკაციას საკამათო საკითხებზე, რადგან არსებობს გაუგებრობის გაღრმავების რისკი.
- წერილობით გაგზავნილი შეტყობინება არ არის ეფექტური, თუ თანამოსაუბრისგან სწარაფ პასუხს ან რეაგირებას ელით.

### **Facebook**-*ის დახურული ჯგუფი*

Facebook დახურული ჯგუფი მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ინსტრუმენტია. ინფორმაციის სწრაფად გასავრცელებლად გამოიყენება და ერთგვარი სადისკუსიო სივრცეც არის.

თუმცა კარგი იქნებოდა, facebook ჯგუფს ჰქონდეს წესები, რომლებსაც ჯგუფის შემქმნელი წარადგენს და გაწევრიანებამდე ყველას მოუწევს დაეთანხმოს. ეს დაგვიცავს, რომ დროთა განმავლობაში დახურული ჯგუფი არ გადაიქცეს ერთგვარ „ბრძოლის ველად“, ემოციებისგან დაცლის ან დაპირისპირების ადგი-

ლად. რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წერილობითი კომუნიკაცია ურთიერთობის არასრულყოფილი ფორმაა და ახლავს რისკები.

მნიშვნელოვანია, რომ მშობლებისა და მასწავლებლების დახურულ ჯგუფში, რომელშიც განიხილება სხვადასხვა, მათ შორის დელიკატური, საკითხი, არ იყვნენ გაწევრიანებული ბავშვები.

### *მშობელთა კრება* Online

- არ მოაწყოთ ვიდეო განხილვები საკამათო საკითხებზე.
- სასურველია, ადმინ ფუნქციას ფლობდეს პედაგოგი.
- წინასწარ გააცანით მშობლებს ვიდეოშეხვედრის წესები, განრიგი და რეგლამენტი.
- დაიცავით პერსონალური მონაცემები, მაგალითად, გააკეთეთ ღია განაცხადი, რომ დაუშვებელი და არაეთიკურია ვიდეოშეხვედრის ჩაწერა და მისი გასაჯაროება. (უფრო ვრცლად პერსონალური მონაცემების შესახებ, იხილეთ შემდეგი თავი)
- მიეცით მშობლებს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.
- თუ რომელიმე საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, გამოიყენეთ გამოკითხვის ფუნქცია და სადაო საკითხები ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეთ.
- სასურველია, ვიდეო შეხვედრის დასასრულს, მასწავლებელმა შეაჯამოს დისკუსიის შედეგები და გააცნოს მშობლებს უახლოესი მომავლის გეგმები.
- სასურველია, პედაგოგს მზად ჰქონდეს შეფასების ანონიმური კითხვარის ბმული, მაგალითად, google form-ში, რომელსაც ვიდეოშეხვედრის დაწყებამდე ან დასრულების შემდეგ მშობლები შეავსებენ. ეს დაეხმარება მასწავლებელს, გაზომოს, ერთი მხრივ, მშობელთა ღიაობა, მეორე მხრივ, განსახილველ საკითხებზე მოისმინოს მათი რეალური მოსაზრებები.

## *თავი V. პერსონალური მონაცემების დაცვა სკოლისა და მშობლების კომუნიკაციის პროცესში.*

ადამიანს ყველა ასაკში აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, მათ შორის ბავშვობაშიც. არასრულწლოვნებს ზოგჯერ საკუთარი უფლებების დაცვა დამოუკიდებლად არ შეუძლიათ. ამაზე მშობლებმა, მასწავლებლებმა და ბავშვებთან შეხებაში მყოფმა სხვა ზრდასრულებმა უნდა იზრუნონ.

თუ მშობლებმა და მასწავლებლებმა არ იციან, რა არის ბავშვის პერსონალური მონაცემები, ცხადია, ისინი ვერ შეძლებენ უზრუნველყონ ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. მეტიც, შეიძლება სრულიად კეთილი მიზნებით, გაუცნობიერებლად თავად დაარღვიონ წესები. ამის ნათელი მაგალითები მრავლად დაგროვდა მას შემდეგ, რაც სწავლამ სკოლის კედლებიდან კომპიუტერის ეკრანებზე გადაინაცვლა. სასკოლო ამბები კი ეკრანებიდან პირდაპირ სოციალურ ქსელებში მოხვდა.

არაეთიკურია, როცა მასწავლებელი აქვეყნებს თავისი მოსწავლეების პერსონალურ მონაცემებს, ეს არ არის ცნობილი და შეთანხმებული ბავშვებთან ან მათ კანონიერ წარმომადგენლებთან. მშობელთან ერთად ბავშვმაც უნდა იცოდეს, რა იწერება მის შესახებ იმ სივრცეში, რომელშიც შეიძლება ის თავად არც იყოს რეგისტრირებული. ასევე, აუცილებელია, ბავშვი თანახმა იყოს, რომ ესა თუ ის მასალა გასაჯაროვდეს. ეს დაეხმარება პატარა ადამიანს, მართოს მის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

რა არის ბავშვის შესახებ ის ინფორმაცია, რომელსაც მშობლები და მასწავლებლები განსაკუთრებით უნდა მოვუფრთხილდეთ?

პერსონალური მონაცემების დაცვის აპარატის მიერ გამოქვეყნებული გზამკვლევის მიხედვით, ბავშვის პირად ცხოვრებას მიეკუთვნება შემდეგი ინფორმაცია:

- რომელ სკოლაში და რომელ კლასში სწავლობს? ვინ არის/არიან მისი მშობლები და როგორია მათი ოჯახური მდგომარეობა? სად ცხოვრობს? ვისთან მეგობრობს? როგორია მისი ყოფაქცევა?
- ინფორმაცია ბავშვის სასკოლო განრიგის შესახებ. რომელ საათზე ეწყება გაკვეთილები? როდის აქვს შესვენება? რომელ დღეს, რომელ საათზე ამთავრებს სწავლას? რა დამატებით საგანს/წრეს ირჩევს?
- ინფორმაცია ბავშვის ინტერესების შესახებ – რას აკეთებს შესვენებაზე? რა საკვებს ანიჭებს უპირატესობას? დაინტერესებულია თუ არა სპორტული აქტივობებით? უყვარს თუ არა შინაური ცხოველები?
- ბავშვის აკადემიური მოსწრება – რომელ საგანში რა ნიშნები აქვს და რომელი საგნის სწავლა ეხალისება ან უჭირს.
- ფოტო და ვიდეო მასალა ბავშვის გამოსახულებით. ასევე, პირად საქმეში არსებული ფოტო.
- პერსონალური მონაცემებია, ასევე, ინფორმაცია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, გადატანილი დაავადებები, ფსიქოლოგიური დახასიათება, სპეციალური კვების სპეციალური რეჟიმი, ინფორმაცია ბავშვის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, რელიგიური შეხედულებები და ბავშვის ეთნიკური და რასობრივი კუთვნილების შესახებ ინფორმაცია.

კანონი პერსონალური მონაცემების შესახებ იცავს არა მხოლოდ მოსწავლეებს, არამედ მასწავლებლებს, მშობლებს და სხვა ყველა მოქალაქეს. სკოლებში თავს იყრის ასობით ან მეტი ადამიანის პერსონალური მონაცემები, ამიტომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია, სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეთა მშობლები მართავდნენ მათ ხელთ არსებულ მონაცემებს, რაც გულისხმობს:

**მასწავლებლების მხრიდან:**

პროფესიული საიდუმლოს დაცვას – მასწავლებელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში ხელი მიუწვდება იმაზე მეტ ინფორმაციაზე, ვიდრე ეს შეიძლება საჯაროდ იყოს ცნობილი ამა თუ იმ პიროვნების შესახებ. ასეთ ინფორმაციას კანონის ენაზე პროფესიული საიდუმლოება ეწოდება. მის დაცვას პედაგოგს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ავალდებულებს.

**მშობლის მხრიდან:**

დაუშვებელია საკუთარი ან სხვისი შვილის, მასწავლებლის, სკოლის სხვა თანამშრომლის ან რომელიმე მოსწავლის მშობლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გასაჯაროება და მასზე აპილირება, რაც არ უკავშირდება ბავშვის განათლების მიღების პროცესს ან მიზანს. მაგალითად, პირის სოციალური სტატუსი, რელიგიური შეხედულება, სამსახურეობრივი მდგომარეობა, პილიტიკური ორიენტაცია და სხვ.

ზოგჯერ მშობლები არ ფლობენ ინფორმაციას პერსონალური მონაცემების შესახებ. მიზანმიმართულად ან უნებლიედ არღვევენ წესებს. როგორც წესი, ეს ქმნის კომუნიკაციის სირთულეების მაღალ რისკებს. ამიტომ სასურველია, ასეთ შემთხვევაში სკოლის თანამშრომელმა აუხსნას მშობელს შესაძლო კანონდარღვევის შესახებ.

ეს საკითხი, online სწავლების პირობებში კიდევ უფრო აქტუალური და პრობლემური გახდა. დამატებითი ინფორმაციის მოპოვება სკოლის დირექტორებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ „პერსონალური მონაცემების შესახებ სახელმძღვანელოს“ საშუალებით, რომელიც საგანგებოდ სკოლებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“ გამოსცა. (იხილეთ ბმული https://bit.ly/2HMgoE8).

## *თავი VI. მშობლის სასურველი ქცევა დისტანციური სწავლების დროს*

იმისთვის, რომ მოსწავლე სრულფასოვნად ჩაერთოს Online სწავლების პროცესში, გამართული კომპიუტერული ტექნიკისა და სწრაფი ინტერნეტის გარდა, საჭიროა დისტანციური გაკვეთილებისთვის ადაპტირებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური გარემო. ცხადია, ამ გარემოს შექმნა ბავშვის ოჯახის ვალდებულებაა.

მშობლებმა და მასწავლებლებმა ერთობლივი შრომით უნდა მიაღწიონ იმას, რომ ბავშვს ჰქონდეს განცდა, ის მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს; ეს მისი პასუხისმგებლობაა და ამ დროს ის „სკოლაშია“.

თუ ბავშვი ვერ ხვდება, რამდენად მნიშვნელოვანია მისი ჩართულობა გაკვეთილში, ამას შეუძლება ხელს უშლიდეს რამდენიმე ფაქტორი. მაგალითად, გარემო, რომელშიც ბავშვი იმყოფება არ იყოს მთლად ხელშემყობი. ასევე, იქ იყოს ხმაური, ირგვლივ ოჯახის წევრები მოძრაობდნენ, მშობლები ერთვებოდნენ საგაკვეთილო პროცესში, ბავშვებთან ერთად ისხდნენ გაკვეთილზე, აკრიტიკებდნენ ბავშვს და შესაძლოა, პედაგოგსაც, გამოხატავდნენ ნეგატიურ დამოკიდებულებას ონლაინ სწავლების მიმართ. „ასეთ სწავლებას რა აზრი აქვს, ტყუილად დროს ვკარგავთ“ - მსგავსი ტიპის ტექსტი ბავშვს მოტივაციას უქვეითებს, რაც მეტად სახიფათოა იმ ფონზე, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიცით, რამდენ ხანს მოგვიწევს ამ პირობებში ცხოვრება. მშობლის დამოკიდებულებას ბავშვი აირეკლავს. ამით მშობელი ბავშვსაც ხელს უშლის, თვითონაც საქმეს ირთულებს და მასწავლებელსაც ურთულებს საქმეს, რადგან მოტივაციადაკარგულ ბავშვთან მუშაობა გაცილებით რთული და შრომატევადია.

Online ჩატარებულ გაკვეთილს შეიძლება, მართლაც, ბევრი ხარვეზი ჰქონდეს, თუმცა ეს მშობელს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს.

## *რა უნდა გააკეთოს მშობელმა?*

ა) მოაწყოს ფიზიკური გარემო. თუ ოჯახს შესაძლებლობა აქვს, ჯობია ბავშვს ჰქონდეს ცალკე ოთახი. თუ ამის ფუფუნება არ არის, ეს არ არის გამოუვალი მდგომარეობა. მივუჩინოთ ბავშვს თავისი ადგილი, ეს შეიძლება იყოს ერთი მცირე ზომის მაგიდა, რომელიც შეასრულებს მისი საკლასო ოთახის როლს. მასზე ბავშვმა უნდა დააწყოს თავისი წიგნები, მოიმარაგოს ყველა ნივთი, რომელიც გაკვეთილის მიმდინარეობის დროს სჭირდება. ისე რომ, შუა გაკვეთილის დროს არ უნდა მოუხდეს ადგომა. მნიშვნელოვანია, ბავშვის სამუშაო მაგიდა ისეთ ადგილას განთავსდეს, საიდანაც ბავშვი ვერ დაინახავს ბევრ გამღიზიანებელს, მაგალითად სათამაშოს, ტელეფონს და ა.შ.

ბ) დაეხმაროს შვილს რუტინის შენარჩუნებაში. სასურველია, მშობელმა დაარწმუნოს ბავშვი, რომ online გავკეთილზე შესვლამდე მოასწროს მოწესრიგება, დილის ჰიგიენის პროცედურების გავლა, საუზმე. სასურველია ვარჯიში ან მცირე ფიზიკური აქტივობაც.

გ) მისცეს შვილს დამოუკიდებლობის უფლება. მნიშვნელოვანია, მშობელმა ბავშვს შეუქმნას განცდა, რომ როგორც სკოლაშია მშობლებისგან დამოუკიდებლად, ისე უნდა მოაგვაროს ახლაც თავისი საქმეები. ამისთვის სასურველია, ბავშვი იჯდეს ოთახში მარტო. თუ ეს არ გამოდის, მაშინ ბავშვმა მოიხმაროს ყურსასმენები. ეს მნიშვნელოვანია, რათა მშობელი ან ოჯახის სხვა წევრი, რომელიც უნებურად უსმენს გაკვეთილის მიმდინარეობას, თავისი ფიქრებით და შემდეგ უკვე აზრებით არ ჩაერიოს ამ პროცესში. გამონაკლისი შეიძლება იყოს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები, რომელთაც არ აქვთ კომპიუტერის მოხმარების დამოუკიდებელი უნარ-ჩვევები. ამ შემთხვევაშიც მშობელმა უნდა მოირგოს ტექნიკური

ასისტენტის როლი და მინიმუმამდე შეზღუდოს როგორც ვერბალური კომუნიკაცია შვილთან, ისე სხეულის ენა. არ გამოხატოს სუბიექტური რეაქციები, თავი შეიკავოს ემოციების გამომსახველი შორისდებულების წარმოთქმისგან, მით უფრო შენიშვნებისგან, რეპლიკებისგან, პრეტენზიებისა და ჩურჩულისგანაც კი.

დ) მოახდინოს დასვენების დროის ორგანიზება. სასურველია, მშობელმა მოახერხოს და გაკვეთილებს შორის შუალედში ბავშვი გაიყვანოს სამეცადინო სივრციდან. თუ სახლს აქვს ეზო ან აივანი, კარგი იქნება ბავშვი გავიდეს ღია ცის ქვეშ, მიიღოს მზის სხივები, ჩაისუნთქოს ჰაერი, იმოძრაოს ფიზიკურად. ეს დაიცავს ბავშვს გამოფიტვისგან, რაც დამახასიათებელია Online სწავლების პროცესისთვის.

ე) დაეხმაროს შვილს კომპიუტერთან/ტელეფონთან მუშაობის წესების შემუშავებასა და დაცვაში. რადგან online სკოლა კომპიუტერთან ყოველდღიურ კავშირს მოითხოვს, სასურველია, მშობლები იცნობდნენ მხედველობის ჰიგიენის მარტივ წესებს, რომელიც ეკრანთან მუშაობის დროს უნდა დაიცვას ბავშვმა. ეს რჩევები მასწავლებლებსაც დაეხმარება, სწორად დაგეგმონ ბავშვების ასაკზე მორგებული გაკვეთილები. წესები შედგენელია ოფთალმოლოგის რეკომენდაციით.

- განათება – კომპიუტერის მონიტორს არ უნდა ეცემოდეს შუქის ანარეკლები; ოთახი არ უნდა იყოს დაბნელებული; სიბნელის შემთხვევაში საჭიროა დამატებითი განათება. ეკრანსა და გარემოს შორის არ უნდა იყოს მკვეთრი კონტრასტი.
- დისტანცია ეკრანთან – მონიტორის ეკრანიდან თვალებამდე უნდა იყოს 40-75 სმ. ტელეფონიდან – 30 სმ.
- თვალის ვარჯიშები – გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მარტივი თვალის ვარჯიშები: მაგრად დავხუჭოთ ორივე თვალი 3-5 წამით, გავიმეოროთ 6-8-ჯერ. სწრაფად ვახამხამოთ თვალები 1 წუთის განმავლობაში. მსუბუქად დავაჭიროთ თითები დახუჭულ თვალებს 2 წამი და გავიმეოროთ 3-4 ჯერ.

ვ) იყოს ბავშვის ფსიქოლოგიური მხარდამჭერი. Online სწავლებით გამოწვეული თავდაპირველი აღტაცება მოსწავლეებში ნელ-ნელა იკლებს. გასაკვირი არც არის, რადგან სკოლა მეგობრების, ცოცხალი ურთიერთობების გარეშე, არც ისე სახალისოა. ამის გამო იმედგაცრუება რომ არ განიცადოს, ბავშვს ყოველდღიურ რეჟიმში სჭირდება გამხნევება. სასურველია მშობელმა, გაკვეთილების დაწყებამდე შეაგულიანობს ბავშვი. მაგალითად, უთხრას, რომ კარგად გამოიყურება. ასე, თმა ძალიან უხდება. საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ კი შეუვსოს სოციალური ურთიერთობების დეფიციტი და მეტი დრო დაუთმოს ბავშვთან ერთად სასიამოვნო აქტივობებს.

ზ) აკონტროლოს ეკრანთან გატარებული დრო. ერთ-ერთი ძირითადი შეცდომა, რასაც მშობლები უშვებენ ხოლმე, ეს არის შვილისთვის ტელეფონისა და კომპიუტერის აკრძალვა არა საგაკვეთილო საათებში. მნიშვნელოვანია, მშობელს გააზრებული ჰქონდეს, რომ Online სწავლება არ არის ბავშვის არჩევანი. შესაბამისად, ეკრანთან ამ საათებში გატარებული დრო არ არის გამოყენებული მისი სიამოვნებისთვის. იმისთვის, რომ ბავშვმა დაიკმაყოფილოს თავისი სურვილები, მას უნდა მიუწვდებოდეს ხელი ტექნიკაზე, თუმცა შეზღუდული, წინასწარ შეთანხმებული დროით. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ბავშვებს არ აქვთ თვითკონტროლის უნარები, ამიტომ ეკრანთან გატარებული დრო მშობელმა უნდა აკონტროლოს.

ამ რეკომენდაციების დაცვით მშობელი დაეხმარება შვილს, შეინარჩუნოს სწავლის მოტივაცია და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს სახლიდან სწავლის პროცესს.

## *თავი VII. მშობელი ზედამხედველი თუ მშობელი პარტნიორი*

ტრადიციული სწავლების პირობებში საქართველოს სკოლებში შინაგანაწესით მკაცრად იყო გაწერილი სკოლის შენობაში მშობლების შეშვების საათები. თუ აქამდე მშობელს ტრადიციულ გაკვეთილზე დასასწრებად პედაგოგის და სკოლის დირექციის თანხმობა სჭირდებოდა, ახლა ეს ადამიანები თავად სთხოვენ მოსწავლის მშობელს, გვერდით მიუჯდეს ბავშვს და თვალი ადევნოს საგაკვეთილო პროცესის გამართულობას.

ამ შინაარსის თხოვნას, როგორც წესი, რამდენიმე საფუძველი აქვს:

- დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს არ აქვთ კომპიუტერის დამოუკიდებლად მოხმარების უნარ-ჩვევები.
- დაგროვდა ონლაინ გაკვეთილების ჩაშლის წარმატებული მცდელობების პრაქტიკა.
- გაკვეთილის დროს პედაგოგები მშობლებისგან სახლში სიჩუმის დაცვის უზრუნველყოფას ითხოვენ.

რეკომენდებული არ არის მშობელი ბავშვის სწავლის პროცესს მუდმივად აკვირდებოდეს ვირტუალური საკლასო ოთახის სივრცეში. მითუმეტეს, ვერ გაყვება პროცესს, როცა ორი ან მეტი შვილი ჰყავს ამ მხრივ სამეთვალყურეო. ასევე, არის საფრთხე იმისა, რომ სასწავლო პროცესში რაღაცამ არ დააკმაყოფილოს და მისმა ჩარევამ კონფლიქტები და უკმაყოფილება გამოიწვიოს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მიერ, ნებსით თუ უნებლიეთ, შეიძლება გაცემული იქნას, მისი რომელიმე მოსწავლის მაიდენტიფიცირებელი, რაიმე სახის ინფორმაცია, რასაც სხვა მოსწავლის დამსწრე-მშობელი უსმენს. ჩვენთვის უცნობია, რა მიზნით გამოიყენებს ის ამ ინფორმაციას და გამოიყენებს თუ არა საერთოდ, მაგრამ ამ პროცესს ბევრი რისკის ფაქტორი ახლავს.

დაბალ კლასებში მასწავლებელმა შეიძლება სთხოვოს და არა მოსთხოვოს მშობელს ზედამხედველობა. ასეთი თანამშრომლობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და ემყარებოდეს მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის სურვილს.

ბევრ ქვეყანაში, სკოლები ადგენენ ე.წ. ნეტიკეტს – ინტერნეტ-სწავლებისას ქცევის წესებს, რა არის დასაშვები და რა – არა. ამ ინფორმაციის მიწოდება საგანგებოდ ხდება მშობლებისა და მოსწავლეებისთვის. თუ მონაფე ნეტიკეტს დაარღვევს, განსაზღვრულია ის ნაბიჯებიც, რასაც სკოლა მიმართავს, გამომდინარე დარღვევის ხარისხიდან და სიხშირიდან. აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მშობლებს.

მშობელი მასწავლებლის დაჟინებულ მოთხოვნაზე შესაძლოა გაღიზიანდეს და არც თუ უსაფუძვლოდ. მშობელთან თანამშრომლობა კლასის ქცევის დარეგულირების მიზნით, მშობლის დროისა და რესურსებისა გამოყენებაა და არ არის გამართლებული. თუ მასწავლებელს ეს არ ესმის, მშობელს უფლება აქვს აუხსნას პედაგოგს და უარი უთხრას დახმარებაზე.

ონლაინ სივრცე და ჩატარებული გაკვეთილები მეტ ენერგიას და დროს მოითხოვს. მასწავლებელი მზად უნდა იყოს ამ ცვლილებისთვის და მეტი მოთმინება გამოიჩინოს ყოფაქცევასთან დაკავშირებით.

**იმისთვის, რომ თავიდან ავირიდოთ გაუგებრობები და უსიამოვნებები, საჭიროა:**

1. როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, სწავლის დაწყებისას სკოლამ, მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად, შეიმუშავოს ნეტიკეტი და შეიტანოს ის სკოლის შინაგანაწესში. ნეტიკეტი - ეს არის ინტერნეტში ეთიკურად მოქცევის წესების ერთობლიობა. ნეტიკეტი აერთიანებს მორალურ პრინციპებს,

რომლებიც უნდა გაითვალისწინონ, როგორც მასწავლებელმა, ისე მოსწავლეებმა და მშობლებმა. ამისთვის კი აუცილებელი პირობაა, სწავლის დაწყებამდე ჩამოაყალიბოთ ნეტიკეტი და გააცნოთ თქვენს მოსწავლეებს. ასევე, წარუდგინოთ მშობლებს, რათა მათ იცოდნენ, როგორი ქცევაა დასაშვები და როგორი – არა. რას ელით მათგან და რას - არა.

2. სკოლის ადმინისტრაციამ უნდა გააფრთხილოს ყველა მასწავლებელი მშობლის შესაძლო დასწრების დროს გაუთვალისწინებელი და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

3. ონლაინ სწავლების დასაწყისში, სკოლამ დეტალურად უნდა გათვალოს ყველა წვრილმანი, რომელმაც შეიძლება ოჯახს პრობლემა შეუქმნას. სწავლის პროცესში სკოლა, შეძლებისდაგვარად, უნდა შეეცადოს აღნიშნული პრობლემების მინიმუმამდე დაყვანას და სასწავლო პროცესში ჩართული ოჯახების ხელშეწყობას.

**და ბოლოს, დავანახოთ მოსწავლეთა მშობლებს დისტანციურად სწავლის დადებითი მხარეები!**

**დავანახოთ, თავიანთი ქცევით რა სურათ-ხატებს აჩვენებენ ბავშვებს და როგორ აისახება დისტანციურ სასკოლო ცხოვრებაში მათი დღევანდელი ჩართულობა ბავშვის პიროვნების ფორმირებაზე.**

Covid19-მა მშობლებს და შვილებს საზიარო სივრცეში დამოუკიდებლად მუშაობის უნარის გამომუშავების შესაძლებლობა მისცა. საერთო სივრცეში სხვადასხვა საქმის კეთება მშვენიერი სავარჯიშოა იმისთვის, რომ კარგად გავითავისოთ: ყველა ადამიანი ინდივიდია, რომელსაც საკუთარი თავის რეალიზებისთვის უხილავი პირადი სივრცე სჭირდება. მშობელს და შვილს თავიანთი ერთმანეთისგან განსხვავებული ცხოვრება აქვთ. სასურველია, ხელი შევუწყოთ ერთმანეთს მიზნის მიღწევაში, პატივი ვცეთ ერთმანეთის საქმეს, არ დავასაქმოთ, არ გავფანტოთ ერთმანეთის ყურადღება უმნიშვნელო წვრილმანებზე. გაკვეთილის მიმდინარეობის დროს მშობელი თავისი თავშეკავებულობით, ბავშვს თავისდაუნებურად ასწავლის სხვისი საქმის პატივისცემას.

და კიდევ ერთი, სკოლასა და სახლებს შორის გაჭიმული ტელეხიდები მშობელს საშუალებას აძლევს, შეაგროვოს სრულყოფილი ინფორმაცია ბავშვის ქცევათა სისტემის შესახებ.

ამ დროსათვის, მშობლებს უპრეცედენტო შესაძლებლობა აქვთ, თვალი ადევნონ შვილს:

- თუ როგორ იქცევა გაკვეთილზე;
- როგორი ურთიერთობა აქვს თანაკლასელებთან;
- როგორ კომუნიკაციაშია მასწავლებლებთან;
- როგორია მისი თვითშეფასება;
- შეუძლია თუ არა ყურადღებით ყოფნა;
- ახდენს თუ არა კონცენტრირებას მთავარ საკითხებზე;
- რამდენად სერიოზულად ეკიდება გაკვეთილის პროცესს;
- არის თუ არა ესა თუ ის მასწავლებელი მისთვის ავტორიტეტი;
- არღვევს თუ არა წინასწარ შეთანხმებულ წესებს;
- როგორ რეაგირებს, როცა სხვები არღვევენ წესებს;
- რამდენად აქვს გამომუშავებული თვითდისციპლინის უნარები და ა.შ

ასეთი გამჭვირვალე განათლების სისტემა არასოდეს ყოფილა, ეს კი სრულიად ახალი შესაძლებლობა და უჩვეულოდ დიდი გამოცდილებაა, რომელიც ტექნოლოგიურ საუკუნეში მცხოვრებთათვის წყალივით აუცილებელია.

# პროფესიული განვითარების მხარდაჭერა დიტანციური სწავლების პროცესში

**ხათუნა ბარაბაძე**

პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის პროფესიის რეგულირების პროგრამის ხელმძღვანელი

**ეკატერინე კვირიკაშვილი**

ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი

**ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის საუკეთესო გზა სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა თანამშრომლობა და გაზიარებული ლიდერობაა**

ყველა მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა, გახდეს მოსწავლისთვის ის დაუვიწყარი პიროვნება, რომელმაც მას გზა გაუნათა. ჯონ დიუიმ ერთხელ თქვა: „თუ ჩვენ დღეს ისე ვასწავლით, როგორც გუშინ ვასწავლეთ, ხვალ ჩვენს შვილებს ვპარავთ მომავალს". ჩვენ ვცხოვრობთ ინფორმაციულ სამყაროში. მოსწავლეები ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტად ურთიერთობენ ტექნოლოგიური წყაროების საშუალებით, ვიდრე გუშინ, და დღეს მათთვის ხარისხიანი განათლების მიწოდება და მათი სასწავლო მრუდისთვის ადაპტაციის საჭიროება უფრო გადამწყვეტია მასწავლებლისთვის, ვიდრე – ოდესმე. ამ გამოწვევას ღირსეულად უნდა დახვდეს 21-ე საუკუნის მასწავლებელი და პროფესიული განვითარება მისი მუდმივი მეგზური უნდა გახდეს. ჩვენ მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ ავთენტური სასწავლო გამოცდილება, რომელიც მათ მოამზადებს მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისთვის. 21-ე საუკუნის პედაგოგი უნდა განიხილებოდეს, როგორც პროფესიონალი შემსწავლელი. ეს არ გულისხმობს მხოლოდ ოფიციალურ ტრენინგს, რომელსაც ხშირად მიმართავენ მასწავლებლები, ეს გულისხმობს იმას, რომ ისინი უნდა განვითარდნენ თვითდისციპლინისა და თვითრეგულირებადი პროცესის საშუალებით (Kubr, 2002), როგორც დამოუკიდებლად, ასევე კოლეგების მეთვალყურეობით (Schinkel Noordegraaf, 2011). Simons and Ruijters (2014) აცხადებს, რომ პროფესიონალობისთვის ორი მოთხოვნაა საჭირო. პირველი არის თვითგანვითარებაზე ზრუნვა და მოსწავლეებში სწავლის სწავლების განვითარება და მხარდაჭერა, ხოლო მეორე არის მთლიანობა. თუ ეს ორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, მაშინ მასწავლებლებმა უნდა განავითარონ ოთხი თვისება: პირველ რიგში, მათ უნდა გააჩნდეთ თეორიული ცოდნა და შეძლონ მისი პრაქტიკაში გადატანა; მეორე, მათ სჭირდებათ მოქმედების გეგმა და სურვილი გააუმჯობესონ თავიანთი პედაგოგიური საქმიანობა რეფლექსიის საფუძველზე; მესამე, ისინი უნდა იყვნენ ექსპერტები თავიანთ სფეროში და ეძიებდნენ და ნერგავდნენ ინოვაციებს საკუთარ პრაქტიკაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად; და მეოთხე, მათ უნდა ჰქონდეთ პროფესიული ჩარჩო, ანუ ისინი უნდა ეკუთვნოდნენ პროფესიონალურ საზოგადოებას, რომელიც კოლექტიური მუშაობის შედეგად უმკლავდება სირთულეებს. თუ პედაგოგები აკმაყოფილებენ ამ ორ მოთხოვნას და აქვთ ეს ოთხი თვისება, მათ, როგორც აღიარებულმა პროფესიონალებმა, შეიძლება ისარგებლონ უფრო მეტი ავტონომიითა და ავტორიტეტით. მასწავლებლებმა, საკუთარი პროფესიული განვითარების გარდა, მხარი უნდა დაუჭირონ კოლეგების სწავლას. ამრიგად, მათ შეუძლიათ შექმნან პროფესიული სასწავლო საზოგადოებები, რომლებშიც ისინი მუდმივად ეძებენ და იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას და იმაღლებენ კვალიფიკაციას (Hord, 1997). გარდა ამისა, მასწავლებლის პროფესიული

სტანდარტი უნდა გახდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სამიზნე. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ხელს უწყობს: 1) მასწავლებელთა მუშაობის გაუმჯობესებას, 2) მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და 3) მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

დღეს, როდესაც მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დადგა, ისეთი აქტუალური გახდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, როგორიც არასდროს. ჯერ კიდევ 2015 წლის სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის (TALIS) ანგარიშში ყურადღება იყო გამახვილებული მასწავლებელთა მოთხოვნებზე, რომლებიც ისტ-ის მწირ კომპეტენციაზე მიუთითებდა. ამავე კვლევის მიხედვით, „საგნის სწავლებაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება (62%) და საგნის სწავლებაში ისტ-ის გამოყენების უნარების გაძლიერება (68%) მასწავლებლებისათვის ძალიან მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს“.

ჩვენ ვცხოვრობთ ინფორმაციულ სამყაროში და ისტ-ის გამოყენების გარეშე სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვა წარმოუდგენელია.

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის 2020 წლის მონაცემებით, 2015 წლიდან დღემდე სასწავლო პროცესში ისტ-ის გამოყენების მიმართულებით 56 758 მასწავლებელი გადამზადდა.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, პროფესიული განვითარების მიზნები, ფორმები და მოდელები არ იცვლება, იცვლება მხოლოდ ორგანიზების ფორმა, რომელიც დისტანციური ფორმით სინქრონულ/ ასინქრონულ (თვითრეგულირებად) პროცესებს ითვალისწინებს.

საგულისხმოა, რომ 2020 წელს 17 947-მა პედაგოგმა გაიარა ტრენინგ-მოდული „Microsoft Office 365-ის სერვისების გამოყენება სასწავლო პროცესში “, თუმცა დაისმის კითხვა: მხოლოდ ტრენინგის გავლა საკმარისია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის?

რა თქმა უნდა, არა. პროფესიული განვითარება მიზანმიმართული, უწყვეტი პროცესია, რომელიც თეორიულ ცოდნასთან ერთად საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებასაც გულისხმობს და ამ პროცესში მასწავლებლის გზამკვლევი მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი უნდა გახდეს. „რაც უფრო ახლოა პროფესიული განვითარება მასწავლებლის ყოველდღიურ საქმიანობასთან და მის საკლასო ოთახთან, მით უფრო ეფექტურია იგი“ ( მაიკლ ფულანი, პროფესორი ემერიტუსი, ონტარიოს განათლების ინსტიტუტი).

### *პროფესიული განვითარება და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი*

სქემა №1 – კავშირი მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიზნებს, პროფესიონალი მასწავლებლებისადმი წაყენებულ მოთხოვნებსა და პროფესიონალი შემსწავლელების თვისებების ინტეგრირებით მიღებულ სარგებელს შორის.
wileyonlinelibrary.com

სხვადასხვა ქვეყანაში მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს სხვადასხვა მიზნით შეიმუშავებენ. მაგ: კალიფორნიის შტატის მასწავლებლის პროფესიის სტანდარტის მიზანი არის არა მასწავლებლის საქმიანობის გაკონტროლება, არამედ მისი მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, იმ გზის განსაზღვრა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ განვითარდნენ და გაიფართოვონ საქმიანობის ასპარეზი, გააკეთონ რეფლექსია მოსწავლეთა სწავლასა და საკუთარ პრაქტიკაზე; ჩამოაყალიბონ საკუთარი პროფესიული მიზნები და მონიტორინგის გზით შეაფასონ საკუთარი პრქტიკა და ეს ყველაფერი მათ მოსწავლეთა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად უნდა განახორციელონ.

ავსტრალიის მასწავლებლის სტანდარტსაც განმავითარებელი ფუნქცია აქვს. ამ ინსტრუმენტის გამოყენებით მასწავლებელი აკეთებს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსიას და ადგენს იმ საჭიროებებს, რომლებშიც სჭირდება განვითარება.

საქართველოს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტიც ამ მიზნით შეიქმნა. ამ დოკუმენტის პირველ მუხლში ვკითხულობთ:

„1. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (შემდგომში — სტანდარტი), „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ღ3“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროფესიული ვალდებულებების, ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების ჩამონათვალის ერთობლიობაა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა თანამდებობის მასწავლებელი. სტანდარტის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

2. სტანდარტი არის მასწავლებლის მომზადების, პროფესიული რეგულირების და კარიერული ზრდის განმსაზღვრელი დოკუმენტი.“

სტანდარტის გამოყენების არეალი ფართოა, სხვა მრავალ მიმართულებას შორის მნიშვნელოვანია გამოვყოთ ორი:

„სტანდარტის გამოყენება შესაძლებელია:

ა) თვითშეფასებისთვის – იმისთვის, რომ მასწავლებელმა შეძლოს საკუთარი პრაქტიკის რეფლექსია, გამოკვეთოს მიმართულებები, რომლებშიც მას ესაჭიროება განვითარება და განსაზღვროს საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნები სასწავლო პრაქტიკის დასახვეწად და მოსწავლეთა სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად;

ბ) კოლეგების ურთიერთშეფასებისთვის – იმისთვის, რომ სტანდარტი მასწავლებლებმა გამოიყენონ სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად;"

როგორც ხედავთ, მასწავლებლის პროფესიულ სტნდარტს განმავითარებელი ფუნქცია აქვს და მასწავლებლისთვის უნდა წარმოადგენდეს გზამკვლევს პროფესიული განვთარებისთვის.

## *პროფესიული განვითარების არსი და ფორმები*

### *რა ნიშნავს პროფესიული განვითარება?*

„ტერმინი „პროფესიული განვითარება" ნიშნავს მოწესრიგებულ, უწყვეტ და ინტენსიურ მიდგომას მასწავლებელთა შრომის ეფექტიანობის გაუმჯობესებაში იმ საბოლოო მიზნით, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს მოსწავლეთა მიღწევები."

მასწავლებლების პროფესიული განვითარება რამდენიმე მიზანს შეიძლება ისახავდეს. მათ შორის:

(1) საგნობრივი ცოდნის განახლებას; (2) უნარების, დამოკიდებულებებისა და მიდგომების განახლებას სწავლების ახალი მიზნების, ახალი გარემოებებისა და განათლების კვლევის გასათვალისწინებლად; (3) სასწავლო გეგმის კვალდაკვალ მასწავლებლებისა და სკოლებისათვის სწავლების პროცესში ახალი ცვლილებების გატარების შესაძლებლობის მიცემას; (4) ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლას მასწავლებლებსა და მეცნიერებს, მეწარმეებსა და მკვლევრებს შორის და (5) სუსტი მასწავლებლების ეფექტიანობის გაზრდას (OECD, 1998).

***პროფესიული განვითარების მრავალი ფორმა არსებობს. პროფესიული განვითარების საქმიანობათა ძირითადი ფორმებია:***

- პროფესიულ კონფერენციაზე დასწრება;
- სამუშაო შეხვედრებში (ე.წ. უორქშოფებში) მონაწილეობა;
- მენტორის ხელმძღვანელობით მუშაობა
- პარალელური კლასების მასწავლებელთა შეხვედრებში მონაწილეობა;
- სასწავლო გეგმის/გეგმების შედგენა;
- საკითხის დამოუკიდებელად შესწავლა;
- ელექტრონული მიმოწერა საკითხის პრეზენტატორთან;
- მოსწავლეთა ნამუშევრების შემოწმება;
- საკუთარ გაკვეთილებზე კოლეგების მიწვევა და მათი გამოხმაურების ანალიზი;
- პროფესიულ ორგანიზაციაში გაწევრიანება;
- თვითრეფლექსიის ჟურნალის წარმოება;
- აუდიო პრეზენტაციების მოსმენა;
- მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
- „კრიტიკული მეგობრები";
- პრაქტიკის კვლევა;

- ექსპერტთან კონსულტაცია;
- სხვა მასწავლებლის მენტორობა;
- კოლეგებისთვის სამუშაო შეხვედრების ჩატარება;
- სხვა მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრება, დაკვირვება და ეფექტური უკუკავშირის მიცემა;
- წიგნის განხილვაში მონაწილეობა;
- კვლევაში მონაწილეობა;
- დისტანციური პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;
- სკოლის განვითარების ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა;
- გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა;
- კონფერენციაზე მოხსენების წარდგენა;
- პროფესიული ჟურნალებისა და წიგნების წაკითხვა;
- ეფექტური პრაქტიკის შესახებ პროფესიული ლიტერატურის მიმოხილვა;
- საზაფხულო კურსებში მონაწილეობა;
- საუნივერსიტეტო კურსის მოსმენა;
- საკუთარი გაკვეთილის ვიდეოჩანაწერის ანალიზი და შეფასება;
- სამოდელო გაკვეთილების ჩატარება;
- სტატიების დაწერა;
- სასწავლო რესურსების შექმნა;
- და სხვა.

***პროფესიული განვითარების ძირითადი მოდელებია:***

1. ტრენინგი;
2. დაკვირვება/შეფასება;
3. განვითარება/გაუმჯობესების პროცესებში მონაწილეობა;
4. სასწავლო ჯგუფები;
5. პრაქტიკის კვლევა;
6. პროფესიული თვითგანვითარება;
7. მენტორობა/ინდივიდუალურად წვრთნა.

## *პროფესიული განვითარების კავშირი მოსწავლეთა შედეგებთან*

პროფესიული განვითარება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას. ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მაშინ იქნება ეფექტიანი, თუ ის დაეფუძნება კვლევებს. კვლევები მიმართული უნდა იყოს თითოეული მოსწავლის შედეგზე. მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სუბიექტური რეალობით: გონებრივი სქემებით, სოციალური გამოცდილებითა და აღქმის თავისებურებებით, სწავლის სტილით, ინტერესებითა და მზაობით. ამდენად, მასწავლებლის მიერ გამოყენებული სტრატეგიები მიმართული უნდა იყოს თითოეული ინდივიდის შედეგის გაუმჯობესებისკენ. ამ უკანასკნელს კი სისტემატური რეფლექსიისა და საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის გარეშე ვერ დაადგენს მასწავლებელი. აუცილებელია, რომ მასწავლებელი მუდმივად აკვირდებოდეს, აანალიზებდეს და ადგენდეს მიმართებებს მის მიერ გამოყენებულ სტრატეგიასა და მოსწავლეთა სარგებელს შორის: „რას ისწავლიან, როგორ ისწავლიან და რაში

დაეხმარება ჩემ მიერ ამ კონკრეტული სასწავლო მეთოდის დაუფლება და გამოყენება ჩემს მოსწავლეებს? შესაბამისად, პროფესიული განვითარების ეფექტურობა განისაზღვრება არა მხოლოდ მასწავლებლის მიერ ამა თუ იმ სტრატეგიის დაუფლების ხარისხით, არამედ მისი გავლენით მოსწავლეების სწავლასა და შედეგებზე.“ ამ რთულ გზაზე მასწავლებლებს კვლევაზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების შედეგად შეაქვთ ცვლილებები თავიანთ პედაგოგიურ პრაქტიკაში. მასწავლებლის საქმიანობის თანმდევი უნდა გახდეს ზრუნვა საკუთარი მოსწავლეების სწავლა-განათლებაზე. რეფლექსური მასწავლებელი მუდამ უნდა უსვამდეს საკუთარ თავს შეკითხვებს: „რა იციან და რა უნდა იცოდნენ ჩემმა მოსწავლეებმა? რა მიმართულებით უნდა გავიუმჯობესო პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები იმისთვის, რომ ჩემმა მოსწავლეებმა შეძლონ სასწავლო მიზნების მიღწევა?“ რა უნდა შეეძლოთ და რა შეუძლიათ? და ა.შ.

სარეკომენდაციოდ გთავაზობთ მოსწავლეთა ქცევის ინდიკატორებს, ანუ მოსწავლეთა სასურველი ქცევის აღწერილობას. ეს საშუალებას მისცემს პედაგოგს, ამოიცნოს კონკრეტული მიმართულების საჭიროება და შემდგომ შეეცადოს მიზეზების გარკვევასა და ინტერვენციების დაგეგმვას სასურველი შედეგის მისაღწევად.

1. მიმართულება: სასწავლო გარემო

1.1. კომუნიკაცია.

მოსწავლის ქცევა:

- მოსწავლე თანაკლასელთა და მასწავლებლის წინაშე თამამად გამოთქვამს თავის შეხედულებებს, მოსაზრებებს, გამოხატავს გრძნობებსა და დამოკიდებულებებს ამა თუ იმ მოვლენის მიმართ;
- მოსწავლე ცდილობს თანაკლასელთან თუ მასწავლებელთან წარმოშობილი ნებისმიერი გაუგებრობა მოაგვაროს კონფლიქტის გარეშე, ეფექტური კომუნიკაციის გზით;
- მოსწავლე პატივისცემით ექცევა გარშემო მყოფებს; უსმენს და პატივს სცემს სხვების მოსაზრებებს, მათ შორის იმათაც, რომელთაც არ იზიარებს;
- მოსწავლე ცდილობს არგუმენტირებულად დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრება;
- მოსწავლე ცდილობს, თავიდან აიცილოს კონფლიქტური სიტუაცია, ხოლო უთანხმოების დროს იყენებს კონფლიქტის გადაწყვეტის ეფექტურ საშუალებებს.

1.2 თანასწორუფლებიანობის დაცვა, სოციალიზაცია, შემწყნარებლობისა და თანადგომის უნარების განვითარება.

მოსწავლის ქცევა:

- მოსწავლე თავისუფლად გრძნობს თავს კლასში, არ ეშინია თვითგამოხატვისა და საკუთარი აზრის გამოთქმის;
- მოსწავლე არც ხაზს უსვამს და არც მალავს თავის რელიგიურ, ეთნიკურ, კულტურულ, სოციალურ თუ სხვა მახასიათებელს;
- მოსწავლეები არ აქცევენ ზედმეტ ყურადღებას სსსმ მოსწავლეს, ჩვეულებრივად ექცევიან მას;
- მოსწავლეები მასწავლებელთან და თანაკლასელებთან არგუმენტირებული მსჯელობის შედეგად იღებენ ურთიერთშეთანხმებულ გადაწყვეტილებებს; იზიარებენ პასუხისმგებლობას ამ გადაწყვეტილებების სისწორესა და მათ შესრულებაზე;
- მოსწავლე ავლენს პატივისცემას და იჩენს მზრუნველობას როგორც თანაკლასელების, ისე მასწავლებლის მიმართ.

1.3. მოსწავლეთა ჩართულობა და ქცევის წესების დაცვა;

მოსწავლის ქცევა:

- მოსწავლე წინასწარ ეცნობა დაგეგმილი აქტივობის შესაბამის წესებს და იცავს მათ;
- მოსწავლემ კარგად იცის კლასის ორგანიზების ნებისმიერი ფორმის სპეციფიკა/წესები;
- მოსწავლე არ კარგავს დროს ერთი საგაკვეთილო აქტივობიდან მეორეზე გადასვლისას;
- მოსწავლეები ზრუნავენ კლასში ქცევის წესების შემუშვებასა და დაცვაზე;
- მოსწავლე უსიტყვოდ ხვდება, როდის და რა უნდა გააკეთოს გაკვეთილზე და არ იმსახურებს მასწავლებლის შენიშვნას;
- მოსწავლეები არიან თვითორგანიზებულნი: გადანაწილებული აქვთ ფუნქციები, უსმენენ ერთმანეთს, განიხილავენ და შეაჯერებენ მოსაზრებებს, ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებებს და ა.შ.

1.4. ეფექტური სასწავლო რესურსების მოძიება და გამოყენება.

მოსწავლის ქცევა:

- მოსწავლე სასწავლო მიზნის შესაბამისად იყენებს დამხმარე სასწავლო რესურსს;
- მოსწავლე ეხმარება მასწავლებელს სასწავლო რესურსის ეფექტურად გამოყენებაში;
- მოსწავლე აქტიურად, შემოქმედებითად იყენებს ტექნოლოგიებს;
- მოსწავლე ატარებს ცდას მასწავლებლის დახმარების გარეშე;
- მოსწავლეები მონაწილეობენ ფიზიკური გარემოს მოწყობაში; ზრუნავენ გაკვეთილის მიმდინარეობის დროს სათანადო და კომფორტული გარემოს შექმნაზე (მაგ., ხურავენ კარს ხმაურის შემთხვევაში, აფარებენ ფარდას, გადააადგილებენ ავეჯს, ორგანიზებულად აბინავებენ სასწავლო მასალებს და ნივთებს, ა.შ.).

2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა

2.1. თემატური ერთეულის სწორად დაგეგმვა

მოსწავლის ქცევა:

- მოსწავლე ჩართულია მთლიან საგაკვეთილო პროცესში და ხალისით ასრულებს დავალებებს, რომლებიც მის ინტერესებზე და საჭიროებებზეა მორგებული;
- მოსწავლე დარწმუნებულია ყველა საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობის სარგებლიანობაში და ხალისით ერთვება მათ შესრულებაში;
- მოსწავლე გააზრებულად ერთვება ამა თუ იმ დავალების შესრულებაში/საკლასო აქტივობაში, რადგან იცის, თუ რა მიზანს ემსახურება ისინი;
- მოსწავლე აჯამებს გაკვეთილს და აფასებს გაკვეთილის შედეგად შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

2.2.მოტივაციის ამაღლება და ჩართულობა.

მოსწავლის ქცევა:

- მოსწავლე აქტიურია მაშინაც კი, როდესაც დავალებები რთულია;
- მოსწავლე ამჟღავნებს ენთუზიაზმს, ინტერესს, ცდილობს პრობლემების გადაწყვეტას;
- მოსწავლეები განსაკუთრებული ხალისით ეჭიდებიან რთულ დავალებებს. შესრულების ხარისხიც მაღალია. გაკვეთილი ხალისიანი და დინამიკურია;
- მოსწავლე ცდილობს, დავალებები დამოუკიდებლად და ხარისხიანად შეასრულოს.;

- მოსწავლე თავად არის ახალი აქტივობის შემოტანის ინიციატორი;
- მოსწავლე დახმარებისთვის მიმართავს არა მხოლოდ მასწავლებელს, არამედ თანაკლასელსაც;
- მთელი კლასი ჩართულია თანაკლასელის მიერ შესრულებული დავალების განხილვასა და თანმდევ დისკუსიაში.

3. სწავლება

3.1.ინფორმაციის მკაფიოდ და გასაგებად გადაცემა.

მოსწავლის ქცევა:

- მოსწავლე თანაკლასელებს გადასცემს საგაკვეთილო მასალის შინაარსს, უხსნის კონკრეტულ საკითხს, რითაც თავისი წვლილი შეაქვს სასწავლო მასალის განმარტებასა და დაზუსტებაში;
- მოსწავლე სწორად იყენებს აკადემიურ ტერმინებს (ლექსიკას);
- მოსწავლე ახალ ცნებას/ტერმინს განუმარტავს თანაკლასელებს;
- მოსწავლე აკეთებს აღმოჩენას, ახსნას უძებნის მოვლენას, რომელიც აქამდე არ ესმოდა;
- მოსწავლეს მოჰყავს სათანადო მაგალითები და მიღებულ ცოდნას იყენებს განსხვავებულ კონტექსტში.

3.2. მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება მაღალი სააზროვნო უნარების გასავითარებლად.

მოსწავლის ქცევა:

- მოსწავლეები ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს, წამოსწევენ სხვადასხვა პრობლემურ საკითხს; ისინი ერთმანეთს უბიძგებენ აზროვნებისა და მსჯელობისაკენ;
- მოსწავლის მიერ დასმული შეკითხვები ემსახურება საკითხის სიღრმისეულად გააზრებას;
- მოსწავლეები თავად აწყობენ დისკუსიას; ისინი მსჯელობენ არგუმენტირებულად და აღწევენ მიზანს – აჯამებენ საკითხს, გამოაქვთ დასკვნები;
- მოსწავლე თანაკლასელს სთხოვს დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრება, აჯამებს დისკუსიის შედეგებს და უზიარებს დანარჩენებს.

4. შეფასება

4.1 შეფასების ინსტრუმენტების შექმნა და გამოყენება სწავლების დროს.

მოსწავლის ქცევა:

- მოსწავლე ზედმიწევნით კარგად იცნობს შეფასების ინსტრუმენტებს;
- მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ქმნიან და სრულყოფენ შეფასების ინსტრუმენტებს;
- მოსწავლე იმდენად კარგად იცნობს შეფასების ინსტრუმენტს, რომ შეუძლია შეფასების ინსტრუმენტის საფუძველზე აღმოაჩინოს უზუსტობა შეფასებაში და გამოთქვას პრეტენზია, ან მიიღოს დამატებითი განმარტებები;
- მოსწავლეები შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით თავად აფასებენ შესრულებულ სამუშაოს და ცდილობენ მის სრულყოფას.

4.2. მოსწავლეთა წარმატების უზრუნველსაყოფად და მათი მიღწევების შესაფასებლად მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება და უკუკავშირის მიწოდება.

მოსწავლის ქცევა:

- მოსწავლეები იღებენ კონკრეტულ, ზუსტ და მათთვის გასაგებ უკუკავშირს მასწავლებლისგან;
- მოსწავლე მასწავლებლის უკუკავშირს (განმავითარებელ შეფასებას, რეკომენდაციებს, კომენტარებს) იყენებს საკუთარ პროგრესზე დაკვირვებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით;

- მოსწავლე თანაკლასელებისგან იღებს კონკრეტულ და ამომწურავ უკუკავშირს, რომელიც მას სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში ეხმარება.

### *სკოლის დირექტორის როლი სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაში*

ბევრი სკოლა ვერ გამოირჩევა მოსწავლეთა მაღალი მიღწევებით. ასეთ სკოლებში მასწავალებლებს აქვთ დაბალი მოტივაცია, მათი თვითშეფასების დონე დაბალია, ხოლო საკუთარი შესაძლებლობების რწმენა ნაკლები. სკოლაში მოსწავლეთა აკადემიური დონე არასახარბიელოა, ხოლო მათი დამოკიდებულებაც მოსწავლეთა შესაძლებლობების მიმართ არაერთგვაროვანი.

ტომას ჯ. სერჯიოვანი, ტეხასის სან ანტონიოს ტრაინიტის უნივერსიტეტის ლილიან რედფორდის ფონდის პროფესორი, თავის სახელმძღვანელოში „სკოლის ხელმძღვანელობა. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გააზრებული გამოყენების პერსპექტივა“ გვთავაზობს ეშტონისა და უების მიერ (1986) განხორციელებული ერთ-ერთი კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ეშტონმა და უებმა (1986) მათ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ, მაგალითად, დაბალი ქმედუნარიანობის/ეფექტიანობის განცდის მასწავლებლები ფიქრობენ, რომ ბევრ მოსწავლეს არ შეუძლია სწავლა და თუ ვერ სწავლობენ, მათ ბევრი არაფრის გაკეთება შეუძლიათ. მაღალი ქმედუნარიანობის/ეფექტიანობის განცდის მასწავლებლებს კი, პირიქით, სჯერათ, რომ ყველას აქვს სწავლის უნარი და რომ მათზე ბევრი რამ არის დამოკიდებული მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესების თვალსაზრისით (ტომას ჯ. სერჯიოვანი „სკოლის ხელმძღვანელობა. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გააზრებული გამოყენების პერსპექტივა“ გვ 452).

***როგორ შევცვალოთ მასწავლებელთა ქმედუნარიანობის ეფექტურობის განცდა? რა ფაქტორებზეა დამოკიდებული? როგორ ურთიერთქმედებენ ეს ფაქტორები?***

იმავე კვლევაში ეშტონმა და უებმა განსაზღვრეს ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს მასწავლებელთა ქმედუნარიანობის ეფექტურობის ამაღლებას:

1. ა. სკოლის კლიმატი, რომელშიც დირექტორები ეხმარებიან მასწავლებლებს, მასწავლებლები კი – ერთმანეთს, სადაც მხარდაჭერილია თანამშრომლობითი ურთიერთობები და მასწავლებლებს შორის სოციალური ურთიერთობების მაღალი დონე;

ბ. კოლეგიური ფასეულობები, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების ერთობლივ მიღებასა და ინფორმაციის ერთობლივად მოძიებას, ხელს უწყობს მასწავლებლებს შორის მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობებისა და სამუშაოს შედეგებზე პასუხისმგებლობის მაღალი დონის წარმოქმნას;

გ. სკოლის კულტურა, რომელიც აყალიბებს მიზნის განცდას, ერთობლივ ფასეულობებსა და იდეებს და ამ იდეებზე დაფუძნებულ ანგარიშვალდებულების სისტემას, ხელს უწყობს მაღალ სტანდარტებსა და მოლოდინებს, მაღალი დონის კმაყოფილებას და თვითშეფასებას და განცდას, რომ სამუშაო მნიშვნელოვანი და აზრიანია.

2. ა. თანამშრომლობითი ურთიერთობები და მასწავლებელებს შორის სოციალური ურთიერთობების მაღალი დონე ხელს უწყობს მასწავლებელთა ქმედუნარიანობის/ეფექტიანობის, მოტივაციისა და პასუხისმგებლობის მაღალ განცდას;

ბ. მაღალი პიროვნული მიზეზშედეგობრივი კავშირი და სამუშაოს შედეგების მიმართ მაღალი პასუხისმგებლობა ხელს უწყობს მასწავლებელთა ქმედუნარიანობის/ეფექტიანობის, მოტივაციისა და პასუხისმგებლობის მაღალ განცდას;

გ. მასწავლებლების მაღალი სტანდარტებისა და მოლოდინების, კმაყოფილებისა და თვითშეფასების,

სამსახურში პიროვნების მნიშვნელობისა და დანიშნულების გაძლიერება ხელს უწყობს მასწავლებელთა ქმედუნარიანობის/ეფექტიანობის, მოტივაციისა და პასუხისმგებლობის მაღალ განცდას;

მთავარი კითხვა მაინც რჩება: როგორ მივაღწიოთ ზემოთ აღწერილ მდგომარეობას?

სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა გზით მიიღწევა. ეს დამოკიდებულია ლიდერის უნარებზე, ცოდნასა და ღირებულებებზე, სოციუმზე, მასწავლებელთა კვალიფიკაციაზე, მოსწავლეთა რაოდენობაზე, მატერიალურ და ფინანსურ რესურსზე და სხვა.

ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ ლიდერის ფაქტორზე და შემოგთავაზებთ ამ პრობლემის მოგვარების გზად – გადანაწილებულ ლიდერობას.

რას წარმოადგენს გადანაწილებული ლიდერობა? და რა როლს ასრულებს ამ პროცესში სკოლის ლიდერი? ვეცდებით ქვემოთ გავცეთ ამ კითხვებს პასუხი.

არის მოსაზრება, რომ გადანაწილებული ლიდერობა გულისხმობს ფუნქციების დელეგირებას, მაგრამ ეს ასე არაა.

ტომას ჯ. სერჯიოვანი გადანაწილებულ ლიდერობას ასე განმარტავს: ***სასწავლო პროცესზე ორიენტირებული ხელმძღვანელობა მხოლოდ დირექტორზე როდია დამოკიდებული. სკოლის ადმინისტრატორს ესმის და იყენებს ხელმძღვანელობის პროფესიონალებისთვის შესაფერის სტილს; პრობლემებს წყვეტენ ერთობლივად, გუნდურად ან ჯგუფში; დირექტორი იცნობს საკუთარ თანამშრომლებს და ახდენს უფლებამოსილების დელეგირებას; მუდმივი კომუნიკაციით ხელს უწყობს თანამშრომლების გაერთიანებას; იყენებს თავის თანამდებობას, რათა დააჯილდოოს და წაახალისოს, როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები მიღწეული წარმატებებისთვის. რამდენადაც არ დომინირებს ლიდერობის ერთი, გამოკვეთილი სტილი, იგი მოიცავს სკოლის მიმართულებების განსაზღვრას და განხორციელებას და მასწავლებლების საქმიანობის ხელშეწყობას სხვადასხვა მხარდამჭერი ქცევის ნორმების დანერგვის გზით. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნული ჩართულობა სათავეს იღებს სკოლის სოციუმის წევრების მიერ მიზნების, მისიის და ფასეულობების ჩამოყალიბებით. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობენ ის ადამიანები და გაზიარებულია იმათი მოსაზრებანი, ვისზეც ზეგავლენას მოახდენს კონკრეტული გადაწყვეტილება*** (ტომას ჯ. სერჯიოვანი „სკოლის ხელმძღვანელობა. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გააზრებული გამოყენების პერსპექტივა“ გვ 274).

თუმცა გარკვეული დახმარებისა და მიმართულების მიცემის გარეშე ადვილადაა შესაძლებელი ჯგუფმა არასწორად წარმართოს მუშაობა. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში საჭიროა ფასილიტატორი, რომელიც ჯგუფს მისცემს ბიძგს და შეუნარჩუნებს კოლექტიური მუშაობის ენთუზიაზმს. პროცესის ფასილიტატორის როლი შესაძლოა შეასრულოს დირექტორმა ან სხვადასხვა შემთხვევაში ჯგუფის წევრებმაც. ეს პროცესი დირექტორის მიერ უნდა იყოს წახალისებული.

„დირექტორმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს მნიშვნელოვანი მიზნისკენ მასწავლებლების სავალი გზის ახსნა და გაადვილება. ამისთვის კი საჭიროა მიზნების დასახვა, განსაზღვრა და გააზრება. ბუნდოვანი და არასტრუქტურირებული სიტუაციები და გაუგებარი მოლოდინები, შესაძლოა, გახდეს მასწავლებლების უკმაყოფილებისა და იმედგაცრუების მიზეზი. ამგვარად, მნიშვნელოვანია ამოცანაზე ყურადღების გამახვილება, რაც ხელს უწყობს მიზნის ახსნა-განმარტებას. გზის გაადვილება გულისხმობს, რომ დირექტორი, მიზნის მიღწევის გაადვილების მიზნით, მასწავლებელს უწევს საჭირო დახმარებას, აწვდის

ინფორმაციას, მხარდაჭერას უცხადებს და აძლიერებს მას. „გზა-მიზნის“ მიდგომაში მთავარია იმის

გაგება, რომ მასწავლებლის კმაყოფილების დონე იზრდება, როცა ფასეული და რთული ამოცანები კეთდება სასიამოვნო ატმოსფეროში და არა ისეთი ადამიანური და სოციალური ურთიერთობების შედეგად, რომლებსაც არანაირი კავშირი არ გააჩნიათ საქმის კეთებასა და მიზნის მიღწევასთან". (ტომას ჯ. სერჯიოვანი „სკოლის ხელმძღვანელობა. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გააზრებული გამოყენების პერსპექტივა" გვ 391).

### *სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება – სასწავლო ჯგუფები*

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების წარმატებული ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სკოლის დირექტორის მიერ აღნიშნული პროცესის მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის ხელმძღვანელობაზე. მათ შეუძლიათ, ხელი შეუწყონ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების ეფექტურად მუშაობას შემდეგი ფუნქციების განხორციელებით:

- კვალიფიციური და მოტივირებული მასწავლებლების შერჩევა ფასილიტატორის პოზიციაზე;
- სასწავლო ჯგუფებში მასწავლებლების ჩართულობის შესახებ მაღალი მოლოდინების დასახვა და კოლეგებისთვის გაზიარება;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის ფასილიტატორთან მჭიდრო თანამშრომლობა და მისი მხარდაჭერა სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების მუშაობისთვის სათანადო სამუშაო გარემოს შექმნა;
- სასწავლო ჯგუფებში მასწავლებელთა მონაწილეობის მონიტორინგი და წახალისება.

მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების მუშაობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მასწავლებელთა ჩართულობასა და მონაწილეობაზე. მნიშვნელოვანია, მასწავლებლებს ესმოდეთ უწყვეტი და სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების მნიშვნელობა და აღნიშნული შესაძლებლობა გამოიყენონ კოლეგებთან პროფესიული განხილვების, გამოცდილების გაზიარებისა და სწავლების გაუმჯობესების მიზნით.

ცალკეულ შემთხვევაში დღევანდელი რეალობიდან შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები, როდესაც დირექტორებს ურჩევნიათ, რომ მხოლოდ თავად იყვნენ ლიდერები/ ზედამხედველები და მას ემორჩილებოდნენ. ასეთ სკოლებში დამკვიდრებული კულტურა შორსაა თანამშრომლობითი პროცესების განხორციელებისგან. დირექტორებს ლიდერობის წახალისება აშინებთ. ასეთი მიდგომა სათავეშივე არასწორია. კვლევები ადასტურებს, რომ ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის საუკეთესო გზა სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა თანამშრომლობა და გადანაწილებული ლიდერობაა.

ყველაზე ეფექტური შედეგის მისაღწევად საჭიროა ფასილიტატორი აანალიზებდეს, რომ თითოეულ ადამიანს აქვს რაღაც უნიკალური ჯგუფთან გასაზიარებლად. მან უნდა დაადგინოს ჯგუფის სხვადასხვა წევრის არსებული ცოდნა და იდეები, რათა ხელი შეუწყოს მათ, ისწავლონ ერთმანეთისგან, იფიქრონ და იმოქმედონ ერთობლივად და შექმნან ახალი ცოდნა და იდეები, რომელებსაც გაუზიარებენ სხვებს. ეფექტური ფასილიტატორი არის ადამიანი, რომელსაც:

- ესმის, თუ როგორ სწავლობენ მოზარდები;
- ჯგუფის მხარდასაჭერად იყენებს ეფექტური თანამშრომლობითი კვლევის სწორ/ზუსტ მოდელს;
- აანალიზებს/იცნობს თითოეული ჯგუფის წევრების ძლიერ მხარეებსა და შესაძლებლობებს და ეხმარება მათ, კომფორტულად იგრძნონ თავი ერთმანეთისთვის ცოდნის გაზიარების პროცესში.
- მხარს უჭერს ჯგუფს, თავდაჯერებულობას მატებს მონაწილეებს, რათა ერთმანეთს გაუზიარონ იდეები, პრაქტიკა;

- აფასებს განსხვავებულობას/მრავალფეროვნებას და ითვალისწინებს ჯგუფის წევრების განსხვავებულ ინტერესებსა და საჭიროებებს;
- ხელმძღვანელობისას ითვალისწინებს დამოკიდებულებებს, მიდგომებსა და ქმედებებს.

სთავაზობს გამოწვევებსა და დახმარებას ოპტიმალურ დროს. (ჰერისი ა. ჯონსი მ. პროფესიული სასწავლო თემი: ეფექტური თანამშრომლობითი კვლევის წარმართვა სასწავლო სკოლის გაერთიანებების ფარგლებში 2012).

ფასილიტატორის აუცილებელი მოვალეობაა, შექმნას ისეთი კლიმატი, რომელშიც ჯგუფი შეძლებს:

- შექმნას ახალი პროფესიული ცოდნა;
- ჩაერთოს კონკრეტულ კვლევასა და ინოვაციაში;
- შეამოწმოს/გამოსცადოს ახალი ცოდნის ვალიდურობა და ახალი პრაქტიკის ღირებულება;
- მოახდინოს ცოდნის და ახალი გამოცდილების ტრანსფერი სკოლის შიგნით და სკოლებს შორის.

ეფექტური ფასილიტაცია ასევე ნიშნავს იმის გააზრებას, რომ მუშაობის პროცესში შეიძლება იყოს როგორც გარკვეული ხარვეზები, საწყის წერტილზე დაბრუნების საჭიროება და წარუმატებელი დასასრული, ისე წარმატება, ახალი მიგნებები და შესაძლებლობები. თანამშრომლობითი კვლევა არაა დაზღვეული წარუმატებლობისგან და არ არსებობს წარმატების არანაირი გარანტია. მუშაობის პროცესში შეგვხდება სირთულეები, მაგრამ ესაა სირთულეები, რომლებიც დაძლევადია. ამ სირთულეების გადალახვაში კი გადამწყვეტ როლს თამაშობს ფასილიტატორი.

ლიდერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ფასილიტატორობას, რა თქმა უნდა, თან ახლავს გარკვეული სირთულეები:

პირველი სირთულე არის თანამშრომლობითი პროცესის გაკონტროლების ცდუნება. ამგავარი ქმედება ხელს შეუშლის დაეხმაროს ჯგუფს წინსვლაში, რადგანაც ჯგუფის წევრები მეტისმეტად დამოკიდებულნი იქნებიან ფასილიტატორზე და არ აიღებენ პასუხისმგებლობას თავიანთ სწავლაზე.

მეორე სირთულე არის ფასილიტატორის მიმართ ზედმეტი მოლოდინი, რომ მას აქვს მზა პასუხები ნებისმიერ კითხვაზე. ერთობლივი კვლევისას ფასილიტატორიც ჯგუფის წევრია და შესაბამისად, ჯგუფმა უნდა აიღოს საკუთარი პასუხისმგებლობა.

კიდევ ერთ სირთულეს წარმოადგენს კონფლიქტის მართვა/მოგვარება. ჯგუფის წევრებს ექნებათ მყარი და ურთიერთსაწინააღმდეგო იდეები ეფექტურ პედაგოგიკასა და წარმატებულ პროფესიულ სწავლასთან დაკავშირებით. ზოგიერთ მათგანს, შესაძლოა, მოუნდეს საკუთარი იდეების ჯგუფზე გავრცელება და მათი განხორციელება. ფასილიტატორი უნდა იყოს ძალიან ფრთხილი ნებისმიერი განსხვავებულობისა და გამოთქმული იდეების მიმართ და ჯგუფის წევრებს დაეხმაროს, იმუშაონ გამოთქმულ იდეებზე დაყრდნობით ისე, რომ არ ასცდნენ მათ მთვარ მიზნებსა და ინტერესებს.

დაბოლოს, ფასილიტატორის მთავარ სირთულეს წარმოადგენს ის, რომ თანამშრომლობითი გზით მუშაობის პროცესში იგი არის როგორც მონაწილე, ისე ხელმძღვანელი. იმისათვის, რომ ფასილიტატორმა თავისი ფუნქცია-მოვალეობები ყველაზე ეფექტურად შეასრულოს, საჭიროა, ჰქონდეს თანამშრომლობითი საქმიანობის ნათელი, სრული მოდელი, რათა შეძლოს ჯგუფის მართვა/ხელმძღვანელობა (გუიდე) და ფასილიტაცია.

ფასილიტატორმა ჯგუფის წევრებს შორის თავიდანვე უნდა ჩამოაყალიბოს ორმხრივი ნდობა. ნდობის ჩამოყალიბება მნიშნელოვანია, რადგან ძლიერი ურთიერთობები და პოზიტიური კავშირები პროფესიონალებს შორის აუცილებელია პროგრესის მისაღწევად და გარანტირებული პოზიტიური შედეგების მისაღებად.

რა ხდის ფასილიტატორს ეფექტურს?

ეფექტურ ფასილიტატორს უნდა ჰქონდეს გარკვეული პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც ჯგუფის წევრებს დაეხმარება აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სწავლის პროცესში. ეს მახასიათბლებია: თანაგრძნობა/ემპათია, თავმდაბლობა, კეთილგანწყობა და მოთმინება. ასევე, გაგების, მიღებისა და აღიარების უნარი. გარდა ამისა, ეფექტურ ფასილიტატორს სჭირდება კონკრეტული უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები. ფასილიტატორობის უნარ-ჩვევები აუცილებელია ნებისმიერისთვის, ვისაც სურს უხელმძღვანელოს განხილვის, სწავლისა და ცვლილების პროცესს. თუ თანამშრომლობის გზით სწავლა და კვლევა უნდა წარიმართოს გუნდის ან გაერთიანების მიერ, მაშინ ჯგუფი ზუსტად უნდა იყოს შეთანხმებული ფასილიტატორის მოვალეობებზე. ფასილიტატორს უნდა ჰქონდეს შემდეგი მთავარი უნარ-ჩვევები:

- მოსმენა;
- მოტივაცია;
- ნდობის ჩამოყალიბების/შექმნის უნარი;
- ეფექტური თანამშრომლობით სწავლის ხელშეწყობის უნარი;
- დაგეგმვა;
- კვლევა და ძიება;
- კონფლიქტის მართვის/მოგვარების უნარი;
- და ყველაზე მნიშვნელოვანი, თანაგრძნობა/ემპათია.

ფასილიტატორის უნარ-ჩვევები შეიძლება შეიცვალოს გარემოებების შესაბამისად.

### etwinnig – *საერთაშორისო ქსელი, როგორც პროფესიული განვითარების ეფექტური საშუალება*

ონლაინ საშუალებებით შემოთავაზებული ახალი შესაძლებლობები მასწავლებლებს საშუალებას აძლევს დაუკავშირდნენ და ითანამშრომლონ სხვა მასწავლებლებთან ნებისმიერი ადგილიდან, ნებისმიერ დროს. შტატებში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მასწავლებლები თვლიან, რომ პროფესიული განვითარების ისეთი ერთობლივი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება, როგორიცაა სასკოლო/სკოლათშორისი ქსელების შექმნა (არა სკოლის ბაზაზე), გაცილებით ეფექტურია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის, ვიდრე ტრადიციული ფორმები.

etwinnig-ი არის ევროპული სკოლების საზოგადოება. ის ხელს უწყობს მასწავლებლებსა და სკოლებს შორის თანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლასა და კომუნიკაციას ისტ ტექნოლოგიების გამოყენებით. იგი ხელს უწყობს ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. მასწავლებლებს, რომლებიც მონაწეილეობენ ე თწინნინგ აქციებში შესაძლებლობა ეძლევათ აიმაღლონ კვალიფიკაცია საკვანძო სფეროებში, როგორებიცაა: კომუნიკაცია უცხოურ ენაზე, ციფრული კომპეტენცია და ინტერპერსონალური კომუნიკაცია, კულტურათშორისი და სოციალური კომპეტენციები. ამიტომ უფრო მეტად საინტერესოა, ასეთი სოციალური ქსელები მასწავლებლებს როგორ უვითარებენ პროფესიულ უნარებს და უფართოვებენ ცოდნას. უფრო მეტიც, საინტერესოა იმის გაგება, ასეთი დინამიკური და მრავალმხრივი სოციალური ქსელი უკეთ როგორ გამოვიყენოთ პრაქტიკოსი მასწავლებლების უფრო დიდი რაოდენობის ჩასართავად. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლების ახალი პრაქტიკისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები არ დარჩება იზოლირებულად, როგორც „ინოვაციიის კუნძულები". შტატებში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მასწავლებლები თვლიან, რომ პროფესიული განვითარების ისეთი ერთობლივი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება, როგორიცაა სასკოლო/სკოლათ-

შორისი ქსელების შექმნა (არა სკოლის ბაზაზე), გაცილებით ეფექტურია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის, ვიდრე ტრადიციული ფორმები.

ყველა მონაწილე ქვეყნის პედაგოგებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ პორტალზე და გამოიყენონ etwinnig-ის ონლაინ ინსტრუმენტები ერთმანეთის მოსაძებნად, პრაქტიკულად შეხვდნენ ერთმანეთს, გაცვალონ იდეები, შეუერთდნენ ეთწინნინგ ჯგუფებს, ჩაერთონ სასწავლო ღონისძიებებში და მიიღონ მონაწილეობა ონლაინ პროექტებში. etwinnig ონლაინ საშუალებებს უზრუნველყოფს ცენტრალური დახმარების კომისია (CSS), etwinnig-ის საკოორდინაციო ორგანო, რომელსაც მართავს ევროპული სკოლის ქსელი (შცჰოოლნეტ). გარდა ამისა, თითოეულ ქვეყანას აქვს ეროვნული მხარდაჭერის სამსახური (NSS).

საქართველოში მხარდაჭერას ახორციელებს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ევროკომისიის დახმარებით 2013 წლიდან ახორციელებს ეთწინნინგპლუს-ის პროგრამას, პროგრამის ფარგლებში მასწავლებლები სწავლობენ და ივითარებენ გუნდური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარებს, საგნის ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, ისინი მონაწილეობენ საერთაშორისო სემინარებში, კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში.

საქართველოში პროგრამა ამოქმედების დღიდან დიდი ინტერესით სარგებლობს, რაზეც მიუთითებს პროგრამაში ჩართული მასწავლებლებისა და განხორციელებული პროექტების ყოველწლიური სტატისტიკა.

- 2013 წელი – პროგრამაში რეგისტრირებულია 569 მასწავლებელი 293 სკოლიდან და აქტიურია 49 პროექტი;
- 2014 წელი – 350 მასწავლებელი 127 სკოლიდან, 232 აქტიური პროექტი;
- 2015 წელი – 350 მასწავლებელი 130 სკოლიდან, 226 აქტიური პროექტი;
- 2016 წელი – 350 მასწავლებელი 188 სკოლიდან, 461 აქტიური პროექტი;
- 2017 წელი – 600 მასწავლებელი 303 სკოლიდან, 636 აქტიური პროექტი,
- 34 პროექტი ეროვნული (ქართულ ენაზე ქართველ პარტნიორებთან ერთად);
- 2018 წელი 900 მასწავლებელი 475 სკოლიდან, 348 აქტიური პროექტი,

108 პროექტი ეროვნული (ქართულ ენაზე ქართველ პარტნიორებთან ერთად).

პროგრამა გამორჩეულია იმითაც, რომ აქტიურ მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილება მიიღონ საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში. უცხოელ კოლეგებთან პირისპირ შეხვედრა და კომუნიკაცია ერთგვარი მოტივატორია ქართველი მასწავლებლებისთვის. ცენტრის ინიციატივით მუდმივად მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ მხარდამჭერ სააგენტოებთან, რათა მიავლინონ მასწავლებლები საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებზე. შესაბამისად: 2015 წელი – 9 მასწავლებელი იყო მივლინებული; 2016 წელი – 6 მასწავლებელი; 2017 წელი – 15 მასწავლებელი; 2018 წელი – 16 მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში დღესდღეობით ჩართულია საქართველოს 475 სკოლიდან 900-მდე მასწავლებელი. ისინი პროექტის ფარგლებში უწყვეტად გადიან შესაბამის სატრენინგო კურსებს, სამუშაო შეხვედრებს.

- 2017 წელის 4-6 ოქტომბერს ცენტრის ინიციატივით საქართველოში პირველად ჩატარდა etwinnig-ის კონტაქტური სემინარი. სემინარს ქართველ მასწავლებლებთან ერთად დაესწრო 51 მასწავლებელი და პროგრამის კოორდინატორი ევროპის 10 სხვადასხვა ქვეყნიდან (საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, თურქეთი, უნგრეთი, აზერბაიჯანი), კონტაქტური სემინარის ძირითადი მიზანი იყო საპროექტო იდეებზე ერთობლივი მუშაობა, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, მასწავლებლების მოტივირება, მათ შორის თანამშრომლობის, მეგობრობის, კომუნიკაციის ხელშეწყობა

და სწავლა/სწავლების ინოვაციური პრაქტიკების გამოვლენა-გაზიარება. სემინარის დღეების ფარგლებში სტუმრებს ასევე საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ ქართულ კულტურას.

- პროგრამის მთავარი სამუშაო სივრცე, ელექტრონული პორტალი www.etwinning.net, რომელიც იმართება ევროპის სქულნეთის მიერ, ითარგმნა ქართულ ენაზე, რათა ქართველ მასწავლებლებს დავეხმაროთ ენობრივი ბარიერის დაძლევაში, მივცეთ წვდომა სრულ ინფორმაციასთან და გავუმარტივოთ მუშაობის პროცესი.
- პროგრამის ამოქმედების დღიდან პროექტებში ჩართული მასწავლებლების რაოდენობა გაიზარდა 50%-ით.
- დღევანდელი მონაცემებით აქტიურია 348 ევროპული პროექტი (ევროპელ პარტნიორებთან ერთად) და 108 ეროვნული პროექტი (ქართულ ენაზე ქართველ პარტნიორებთან ერთად).

ამდენად, ნებისმიერი ფორმით პროფესიული განვითარება უმნიშვნელოვანესია ყველა დონეზე. სასწავლო პროცესის მთავარი ამოსავალი არის მოსწავლე და მიღწეული შედეგი. სკოლის ხელმძღვანელი, როგორც საგანმანათლებლო ლიდერი, მოვალეა, იზრუნოს და ხელი შეუწყოს თანამშრომლობითი, დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებული სასკოლო კულტურის მძლავრი სისტემის შექმნას, რომელშიც მოსწავლის ხარისხიან განათლებაზე ზრუნვა და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება უმთავრესი ორიენტირი იქნება.

## *გამოყენებული ლიტერატურა*


1. ბოჭორიშვილი მანანა, ინასარიძე მაია სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (2014) თბილისი;

2. https://www.naec.ge/uploads/images/doc/SXVA/talis%20final%20report_ready_print%20links.pdf სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS), ეროვნული ანგარიში . *შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი* (2015) *თბილისი;*

*3.* http://kargiskola.ge/fasilit/fasilitator_guide_geo.pdf *მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის ხელმძღვანელობა ფასილიტატორის გ ზამკვლევი* USAID|G-PriEd (2015) Tbilisi;

4.Harris Alma; Jones Michelle (2012) Research and analysis-Great professional development which leads to great pedagogy: nine claims from research. Literature review from the national research and development network; National College for Teaching and Leadership;

5. Lehiste Piret (2015) THE IMPACT OF A PROFESSIONAL DEVELOPMENT PROGRAM ON IN-SERVICE TEACHERS' TPACK: A STUDY FROM ESTONIA. Journal : Problems of Education in the 21st Century, ISSN 1822-7864 (print); ISSN 2538-7111 (online); Volume 66, page 18-28 ;

6.Margus Pedaste, Äli Leijen, Katrin Poom-Valickis, Eve Eisenschmidt (2019) Teacher professional standards to support teacher quality and learning in Estonia. Journal : Wiley Online Library, European Journal of Education; Volume 54, Issue 3;

*7.* Riina Vuorikari, Adriana Berlanga, Romina Cachia, Yiwei Cao, Sibren Fetter, Anne Gilleran, Ralf Klamma, Yves Punie, Santi Scimeca, Peter Sloep, Zinayida Petrushyna (2011) ICT-Based School Collaboration, Teachers' Networks and their Opportunities for Teachers' Professional Development - A Case Study on eTwinning. 10th International Conference, Hong Kong, China, December 8-10;

8.Sergiovanni, Thomas J. (2015) Principalship, The: A Reflective Practice Perspective, 7th Edition. Trinity University, San Antonio Reginald Leon Green, University of Memphis.

# ონლაინ პლატფორმებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენება ონლაინ სწავლების დროს

**ნანა ნოზაძე**

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მენტორი მასწავლებელი

საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტ „ახალი სკოლის მოდელის“ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

2020 წლის გაზაფხულიდან მსოფლიო ცდილობს მოერგოს პანდემიის შედეგად დამდგარ ახალ რეალობას. განათლების სისტემამ ევროპის წამყვან ქვეყნებშიც და საქართველოშიც ამ გამოწვევას სწავლების დისტანციური ფორმა დაუპირისპირა, რასაც, დღევანდელი მოცემულობიდან გამომდინარე, ალტერნატივა არ გააჩნია. ტექნოლოგიურად არაფერი ჩანს მიუღწეველი, განსაკუთრებით, კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგებისა და ექსპერტებისათვის, მაგრამ როგორია ზოგადი სურათი?

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუდმივ რეჟიმში აკვირდება ონლაინსწავლების პროცესს, რათა დროულად მოაგვაროს წარმოქმნილი პრობლემები. დაკვირვებისა და კვლევის შედეგად გამოკვეთილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად კი მუშაობა მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულებით:

1. პროექტი „ტელესკოლა“, რომლის საშუალებითაც ყველა ძირითად საგანში წამყვანი სპეციალისტების მიერ ჩატარებული გაკვეთილები შესთავაზა მოსწავლეებს;

2. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში, გარკვეულ სკოლებში მასწავლებლებს დროებითი ხელშეკრულებებით გადაეცათ კომპიუტერები.

3. ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში შეიქმნა ონლაინ ჯგუფები, სადაც მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ ელექტრონული რესურსების შექმნისა და ამ რესურსებით სწავლების გამოცდილებას. ამ აქტივობებმა ცხადი გახადა, რომ მსგავსი რესურსების გამოყენება აუცილებელია სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის როგორც დისტანციური, ისე კონტაქტური სწავლების დროს.

წარმატებული ონლაინ გაკვეთილის ჩასატარებლად, ელრესურსების გარდა, აუცილებელია შესაბამისი ონლაინ პლატფორმის სწორად შერჩევა. გთავაზობთ ონლაინ პლატფორმების ჩამონათვალსა და მიმოხილვას, რაც პედაგოგებს მათთვის სასურველი და მოსახერხებელი არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება:

Teams-ის სასწავლო პლატფორმა – მოსწავლეეების Microsoft-ის ექაუნთის მეშვეობით მასწავლებლებს შეუძლიათ Teams-ის სასწავლო პლატფორმის გამოყენება. რა უპირატესობა აქვს მას, სხვა პროგრამებისგან განსხვავებით? საკლასო ჯგუფების შექმნა, გაკვეთილების ჩანიშვნა, ეკრანის გაზიარება, მოსწავლისათვის პრეზენტატორის ფუნქციის მინიჭება ან ჩამორთმევა, დამსწრეთა მიკროფონების კონტროლი.

პლატფორმა სრულ კომფორტს უქმნის მასწავლებელს, აძლევს რა საშუალებას, განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა: ჩაატაროს ონლაინ გაკვეთილი, არხში იქონიოს მიმოწერა მოსწავლეებთან, პარალელურად ატვირთოს საჭირო ფაილები, ინდივიდუალურად დაამყაროს კომუნიკაცია თითოეულ მოსწავლესთან, გაკვეთილზე გაუზიაროს საინტერესო ელექტრონული რესურსები, რაც, ვფიქრობთ, ონლაინ გაკვეთილების ყველაზე დადებითი მხარეა; გაკვეთილის მსვლელობისას ერთდროულად დაინახოს ეკრანზე 49 მონაწილე

გამოიყენოს თეთრი და ვარდისფერი დაფა, რათა ყველა მოსწავლე ჩართოს საგაკვეთილო აქტივობაში. ინდივიდუალურად მისცეს მოსწავლეებს შეფასება-კომენტარი, გადაუგზავნოს მასალა, მოსწავლემაც ინდივიდუალურად გამოაგზავნოს დავალებები და კითხვები. ამ პლატფორმის საშუალებით შეგვიძლია, გავაზიაროთ ონლაინ ტესტი, ჩავწეროთ ჩატარებული გაკვეთილები იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ვერ დაესწრნენ გაკვეთილს. თიმსში შეგვიძლია, დავწეროთ კომენტარები შეხვედრის შესახებ, გავაკონტროლოთ დამსწრე საზოგადოება. პლატფორმა, შეიძლება ითქვას, მთლიანადაა მორგებული სასწავლო სივრცეს.

ყველა მოსწავლეს მარტივად შეუძლია თავისი ექაუნთით დარეგისტრირება, პაროლის შეცვლა. დღევანდელი მონაცემებით, პანდემიის პირობებში, ფინეთის შემდეგ, სწორედ საქართველოში გაიხსნა ყველაზე მეტი Microsoft-ის ექაუნთი და ჩვენი პედაგოგები დისტანციური სწავლებისათვის ყველაზე აქტიურად სწორედ Teams-ს იყენებენ.

ZOOM-**ის აპლიკაცია –** ზუმი ძალიან ხშირად გამოიყენება ონლაინ შეხვედრების მოსაწყობად. რის საშუალებას იძლევა იგი? შეიძლება შეხვედრის მუდმივი ლინკის შექმნა, კონკრეტული შეხვედრის დროის გაზრდა, ეკრანის გაზიარება, შეხვედრის მონაწილეთათვის ჩათში კომენტარების მიწერა, ჩანაწერის გაკეთება და ცალკე ბმულად გაგზავნა ან გაზიარება. თუმცა ზუმში შეუძლებელია ერთობლივი მუშაობა, ფაილის გაგზავნა. თიმსისგან განსხვავებით, მას არ აქვს საჭირო ფაილების შესანახი საცავი.

**Facebook-გვერდები და მესენჯერი** – ყველაზე მარტივი პანდემიის დროს მშობლებისთვის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის აღმოჩნდა Facebook-გვერდები და მესენჯერი. მაგრამ, კიბერ-სივრცის ნაკლებად დაცულობის გამო, მსგავსი გვერდების გამოყენება საფრთხილოა მოსწავლეებისთვის. მესენჯერსა და ჯგუფებში ღიად დავალებების ჩაყრით ირღვევა მოსწავლეების უფლებები (კიბერჰიგიენისა და კიბერუსაფრთხოების დაცვა კი ერთ-ერთი მთავარი პირობაა ონლაინ გაკვეთილის მსვლელობისას). ონლაინ გაკვეთილების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ 8 მოსწავლესთან, რთულია ინფორმაციის მოძიება. მაგრამ მასწავლებლების კომუნიკაციის, გამოცდილებისა და რესურსების გაზიარების კუთხით Facebook-მა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ონლაინ სწავლების პროცესში. მასწავლებლებს შეუძლიათ, გაწევრიანდნენ საგნობრივ ჯგუფებში და იქონიონ კომუნიკაცია კოლეგებთან.

**Google Meet** – ონლაინ შეხვედრების ჩასატარებლად გამოიყენება, აუცილებელია დარეგისტრირებული ვიყოთ gmail.com-ზე.

Meet აპლიკაციაში შეხვედრის დრო შეზღუდული არ არის. შესაძლებელია შეხვედრის მუდმივი ლინკის შექმნა, ეკრანის გაზიარება, თეთრი დაფის ინსტრუმენტისა და ჩათის გამოყენება; შეხვედრის ჩანაწერის გაკეთება და ცალკე ბმულად გაგზავნა ან გაზიარება. თუმცა, ZOOM-ის მსგავსად, არ აქვს ფაილების მუდმივად შენახვის საშუალება, დავალებების ბანკი.

**schoolbook.ge** – ზოგიერთი სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. ძალიან მარტივი პლატფორმაა: მასწავლებელს ცხრილის მიხედვით შეუძლია ონლაინ გაკვეთილის ჩართვა, დავალებების გაგზავნა; მარტივია შეფასების სისტემა, ერთია მშობლისა და მოსწავლის გვერდი, მშობელი ხედავს ნიშნებს, არებს.

### *ონლაინ გაკვეთილის რაობა და რესურსები:*

ონლაინ გაკვეთილი განსხვავდება ჩვეულებრივი, კონტაქტური გაკვეთილისაგან: მისი მსვლელობისას აუცილებელია სხვადასხვა სადემონსტრაციო მასალისა და ონლაინ რესურსის გამოყენება. ონლაინ გაკვეთილი დაგეგმილი უნდა იყოს კომპლექსურად, რათა გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეებმა შეძლონ

ახალი მასალის შესწავლა, მასწავლებლის მიერ მიწოდებული მასალის დამუშავება, ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება. განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ეს გახლავთ – მომავალი თაობებისათვის ისეთი საგანმანათლებლო რესურსების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს:

- მოსწავლეების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებასა
- და გამოყენებას;
- ტექნოლოგიებით გამდიდრებული სასწავლო გარემოს;
- მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.
- მოსწავლეთათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

წარმოგიდგენთ სხვადასხვა ონლაინ ინსტრუმენტს, პლატფორმას, საიტს, რომლებიც შეიძლება გამოიყენოთ არა მარტო ონლაინ სწავლების, არამედ, ზოგადად, სწავლების დროს:

✷ **ვსწავლობთ თამაშით** – სხვადასხვა კომიქსების შექმნა, რესურსის შექმნა, აქტივობებში გამოყენება
ვსწავლობთ თამაშით (geolab.edu.ge)

✷ **სიტყვობანა** – პროგრამა,რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ ააწყონ მოცემული სიტყვა
2020 ბუკების თამაშები (buki.ge)

✷ **ანბანი** – მოცემულია ანბანი. მოსწავლეს თავად შეუძლია შემოხაზოს მინიშნების დახმარებით შესაბამისი ასობგერა;
2020 ბუკების თამაშები (buki.ge)

✷ **ვსწავლობთ მუსიკას თამაშით**: https://drive.google.com/.../1JjKMvTuWn0EgTsZoaibYx49r...

ეს რესურსი არა მარტო მუსიკის, არამედ სხვა საგნების ექსპერტებსაც შეგიძლიათ გააცნოთ. მაგალითად, ქართულში საშინაო დავალების დაწერის ნაცვლად,მოსწავლეს შეეძლება აუდიოფაილის მომზადება. ან ბუნებისმეტყველებაში ცხოველებისა და ფრინველების ხმების მოგროვება.

✷ **მარცვლობანა**: https://drive.google.com/.../1sgpidtiSO9y0QWlCpr13PNB0r1K...

ეს რესურსი, ფაქტობრივად,ინტერაქტიული ანბანისა და სიტყვობანას გაგრძელებაა. ამგვარად ერთიანი ციკლი შეიკვრება: ანბანის სწავლა, ასოებით სიტყვების აწყობა და ბოლოს დამარცვლა.

✷ **ელრესურსი მუსიკაში** – ვებგვერდზე განთავსებული დამხმარე ელექტრონული რესურსები შექმნილია I-VI კლასის სასკოლო პროგრამის შესაბამისად და ემსახურება სასწავლო როცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას. ყოველი თემა მოიცავს რამდენიმე ნაბიჯსა და კომპლექსურ დავალებას. მოსწავლის მიზანია, ნაბიჯების გავლისას მოაგროვოს საკმარისი ცოდნა, რომელსაც გამოიყენებს საბოლოო, რამდენიმეკომპონენტიანი ომპლექსური დავალების შესასრულებლად.

ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge)

✷ **ელრესურსი ბუნებაში** – ვებგვერდზე განთავსებული დამხმარე ელექტრონული რესურსები შექმნილია I-VI კლასის სასკოლო პროგრამის შესაბამისად და ემსახურება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას. ყოველი თემა მოიცავს რამდენიმე ნაბიჯსა და კომპლექსურ დავალებას. მოსწავლის მიზანია, ნაბიჯების გავლისას მოაგროვოს საკმარისი ცოდნა, რომელსაც გამოიყენებს საბოლოო, რამდენიმეკომპონენტიანი კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge)

- **ელრესურსი ხელოვნება** – ვებგვერდზე განთავსებული დამხმარე ელექტრონული რესურსები შექმნილია I-VI კლასის სასკოლო პროგრამის შესაბამისად და ემსახურება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას. ყოველი თემა მოიცავს რამდენიმე ნაბიჯსა და კომპლექსურ დავალებას. მოსწავლის მიზანია, ნაბიჯების გავლისას მოაგროვოს საკმარისი ცოდნა, რომელსაც გამოიყენებს საბოლოო, რამდენიმეკომპონენტიანი კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge)

- **ელრესურსი კომპიუტერული მეცნიერება** – ვებგვერდზე განთავსებული დამხმარე ელექტრონული რესურსები შექმნილია I-VI კლასის სასკოლო პროგრამის შესაბამისად და ემსახურება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას. ყოველი თემა მოიცავს რამდენიმე ნაბიჯსა და კომპლექსურ დავალებას. მოსწავლის მიზანია, ნაბიჯების გავლისას მოაგროვოს საკმარისი ცოდნა, რომელსაც გამოიყენებს საბოლოო, რამდენიმეკომპონენტიანი კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge)

- **ხანის აკადემია** – ხანის აკადემიის დახმარებით მასწავლებლები შეძლებენ, აღმოაჩინონ ჩავარდნები მოსწავლეების ცოდნაში, მიუდგნენ მათ ინდივიდუალურად.მოსწავლეები ვარჯიშობენ საკუთარი ტემპით. ისინი ჯერ ასწორებენ ხარვეზებს, შემდეგ კი იწყებენ სწრაფად სწავლას.

ხანისაკადემია | უფასო ონლაინკურსები, გაკვეთილები და სავარჯიშოები (khanacademy.org)

- **Onlain Power Point** – შეგიძლიათ შექმნათ პრეზენტაციები, ანიმაციები. შეინახოთ ვიდეოს სახით Email.mes.gov.ge
- **Forms _ Office 365** – გამოკითხვის ფორმები და ქვიზები Email.mes.gov.ge
- **One Draive- Office 365** – საცავი, სადაც შეგიძლიათ ატვირთოთ მასალები, ვიდეო ფაილები, გაუზიაროთ სხვებს Email.mes.gov.ge
- **Outluk** – ელექტრონული ფოსტა. მისი ექაუნთი განათლების სამინისტრომ ყველა საჯარო სკოლის მოსწავლესა და მასწავლებელს გაუაქტიურა
- **Sway _ Office 365** – ელექტრონული პრეზენტაცია და უფრო მეტი: ელგვერდისა და ელსტატიის შექმნის შესაძლებლობა Email.mes.gov.ge
- **Kahoot _ Log in _ Kahoot!** – საინტერესო გამოკითხვისა და ქვიზების შექმნა
- **GeoGebra** – პროგრამა მათემატიკური და გეომეტრიული გამოთვლებისთვის, ასევე, სასურველი მოდელის დახაზვისა და შექმნისათვის

გადმოწერა GeoGebra 6.0.593 ქართული – Vessoft

- **learningapps.org/** – შეგიძლიათ შექმნათ თქვენთვის სასურველი რესურსი. ასევე გამოიყენოთ უკვე

სხვისი შექმნილი, მასში ყველა საგნის მასალაა განთავსებული
LearningApps.org _ ინტერაქტიულიდასასწავლომოდულები

- **სილქნეტის საშინაო სკოლა** – შეგიძლიათ იხილოთ ვიდეოგაკვეთილები სხვადასხვა საგანში გაკვეთილები _ საშინაოსკოლა (silkschool.ge)
- **ვირტუალური ლაბორატორია** – მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში.

ამ პროგრამის ინსტალირებისათვის საჭირო ნაბიჯები: საქაღალდე "PhET", თავის შიგთავსთან ერთად, გადაწერეთ C დისკის ძირეულ საქაღალდეში (C:)
სიმულაციების გაშვება შესაძლებელია index.html ფაილის საშუალებით.
<u>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (mes.gov.ge)</u>
Phet.colorado.edu/en/simulacions/" https://www.edumedia-sciences.com/en/media/

- **El.Ge** – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერით შეიქმნა ვებპორტალი, სადაც განთავსებულია ჩვენი პარტნიორების მიერ შექმნილი და მოწოდებული საგანმანათლებლო და შემეცნებითი რესურსები, რომლებიც ხელს შეუწყობს:
  - სწავლების პროცესის გამარტივებას
  - საკითხების ფუნდამენტურ შესწავლას
  - კრეატიული აზროვნების განვითარებას
  - მოტივაციის ამაღლებას

El.GE

- **TV სკოლა** – უფასო პლატფორმა, სადაც შეგიძლიათ შექმნათ სასურველი ტესტი ან გამოიყენოთ უკვე არსებული TV სკოლა (tvschool.ge)
- 
- Idroo.com – თეთრი დაფა, სადაც შეგიძლიათ იმუშაოთ და გაუზიაროთ მოსწავლეებს ეკრანი IDroo _ Online Educational Whiteboard
- **G – PRIED** კარგი სკოლა – სასწავლო პლატფორმა – მასწავლებლის რესურსების სივრცეში თავმოყრილია სხვადასხვა სასწავლო მასალა და რესურსი, რომელთა მიზანია I-VI კლასებში ქართული ენისა და მათემატიკის სწავლა-სწავლებაში ინოვაციების ხელშეწყობა. მოცემულ სივრცეში ასევე მოთავსებულია რესურსები მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების ფასილიტატორებისთვის. აღნიშნული ბლოკი მოიცავს სხვადასხვა განყოფილებას.
- **adlet** – ჩანიშვნების, ჩანაწერების, უკუკავშირის გაკეთება. Padlet: You are beautiful
- **Scretch** – სკრატჩი მარტივი კოდის დახმარებით მარტივი ანიმაციისა და კომიქსის შექმნა Scratch _ Imagine, Program, Share (mit.edu)
- Slidesheres – სასურველ თემაზე პრეზენტაციის მოძიება, გამოყენება და სხვებისთვის გაზიარება. Share and Discover Knowledge on SlideShare

- **ფიზიკის დრო** – ბატონ დავით სონღულაშვილის ჩანაწერები, TV სკოლის ფარგლებში დავით სონღულაშვილი TV სკოლა _ Bing video~
- **myhistro.com** – ამბის რუკა, შეგიძლიათ, პლატფორმაზე დააფიქსიროთ თქვენი მდებარეობა და გამოიყენოთ სხვადასხვა აქტივობისას Create Free Interactive Timelines – Stories Displayed on Maps | myHistro
- **Minecraft Education** – მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ექაუნთები რომლებიც განათლების სამინისტრომ გადასცა, და შექმნან სხვადასხვა რესურსი. გააკეთონ კომპლექსური დავალებები Homepage | Minecraft: Education Edition
- **ტელესკოლა** – საზოგადოებრივ 1-ლ არხზე გადის სხვადასხვა საგნის გაკვეთილები **ტელესკოლა** _ 1TV
- **brush.ninja** – სახატავი პროგრამა.შეგიძლია გააცოცხლო ნახატები https://brush.ninja/
- **playposit** – პროგრამა, რომელიც ვიდეოში უკუკავშირის კითხვების ჩაშენების საშუალებას იძლევა. https://www.playposit.com/

***საგანმანათლებლო ორგანიზაციების ჩამონათვალი:***

- **ug განვითარების ცენტრი** (1) UG განვითარებისცენტრი | Facebook მასწავლებლებს სთავაზობს უამრავ ონლაინ ტრენინგსა და საინტერესო რესურსებს.
- **მასწავლებლის სახლი** ატარებს სხვადასხვა ვებინარს, საგნების მიხედვით ატვირთულია უამრავი ელრესურსი TPDC ICT Videos
- **ახალი სკოლის მოდელის** ფარგლებში ქოუჩებმა ჩაატარეს უამრავი ვებინარი, შეიქმნა კომპლექსური დავალებების ბანკი

ახალი სკოლის მოდელი – კომპლექსური დავალების ბანკი (iliauni.edu.ge)

უამრავი მასწავლებელი ცდილობდა კოლეგების დახმარებას. მათ მიერ ჩაწერილი ვიდეოინსტრუქციები გზამკველევებად იქცა ბევრი პედაგოგისათვის. აი, რამდენიმე მათგანი:

1. ნანა დაბრუნდაშვილი Nana Dabrundashvili _ YouTube
2. ნათია უჩავა natiauchava _ YouTube;
3. ნანა ნოზაძე საკუთარი ბლოგით, რომელიც პარალელურად მუდმივად მდიდრდება ახალი მასალებით ისტტექნოლოგიები 2019-2020 (istteqnologiebi.blogspot.com)

წარმატებებს ვუსურვებთ ყველა პედაგოგს ამ რთულ და, ამასთან, გამოწვევებით სავსე გზაზე და კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ კიბერჰიგიენისა და კიბერუსაფრთხოების წესების დაცვა ონლაინ გაკვეთილის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ამის შესახებ ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ ბმულზე: https://drive.google.com/.../1ZN9YxWDPefgyMXySUqc.../view...






978-9941-477-98-0
9 789941 477980